644/
1971/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

10

1971

ციკლიდან „მშრომელები“ ნახატი დ. ერისთავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხიდა

172

გამოცემის მეთოხუთმეტე წელი

10

ოქტომბერი

1971

თბილისი

II 875

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია

32. შალვა ამირსულაშვილი. ლექსები
35. ანზორ აბულაშვილი. ლექსები
83. ჯანო ჯანელიძე. ლექსები
84. ჯარჯი ფხოველი. ლექსები
86. კობა არაბული. ლექსები
88. ამირან მიქაუტაძე. ლექსები
98. მზია ჩხეტიანი. ლექსები
99. მერი მიდელაური. ლექსები

პროზა

3. რევაზ ჯაფარიძე. უკვდავი სული. მოთხრობა
38. თეიმურაზ მაღლაფერიძე. წყურვილი. რომანი. დასასრული
89. ნოდარ კეკელიძე. ტალღების ხმაურში. მოთხრობა

დოკუმენტური მოთხრობა

100. ოთარ ჩიხლაძე. ორი დღესასწაული

თარგმანი

106. ჯიმენერსი. ოდისეა. გაგრძლება. ქველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კოკანაძემ, თამაზ ჩხენკელმა.

წერილები

130. ალექსანდრე ჩარკვიანი. საგზაოთა წლებში განახლებული სვანეთი
135. ირაკლი კენჭოშვილი. ირონიულ-პოეტური ფანტაზიები
145. ოთარ ლორთკიფანიძე. საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს
159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთკიფანიძე,
ოგბია კაპკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულეიკერი,
ტარიელ ფანტურია,
ხერბი ფილაია,
შალვაზ ფილაძე,
ლაშა ჯანაფაია,

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ბრგე შესახედაობის ცისფერთვალება ლიტველი ნიკოლას პალანგოსი ცხოვრებაგამოვლილი და ცოტა მოავარო კაცი ჩანდა. ერთი შეხედვით თავზეხელაღებულ კონტრაბანდისტს უფრო მიამგვანებდი, ვიდრე რომელიმე მშვიდობიანი ხელობის კაცს. ეს პირველი შეხვედრა ბევრ-ჯერ გადაეგებოდა, შესაძლოა, არც მეორე და მესამე შეხვედრისას გაგჭარწყლებოდა. სანამ მეცნიერების მაღალი კიბის უდაბლეს საფეხურზე ფეხს შესდგამდა, ნიკოლას პალანგოსს, რომ იტყვიან, ცხოვრების ძირმწარე ეჭამა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნებოდა მოსწავლის მერხს. ჯერ ნავსადგურის მტვირთავ მუშად ყოფილიყო სკანდინავიის რომელიღაც ქვეყანაში, შემდეგ კი შორეული ცურვის კაპიტნის პირველ თანაშემწემდე მეზღვაურის ყველა თანრიგი გამოეცალა. ყველაფერ ამას ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცის ხასიათსა და გარეგნობაზე საგრძნობი დაღიც დაემჩნია. თითქოსდა ეკვატორის თაკარა მზით გახუხული სახე დამდუღრულივით ულაპლაპებდა. თვალები ყოველთვის მოჭუტული ჰქონდა და თუ ჯარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად არ დაიკვირდებოდი, იქნებ ისიც კი გგონებოდა, ამ ოჯახქორს ფეხზე ჩამოსძინებიაო. ცხრა მოსაა და ცხრა ზღვის იქით მოგზაურობის ღონე გემზე დენთით სავსე კასრი აფეთქებულიყო. ვერავის გაეგო, რომელმა ბედმა და ყისმათმა იხსნა იქვე ახლო მდგომი ნიკოლასი, სული როგორ შერჩა. საკმაოდ შეთხელებულ ჩალისფერ თმაში, ბიჭურად მოკლედ რომ შეეკრიჭა, სინათლე გაუდიოდა. მარჯვენა ყურქვეშ ღრმა ნაიარევი აჩნდა. გამომეტყველება მკაცრი და მიუკერებელი ჰქონდა. ეს სიმკაცრე და მიუკერებლობა, როგორც მალე დავრწმუნდი, ნამდვილად მოჩვენებითი იყო. გაიღიმებდა თუ არა, ნიკოლასს პირქუში გამომეტყველება უმალ შეეცვლებოდა და დღენიადაგ მოწკურულ ჩხია თვალებში ცეცლუტი ნაპერწკლები დაუწყებდნენ ციმციმს. ჩაცმა-დახურვის წეს-ჩვეულებებს, ეტყობა, ნაკლებად დაგიდევდა. დღემუდამ გულისკოვზმდე ჩახსნილი მეზღვაურული კურტკაი ეცცა და შალის ნაქსოვ პერანგს ნიკაპქვეშ არასდროს არ ისკვნიდა.

ეს კაცი ჩემმა ძველმა ნაცნობმა ხამიდ დუკენბაიმ შემახვედრა ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში, სადაც მთელი დედამიწის ზურგის ეთნოგრაფები და ანთროპოლოგები მსოფლიო კონგრესზე ვიყავით შეკრებილი. ხამიდ დუკენბაის მეგობრები, განსაკუთრებით ნიკოლას პალანგოსი და მე, პირველსავე დღეს დავახლოვდით და თავისუფალ დროს მოვიხელთებდით თუ არა, მუდამ ერთიმეორის ძებნაში ვიყავით.

ნიკოლასის მოხსენებამ, ეს არ შეიძლება არა ვთქვა, კონგრესის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო და ჩვენ ყველა, მისი ამხანაგები, საბოლოოდ მოგვინადირა. მოხსენება ნიჭით მომადლებული მწერლის გონებამახვილ და იდუმალებით აღსავსე მოთხრობასავით იყო აგებული და, წმინდა მეცნიერული დაინტერესება კიდევაც რომ არ გვქონოდა, კაცი მაინც დიდი სიამოვნებით და გულისძგერით მოისმენდი.

ნიკოლასს სამი თუ ოთხი წელი წყნარი ოკეანის კუნძულებზე გაეტარებინა და ეს მისი მოხსენება პოლინეზიურ ენებსა და იქაური ყოფაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგი იყო. ამ ენებში და ლეგენდა-თქმულებებში მართლაც არის რაღაც დიდი, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლოება. „კოხაუ რონგორნგა“ — აღდგომის კუნძულებზე ნაპოვნი იეროგლიფების დაფა — რომ მახსენდება, გული ახლაც უცნაურად დამიწყებს ხოლმე ფრიალს. ვინ უწყის, რა ჩააქსოვეს იმ იეროგლიფებში ძველი სამყაროს ცივილიზებულმა ადამიანებმა, რა უდიდესი აღმოჩენის წინაშე დგას კაცობრიობა, დგას და თავისი მიუხვედრელობის წყალობით დღესდღეობით ადგილიდან ვერ დაძრულა.

მეცნიერებს მიაჩნიათ და თვით ნიკოლასმაც გამოთქვა ვარაუდი: „კოხაუ რონგორნგა“ ძველრაპაუნის ენაზე უნდა იყოს შედგენილი. აი, უკვე ას წელიწადზე მეტია, არა და არ ხერხდება იეროგლიფების ამოკითხვა და ძველრაპაუნის ენის აღმოჩენა. ძველრაპაუნის ენა აღმოჩენილი რომ ყოფილიყო, გასაღებად მოეგებებოდა პოლინეზიური ენების სკივრს და მეცნიერებას, ვინ იცის, რა ახალ და დიდმნიშვნელოვან შესაძლებლობებს გადაუშლიდა!

მთელ ამ ამბავში, როგორც მე მომეჩვენა, პალანგოსის დაინტერესებას ფოლკლორული მხრე უფრო იწვევდა. სამხრეთის წყლებში, აღდგომის კუნძულებზე ყოფნის დროს მას ბევრი ხალხის უამრავი თქმულება ჩაეწერა. ნიკოლასის მონათხრობი ბალღობაში გაგონილ ჯადოსნურ ზღაპრებს ჰგავდა. ყოველ სიტყვაში თითქოს ტროპიკული ტყეები შრიალებდნენ და კოკისპირული წვიმების ენებიანი შხაპუნი ისმოდა...

ხუთშაბათ საღამოს, სხდომა რომ მოთავდა, თავი რესტორან „ალმა-ათის“ საბანკეტო დარბაზში მოვიყარეთ. სიტყვა ქალებზე ჩამოვარდა. ნიკოლასმა პოლ გოგენის ქალები მოიგონა. ეს არ გამკვირვებია. ნიკოლასს გოგენი გამორჩეული სიყვარულით უყვარდა და

ბევრ სხვა მხატვარს ამჯობინებდა. თავისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები გოგენმაც ხომ წყნარი ოკეანის კუნძულებზე გაატარა და გასული საუკუნის მიწურულს პარიზის სამხატვრო გაძოფენები სამხრეთის ბრიალა მზის ფერებითა და მსუყე მიწის წვენით ნაზარდი დედაშობილა ქალებით აავსო.

გოგენის ქალებში ნიკოლასი ამოუწურავ მშვენიერებას ხედავდა. სუფრაზე ცხარე კამათი ატყდა. გუცალო, ხამიდ დუკენბაის უეცბოროდელი მეგობარი, ვის გვერდითაც ის ოდესღაც მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა, სულ სხვა აზრისა იყო. გუცალომ მსჯელობა მშვენიერების პრობლემის ზოგად სიბრტყეში გადაიტანა. ნიკოლასი გააფთრებით და გულწრფელად იცავდა თავს. თუ ყურს დაუგდებდი, ისე გამოდიოდა, რომ დედათა სქესზე, ანუ როგორც ის უწოდებდა—მამაკაცის ჟინის მოსაკლავად გაჩენილ მოწყობილობაზე — ერთობ დაბალი შეხედულებისა იყო. ამაღლებულსა და ზეღვთაებრივს, რადაც რქიანი მამაკაცების მთელ მოდგმას ტუტუცი დედაკაცი წარმოგვიდგენია, თავადვე ვიგონებთ და ეშმაკის მიერ გაბრიყვებულები ხბოს აღტაცებას ვეძლევითო.

გამოტეხილი უნდა ვთქვა: არ მესიამოვნა, არ მესიამოვნა კი არა, შეურაცხყოფილიც კი დავრჩი, ეს რომ მოვისმინე. ნიკოლასი ძალზე უსულგულო და გამიმშრალ ადამიანად მეჩვენა. აბა, სად ეს, კონიაკის ზედმეტი დოზით გამომტყვრალი და სად ის, აკადემიის კათედრაზე რომ იდგა. ეს მრავალშირნახული კაცი ცხოვრებას როგორღაც ნაადრევად გაეღარიბებინა, სულით ხორცამდე გაეფცქვნა და ახლა ჩვენს წინაშე გაშიშვლებული იჯდა. გაშიშვლებული რომელია! ნიკოლასი თვითონვე იშიშვლებდა თავს და ეს მგონი კიდევაც სიამოვნებდა.

დაგვცინოდა? გვცდიდა? ამ გზით უნდოდა ყველა სისულელე ეთქმევინებინა და მერე ზედ შეგვდგომოდა?

სულის სიღრმეში მაინც ჯიუტად მწამდა, რომ ნიკოლასი, ჩვეული გარეგნული სახვნის უნარითა და გონებამახვილობით, სხვის როლს თამაშობდა და ამით თავს ირთობდა.

ბიჭები აიმრიზნენ. ისინი, ცხადია, ჩემზე უკეთ იცნობდნენ თავიანთ მერხის ამხანაგს, ალბათ, მისი უცნაური შეხედულებებიც ნაკლებ ეუცხოებოდათ, რადგან იმ ხნის განმავლობაში, რაც ასპირანტურის დამთავრებას სჭირდება, უთვალავჯერ ექნებოდათ მოსმენილი, მაგრამ დღეს, ასეთი იყო საერთო შთაბეჭდილება, ნიკოლასი თავის თავს აჭარბებდა.

ძნელი გამოსაცნობი როდი იყო, რად იჩენდა აგრერიგ ვნებიან, თითქმის ავადმყოფურ ლტოლვას გოგენის ქალებისადმი. მხატვრული ქმნილების ირგვლივ მსჯელობდა და მოდელს გულისხმობდა. დიდი მხატვრის თითოეული სურათი მოდელის შინაბუნების უბადლო გამომზეურებად მიაჩნდა, ამ „ბუნებას“ აზოგადებდა და ყოვლისმომცველ კანონად სახავდა. ცხოველური საწყისი... აი, ყველაფრის თავი და თავი და საფუძველთა საფუძველი! ადამიანის ყველა გრძნობა ამ საწყისზე დაიყვანება. მხოლოდ ინსტინქტია ბუნების ხმა. სხვა ყველაფერი ადამიანმა შესახზა საკუთარი ცხოვრების გასალამაზებლად და ზიზილაპაილებით მოსართავად. მაგრამ ის, რაც შეთხზულია, მაინც არ არსებობს, ანდა არსებობს ჩვენსავე გონებაში, მასთან ერთად კვდება და დავიწყებას ეძლევა.

თოვლქვეშ მოყოლილ პრასივით ფერწასულ და ზომაზე მეტად ჩასუქებულ ლუქსს, ჩვენს ტალინელ კოლეგას, საჩვენებელი თითზე ძველი ოქრომჭედლების ნახელავი თვლიანი ბეჭედი ეკეთა და მაგიდის ძგიდეზე ნერვულად აკაკუნებდა. გუცალოს და ნიკოლასის მთელი კამათის მანძილზე მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია. თავისი ბეჭდის თვალიერებაში იყო გართული. ხან

რევაზ ჯაფარიძე
ფაქიზი სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან შემოხედავდა, ხან იქიდან. წამიერი სიხუმე რომ ჩამოვარდა, კაკუნი შემოესმა, თავი ასწია და მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ ამხანაგებს მოგვაჩერდა. ხმამაღალი სიცილი აგვიტყდა. კონიაკის ზედმეტ დოზას ყველაზე ემოქმედა, თანაც უკვე ძილის დრო იყო. პირველი ნიკოლასი წამოდგა, თავი უკან გადაადგო, მოჭუტული თვალები ზარმაცად მოგვაპყრო, მარცხენა ხელი გამომშვიდობების ნიშნად ზემოთ ასწია და სწორედ მეზღვაურული რწევა-რწევით, თითქოს გემის ერდოზე მიაბოტებსო, კარისაკენ წავიდა.

კონიაკმა არც მე დამაყარა უკეთესი დღე. თავი მიბრუოდა, ტანი დამძიმებული მქონდა და ერთიანად მოსხლტილს მუხლები მეკეცებოდა. ავჩქარდი. მოვინდომე, ჩემი გაჯირვება არავისთვის შემემჩნევინებინა და დარბაზიდან ქარიგით უხმაუროდ გავსულიყავი.

ჰოლში ნიკოლასს დავეწიე. ის იყო, გამოლაპარაკებას ვაპირებდი, რომ ენას კბილი დავადგი. ჩაბნელებულ კუთხეში, სადაც დღისით ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭუნა იჯდა და რაღაცის გამო გულდაწყვეტილი თავის შესაძლო კლიენტებს ათვალიერებდა, ნიკოლასს ვიღაც უცნობი, შავთვალწარბა ქალი მიემწყვდია და თუმცა ფეხზე ძლივს იდგა, გალანტური რევერანსებით რესტორანში ეპატიჟებოდა. სასაცილო დასანახავი იყო. უთუოდ ყველა ასე გამოვიყურებით, როცა სასმელი მოგვეკიდება ხოლმე და არასდიდებით არა გვსურს აღიარება, რომ უკვე დავთვერით და დროა ლოგინს მივაკითხოთ.

სანამ რასმე ვიღონებდი და უთავბოლოდ აპანცალებულ ნიკოლასს დასაძინებლად წასვლაზე დავიყოლიებდი, ჰოლში დანარჩენი ბიჭებიც გამოვიდნენ. უხერხულად ამრეზილი ქალი მიხვდა, ყველა ერთად ვიყავით, ბიჭების გამოსვლით ისარგებლა და წამსვე გაგვეცალა.

ნიკოლასს სახე მოეღრიცა. ჰოლში სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ქალს დამცინავი მზერა გააყოლა.

„ვერც ისეთი ჯიგრიანი მოწყობილობა ხარ, როგორადაც თავი მიგაჩნია, ამბობდა მისი სახე. — ჯანდაბამდეც გზა გქონია. იქნება ფიქრობ, უკან გამოგიდგები და კალთებს დაგაგლეჯ!“

ხელისგულები ამეწვა. ჩემი თვისა მიკვირს, როგორ მოვითმინე და ამ პირუტყვს, უდანშაულო და უმწეო ქალს შეურაცხყოფას რომ აყენებდა, ცხელი სილა არ გავაწანი. ეტყობა, მთლად უგონო მთვრალი არ ვიყავი და კეთილგონიერებამ, სადაც არა გვგონია, ხანდახან იქ რომ აღმოგვაჩნდება ხოლმე, ხელ-ფეხი შემიბორკა.

შეზარხოშებული ამხანაგები სართულ-სართულ ჩამოვარეგე, ხამიდ დუკენბაის ლიფტის კარამდე მივყევი და ჩემს ოთახში მხოლოდ ამის შემდეგ შევლასლასდი. ახლა მწარედ ვნანობდი, რომ ცთუნებას ავყევი და ამ ვერაგ და მატყუარა კონიაკს პირველ ჭიქიდანვე არ მოვერიდე. ვაითუ დილას თავის ტკივილი ამყოლოდა. თავმტკივანი კაცი აბა რის მაქნისი ხარ! ხომ დავიღუპები-მეთქი, გავიფიქრე, ტანზე სასწრაფოდ გავიხადე და საბანში გავეხვიე, თან ვბუტბუტებდი, ღმერთო ხარ თუ განგება, სიკეთე მიყავ, თავს ნუ ამატკენ და ამაღამდელი მიამუნობა მაპატიე-მეთქი.

სახვალიოდ პლენარული სხდომა იყო დანიშნული. კონგრესი განმეორებით მოისმენდა ღირსშესანიშნავად მიჩნეულ მოხსენებებს. ასოციაციის თავმჯდომარესთან მოლაპარაკების შემდეგ მე საგანგებო წერილი მომივიდა და ის წერილი ახლაც შენახული მაქვს. დილის სხდომაზე, გთხოვთ, თქვენი მოხსენების მთავარი დებულებები გაგაცანოთო. წერილი ნიკოლასმაც მიიღო. მისი მოხსენება, მგონი, საღამოს სხდომაზე უნდა მოესმინათ.

მაგრამ ალა-თაუს მთა? უკანასკნელ ორ დღეს ყველას ამ მთის სახელი გვეკერა პირზე. მთაზე ასვლის და იქ ორისამი საათი გატარების სურვილი ყველაზე ადრე ნიკოლასმა გამოთქვა და დანარჩენებიც აგვიყოლია. გასეირნების თავის მობმა, როგორც მსპინძელს,

ალმაათელ ხამიდ დუკენბაის დაეკისრა. აქამდე ყველაფერი თითქმის აწყობილი იყო, მოულოდნელი დაბრკოლება სწორედ უკანასკნელ დღეს გამოჩნდა. ალაოთუს მთაზე ასვლა-ჩამოსვლას სულ ცოტა, სამი-ოთხი საათი მაინც დასჭირდებოდა. ვიშოვიდით ამდენ დროს? თუ ხვალინდელ დღეს სხდომები მთლიანად დაიჭერდა, გვრჩებოდა ერთადერთი დღე — შაბათი. შაბათი დამშვიდობებისა და გამგზავრების დღე იყო, მიმოსვლის ყველა საშუალება — მატარებელი, ავტომანქანა თუ თვითმფრინავი — დილიდანვე შეუდგებოდა კონგრესის მონაწილეების პატარა-პატარა ჯგუფებად გაყვანას ყაზახეთისა და შუა აზიის სხვადასხვა მიმართულებით. ქვეყნის ამ ნაწილის გაცნობა იყო სწორედ კონგრესის დასკვნითი ღონისძიება...

ამ ფიქრში ჩამეძინა. თვალები რომ გამოვახილე, ოთახი დღის სინათლით იყო გაჩახჩახებული. ჯერ მეგონა, ნათურა დამრჩენია-მეთქი ჩაუქრობი და ხელი გავიწვდინე გამომთთველი ზონრის ჩამოსაწევად, მაგრამ იმავ წუთს ქუჩის ხმაური შემომესმა და თვალები ხელახლა დავაჭყიტე. ვიიმე, ეს რა მომსვლია, თავზე დამთენებია-მეთქი, გავიფიქრე და ტანსაცმელს ვეცი. საათი გამჩერებოდა. მოუმართავი თუ იყო ის პატრონძაღელი. ამან მთლად გადამრია. პერანგი მოვიცვი, ტალანში გამავალი კარი გავაღე და თავი გავყავი. იქ, კიბისთავში, ელექტროსაათი მეგულებოდა. გულზე მომეშვა — ჯერ კიდევ ადრე იყო, რვას ათი წუთი აკლდა. მაგრამ ვაითუ ეს საათიც არ მუშაობდა? ოთახში შემოვბრუნდი, ტელეფონთან მივირბინე და სართულის მორიგეს დავურეკე. საათები ყველგან ზუსტია, ჯერ რვა არ შესრულებულაო. პერანგი ისევ გავიხადე და ახლა საბაზანის მივაშურე პირის დასაბანად. წუხანდელ ლოცვა-ვედრებას მგონი გაეჭრა — თავი ისერიგად არა მტკიოდა, თუმცა მთელ სხეულში საერთო მოთენთილობას კი ვგრძნობდი. ძილი მაკლდა, აშკარად მაკლდა ძილი. სხდომა ათ საათზე იწყებოდა და მარჯვე კაცი კიდევ მოახერხებდა ერთი საათით თვალის მოტყუებას. მაგრამ რომ არ გამომღვიძებოდა? როგორია — გამოგაცხადებენ და შენ ამ დროს ლოგინში კოტრიალობ ნამთვრალევი, გუდასავით გძინავს!

საუზმეზე წასვლამდე უჯრიდან ქაღალდები ამოვალაგე, გადავარჩიე და ამ თანმიმდევრობით ჩავალაგე პორტფელში, რა თანმიმდევრობითაც ლაპარაკი მომიხდებოდა. ყოველი ცალკე საკითხის შემდეგ პატარ-პატარა დასკვნები მქონდა მომზადებული ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე. ეს იმისათვის მჭირდებოდა, რომ თარჯიმანი საქმეში არ გამერია და ჩემი საქმე, თავიდან ბოლომდე, თვითონვე მეკეთებინა. ვისაც გამოუცდია, აღვილად წარმოიდგენს ჩემს მდგომარეობას. შენ ერთს ამბობ, შუბლზე ხვთქი გადაგდის, თარჯიმანი კი სულ სხვას ჭიკჭიკებს. დარბაზი დუმს. თავაზიანი ხალხია. პირში ხომ არავინ მოგახლის, უვიცი და ბრიყვი ხარო. არა და, ღმერთი, რჯული, შენ სულ არა ხარ დამნაშავე. აქაც შეიძლებოდა მსგავსი რამ მომხდარიყო. კონგრესის თარჯიმნები საგნის სპეციალისტები არ იყვნენ. მხოლოდ ენებს ფლობდნენ, მარტოოდენ ენის ცოდნით კი კაცი ჩვენს საქმეში ფონს ვერ გახვალ.

აბა, თავში როგორ მომივიდოდა, თუ კონგრესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სწორედ ეს დასკვნები მოახდენდა! ამიტომ არაფერი მწამს მკითხველის თუ მსმენელის აღფრთოვანებისა. გთხოვთ, ამას ახალგაზრდა მეცნიერის ქედმაღლობად და ეგოცენტრიზმის გამოხატულებად ნუ მიიღებთ. გულწრფელად ვამბობ. ვერ გიგიგებ, ვინ რა ჭკუაზეა, ვის მღვდელი მოსწონს და ვის მღვდლის ცოლი. მე ამ საკითხზე სულ სხვა შეხედულებისა გახლავართ. ვინაა შენი საქმის პატრონი და განმგებელი? თვითონ შენ, სხვა არავინ! იმუშავე

რევაზ ჯაფარიძე
უკვდავი სული

კეთილსინდისიერად, ჩაამსოვე შიგ მთელი შენი ცოდნა, გამოცდილება და სიყვარული, გააკეთე, რაც შეგიძლია, მერე კი ვისაც რა უნდა ისა თქვას, გინდ მოიწონოს და გინდ...

გადაირიენენ. საოცრად მოძრავი და არანაკლებ მოუსვენარი ხმელ-ხმელი პერიკაცი, პრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი, ტრიბუნაზე ამომეჭრა, ოქროს პენნნე ხელების კანკალით მოიგლიჯა და გადამეხვია. მერე კარგი ხანს, თავისებური მყივანა ხმით, ესპანურად მაქებდა...

2

პარასკევი. როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად ჩაყლაპა სხდომებმა და გამოსათხოვარმა წვეულებამ, რომელიც აკვარიუმისმაგვარ სამსართულიან რესტორანში გადავიხადეთ, სასტუმრო „ალმა-ათის“ მახლობლად. ძმაკაცები აქაც ერთად ვისხედით და ხვალინდელი დღის გეგმებს ვაწყობდით.

მდგომარეობა ასეთი შეიქმნა: შინ გადაუდებელი საქმე მელოდა და, მიუხედავად დიდი სურვილისა, მე ვერ მოვახერხებდი შუა აზიისა და ყაზახეთის დაბა-ქალაქების გაცნობის მიზნით სხვებთან ერთად სადმე გამგზავრებას. კვირა საღამოს შინ მიცდიდნენ. თბილისს და ალმა-ათას შორის საჰაერო მიმოსვლა მგონი დღესაც არ არის, მაშინ ხომ არ იყო და არა. ან ტაშკენტამდე უნდა გეფრინა და იქ თბილისამდე მიმავალ ლაინერში გადამჯდარიყავი, ანდა მოსკოვი უნდა მოგვევლო. საქმეში ჩახედულმა ამხანაგებმა მოსკოვში წასვლა მირჩიეს. წლის ამ დროს ამინდი ყოველთვის ჭირვეულია და ტაშკენტ-ბაქო-თბილისის ხაზზე ფრენა ხშირად ფერხდება. გულგაწყალებული მგზავრები თურმე მთელი დღეობით სხედან აეროპორტში და საფრენსნო ამინდის გამოსვლას ელიან. ამიტომ ბევრი ალარ მიყოყმანია, რაკი შაბათს ალა-თაუზე ასვლა გვქონდა განზრახული, მოსკოვის თვითმფრინავის ბილეთი კვირა დილისათვის დავიბეგე.

სხვებმაც საფუძვლიანად გადაამოწმეს ჯეს თავიანთი მარშრუტები. ნინოლას პალანგოსი და გუდალო, მაგალითად, ჩიმკენტის ჯგუფში იყვნენ ჩაწერილნი. მათი მატარებელი თერმეზეტის ოც წუთზე გადიოდა ალმა-ათის სამგზავრო სადგურიდან. ლუქსს, ბევრი რჩევა-რჩევის შემდეგ, ყაზახეთის შუაგულის — ჯამბულის ოლქის მონახულება გადაეწვიტა. ამ ჯგუფს ყარაგანდის მატარებლით უნდა ემგზავრა ბალხაშის ტბის ნაპირებამდე, აქედან კი მანქანებით მოუხდებოდათ გამგზავრება.

ჩიმკენტის მატარებელი ყარაგანდის მატარებელივით დილადრიან გადიოდა. ისე რომ, თუ რაიმეს არ ვიღონებდით, ჩვენი დათქმული გასეირნება შემდეგი შეხვედრის დროისათვის უნდა გადაგვეღო, ეს კი, ვინ იცის, როდის და სად მოხდებოდა, ანდა მოხდებოდა კი ოდესმე?

ხამიდ დუკენბაიმ ალა-თაუ მაცთუნებელი ფერებით დაგვიხატა. ეს მთა — ალტაის ზეგანის ერთ-ერთი მცირე განშტოება — ზედ თავზე დაჰყურებს ალმა-ათას. დასვენებისა და უქმე დღეებზე ვინ გინდა, აქ რომ არ ნახო. მთელი ალმა-ათა, უპირატესად ახალგაზრდობა, აქ იყრის თავს. ოჯახები დედა-ბუდიანა ამოდიან, შინ თითქმის ალარავინ რჩება. მოისწრაფიან თავიანთ სტუმრებითურთ, ნაცნობ-მეგობრებითურთ და მთის სუფთა ჰაერზე ნანატრ განცხრომას ეძლევიან. აქამდე გუდრონით მოგებულ მიხვეულ-მოხვეულ გზატაკეცილს ამოჰყავხარ. ასწლოვან ჭადრებში ჩაფლული მშვენიერი ალმა-ათა თანდათან დაბლობში რჩება. ტოტებით ერთმანეთში გადახლართული თვალშეუდგამი ჭადრები გზას მთის შუაგულამდე მოსდევენ და პაპანაქება სიცხით ღონემიხდილს სულს მოგაბრუნებენენ. შემდეგ ქალაქთან ერთად ჭადრებიც უკან რჩებიან და ადგილს მწვანე ბეჭჩნარითა და რბილი თომით დაფარულ მთის კალთებს უთმობენ, საიდანაც მნახველის თვალწინ უჩვეულო და საკვირველი სანახაობა გადაიშლება.

ძირს, უზარმაზარ ტაფობში, ცხენის თოქალთოსავით სქელი ღრუბელი გაწოლილა და კიდით კიდემდე ყველაფერი დაუფარავს. მაგრამ სად გაქრა ქალაქი? ნუთუ ამ უსიცოცხლოდ განრთხმულ ღრუბლის საფარქვეშ დარჩა?

ალა-თაუს დალაშქრა, თანაც დაუყოვნებლივ, ერთხმად გადაწყდა. ბევრი ჭოუმანის შემდეგ გამოსავალიც გამოვნახეთ: ბიუებმა უარი თქვეს თავიანთ თავდაპირველ მარშრუტებზე და შეთანხმდნენ, სამივე ერთად წასულიყვნენ სემიპალატინსკში, ყაზახებს შორის ღმერთად მიღებული პოეტის — აბაი კუნანბაევის სამშობლოში, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დევს. სემიპალატინსკში მიმავალი მატარებელი ღამის ათ საათზე გადიოდა და, ამრიგად, მთელი შაბათი დღე, დილიდან სადამამდე, ჩვენს განკარგულებაში გვრჩებოდა.

სამშადისს პარასკევ საღამოსავე შეკუფდქმთ. უპირველეს ყოვლისა, ბარგი ჩავალაგეთ და ჩემოდნები შეგკრით. თუ ვინიცობაა, სასტუმროში გვიან მოგვიხდებოდა დაბრუნება, ზედმეტ ფუსფუსში დრო აღარ უნდა დაგვეკარგა. დილას, სრულ რვა საათზე, ჰოლში მოვგროვდით. ყველაზე ბოლოს ხამიდ დუკენბაი შემოვიდა და ინტურისტის ორი მანქანის მოსვლა გვაუწყა. რაღა იყო ეიდევ საჭირო? ცოტაოდენი პურმარილი და ორიოდე ბოთლი ღვინო ან კონიაკი — ერომანეთი ხომ უნდა დაგვეწყოცა. ამეების საყიდლად რომ გარეთ გამოვედით და მანქანაში ვსხდებოდით, ნიკოლაი მოვისაკლისე.

— სასტუმროში დაგვხვდება, — მომიგო ხამიდმა.—ტიპი ჰყავს სანახავი.

— ვინ ტიპი? — მე გამეცინა.

— არ ვიცი, მაგისას რას გიგებ. ვიღაც ლიტველია, აქ მსახურობსო.

— რაღა სადღეისოდ შემოინახა, აქამდე ვეღარ მოახერხა ნახვა?

— ვილნიუსში ყოფილა წასული. დღეს უნდა ჩამოვიდესო.

— იცობ?

— არ მიკითხავს, რა გვარია, არც ის, სად მუშაობს. აქ ბევრია ჩამოსახლებული ხალხი. ჩვენზე მეტი. არ ვიცი, შეიძლება, კიდევაც ვიცნობ. რატომ მეკითხები?

— ისე. კითხვა არ შეიძლება?

— რატომ არა, რამდენიც გენებოს.

ამ პასუხზე ორივეს გაგვეცინა და ნიკოლასიც უმალ დაგვაყოლა. ახალთახალი მდიდრული გასტრონომი თვალს დახამხამებაში მივიარ-მოვიარეთ. ლუქსი და გუცალო გარეთ ვეიცდდნენ. თავიანთი ნაყიდობა მათ უკვე ჩაედოთ მანქანაში. ჩვენი მოტანილი ღვინოები და კონიაკები დიდი ცნობისმოყვარეობით, თითქმის მოწიწებით დაათვალიერეს. ორივე დარწმუნებული იყო, რომ ვაზის ქვეყნის შვილი სასმელის არჩევის დროს არამცდა არამც არ შეცდებოდი.

— ყველა აქაურია. თუ არ მოგეწონებათ, ჩემი ბრალი ნუ იქნება, — გამოვაცხადე მე და მანქანაში ისევ ხამიდ დუკენბაის გვერდით მოვეწყე. ლუქსმა და გუცალომ კვლავ შავი „ვოლგა“ დაიკავეს. — ქართულ კონიაკებს და ღვინოებს საერთოდ არ ვღებულობთო. წარმოგიდგენია?

— ჩვენ ხომ ჩვენი გვაქვს, — ხამიდის ხმას ოდნავი ნაწყენობა დაეტყო.—რესტორანში აქაურ კონიაკს არ გვასმევენ? არ მოგწონს თუ?

— რას ამბობ, გადასარევია!

— მართალია, ტრადიცია ისე დიდი არა გვაქვს, როგორც მაგალითად, თქვენ, ქართველებს, მაგრამ, უნდა გითხრა, რომ არამცთუ აქ, საბჭოთა კავშირში, ყაზახურ კონიაკს საზღვარგარეთაც სიამოვნებით სვამენ. დიდი მოთხოვნილებაა. ძალიან ბევრს ვაგზავნით. შენ ხომ მატარებლით ჩამოხვედი?

— კი. შენ არ დამხვდი სადგურში?

— ჰო, სულ დამავიწყდა... ჩიმკენტი ხომ გამოიარე? საერთოდ, ამუ-დარიას დაბლობზე ბევრია ვენახები. ეს ღვინო და კონიაკები იქაურია. აქეთაც,

ჩიმკენტიდან ალმა-ათისაკენ რომ გადმოუხვევ, ვენახი ვენახზეა გადაბმული. კახეთი გეგონება. ისე, კონიაკი, მართალი თუ გინდა გითხრა, არც თქვენშია, მაინცდამაინც დიდი ხნის. მე თვითონ ქართველებმა მიამბეს. მე და მამაჩემმა ერთხელ კონიაკის ქარხანა დავათვალიერეთ თბილისის მახლობლად. მოიცა, რა ქვია იმ ადგილს...

ალა-თაუს თერთმეტის ნახევარზე ავაღწიეთ. უფრო მალე ავიდოდით, აღმართ-აღმართ მიმავალი საკმაოდ ფართო გზატაკეული მიხვეულ-მოხვეული რომ არ ყოფილიყო და ყოველ ნაბიჯზე სვლის შენელება არ დაგვჭირვებოდა. მანქანები, მსუბუქიც და სატვირთოც, ქვემოდანაც ბევრი მიდიოდა და ზემოდანაც, უკვე დაცარიელებული, ბევრი ბრუნდებოდა.

— უამრავი ხალხი იქნება, — გადავულაპარაკე ხამიდს, თან ხარბად ვიყურებოდი მანქანის სარკმელში, საიდანაც ჯერ ისევ მოჩანდა ალმა-ათის განაპირა სახლების სახურავები. სახურავები ნელა, სულ ნელა, თითქმის შეუმჩნევლად იძირებოდნენ ბამბასავით ფაფუკი ნისლის ზღვაში.

— ალა-თაუზე ადგილიც ბევრია, — სიცილით მიპასუხა დუკენბაიმ. — გგონია, ვერ დავეტევით?

ჩვენი მანქანა მეორე იყო. შავი „ვოლგა", რომელშიაც სამნი ისხდნენ, უკვე აღარ ჩანდა.

— ნეტა რა ეჩქარებათ, — თქვა ისევ ხამიდმა. — თავი ბრესტის ავტოსტრადაზე ხომ არ ჭგონიათ! თუ ჭკუით არ იქნნი, აქ ადგილად მოიტეხ კისერს...

შოფერს გაეცინა. საქარე მინის ზემოთ მიმავრებული სარკე გაასწორა და შიგ ჩვენი თვალები მოძებნა.

— კისრის მოტეხა არსად არ არის ძნელი, — გამართული რუსულით თქვა მან. — გგონიათ, ავტოსტრადაზე კი არ მოხდება ავარია? რამდენიც გნებავთ! მე, მაგალითად...

ხამიდ დუკენბაის ამ აზრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ მეგობრების წინაშე თავი მასპინძლად მიაჩნდა და მისი ორმაგი მოუსვენრობა უფრო ამით აიხსნებოდა.

— ნიკოლასის ბრალია, —ისე თქვა მან, შოფრის სიტყვებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. — ალბათ, ის აჩქარებს. ჯერ გვაცდევინა, ახლა კლდეზე უნდა გადაგვჩეხოს...

— თუ ძმა ხარ, მითხარი ხამიდ, რა კაცია ეგ ნიკოლასი? — არც იქით, არც აქეთ, ყოველგვარი მიდებ-მოდების გარეშე მივმართე მე და მივაჩერდი.

— რა კაცია? — ხამიდმა კითხვა გამიმეორა და ახლომხედველი თვალები დაახამხამა. — როგორ თუ რა კაცია?

— ცოტა უცნაური და ზედმეტად თავდაჯერებული არ გეჩვენება?

— მეზღვაურები ასეთები არიან.

— შენ აგრე ფიქრობ? რომელი ნელსონი ეგა მყავს!

— მე ნიკოლასის გარდა მეზღვაური არც მინახავს, — გამოტყდა ხამიდი და გაიღიმა. — ასე მგონია, ყველა მეზღვაური ნიკოლასისთანა უნდა იყოს. ისე, რა გითხრა, ურიგო ბიჭი არ არის. ნამდვილად. ცოატ უცნაურობა ჭირს. უცნაურობა ვის არ გვჭირს. რუსები ტყუილს კი არ ამბობენ, ყველა თავისებურად იშლება ჭკუაზეო. მოხსენება დიდებული წაიკითხა, რაც მართალია, მართალია. ეს ერთხმად აღიარა ყველამ. ვგიჟდები, როდის რას ასწრებს. სულ ლაყბობს, სვამს და ქალებს ეღლაბუცება. ბევრს სვამს. ძილითაც არ ძინავს ხეირინანდ. ერთი მაგის გვერდით საერთო საცხოვრებელში გაცხოვრა. სასჯელია... გარეგნულად აგრე ჩანს: ვითომ თავმომწონეც არის, ამაყიც, დამცინავიც, ნამდვილად კი საწყალი გულის ბიჭია. გაჭირვებული თუ დაგინახა, სულს დალევს შენთვის, პერანგს გაიხდის და შენ ჩაგაცმევს. ბევრჯერ გამოვცადეთ. სტუდენტობა და ასპირანტობა, ისიც უცხო ადგილზე, უცხო ხალხში, შენც ხომ იცი, იმისთანა რამეა...

— წყნარ ოკეანეში რა უნდოდა?

— ეგ ცალკე ამბავია. როდისმე უნდა ვაამბობინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ არ უამბია?

— ნაწყვეტ-ნაწყვეტად. როდის გვიამბობდა, სკამზე დასვამ თუ?

— აბა, როდის წერს ამ წიგნებს?

— მეც ვერაფერი გამიგია.

— გაგზავნეს თუ თვითონ წავიდა?

— წყნარი ოკეანის კუნძულებზე? გაიპარა, ბიჭო! მეათე კლასში იყო. ხუთ წელიწადს დაღუპული ეგონათ. ეგენი შუში კათოლიკები არიან. წირვა-ლოცვას მკაცრად მისდევენ. ჩვენ პატივცემულ ვაჟბატონ ნიკოლასს წესიც კი აუგეს კასტიოლში. ღმერთი მაინც სწამდეს. პირწავარდნილი მწვალებელია! მოიხედეს და — ერთ დღეს არ გამოჩნდა? ყველას მოჩვენება ეგონა...

— ყურები ვერ აავლიჯეს?

—რას ამბობ, ვინ გაუბედავდა. ადგებოდა და ისევ გაიპარებოდა, ჭკუა დაუშლიდა თუ? რა დაკარგა! მე რომ მკითხო — არაფერი. ახალგაზრდა კაცია და ამდენი რამე ნახა, ისწავლა. აბა, საღ ჩვენ, დედიკოს შვილები, და სად ეგ!.. გადაიხედე, ხედავ ალმა-ათას?

თავი მოვაბრუნე. მანქანას სკლა შეენელებინა და ნისლში მიცურავდა.

გზის იქით რისამე დანახვა უკვე შეუძლებელი იყო, რადგან დაბლობი მოლიანად ნისლს ამოვესო.

— აქეთ, აქეთ, ვაჟა, საით იყურები! —ფერდში ჯლიკეი მკრა ხამიდმა. — მხარი გეცვალა. ალმა-ათა აი, აქ არის! — მან ხელი გაპყო სარკმელში და სადღაც დაბლობისაკენ გაიშვირა.

მე თვალი გავაყოლე ამ ხელს და მთლად გავოგნდი. ნისლს გარდა მართლაც არაფერი ჩანდა. შორიდან რომ უყურებდი, ეს ნისლი ისე სქელი და მკვრივი იყო, გეგონებოდა, გადავაბიჯებ და ზედ ფეხით გავივლიო.

— ხედავ რამეს? — მკითხა ხამიდმა.

— აქ რას დაინახავ, — მივუგე და მხედველობა უფრო დავძაბე, იქნებ დაბლობში, სადაც უზარმაზარი ქალაქი დავტოვეთ, რაიმე გავარჩიო-მეთქი. — წარმოუდგენელია პირდაპირ! ჩემი თვალით რომ არ ვუყურებდე, ამას ვერავის დავუჯერებდი...

მანქანა ნელა მიიკვლევდა გზას ნისლში და ყოველ მოსახვევთან სვლას აყოვნებდა, რათა უცაბედად ზემოდან მომავალს არაფერს დავჯახებოდით. ცოტა ხნის შემდეგ ნისლმა თუ ღრუბელმა გათხელება იწყო და სულ მალე მიწის პირზე მობორიალე ბურუსად გადაიქცა. წუთიც და სავსებით გაქრა. თავს ზემოთ მოკრიალებული ლურჯიც იყო და შემაღლებული კაშკაშა მზე იქაურობას თვალისმომჭრელ სხივებს აფრქვევდა.

— ვაიმე, რა კარგია! — წამოვიძახე მე. — თურმე აქამდე სად ვყოფილვართ, რა ჯურღმულში!..

მანქანიდან პირველი ხამიდი გადახტა და უმალ ისევ შემოჰყო თავი ბოთლების გამოსართმევად. მეც გადმოვიზლაზნე. მოშიშვლებულ ზეგანზე ვიყავით. გზის მარჯვნივ და მარცხნივ უამრავი მანქანა და სახელდახელოდ გამართული ფარდული მოჩანდა. ფარდულებს ხალხი მისეოდა. ეგერ-აგერ მაყლები დაენთოთ და ზედ წვრილად დაჭრილი ხორცით ახუნძლულ შამფურებს ატრიალებდნენ. მოშორებით, მწვანე სერზე, ხის საჩრდილობელი სოკოები გამწკრივებინათ. სოკოებს დაბალი მოჯირი ჰქონდა შემოვლებული და შიგნით ოთხკუთხი მაგიდა და გრძელი სკამები იდგა.

— ხამიდ, ვაჟა, ეი, აქ ვართ, აქ! — ნაცნობმა ხმამ შემაღლებულ ადგილზე გადმომდგარ საჩრდილობლისაკენ გაგვახეკა. საჩრდილობელში მარტო ნიკოლასი დაგვიხვდა. დანარჩენები, უმცროსი ხალხი, მწვადებისა და ლიმონათების მოსატანად ვიფრინეო. მივედით თუ არა, შავი „ვოლგის“ შოფერს დაუსტვინა, რაღაც ანიშნა და ხალხს შეერია. მე და ხამიდმა ერთმანეთს შეეხედეთ და გაგვეცინა. ჩვენ, ეტყობა, სუფრის გაშლა გვევალებოდა. რა გაგწყობა-მეთქი, მხრები ავიჩეჩე, დანის წვერით დაჩორკნილ მაგიდაზე სავანგე-

ბოდ ნაგულვები გაზეთი გავშალე და ჩედ მაშინვე ღვინის ბოთლი დავდგი, გაზეთი რომ ქარს არ წაერომია. ხამიდმა მალე ერთიმეორეში ჩაწყობილი წახნაგიანი ჭიქები, ალუმინის ჩანგლები. მჭრელი დანა და ფრიალა თეფშები მოარბენინა. ჭურჭელი თითქმის მზად იყო. ახლა მხოლოდ პურმარილი გვაკლდა. რად იგვიანებდნენ ბიჭები? თეფშები და ჩანგლები რამდენჯერმე გადავაწყო-გადმოვაწყეთ და მერე ისევ პირვანდელი ადგილი მოვუძებნეთ. ცოტაც და, სუფრაზე, ოხშივარდადგმული მწვადებისა და გრძლად დაჭრილი ხახვის მთა გაჩნდა. მწვადი ჯერ ისევ შიშინებდა და ნერწყვის მომგვრელად იღვენთებოდა. მე კონიაკის ბოთლს მიეწვდი და წინასწარ მორყეული საცობი ამოვაძრე. სწორედ ამ დროს შემოგვესწრო ნიკოლასიც, მაგრამ ვიდრე შიგნით შემოვიდოდა, გალანტური კავალერის თავაზიანობით გვერდზე გადადგა და კარისაკენ ორ თმაგაბურძგნულ არსებას დაუთმო გზა. ორივე ისე იყო გაკოჭილი და ტანისამოსშემოსრესილი, უცებ ვერც კი მიხვდებოდი, თუ ჩვენი სტუმრები სულ ახალგაზრდა, თვრამეტ-ცხრამეტი წლის გოგონები იყვნენ. ფერუმარულის ზედმეტი ხმარებისაგან სახე ორივეს გაუხეშებული და შეშუპებული ჰქონდა. ჩალილავებული თვალის უპეები მოთეთრო-მოვარდისფრო გრიმით შეეღებათ. გრიმი გადაგლესილი და დამსკდარი იყო და მისი უსწორმასწორო ნაბზარები ორივეს გარკვეეით ემჩნეოდა. გოგონებს სადღაც დაელიათ. სად გადაჰყოროდა ნეტავ ნიკოლასი? ასე უცებ როგორ გაეცნო? თავიანთ ახალ ნაცნობს, ნიკოლასს, გოგოები აქამდე თამამად მოჰყოლოდნენ, მაგრამ ამდენი ხალხი რომ დაგვიმახეს, გუნება უეცრად შეეცვალათ, რატომღაც დაირცხვინეს და უკან გაბრუნება დააპირეს. ნიკოლასი განზრახვას მიუხვდა. ხელები გაშალა. მარჯვენა ერთს ჩაჰკიდა ტიტველ მკლავში, მარცხენა — მეორეს და გაწუწული წიწილებივით შიგნით შემოლალა. ქალები კისკისებდნენ და ახლა უკვე ყასიდად ლამაზდებოდნენ ნიკოლასის ლონიერი მკლავებისაგან. ვის დაძვრენას. — აბა, თუ მიხვდებით, ვინ მოვიყვანე? — ნიკოლასმა შუბლი შეიკრა და თეატრალურად დაბოხებული ხმით შემოგვძახა.— პოლინეზიელი ქალწულებია, მარკიზის კუნძულებიდან. ტატუირებას ამჩნევთ სახეზე? კარგად დაიკვირდით. მეცნიერი ხალხი ხართ და გამოგადგებათ. ღმერთ ოროს მხეკლები არიან. ამას ახლავე საქმით დავიმტკიცებენ. მარჯვენა ხელით რომ მიჭირო

ცხელი მწვადების ნერწყვის მომგვრელმა სუნმა მგლის მადა გაუღვიძა.

— ციც! — შეუტია ნიკოლასმა.

გოგომ შეჰკივლა და ეს უცაბედი წამოკივლება ძალიან ცუდად რომ არ გამოსცლოდა, მაშინვე კისკისი მორთო, თან ნატკენ მაჯაზე, ნიკოლასმა რომ წკეპლასავით გრძელი საჩვენებელი თითი დაარტყა, დაარტყა კი არა, გადაწნა, ხელს იჭერდა:

— იცი, რა მხეცი ხარ! რკინა კი არ არის, ადამიანის ძვალი და ხორცია.

ნიკოლასმა ისევ მრისხანედ შეიკრა კაპები და ქალს ორი მწვადი გადმოუღო თეფშზე, შემდეგ თავისი ხელუხლებელი ჭიქაც დაუდგა და შიგ კონიაკის ბოთლი ჩააპირქვავა.

— ძვალი არ გამაგონო. ხორცს ვენაცვალე! მე, ძვირფასო ტეხაამანა, ვიცი — მხეკლის ხორცი გემრიელია. გამისინჯავს...

— მოიცა, რამდენს მისხამ! — წამოიძახა ქალმა და ბოთლის ყელზე ხელი უტაცა.

ნიკოლასმა წარბები აძგიბა და გაკვირვებული გამომეტყველება მიიღო:

— განა ბევრია? — და ჭიქას კიდევ დაუმატა ცოტა. — მე ახლა სადღეგრძელოს ვიტყვი, ჰო-ჰო-ჰო-ჰო...

— თქვენ აღარ დაგრჩებათ.

— დაგვრჩება. რა გული გაგტეხია. შენ ეი, ვაირაუმატ, ხელს ნუ აფარებ მაგ ჭიქას. ასწი, დაგისხა! ვაჟა, გადმოგვაწოდე მეორე ბოთლი.

— არ მინდა, მთვრალი ვარ, — ქალმა იუარა და შეშინებულმა, მეც არ დამარტყასო, კისკის-კისკისით უკან გადაწვა.

ბოთლი გავხსენი და ნიკოლასს გადავაწოდე.

— მე ღმერთ ოროს სადღეგრძელო უნდა დავლიო და დახეთ, მისი მხევალი დალევაზე უარს მეუბნება, — თქვა ნიკოლასმა, ბოთლი გამომართვა, წინ დაიდგა და შუბლშეჭმუხნულმა განაგრძო: — ვაირაუმატ, ეგ არ გამაგონო! გინდა, ღმერთი ჰგმო? შენ, მართალია, ჩემი გულის რჩეული არა ხარ, რადგან შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ორი ქალი გიყვარდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურადღების გარეშე მრჩები. ხომ ხედავ ამ ტაიტელ ბიჭებს?

— თვალით ჩვენზე აჩვენა და ცარიელი ბოთლი მაგიდის ფეხთან, იატაკზე ჩამოდგა. — ამოირჩიე, რომელი გინდა. შენი ერთი შეხედვა კმარა!

ვაირაუმატი აქამდეც, რასაკვირველია, გვათვალიერებდა, ახლა კი სათითაოდ დაგვაკვირდა, შეგვამოწმა, შეგვაფასა, ყოველგვარ მდგომარეობაში წარმოგვიდგინა, ქუთუთოებშეღებილი მდგრიე თვალები მინაბა და თავისი ჭიქა ჩვენს ჩათითქინებაულ ლუქსს გაუწოდა მისაჭახუნებლად.

— ვაშაა!.. — ველური სიხარულით ვიღრიალეთ ყველამ და ჭიქები აევნეთ, თუმცა, გამოტეხილი უნდა ვთქვა, გულში წყენისმაგვარი რაღაც ხინჯი კი გაჩნდა.

3

სუფრა ადრიანად აიშალა. იქნებ ეს უკეთესიც იყო. კონიაკი რომ დალია და ზედ ღვინოც დააყოლა, ნიკოლასმა სულ აიშვა თავი. დაიკინნა, ღმერთ ოროს დღეობა არისო და თავის ტეხაამანას და ვაირაუმატს ჩააცივდა, გინდათ თუ არ გინდათ, ახლავე ტანზე გიიხადეთო. გოგოები ისე აღგზნებული და მოხიბლული იყვნენ, იქნებ უარიც არ ეთქვათ ამ პიკანტური წინადადების შესრულებაზე, მაგრამ ორ-სამჯერ საჩრდილობლის შორიახლო საეკვოდ მოღუშულმა მილიცელმა აიარ-ჩაიარა და ეს ავის მომასწავებლად ენიშნათ. ამას გარდა, ცოდა კიდეც. სიცივისაგან გალურჯებულები კბილს კბილზე აცემინებდნენ და მაინც როგორღაც ახერხებდნენ უდარდელ კისკისს. ვაირაუმატს ხელზე ლუქსის ძველებური ბეჭედი ეკეთა და ზედ დაჰხაროდა, პატრონს კი ისე გამომწვევად და მოურიდებლად ეხახუნე-

ბოდა გულზე, თითქოს მისი ახლადშერთული ცოლი ყოფილიყოს.

ნიკოლასმა თავისი კუბოკოული პიჯაკი მოახურა ტეხაამანას, ხელი მოჰხვია და დიდის ამბით ზეზე წამოაყენა. დანარჩენებიც ავდექით. მე და ხამიდს გვეგონა, იმ სამიდან ერთი ჩვენთან გადმოჯდებოდა, რადგან შოფრის გარდა ახლა უკვე ხუთნი იქნებოდნენ მანქანაში, მაგრამ ეს წინასწარმეტყველება არ გაგვიმართლდა. შავ „ვოლგაში“ ხუთივე როგორღაც ჩაეკვეტა და მანქანაც უმალვე დაიძრა ადგილიდან.

— არ ჩავჯდეთ? — მკითხა ხამიდმა.

— ძალიან გეჩქარება? — მე ხრამის პირზე ვიდექი და დაბლობს გადავყურებდი. თვალწინ ჯერ ისევ ნიკოლასი და მისი მოხითხითე ქალწულები მიდგნენ. არ მინდოდა ამაზე მეფიქრა და კიდით კიდემდე გაწოლილი ნისლის ტბორში ალმა-ათის სახურავებს ვეძებდი.

— აქ რაღა გავაკეთოთ, — მითხრა ხამიდმა. ის, ეტყობა, იმასვე ფიქრობდა, რასაც მე და ასევე ცდილობდა, გულის ფარული ზრახვა არ გაემჟღავნებინა. — აწი აცივდება, რას უყურებ?

— ნუთუ მთელ დღეს ასე იქნება ეს ნისლი?

— მთელ წელიწადს და გაის ამ დროსაც.

— რა უნდა იყოს მიზეზი, არავინ დაინტერესებულა?

— მაგას რა დიდი კვლევა-ძიება უნდა. ქალაქს გამჭოლი ქარი არ ხვდება. ორივე მხრიდან დახშულია მთებით. ეს, იცოცხლე, კარგია ზომიერი ჰავისა და ტემპერატურის შესანარჩუნებლად, მაგრამ, სამაგიეროდ, აი, ამ ყოფაში ვცვივდებით. მიიხედ-მოიხედე, — ხამიდმა თვალი მოატარა ალპურ სამთავრებს. — ყოველი მხრიდან მაღალი მთები! ქალაქი უზარმაზარ ორმოშია გაშენებული. ახლა ფაბრიკა-ქარხნები და ათასობით მანქანა? ჟანგბადი არ არის. სუნთქვა ჭირს...

— ვითომ მეოცე საუკუნეში ასე ძნელია ნისლის წინააღმდეგ ბრძოლა?

— არ უნდა იყოს, ალბათ, აქვიდი. რამდენი საუკუნეა, რაც დიდი [illegible] ნეთის ნაპირებს და თვით ლონდონს ეს დღე ადგათ? გაჩენის დღიდან. უშველეს რამე? ვერაფერი! აქედან რომ გადავიხედავ ხოლმე, ვაჟა, არქიტექტორ ბოსინის დაღუპვა მაგონდება. ბრწყინვალე მწერალია, არა, გოლსუორთი?

— ეს რა ბრწყინავს მზეზე?

— სად? — ხამიდმა ხელი მოიჩრდილა და იქით გაიხედა, საითაც მე ვიყურებოდი.

— აი, აი, ნისლში, ვერ ხედავ?

მან ჩაიცინა და მანქანის უკანა კარი გამოაღო.

— ტელევიზორის კოშკია, ვერა სცნობ? წეღანვე უნდა დამენახვებინა, დამავიწყდა...

— ასე მაღალია?

— არც ისე. ნისლი წევს დაბლა. კოშკის წვერი თითქმის ყოველთვის ჩანს აქედან, თუ რასაკვირველია, მზიანი დარია და არ წვიმს. ჰო... — ხამიდი მანქანაში ჩაჯდა. ცალი ფეხი კი გარეთ დასტოვა. — რა ვქნათ, არ წავიდეთ? ვაითუ ბიჭები გზაში დგანან და გვიცდიან.

— იმათ ჩვენთვის ეცლებათ სწორედ!

— სასტუმროში შეიყვანდნენ?

— მაგას კითხვა უნდა?

— რას შვრებოდა, ბიჭო, იმ გოგოს ჭიქით სვამდა...

— ვინ?

— ნიკოლასი.

— უცნაური ვინმეა-მეთქი, გეუბნები და შენ არ გჯერა.

— წავიდეთ?

— მიიწე!

ხამიდმა სარკმლისაკენ ჩაიწია და როცა მანქანაში მეც მოვთავსდი, ზურგსუკან ხელი გადმოატარა, კარი შემოაჯახუნა, საზურგეზე დიდი ხნის უძილარივით გადაწვა და თვალები დახუჭა.

სასტუმროში რომ დავბრუნდითო, ოთხს გადაცილებული იყო. ჰოლში არავინ დაგვხვედრია. უთუოდ დიდ-

ხანს გველოდნენ და ძალიან რომ შეგვაგვიანდა, ალბათ, სადილად დასხდნენ-მეთქი, გავიფიქრეთ და რესტორნის საბანკეტო დარბაზს მივაშურეთ, სადაც ჩვეულებრივ ვჯდებოდით ხოლმე სადილ-ვახშმის დროს. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ნუთუ აღრე მოგვვიდა მოსცლა? ის იყო, უკან გამობრუნება დავაპირეთ, ვითომ ცოტას მოვიცდით-მეთქი, რომ დარბაზის იმ კუთხეში, სადაც ჩვენი მაგიდა იდგა, ნაცნობ სახეს მოვლანდეთ თვალი. გაკვირვებულებმა ერთმანეთს შევხედეთ და მერე იმ კუთხეს დავაკვირდით. დაეჭვება შეუძლებელი იყო: კუთხეში, ჩვენს მაგიდასთან, ნიკოლას პალანგოსი იჯდა, იჯდა, მაგრამ მარტო კი არა. ჩვენი ბიჭებისა და ალა-თაუზე ნაპოვნი საეჭვო ყოფაქცევის გოგოების ნაცვლად, რომელთა ხელახალი შეხვედრა აქ, რაღა თქმა უნდა, არ აგვცდებოდა, მაგიდას მეორე მხრიდან, ნიკოლასის პირისპირ, ერთად ერთი ადამიანი უჯდა და ის ადამიანი ქალი იყო.

ქალი? ნიკოლასი და კიდევ ერთი ქალი? მაგრამ ტახაამანა და ვაირაუმატი? ისინი უკანასკნელ წუთში მიატოვა და სხვას აეკიდა? მაგრამ ვინ იყო ეს „სხვა“? ან ბიჭები სად დაიკარგნენ?

ამ დროს არც ერთს არ გაგვახსენდა ნიკოლასის შორეული ნაცნობი თუ ამხანაგი, რომლის პოვნასაც ის მთელი ეს დღეები ცდილობდა. იქნებ ეს იმიტომაც მოხდა, რომ ჩვენდა უნებლიეთ ორივეს მთელი ყურადღება ნიკოლასის უჩვეულო მდგომარეობამ და უცნობი ქალის გარეგნობამ მიიპყრო.

ნიკოლასს სიმთვრალის ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა. ეს თითქმის წარმოუდგენელი რამ იყო. ალა-თაუზე ღვინო საგრძნობლად მოეკიდა და მას აქეთ მხოლოდ რამდენიმე საათმა გაიარა. რა ძალამ შესძო მისი გამოფხიზლება? სკამზე დაძაბული იჯდა, მხრებში აწეულიყო, მაგიდას იდაყვებით დაჰყრდნობოდა და, ყურადღებად და უსასოო მოკრძალებად გადაქცეული, იმ უცნობ ქალს უსმენდა.

მერე, როცა გამბედაობა მოვიკრიბეთ და მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ სუფრა ხელუხლებელი იყო. კოლიაკით სავსე ბოლოს სასმისებს წვეთი არ აკლდა. მიმტანი ქალები მაშორებით ფუსფუსებდნენ. ახლო მისვლა ვერც ერთს ვერ გადაეწყვიტა, მხოლოდ თვალი ეჭირათ სტუმრებისაკენ, იქნებ სუფრის განახლება მოიწადინონ და ცივი კერძები ცხელით შეგვაცვლევინონო, მაგრამ მათ არავინ ეძახდა...

ტანთხელი ყმაწვილი ქალი, რომელსაც თავზე იასამნისფერი თითოიკის ნაზი ქუდი ჩამოეფხატა და ღაწვებთან ერთად წამონთებულ პაწია ყურებს სანახევროდ უფარავდა, ოცდასამიოცდაოთხი წლისა ძლივს იქნებოდა. სწორად დავარცხნილი, აბრეშუმივით რბილი ჩალისფერი თმა მხრებამდე სწვდებოდა და მის თეთრ, ბრიალა ცისფერი თვალებით განათებულ და შინაგანი ცეცხლის მხურვალებით აგიზგიზებულ სახეს შარავანდედში ხვევდა. ქალი ისე აფორიაქებული იყო, ისე შორს იყო ყოველივე იმისგან, რაც დარბაზში ხდებოდა, მის წინ მუმიასავით დადუმებულ ნიკოლას პალანგოსის გარდა, ალბათ, ვერავის და ვერაფერს ხედავდა.

დილიდან საღამომდე წანწალით

-ედაც მოქანცულებს და გაბრუებულებს ღონე სულ წაგვერთვა. ვეღარც წინ გადაგვედგა ნაბიჯი, ვეღარც უკან. გულში ჩაბუდებულმა იდუმალმა ხმამ გვიჩურჩულა, თუ ღმერთი გწამთ. ამ ორი განმარტოებული ადამიანის მყუდროებას ნუ დაარღვევთო, სუნთქვა შეიკუბეთ, თუნდაც უსულო არსებებად გადაიქეცით, რადგანაც ამ წუთში იქ ბევრად უფრო დიდი ამბავი ხდება, ვიდრე თქვენ, უბრალო მოკვდავებს, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ.

და ეს მართლა ასე იყო. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვეთ ზოგი რამ. ბიჭები ერთად შემოცვენილიყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლში და მთვრალი გოგოებიც ტკრციალითა და დავდადარაბით შემოეყვანათ. ქალი ამ დროს სწორედ ლიფტის წინ მდგარიყო და მაჯის საათს მოუთმენლად დაჰყურებდა. ნიკოლასმა ისე გაუარა, ვერც კი იცნო, თუმცა დაინახა, ეუცხოვა და ზედ თვალი დარჩა. ორი ნაბიჯი არც კი ექნებოდა გადადგმული, გელნაკპენივით მოტრიალდა. მის მეხსიერებაში, ეტყობა, მცირე დაყოვნების შემდეგ აღსდგა ქალის სახე. ქალი იმავე ადგილზე იდგა. ლუქსსა და გუცალოს იმ წუთს პირველად დაენახათ დამწაბავე „ბალღივით უმწეო, ენაჩავარდნილი და მუხლებმოკვეთილი ნიკოლასი. მას უმალვე, თითქოს სულის ერთი შებერვით, გამოჰყროდა ღვინო. ბიჭებს ეაზრათ, ძმაკაცის თავზე რაღაც გასაჭირიაო, იმნაირი გამომეტყველება მიეღოთ, თითქოს მას არც კი იცნობდნენ და თავაინთ დამებთან ერთად, გაკვირვებას რომ ვერ მალავდნენ და თვალებს აცეცებდნენ, ლიფტში შესულიყვნენ...

საუბარში გართულ ნიკოლასს გულმა უგრძნო, ვიღაც მიყურებსო და თავი მოაბრუნა. ერთხანს დაბნეული მოგჩერებოდა, გვიყურებდა და ვერ გეხედავდა. გონს უცად მოეგო, ქალს ბოდიში მოუხადა და ხელით რაღაც გვანიშნა. რაო, გვეძახდა თუ ჩვენც აქაურობას უნდა გავცლოდით? მე და ხამიდმა ერთმანეთს გადავხედეთ. არა, წასვლა საჭირო არ იყო. ნიკოლასი სუფრასთან გვეპატიჟებოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდით და ორი-სამი ნაბიჯის მოშორებით გავჩერდით. ქალმა თავი ასწია, წამოფიცხებულ ყვრიმალებზე ხელისგულები აისვა და გაშტერებული თვალები მოგვაპყრო. მე ოდნავ გაკუღიმე და თავი ძლივს შესამჩნევად დავუკარი. ამით ვითომ კიდეკაც მივესალმე და ბოდიშიც მოვუხადე, რესტორანში უდროო დროს შემოვეხეტეთ და ხელი შეგიშალეთ-მეთქი. ხამიდმა რა ქნა. თვალი ვერ მოვატანე. იმანაც, ალბათ, რაღაც ამის მსგავსი მოიმოქმედა. ნიკოლასი ქალისაკენ გადაიხარა და ძალზე თავაზიანი კილოთი, რაც მისგან კაციშვილს არა სმენოდა, დენიმე სიტყვა თქვა ლიტვურად. ქალმა ისევ შემოგვხედა და მის დიდრონ, განცვიფრებულ თვალებში ახლა ღიმილის სულ მცირე ნაპერწკალი გამოკრთა.

ნიკოლასმა განმეორებით გვთხოვა. მობრძანდითო და შემდეგ ისევ ლიტვურზე გადავიდა. მე მომესმა უცხო აქცენტით გამონთქვამი ნაცნობი სიტყვები — „ისტორია“, „ეთნოგრაფია“ და „ინსტიტუტი“, ბოლოს კი ხამიდ ფუკენბაის სახელი და გვარი. ხამიდმა თავი დაუკრა ქალს და დაჯდა. ჯერი ჩემზე მოდგა. ნიკოლასი მორიდებულად იღიმებოდა და კარგა ხანს რაღაცას უმტკიცებდა თავის მშვენიერ თანამემაგულეს. ნეტავი რა უთხრა? რა სიტყვებით დამახასიათა? ამას ახლა რატომღაც ძალიან დიდი მნიშვნელობა მივანიჭე. საკუთარი სახელი და გვარი გავიგონე თუ არა, დავასკვენი, წარდგენა დამთავრებული იყო და ქალის პაწაწინა, ფერმკრთალ ხელს ოდნავ მოვუჭირე ჩემი უხეში, ბანჯგლეანი ხელი.

— დასხედით, მეგობრებო, — ნიკოლასმა, ბოლოსდაბოლოს, ჩვენთვისაც მოიცალა და რუსულად მოგვმართა. ახლა ის არაჩვეულებრივად დარბაისელი კავალერი და ძველებური რომანების გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ნამდვილი სალონის ლომი იყო. — ამ წუთში ყველაფერი გაჩნდება.

მაგრამ მას მთავარი გამორჩა, გამორჩა თუ განზრახ შეიკავა თავი: ქალი ჩვენთვის არ წარმოუდგენია. იმისდამიხედვით, რასაც ვხედავდით და გვესმოდა, მხოლოდ ერთი რამის შეტყობა შეგვეძლო — ქალი ლიტველი იყო. როგორ მოხვდა აქ. ამ სიმორეს, მისი ბუნებისათვის ეგზომ უცნობ და უცხო მხარეში? რომელმა ქარმა გადმოაგდო?

თუ მისი სახის გამომეტყველებას და შინაგანი მღელვარებით წამონთებულ ღაწვისთავებს თვალს შეავლებდი, მიხვდებოდი: ქალს დიდი, უსაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრიდ დიდი გასაჭირი ადგა, სუსტ მხრებზე ერთობ მძიმე ტვირთი დასწოლოდა.

მაგრამ რა იყო ეს ტვირთი? აგერ-რიგად რას მოენუსხა და შეერყია ქალის მთელი არსება?

გულისწყრომამ ამავსო. განა იყო ქვეყნად სამართალი! უიღლობამ და ბედუკუღმართობამ რაღა ამ ანგელოზისათვის მოიცალა. გულმა უცნაურად დამიწყო ფრიალი. რას არ დავთმობდი, ოღონდ კი ამ მშვენიერი არსების გვერდში ამოდგომა შემძლებოდა, ოღონდ კი ბედს მისი მეგობრობის ღირსი გავეხადე და რაიმე სიკეთის გაკეთების უნარი მოეცა. არ ვიცნობდი, თვალითაც არასოდეს მენახა, ახლა ვხედავდი პირველად, მაგრამ ამ გრძნობამ ისე ძლიერ დამრია ხელი, დღესაც კი მიკვირს, ზეზე როგორ არ წამოვხტი, ქალს მუხლებში როგორ არ ჩავუვარდი და მთელი ქვეყნიერების გასაგონად ერთგულება და დაუყოვნებელი თავის გაწირვის სურვილი არ შეეღაღადე.

სხვათა თვალში, თუკი ვინმე მიყურებდა, ალბათ, სასაცილო დასანახავი ვიყავი, მაგიდასთან ბეჯით მოწაფესავით სულგანაბული ვიჯექი და ყველა ღონეს ვძაბავდი, ქალისათვის თვალი მომერიდებინა, რადგან ბრიყვული მიშტერება მეტად დიდი უზრდელობა გამოდიოდა.

მან, სულ ცოტა, ათ წუთს ილაპარაკა კიდევ მშობლიურ ლიტვურ ენაზე. ერთი სიტყვა რომ სიტყვაა, ისიც არ გამიგია, მაგრამ ამ სიტყვების მთელი ნაკადი, სულ სხვადასხვა ინტონაციითა და ელფერით მისი პირიდან რომ ამოდიოდა, ჩემთვის ერთი მთლიანი და დაუსრულებელი მუსიკა იყო. მე შემეძლო ეს მუსიკა თუნდ მთელი სიცოცხლე მესმინა, მესმინა და კვლავ მოსმენის წყურვილი მაინც ვერ დამეცხრო. ყურს ხარბად ეუგდებდი და უცხო სიტყვათა იდუმალ წყობაში თითქოს რაღაც ზოგადადამიანურს და ყოველი მოკვდავისათვის ადვილად გასაგებ აზრს თუ გრძნობას ვეძებდი.

ქალს იოანა ერქვა. ეს სახელი აქვე გავიგე. ნიკოლასმა სიტყვა შეაწყვეტინა და რაღაცის კითხვა შეჰბედა. ქალი შეცბა, გაწითლდა და ხელები ყურებზე იტაცა.

რა მოაგონდა?

ის თურმე ახლაღა მიხვდა, რომ ჩვენი შემოსწრების შემდეგაც ლიტვურად ლაპარაკობდა...

მე და ხამიდმა ერთმანეთს დავასწარით: გულწრფელად შეეუდექით მტაცებას, რომ საბოდიშო არაფერი მომხდარა, რომ ჩვენთვის ისედაც ყველაფერი გასაგები იყო...

რაღა თქმა უნდა, სისულელეს ვჩმახავდით, უცხო ენაზე საუბრისა აბა რა უნდა გაგვეგო, მაგრამ ეს შეუსაბამობა ახლა ყურს არც ერთს არ გვჭრიდა, რადგან შიგ სიმართლის რაღაც ნაწილი მაინც გვეგულებოდა.

ისევ სიჩუმე რომ ჩამოვარდა, იოანამ სამივეს მოგვმართა, თუ ნებას მომცემთ, რამდენიმე წუთით დაგტოვებთ, ერთ ადგილზე უნდა დავრეკო აუცილებლადო. თქვა ეს თუ არა, მსხვილი ღაზლის ნაქსოვი ხელჩანთა, აქამდე რომ მუხლებზე სდებოდა, გახსნა, ცხვირსახოცი ამოიღო, ისევ დაკეტა, სკამზე დასდო და მაგიდებს შორის პოლში გასავალ კარისაკენ წავიდა.

რამდენიმე წამის განმავლობაში სამივე მამაკაცი ხმაგაკმენდილი ვისხედით და უაზროდ დავცქეროდით გაშლილ სუფრას. მე იმედს არ ვკარგავდი, რომ ნიკოლასი ქალის აქ არყოფნით ისარგებლებდა და მის მოსვლამდე ორიოდე სიტყვას მაინც გვეტყოდა. ამის მაგიერ მობოდიშება დაგვიწყო. ის ნამდვილად თავის თავს ალარ ჰგავდა. აბა, სად ნიკოლას პალანგოსი და სად ამდენი ბოდიში და თავზე ნაცრის დაყრა! სიტყვა ძლივს ჩავურთე: ბოდიშები რა საჭიროა, განა ისეთი რა

რევაზ ჯაფარიძე
უკვდავი სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა-მეთქი. პირიქით, ბოდიშის მოხდა ჩვენ უფრო გვეკუთვნოდა, ასეთ დროს რომ შემოვეჭირით და კაცს ქალთან ლაპარაკი აღარ დავაცალეთ...

სიტყვა „ქალი“, მით უმეტეს იმის გამო, რომ წინ „კაცი“ ვახსენე, ნიკოლასს ყურში მოხვდა, შიგ რაღაც შეაჯარული აზრი დაინახა და მოიჭმუხნა, შემდეგ კი დამარცხებულთ წაილაპარაკა:

— არა, ბიჭებო, იოანა ქალი არ გეგონოთ, იოანა ღმერთია!

ამას რომ ამბობდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა და ვიღაც უხილავს ემუქრებოდა. ყურებმა წოვილი დამიწყო. იმნაირი გრძნობა დამეუფლა, თითქოს შუაგულ დარბაზში ვინ-ბეს ციხისმნგრეველი ზარბაზანი დაეცალოს.

— ძმურად გთხოვ, საწყენად ნუ მიიღებ, — წამოვიძახე მე. — ეგ ცუდი აზრით კი არ მითქვამს...

— ღმერთია, ქალი არ არის! — თავის თავს უპასუხა ნიკოლასმა. ახლაღა მივხვდი, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო მთლად ეამოუხეხლებული და ასე ფიცხი გულწრფელობით ნათქვამი ჩემი სიტყვები არც კი გაუგონია.

— მე მაგ ქალს ვიცნობ! — თქვა უცებ ხამიდმა.

მე და ნიკოლასმა თავი ავწიეთ და მას შევხედეთ. ორივეს თვალებში ალბათ, უზომო ცნობისმოყვარეობა და მოუთმენლობა იხატებოდა.

— ვიცნობ, — უფრო მეტი დამაჯერებლობით გაიმეორა ხამიდმა. — რუსული დრამის თეატრის მსახიობია. ბარ-ბანწინ გადმოვიდა კლაიპედადან. პირველ როლებში გამოდის. კონგრესის წინადღეებში ახალი პრემიერა იყო. ჯულიეტა ითამაშა...

დრამის თეატრის მსახიობი? პირველი როლები? ჯულიეტა?

ისე ჩანდა, ხამიდ დუკენბაიმ გაცილებით მეტი რამ იცოდა, ვიდრე ორიოდე კუდმოკვეცილი სიტყვით ამბობდა.

— მერე? — ერთხმად ვკითხეთ ჩვენ.

— თვენახევარიც არ იქნება, უ[illegible]რება შეემთხვა: ქმარი დაეღუბა.

— ეგ გათხოვილი იყო? — ვერც კი გავიგე, ეს სიტყვები როგორ წამომცდა.

— იყო, — მიპასუხა ხამიდმა და შემომხედა. — შვილიც ყავს, გოგონა, ოთხი წლის... მაგათი ამბავი მთელმა ალმათამ იცის. აღრე რომ გეკითხათ... შენ, ალბათ, მოგიყვა, ნიკოლას. მოგიყვა?

— შიგადაშიგ, — ნიკოლასმა მხრები აიჩეჩა. აშკარად ემჩნეოდა, სიტყვამრავლობის გუნებაზე სულ არ იყო.

ხამიდმა განაგრძო:

— კლაიპედადან მთელი ოჯახი ერთად ჩამოვიდა. ბავშვი ჩვენი ჰყავდათ. აქ მაშინვე პატარა ორ ოთახიანი ბინა მისცეს პანფილოვის ქუჩის კუთხეში. ქმარს ანდრიუში ერქვა. ასე, ჩემი ხნის ბიჭი იყო, ცოტა უფროსი. რაღაცით ერთმანეთს მიაგავდნენ. ღმერთო შეგცოდე და, — ხამიდმა გაიღიმა. — პირველად და-ძმა გეგონა. ანდრიუსს სარეჟისორო ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ მსახიობობდა. ნიჭიერი მსახიობი იყო. უფრო ხშირად იოანას პარტნიორობდა. „რომეო და ჯულიეტასაც“ ერთად ამზადებდნენ. სწორედ გენერალურ რეპეტიციაზე უმტყუნა ბედმა. შუა თამაშის დროს გული შეუღონდა. მეორე დღეს სპექტაკლი იყო დანიშნული. ჩაწვა და შემდეგ აღარც ამდგარა...

ზურგსუკან წვრილი ქუსლების ნაცნობი კაკუნი მოგვესმა. ხამიდმა თვალი იქით გააპარა და თხრობა შეწყვიტა. დარბაზში იოანა შემოვიდა.

4

ქალის სახე ცოტათი დაწყნარებული მეჩვენა. იოანა შეუცდომელი ალღოთი ერძნობდა თავის ქალურ ეშხს და ძალაუფლებას. ეს მაშინაც კი ახსოვდა, როცა სამი გაშტერებული მამაკაცის წინაშე იჯდა და ორი მათგანისათვის გაუგებარ ენაზე თავისი დიდი უბედურების ამბავს ჰყვებოდა. ტელეფონზე ლაპარაკის შემდეგ ის სარკის წინ შეჩერებულიყო, ყურებამდე ჩამოფხატუ-

ლი ნაქსოი ქუდი მოეხადა და ახლა გაცილებით უფრო ჰაეროვანი და მომხიბლველი ჩანდა. ხელჩანთა აიღო, მაგიდაზე დაიხედა, სად დავდოო, სანამ ჩვენ რამეს მოვისაზრებდით, მარჯვნივ, კუთხეში მოათავსა და დაჯდა.

— დარეკეთ? — ჰკითხა ნიკოლასმა.

— ძლივს მოვხედი, — მიუგო ქალმა და პაწია ტუჩების კუთხეები ღიმილმა შეუტეხა. — ტელეფონები უხეიროდ მუშაობენ. პირდაპირ არ ვიცით, რა გზას დავადგეთ.

— ხომ კარგად არის?

— მამას კითხულობდაო, — იოანას ტუჩები აუთრთოლდა და თვალი ცრემლით აევსო. — შენ ერთხელაც არ გახსენებიხარო. მაპატიეთ! — მან მეტი ვეღარ გაუძლო გულზე მოწოლილ დარღსა და ბოღმას, თავი ჩაღუნა, თვალებზე დაჭმუჭნული ცხვირსახოცი მიიფარა და უხმოდ ატირდა.

სამნი ისევ ერთმანეთს მივაჩერდით. რა გვექნა? რით გვეხუგებინა? რით გამოგვეხატა, რომ ვგრძნობდით მის განუზომელ მწუხარებას და მთელი სულითა და გულით თანავუგრძნობდით?

— იცი, ანდრიუსი როგორი იყო? — იოანამ ცრემლებით დასველებული სახე ასწია და მარტო ნიკოლასს მიმართა, მერე ხელი ჩაიქნია და ამოიოხრა. — ევამ ჯერ არ იცის. ვერ ვეუბნები. როგორ ვუთხრა! მთელი ის კვირეები მეგობრისას მყავდა. მხოლოდ ერთხელ მოვიყვანე. ანდრიუსმა მონატრა. ბავშვზე გაგიჟებული იყო. მე მერე ამისთანა მაძა არ მინახავს. ევამ რაღაც იგრძნო, ტირილი დაიწყო და ანდრიუსს არ მიეკარა.

— გასაოცარია! — თქვა ნიკოლასმა.

ქალმა კიდევ მეტი გაალმასებით განაგრძო:

— ეს ამბავი დღესაც ვერ ამიხსნია. აქვს კი ამას ახსნა? თვითონ მე მაშინ ძალიან აფორიაქებული ვიყავი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე დამოლოცვდებოდა, თანაც ასე მოკლე დროში... მე უფრო ის მაჯავრებდა, რომ გენერალური რეპეტიცია ჩაგვშალა და პრემიერა განსაზღვრული დროით გადაიდო. თურმე ჯერ სადა ხარ, ტიალი ბეღი რას გიმზადებს!.. როლზე მუშაობა არ შეშიწყვეტია. ანდრიუსი ხედავდა, უზომოდ გატაცებული ვიყავი. პარტნიორობა არ შეეძლო, მაგრამ რეპლიკებს მაწვდიდა. ვეკითხები: როგორა ხარ, ანდრიუს? კარგად. ხვალ ადგები? შეიძლება ავდგე. ის ხვალეც მოდიოდა... შენ გახსოვს, ნიკოლას, — ქალს ნაღვლით სავსე თვალები გაუბრწყინდა. — ანდრიუსი თავიდანვე ძალიან ძლიერი იყო. ათლეტური აღნაგობა ჰქონდა. ერთხელაც არ უთავდამყოფია. ეს თურმე უარესი ყოფილა... სანამ შინ ვიყავით, ვარჯიშობდა, ზამთარ-ზაფხულ ცივი შხაპის ქვეშ ბანაობდა. აქ ეს გასაკვირი არ არის. მეც მაგულიანებდა. ერთხელ გავბედე... — იოანამ სამივეს მოგვავლო თვალი და გაიცინა. — ისმთანა ჩვენს მტერს — ფილტვების ანთებას ძლივს გადავურჩი, — მერე კი ამოიოხრა და მისმა სახემ კვლავ სასოწარკვეთილი გამომეტყველება მიიღო. — გაურკვევლობამ ცოტა ხანს გასტანა. ექიმებს გაუჭირდათ დიაგნოზის დადგენა. ყოყმანობდნენ. სამი კვირის შემდეგ ყველაფერი მითხრეს. ყურებს ვერ დავუჯერე. ამას ვინ დაიჯერებდა! მაშინვე წაყვანა მოვინდომე. მოსკოვში მეგობრები გვყავს, ვილნიუსშიაც ყველა გვიცნობს... ადგილიდან დაძვრის ნებას ვერ მოგცემთო... ანდრიუსი საღად მოაზროვნე კაცი იყო. ყველაფერს მიხვდა. ეშინოდა, მე არ შევეშინებინე. მანამდე იცოდა, რომ მოკვდებოდა, მხოლოდ მე არ მითხრა...

იოანამ თავი ჩაჰკიდა, ორივე მუჭში მოქცეული სველი ცხვირსახოცი თვალებზე მიიფარა და მწარედ დაიკვნესა. რამდენიმე წუთმა ისე გასტანა, არავის გავნძრეულვართ, არც ხმა ამოგვიღია. კრიჭაშეკრულები შეეცქეროდით ქალს, რომელიც ფიქრით თავისი სიყვარულის

რევაზ ჯაფარიძე
უკვდავი სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსასრულს უბრუნდებოდა და თავადაც ძლივს ვიმაგრებდი უპეებზე მომდგარ ცრემლებს. იოანამ სული მოითქვა, ხელები გულზე დაიკედო და გამოღალმებული თვალები რომელიღაც წერტილს გაუშტერა.

— ყველაზე დიდი საშინელება პირველი დღე იყო. მას შემდეგ, რაც გათავდა. ეს ამბავი დილას ადრე მოხდა. ექთანი ფიზიოლოგიურ ხსნარს უკეთებდა. ორგანიზმმა ხსნარი არ მიიღო. ვერ დავთვლი, რამდენ ალაგას უჩხვლიტა ექთანმა. ანდრიუსი ტკივილსაც ვერ გრძნობდა. აღარც სისხლი გამოსვლია. მე ვხედავდი და ყვირილი მინდოდა. ანდრიუსს ჯერ კიდევ ესმოდა ჩემი ხმა. ამას გული მეუბნებოდა. თვითონ თქმა არაფრისა შეეძლო. ექთანი ტელეფონს მივარდა. სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ. ექიმებმა ცოცხალს მოუსწრეს. ომათაც სცადეს ხსნარის გაკეთება. არაფერი გამოვიდა. მე მაშინ მივხვდი პირველად, რომ ანდრიუსი მართლა კვდებოდა...

— საავადმყოფოში არ გადაიყვანეს? — ფრთხილად ჩაურთო სიტყვა ნიკოლასმა.

— მითხრეს, გადავიყვანთო. არ ვქენი. თუკი განძრევა არ შეიძლებოდა?

— მცირე მანძილზე იქნებ...

— იქ კიდევ გაჭრა იციან, სტუდენტებს აჩვენებენ... ბარბაროსები! ყველას შევეხვეწე, მარტო დამტოვეთ-მეთქი. სულ ერთი იყო — ზველა მაინც არავის შეეძლო. ღმერთი შემეწია, ამ დროს ბავშვი შინ არ მყავდა, ნიკოლას. რაღაც ძალა, რაც გენებოთ ის უწოდეთ, ამას არასდროს არ მაპატიებს: აღარც კი მახსოვდა საბრალო ევა. ანდრიუსი ჩემი ყველაფერი იყო. თუ ის აღარ იქნებოდა, აღარც სიცოცხლე მინდოდა, აღარც თეატრი, აღარც ზეგი... — ქალმა ხმას დაუწია, თითქმის ჩურჩულზე გადავიდა, — მრცხვენია ამას რომ ვამბობ და ჩემი თავი მძულს. საწამლავი მქონდა. წინა კვირას მოვიმარაგე. როგორც კი დავრწმუნდებოდი, რომ ანდრიუსი უკვე აღარ სუნთქავდა, ერთ ყლუპს დავლევდი და მოვეფარებოდ ამ ჯოჯოხეთს ბოლო მოეღებოდა. მაინც არ მოვკვდი, აი, დღესაც ცოცხალი ვარ!..

— უნდა იყოთ, — კვლავ ფრთხილად შეპბედა ნიკოლასმა და შეეცადა თავისი სიტყვებისათვის რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობა მიეცა. — თქვენ შვილი გყავთ...

—ჩვენ ჩვენი თავის მაგივრად ვცხოვრობთ! — შესძახა ქალმა.

— მაგრამ სხვები, ვინც ჩვენვე გავაჩინეთ...

— ნუ მეკამათებით, ნიკოლას, მე განა არ ვიცი, რომ დამამარცხებთ?

— არა, მე იმიტომ არა... — ნიკოლასი შეწუხდა და მე და ხამიდს საწყალობლად შემოგვხედა. ნუთუ ზველას ჩვენგან ელოდა. ბედად იოანას სამივე მალე დავავიწყდით. ის უკვე გუშინდელი დღით ცხოვრობდა და ხმამაღლა ფიქრობდა:

— უეცრად, ო, ღმერთო, სანამ პირში სული მიდგას, ამას რა დამავიწყებს! ანდრიუსმა ერთი საზარლად ამოიხრიალა, სად იმალებოდა ნეტა ასე ძლიერი ხმა! შეინძრა, თითქოს წამოვარდნას აპირებსო და გაშეშდა. მივვარდი, თმა ავუწიე და თვალებში ჩავხედე. ანდრიუსი აღარ იყო. მის მაგიერ ჩემს წინ იყო რაღაც ცივი და უცხო... მერე აღარ მახსოვს, რა მოხდა, მგონი, დავმუნჯდი, ენა ჩამოვარდა. გონი რომ დამიბრუნდა, იქაურობა ხალხით იყო სავსე. თურმე დიდხანს მაბრუნებდნენ. მერე გული აღარ შემწუხებია. ძალიან ნათლად ვაზროვნებდი, მხოლოდ ხმის ამოღება და დალაპარაკება არ შემეძლო. იმ დღეს დილიდანვე პაპანაქება სიცხე იყო. წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ანდრიუსი ჩემთვის საშიში გახდა. როცა ქვეყანაზე სულ მარტო დავრჩი, თითქოს ჯიბრში მიდგა... — ქალი უცებ ამ ქვეყანას დაუბრუნდა და ისევ ნიკოლასს მიმართა. — მე ვიცი, ამ სასულელეს რომ ვამბობ, ცილს ვწამებ ანდრიუსს — ის უკვე მკვდარი იყო — მაგრამ მაშინ ასე-

თი გრძნობა მქონდა. ენა რომ ამოვიდგი, ყოველ მომსვლელს ერთსა და იმავეს ვეკითხებოდი: სიცხე ძალიან საშიში ხომ არ არის-მეთქი მიცვალებულისათვის? ბევრი ვერ ხვდებოდა, ამით რის შეტყობა მინდოდა და ეგონათ, რომ ჭკუაზე შევიშალე. მაგრამ მე არ შევშლილვარ, ნიკოლას, საოცრად ნათლად ვაზროვნებდი, მხოლოდ დროს ვეღარ ვგრძნობდი, დრო თითქოს გაჩერდა. პირველ ღღეს აზრად არ დამბადებია, რომ ადამიანი როცა გარდაიცვლება, თავისთავად დგება მისი დამარხვის აუცილებლობა. ამაზე სხვებმა შემომპარეს სიტყვა. ანდრიუსი მკვდარი იყო და უნდა დამემარხა. მაგრამ სად, ნიკოლას? აქ, უცხო მხარეში, მშობელი კუთხიდან მოშორებული? ანდრიუსი ლტველი იყო, ლიტის შვილი... დიდი ამბებისათვის ემზადებოდა. შენ ხომ იცი, ნიკოლას, მე ახლაც მწამს და მუდამ შემრჩება ეს ერწმენა: ის თავისას მიაღწევდა. ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან! არ აცალა სიკვდილმა. როგორ ოცნებობდა ჯულიეტას როლში ვენახე. დიდი ხნის წინათ გამომიტყდა. მაშინ ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდით და მხოლოდ შეყვარებულები გვერქვა. არ შემეძლო მისი აქ დამარხვა. მე ხომ ოდესმე უნდა წავსულიყავი აქედან და ანდრიუსს, თუნდაც მკვდარს, საფლავში, ვის დავუტოვებდი! ფული იყო საჭირო, ძალიან ბევრი ფული... ნიკოლას, შენ იცი, მე და ანდრიუსს ფულის შოვნა და გამდიდრება არასდროს გვინატრია. მცირედით ვკმაყოფილდებოდით. ჩვენ იმდენი რა გვინდოდა. განა ახალგაზრდა ადამიანი, ისიც ჩვენისთანა ჩიტი-რეკია, შავ ღღეზე ფიქრობს!..

— ნათესავებს შეატყობინეთ? — შეაწყვეტინა ნიკოლასმა.

— ანდრიუსს იქ თითქმის აღარავინ დარჩა. დედ-მამა ხომ პოლიცაებმა დაუხოცეს ომის დროს. გულიც ამიტომ აიყარა იქაურობაზე. კლაიპედაში მარტო გარეშე ბიძაშვილებია. ისე შევუღლდით და ბავშვიც ისე გაგვიჩნდა, რომ ჩემთვის არც ერთი არ გაუცვნია.

— მაინც რომ...

— ყური მიგდეთ, ნიკოლას. ნეტავი კი ეგ მექნა. აქედან კლაიპედაში მიცვალებულის გადასვენება... არა და... ექთანს გავუტყდი. საკუთარ თავს ვამოწმებდი. მაშინ ხმა არ ამოუღია, მხოლოდ სალამოს მითხრა, უზარმაზარი ხარჯი დაგჭირდება, თვითმფრინავი საკუთრივ უნდა იქირავო. მზად ვარ-მეთქი, ისევ საკუთარი თავის დასაწმუნებლად ვუპასუხე, აქ რასაც ხედავ, ყველაფერი ანდრიუსის შეძენილია და იმას ვანაცვალე, მე არაფერს არ დავიტოვებ-მეთქი. მაგრამ იქ რა იყო — ორი ხელი ლოგინი, ჭურჭლის კარადა, ბავშვის საწოლი, ჩაისა და სადილის სერვიზი ექვსი პერსონისათვის... ღამე შფოთში გავათენე. ანდრიუსი ისევ აქ იყო და ხმას თითქოს განზრახ არ მცემდა, კრიჭაში მედგა. გათენდა თუ არა, დეპეშა გავაგზავნე ჩელიაბინსკში. სხვას ვერ ვენდე — თვითონ გავგზავნე! ეს მოუფიქრებელი ნაბიჯი იყო, უფრო მეტიც — სიგიჟე. ჩემმა გონებამ მეტს ვეღარაფერს მიაგნო. ჩელიაბინსკში ცხოვრობდა კაცი... შენ ეს ძალიან გაგიკვირდება და არასოდეს აღარ იტყვი, რომ...

— რას? რას აღარ იტყოდა ნიკოლასი? იმას, რომ იოანა ქალი არ არის — ღმერთია? მან ქვედა ტუჩზე იკბინა, ცრემლი გადაყლაპა, თავი ჩაღუნა და წუთიერი დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო:

— ის კაცი დიდხანს მდევდა, ცოლობას მთხოვდა. პირდაპირ საშველი აღარ იყო. მაშინაც კი არ მეშვებოდა, როცა ანდრიუსს გავყევი და ევაც შეგვეძინა. არ ვიცი, მართლა ვუყვარდი თუ არა. შეიძლება კიდევაც ვუყვარდი. ეს ჩემთვის სულ ერთი იყო. მე მარტო ერთი კაცი ვიცოდი ქვეყანაზე — ანდრიუსი. სხვები ჩემთვის არ არსებობდნენ. ეს ნურავის ნუ ეწყინება. იმას არ

უნდოდა ამის დაჯერება. არ მეშვებოდა, წერილს წერილზე მიგზავნიდა, ადგილებს მინიშნავდა აქა და აქ შეხვდეთო.

— ანდრიუსმა იცოდა? — რაღაცნაირი მოგუდული ხმით იკითხა ნიკოლასმა.

— არასოდეს არ დამიმალავს, — ფიცხლად მიუგო ქალმა და მთელი სახე წამოეწითა. — აქეთ მანუგეშებდა, რა ვუყოთ მერე, ყურადღებას ნუ მიაქცევ და იმასაც დაავიწყდებიო. მეც არ ვაქცევდი ყურადღებას...

— რა ქნა, დეპეშა რომ მიიღო?

— იმავე ღამეს ჩამოფრინდა და მოკვარდა. ზარი რომ დარეკა, მივხვდი, ვინც იქნებოდა. აღარ მინდოდა შემომეშვა, ძაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო. შუა ოთახში დასვენებული მიცვალებული რომ დაინახა, თვალებს ვერ დაუჯერა. ანდრიუსს ზეწარი ეფარა. ვინ არისო, მკითხა. ანდრიუსი-მეთქი. აღარ იცოდა, გახარებოდა ეს თუ... თავი ძლივს შევიმაგრე. კინაღამ მივვარდი და სახე ამოვკორტნე. ახლო მოსვლა, მადლობა ღმერთს, არ უცდია. გონიერება გამოიჩინა. ვიკვეტდი და ქვეყანას შევყრიდი. მაგრამ მე სრულ ჭკუაზე ვიყავი და ვიცოდი, რომ ეს არ უნდა მექნა. დილას ყველა გადაუდებელი საქმე უკვე მოგვარებული იყო. თვითმფრინავს მომდევნო დილისათვის ამზადებდნენ. საღამოს ანდრიუსის ბიძაშვილები ჩამოვიდნენ. თეატრის ხალხიც მომაწყდა. ეს რომ ადრე მომსვლოდა თავში... თუნდ ერთი დღის წინ... ის, ჩელიაბინსკელი, დიდი სიმდიდრის პატრონია. ყოველთვის ამ სიმდიდრეს მახარებებდა და ოჭროს კოშკში გაცხოვრებო, ჰპირდებოდა. უკვირდა, როგორ შეეძლო ხელმოკლეობაში გახრდილ ქალს ყველაფერ ამაზე უარი ეთქვა და ბალაგანის მასხარას გაჰყოლოდა. ანდრიუსს ბალაგანის მასხარას ეძახდა. ჩემს თვალში რომ დაემცირებინა. ამის გამო შემძაგდა. თავქარიანი ხარო, მე მეუბნებოდა... დილას მთელ ქალაქი გამოგვყვა აეროპორტში. ოცნებითაც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე უყვარდა ხალხს ანდრიუსი, თუ უცხოეთში, ასე მცირე დროის მანძილზე, ამდენი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეიძინა...

— მე იმ დროს არ ვიყავი, — მოიბოდიშა ნიკოლასმა.

— ბევრი ვინმე არ იყო. რას უშველიდი.

— მესამე დღეს ჩამოვედი. მართალი გითხრა, ყურებს ვერ დავუჯერე.

ქალმა ამოიოხრა:

— ალბათ ეს იყო ჩვენი ბედი. მე დავამთავრე, ნიკოლას. დანარჩენი შენ იცი. ალმა-ათაში ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდი. მეტი გაჩერება აღარ შემეძლო. ევა მეგობრის ოჯახში ცხოვდა დატოვებული. მაშინაც აგრე დამახვედრეს ამბავი, მამას კითხულობდა, შენ ერთხელაც არ უხსენებიხარო. ცუდი დედა ვარ. ამას ბავშვიც გრძნობს და იტანჯება. ღმერთო, რატომ მე არ მოვკვდი ანდრიუსის მაგიერ... ათ დღეს თეატრში არ მიელია. ყველას ესმოდა ჩემი მდგომარეობა. მეთერთმეტე დღეს თვითონ წავედი და ყველა გავაგიჟე: სპექტაკლზე მუშაობის განახლება მოვითხოვე. გასული კვირის სწორს შედგა პრემიერა. უანდრიუსოდ...

— თქვენ ბრწყინვალე ჯულიეტა იყავით! — ქალს სათქმელი აღარ დაამთავრებინა და მხურვალედ ჩაეკითხა ხამიდ დუკენბაიმ. — ბრწყინვალე! — ხამიდ შესამჩნევად ღელავდა, რქის სათვალეს წამდაუწუმ ისწორებდა და თავიანი გულწრფელი აღტაცების გამოსახატავად სხვა სიტყვას ამაოდ ეძებდა. — მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში.

— შეიძლება, — იოანას ნაწვიმარ სახეზე თითქოს მზემ გამოანათა. — უკანასკნელ მოქმედებაში მე ჩემს თავს ვთამაშობდი. აკლდამაში შექსპირის რომეო კი არა, მკვდარი ანდრიუსი იყო. რა სიამოვნებით დავლიე საწამლავი, რა ბედნიერი ვიყავი, რომ ვკვდებოდი და ანდრიუსთან მივდიოდი...

— ეკა ჯერ არ გინახავთ? — სუფრაზე გამეფებული დაძაბულობის შესამსუბუქებლად წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე ახლა უკვე ნიკოლასმა დაარღვია.

— ხომ გითხარით, — იოანა უეცრად გამოერკვა და ისევ თქვენობით ლაპარაკზე გადავიდა. — მე პირდაპირ აეროდრომიდან მოვდივარ. ჩემი მეგობარი, ვისაც ბავშვს ვუტოვებ ხოლმე, ქალაქგარეთ ცხოვრობს, ალა-თაუს ძირში. იქ წასვლამდე თეატრში გამოვიარე შესატყობინებლად, რომ ჩამოვედი. დამნაშავე ვარ: ჩემი გულისთვის სამი სპექტაკლი გადაიდო, ერთი საღამო კონგრესის მონაწილეებისათვის უნდა გვთამაშა. რაც უნდა იყოს, შექსპირია და ჩემი საუკეთესო როლი. მთელი სიცოცხლე ამ როლისათვის ვემზადებოდი. ბოლოსდაბოლოს, ხომ არ უნდა შევეკალა ეს ხალხი! თეატრში თქვენი წერილი დამხვდა და მაშინვე გამოვიქეცი. გამიკვირდა, ისევ უცხოეთში მეგონეთ.

— ჩვენ უკვე ერთი კვირაა, აქა ვართ, — თქვა ნიკოლასმა, სიტყვა რომ არ გაციცებულიყო და მე და ხამიდს ნამალუვად გადმოგვხედა. რას იფიქრებდა იოანა. ჩვენი დღევანდელი თავაშვებულობის ამბავი რომ სცოდნოდა? ამ ფიქრმა წამით გამეელვა გონებაში და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ამხანაგებიც ამასვე ფიქრობდნენ. ნიკოლასმა ყველაზე ადრე სძლია თავს, ჭიქას მისწვდა და ორივეს მოგვმართა: — არ დაელიოთ იოანას სადღეგრძელო?

ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. გვქონდა კი ხმა? ჭიქები აევწიეთ და ნიკოლასს მივაჩერდით. იოანაც მისწვდა თავის ჭიქას, ცალფად გაგვიღიმა, ნიკაპი ოდნავ წინ წამოსწია და ჭიქა მოგვიჭახუნა. მამაკაცებმა უსიტყვოდ გამოვცალეთ. იოანამ მხოლოდ ნახევარი მოსვა, ჭიქა დადგა და კვლავ თავის ფიქრებს მიუბრუნდა. ნიკოლასმა ხელახლა დასხა კონიაკი.

— ორმოცი დღე უკვე გავიდა. გუშინწინ შესრულდა ორმოცი დღე, — დაიწყო ქალმა და კვლავ ნიკოლასს შეხედა. — შენ გესმის, ეს რას ნიშნავს?

ნიკოლასმა თავი მხრებში ჩაგდებულმა: რას უნდა ნიშნავდეს?

— მე ღმერთი არ მწამს, — განაგრძო იოანამ. — ალბათ არც თქვენ გწამთ ღმერთი. მაგრამ მწამს რაღაც ძალა... რაღაც ძალა უთუოდ არის, რამაც შეჰქმნა სამყაროს ჰარმონია. ამას ვერ უარყოფთ. არა, არ მინდა მატერიალისტური ფილოსოფიის პოსტულატები გაპახსენთო. თავს ასე უკეთ ვგრძნობ. მწამს, რომ სული უკვდავია, სული არ შეიძლება მოკვდეს. ნუ შემედავებით, მე არაფრის დამტკიცებას არ ვცდილობ, არც ამ ჩამორჩენილი შეხედულებებისა მრცხვენია, არც შეშლილი ვარ, სავსებით ნათლად ვეზროვნებ. თქვენ რაიმე ისეთი შემამჩნიეთ? — რაკი ჩვენ ხმას არ ვიღებდით და მორჩილად ვუსმენდით, ქალი დაეჭვდა და უცებ სამივეს შეგვკითხა.

— როგორ გეკადრებათ! — ერთხმად შეეძახეთ ყველამ და ეს შეძახილი, რაღა თქმა უნდა, გულწრფელი იყო.

— ანდრიუსის კუბოს, სანამ თვითმფრინავში შევასვენებდით, თუთიის ფურცლები ჩაუფინეს და შემდეგ ის ფურცლები ერთმანეთზე მიადუღეს, კუბო ჰერმეტიულად დაიკეტა. ეს საშინელებაა! — იოანამ ხმას მოულოდნელად აუწია, თვალები გაეყინა და ნიკოლასის ხელს, მაგიდაზე რომ ედო, ორივე ხელი ტაცა. — გამიგე?

ნიკოლასი მაინც ვერაფერს მიხვდა და ჩვენთან ერთად ქალს საგონებელში ჩავარდნილი მიაჩერდა.

— მეორმოცე დღეს მიცვალებულის სული სხეულს გაეყრება და თავისუფლდება, — ისე თქვა ეს იოანამ, თითქოს დიდი ხნის წინათ ყველასათვის ნაცნობ ამბავს იხსენებდა და წინასწარვე იცოდა, რომ იგი არავის გააკვირვებდა. — როგორ შემიძლია მე აქ ვიჯდე... ღამე ძილი არ მეკარება, დღისით ვერ ვისვენებ, ადგილს ვერ

რევაზ ჯაფარიძე
უკვდავი სული

ვპოულობ, მეშინია, თავს არაფერი ავუტეხო. სულ მელანდება, რომ ანდრიუსის სული წვალობს იმ დაზბულ კუბოში, ზემოთ ამოსვლა უნდა და სხეულს ვერ სცილდება...

— იოანა, — ძლივს დასძრა ხმა ნიკოლასმა და ქალს ღრმა თანაგრძნობით შეხედა თვალებში. — ნუ გამიჯავრდებით, მაგრამ... ეგ მეტისმეტია, ყოველგვარ საღ აზრს სცილდება. თავს უნდა შთააგონოთ...

— არა! — ქალი ერთ წამში ტყვიანაკრავ ავაზად გადაიქცა. ვაი იმას, ვისაც ის თავისი სიძულვილის ბასრი ბრჭყალებით ეკვეთებოდა. — მაგას ნუ მეტყვით. ჩემიანებმა და ანდრიუსის ნათესავებმაც სწორედ ეგ მითხრეს. არასდიდებით არ დამრთეს საფლავის გათხრის ნება — ქვეყანა გაგვცინებსო. გესმით? ქვეყანა! — იოანამ მწარედ გაიღიმა. — თქვენ ყველა აგრე ხართ: ქვეყნის აზრს ანგარიშს უწევთ, საკუთარ გულს ხმას კი მიწაში მარხავთ. სულ გავგიჟდი. მზად ვიყავი ყური აღარავისთვის მეგდო. ახლა გამოუნდნენ ანდრიუსს პატრონები. აქამდე სად იყვნენ?! სახლში ჩამკეტეს. ნაბიჯსაც არსად მადგმევინებდნენ. რა უფლებით? ყველას ეჩვენება, რომ სრულ გონებაზე ადარა ვარ. ეს არ არის მართალი. ნიკოლას, მხოლოდ მტრებს შეუძლიათ ცილი დამწამონ და ტყუილი მომიგონონ. ხომ ხედავთ, არ არის მართალი. — ქალმა მე და ხამიდსაც მოგვმართა და ეს ისე მუდარით გვითხრა, თითქოს ჩვენს პასუხზე ძალიან ბევრი რამ ყოფილიყოს დამოკიდებული. — გუშინ ამ დროს, ცოტა უფრო გვიან, უკანა კარიდან გავიპარე და სასაფლაოზე გავედი. არ მოველოდი, რაც იქ დამიხვდა: ყველა მესაფლავე წინასწარ გაფრთხილებული ყოფილიან. ახლოსაც არავინ მიმიკარა. ნახევარი საათის შემდეგ ანდრიუსის ბიძაშვილები მოვიდნენ და შინ წამიყვანეს. ვერაფერს გავხდი. მე სუსტი ვარ, ისინი ძლიერები არიან, საზოგადოებრივი აზრიც მათ მხარეზეა. ამ დილას თვითმფრინავში ჩამსვეს და ახლა აქა ვარ. შენ იცნობ ანდრიუსის ბიძაშვილებს, ნიკოლას, ანდრიუსის ხომ იცნობდი. ორჯერ წერილი გამოგიგზავნია აღდგომის კუნძულებიდან. გახსოვს ის წერილები?

— როგორ არა, — ნიკოლასი გამოცოცხლდა. — ანდრიუსს ვთხოვდი, არავისთვის გაეგზავნა, თუ ჩემგან რამე მიიღო.

— არც გაუმხელია. გეხვეწები, გემუდარები, ნიკოლას: საგანგებოდ მიდი ანდრიუსის ბიძაშვილებთან, მოელაპარაკე და დაარწმუნე. მე ვიცი, თუ მოინდომებ, შენ ყველაფერი შეგიძლია. ეს ჩემი ქალური ახირება არ არის. ასე რომ იყოს, გავიჭირვებდი და თავს როგორმე მოვერეოდი. დეპეშა გამომიგზავნეთ. მე ყველაფერს მივატოვებ და იმ წუთში იქ გავჩნდები. დამპირდით, ნიკოლას, თუ ადამიანობის და და-ძმობის გწამთ რამე. დამპირდებით? ჰა?

— ვნახავ, — გაეჟეჟილად მიუგო ნიკოლასმა. — თუ დამიჯერეს...

— მე და ევა, ჩემი შვილი, მთელი სიცოცხლე თქვენი ბედნიერების მონატრული ვიქნებით.

თქვა ეს თუ არა, ქალს ერთი გაბმული გმნვა აღმოხდა და თუ აქამდე თავს როგორღაც იკავებდა, ახლა უკვე გულამოსკვნით ატირდა. ჩვენ ორმა ისღა მოვახერხეთ, რომ საგულეში ქვა ჩავიდგით და გავმაგრდით, უჩვეულოდ ტუჩებათრთოლებული ნიკოლასი კი წამოდგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით, როგორც შეეძლო, ქალს დაწყნარება დაუწყო.

რესტორანში დიდხანს აღარ დავრჩენილვართ. მატარებლის გასვლას ორ საათზე ნაკლები აკლდა, ჩვენ კი ჯერ ბარგიც არ გამოგვეტანა ნომრებიდან. ჰოლში ერთმანეთს დავცილდით და სხვადასხვა მიმართულებით წავედ-წამოვედით. კარი რომ გავაღე და ჩემს მყუდრო ნომერში შევედი, მაშინაც ვიგრძენი, როგორ შეეჩვეოდი აქაურობას და როგორ გამიძნელდებოდა აქაურობის დატოვება. მიყვარდა ეს ქალაქი, ეს სასტუმრო, ეს ნომერი, ეს ადამიანები,

ქუჩაში რომ დადიოდნენ. ისინი ხომ ჩემი პირველი დიდი წარმატების მოწმენი გახდნენ...

ამ ფიქრმა კონგრესზე მიღებული სამახსოვრო საჩუქრები გამახსენა. უკვე ჩავაწყე, თუ უჯრაში დამრჩა? მაგიდის უჯრა არ გამომიწევია, მხოლოდ ჩემოდანი ამოვურე. ჰო, ყველაფერი აგერ არ არის? წითელყდიანი ბლოკნოტიც, თითბრის მედალიონიც და ბრჭყვიალა სამკერდე ნიშანიც, რომელზედაც ამერიკელი ენათმეცნიერი და ლინგვისტი სტერტევანტია გამოსახული. იქვე, ჩემოდნის ფსკერზე, ეწყო ოფსეტური წესით დაბეჭდილი თბილისის ხედები და ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხუთი თუ ექვსი ცალი. დისერტაციის ნაწილი თავის დროზე „მაცნეში“ დაიბეჭდა და შემდეგ ნაცნობ მეტრანპაჟეს ცალკე წიგნებად შევაკვრევინე. წიგნი, რასაკვირველია, ქართული იყო, მხოლოდ გაფართოებული მიმოხილვები ახლდა რუსულ და ინგლისურ ენებზე. ავიღე და ბიჭებს დავურიგებ-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე შევუდექი შესაფერისი წარწერების გაკეთებას. დრო ჯერ კიდევ მქონდა. ჰოლში ზუსტად ერთი საათის შემდეგ უნდა მოვგროვილიყავით. იქ მასპიწძლები დაგვიზვდებოდნენ და მატარებლით მიმავალთ ყველა ერთად გავაცილებდით.

ნიკოლას პალანგოსი სწორედ ჩემს ზემოთ ცხოვრობდა, მომდევნო სართულზე. წიგნებში ერთი ყველაზე უფრო ცინცხალი ეგზემპლარი ამოვარჩიე. ზედ გაკრული ხელი წავაწერე, რაც თავში მომივიდა და ტალანში გამოვედი. ნიკოლასის კარი ღია დამიხვდა. ნომერში დაუკაკუნებლივ შევედი. ნიკოლასი საწერ მაგიდას უჯდა და ჩემ? არ იყოს, მიძღვნით წარწერებს უკეთებდა რაღაც თხელყდიან წიგნებს, სწოლის თავთან კი იოანას მოეკალათებინა და ქალური მზრუნველობით და ერთგულებით, რასაც მხოლოდ უაღრესად ახლობელი ადამიანის მიმართ გამოხატავენ ხოლმე, ნიკოლასის კუბოკრულ პიჯაკს, ამ დილას ტეხაამანამ რომ ჰქონდა ბეჭებზე მოხურული, აწუკებდა ვეტილ ფოლაქს აკერებდა.

— აჰ, მოდი, ვაჟა, მოდი! — თავის მოუბრუნებლად მომძახა ნიკოლასმა, როცა ოთახში შევედი და მაშინვე მწვანეყდიანი პაწია წიგნი მომაწოდა. — „კოხაუ რონგორონგოს“ გამოცანა“. სახსოვრად! შენც რამე მომატანე?

— მადლობა, ჩემო ნიკოლას, კიდევ ბევრი გეჩუქებინოს! — მთელი ამ საღამოს განმავლობაში მე პირველად გავიღიმე და ნიკოლასს სამაგიერო საჩუქარი მივართვი.

— ეს ვითომ წაკითხული არ მექნება? — წამოიძახა მან, როგორც კი წიგნის ყდას დაჰხედა. — ანტოლიერი ენების გენეზისსა და გავრცელებაზე შენ რაღაც გქონდა.

— მქონდა, მართალია. ეს დისერტაციაა. საკითხი იგივეა, ოღონდ ცოტა განვავრცე.

— უეჭველად წავიკითხავ და ჩემს აზრს მოგწერ.

— შენ იცი, — მივუგე მე და ყურებამდე გავწითლდი, რადგან შემდეგ სიტყვა იოანასათვის უნდა მეთქვა. — თქვენ კი... — გამბედაობა მოვიკრიბე და ახლა ხელსაქმით გართულ ქალს მივმართე. — განზრახან არ წამოგიღეთ. სპეციალური საკითხია. ამას ჩვენს მეტი კაცი-ხორციელი ვერ კითხულობს. სამაგიეროდ, აი, თბილისის ხედები. თუ მოგეწონებათ...

იოანამ სურათები გამომართვა, მადლობა მითხრა და რითიმე რომ ვესიამოვნებინე, საკვრავი გვერდზე გადასდო. და მაშინვე თვალიერება დაიწყო, თან პირზე ღიმილი არ შორდებოდა. ბედნიერი კაცი ვიყავი. გულმხურვალედ ვინატრე, ეს სანტარო წუთი დაუსრულებლივ გაგრძელებულიყო. იოანა ჩემზე ფიქრობდა, ჩემი შშობლიური დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს კეთილმსურნე მეგობრის თვალით დაჰყურებდა...

რევაზ ჯაფარიძე
უკვდავი სული

ვაგონში რის ვაივაგლახით შევაღწიეთ. სემიპალატინსკში მიმავალი მატარებელი დაგვიანებით ჩამოეყენებინათ და ახლა მგზავრები ჩქარობდნენ თავ-თავიანთი ადგილების დაკავებას. ხამიდ დუკენბაიმ თანაკურსელებთან ერთად წასვლა გადწყვიტა. ისე რომ, ამაღამ მარტო ვრჩებოდი, დილით ადრე კი მანქანა მომაკითხავდა და აეროდრომზე წამიყვანდა. ხელის ჩამორთმევას, ხვევნა-კოცნას და შეძახილებს დასასრული არ უჩანდა. მეზობელი ვაგონის კიბესთან თვალი მოვკარი ნაცნობ ბელიაევ პროფესორს. ბერიკაცი უზომოდ მხიარული და ჩვეულებრივზე უფრო აცუნდრუკებული მეჩვენა. გამოსათხოვარ სუფრასთან ყაზახურ კონიაკს ზედმეტი სითამამით შეთამაშებოდა.

ჩვენი კუპე, სადაც ნიკოლასი და მისი ამხანაგები სხდებოდნენ, ვაგონის ბოლოში აღმოჩნდა. მხოლოდ ხამიდს ჰქონდა სხვა ვაგონის ბილეთი, რადგან დაგვიანებით შეიძინა, მაგრამ როგორც კი ტალანი გამცილებებისაგან დაიცლებოდა და მატარებელი დაიძროდა, უთუოდ გაახერხებდა რამეს და ძმაკაცების მეზობლად დარჩებოდა.

კუპეში ბევრმა მოვიყარეთ თავი. ნიკოლასმა მოისაზრა და ზედა თარეში აკეცა. მაინც გვიჭირდა დგომა. მხოლოდ იოანა დავსვით ფანჯარასთან, სხვები კი შიგ კუპეში, კუპის შესასვლელში და ტალანში ვხორხოცებდით.

ხამიდ დუკენბაიმ თავისი სამგზავრო რუკაჯაი მოძებნა, ამ წუთისათვის ნაგულვები კონიაკის ბოთლი ამოიღო, ჯახსნა და იოანას მიაწოდა, თუ არ დაგვზარდები, წამსვლელთა და დამრჩომთა სადღეგრძელო შემოგვაწიეო. ხამიდის უცერემონიო გამბედაობამ ძალიან გამაკვირვა. პოკრიშკინის გული ჰქონია-მეთქი, გავიფიქრე. იოანა არ განაზებულა, ბოთლი გამოართვა, ყველა უსიტყვოდ, მხოლოდ შემოხედვით და ღიმილით გვადღეგრძელა და ერთი თუ ორი ყლუპი მოსვა.

მატარებელი შეჯანჯღარდა. ჩანდა, წასვლის დრო მოახლოვდა და შემოდგენლობას ლოკომოტივი მოუბმია. ცვალათს დავხედე. მატარებლის გასვლამდე რაღაც ხუთი თუ ექვსი წუთი იყო დარჩენილი. დღევანდელი შთაბეჭდილებებისა, დაღლილობისა და ცოტათი შიმშილისაგან თავი მიბრუოდა და არ მინდოდა სასმელი დამელია, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავდა. ახალი შეძენილი მეგობრები ორ-ორი, სამ-სამი სიტყვით ვადღეგრძელე, ყველას კეთილი მგზავრობა, შინ მშვიდობით დაბრუნება ვუსურვე და ბოთლი მოვიყუდე.

ბიჭები აყიყინდნენ:

— სულ გვილევ, კაცო? ცოტა მაინც დატოვე!..

ჯიბრზე ერთ ყლუპს მეორეც მივაყოლე, თან სიცილს ძლივს ვიმაგრებდი და მეშინოდა, მწარე სითხე სასულეში არ გადამცდენოდა.

— რას შერგბი? — შიგ ყურში ჩამძახა ნიკოლასმა და ბოთლს ღონიერი ხელი მოაკლო. — ხომ იცი, იოანა უნდა გააცილო!

ვიცი-მეთქი, დაუფიქრებლივ ვუპასუხე და ბოელ ტანში იმნაირმა ჟრუანტელმა დამიარა, კინალამ თვალთ დამიბნელდა.

— მერე? აბა, კარგად მენახე, — მითხრა ნიკოლასმა, ხელები გაშალა და ღვიძლ ძმასავით გადამეხვია. — წერილი მოიწერე. შენ ჩვენზე ადრე მიაღწევ სახლს. თუ რამე გაწყენინე, იმედია, ან შენ შემინდობ, ან ღმერთი.

— რას ამბობ, ნიკოლას, — სიტყვა შევუბრუნე და უნებლიეთ ვული ამიჩუყდა. — რის წყენა...

— აბა, ჩქარა, იოანა, — ნიკოლასმა ქალისაკენ გაიკვლია გზა, ხელი გაუწოდა და წამოაყენა. — ჩასვლის დროა!

იოანა ამასღა ელოდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში საათს დასცქეროდა და ეკლებზე იჯდა, თუმცა ცდილობდა კი ეს სხვებისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

სანამ ხამიდ დუკენბაის სხვა ამხანაგებს ვემშვიდობებოდი, სათითაოდ წე-

რილის გაგზავნას ვპირდებოდი და საქართველოში ვეპატიჟებოდი, ტალანი თითქმის დაცარიელდა. ნიკოლასი და იოანა უკვე ვაგონის მეორე ბოლოში იდგნენ, გასასვლელთან, და მე მიცდიდნენ.

— ჩვენი შეხვედრა, შეიძლება დავასკვნათ, მრავალმხრივ ნაყოფიერი იყო, — ნახევრად ხუმრობის კილოთი, ნახევრად სერიოზულად მითხრა ნიკოლასმა, როცა მიეუახლოვდი და ტამბურისაკენ გზა დამითმო. — ისტორია ამ დღეებს არ დაივიწყებს!..

— არასგზით! — ამავე კილოზე მივუგე მე და გამეცინა.

— მაშ, ასე, — დამრიგებლურად განაგრძო მან. — კიდევ რა დაგვრჩა სათქმელი? — და წარბები აიძგიბა, თვალები კი კვლავინდებურად მოჭუტული ჰქონდა.

— მე მგონი, არაფერი.

— იოანას მანქანაში ჩასვამ და სახლამდე მიაცილებ.

— ეს უკვე მითხარი.

— მართალია, გითხარი. იოანა, — ნიკოლასმა ქალს მიმართა. — თქვენი თავი ამ პატიცცებულ ჯენტლმენისათვის ჩამიბარებია. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— ვიქნები და როგორ! — იოანაც აგვაყვა ხუმრობაში, ჯერ ერთს შემოგვხედა, მერე მეორეს და შემოგვცინა.

— ნახვამდის...

— ნახვამდის, ნიკოლას!..

ბოლო წუთებში ქალს ხმა ისევ გაებზარა და თვალები ცრემლით აევსო. მოუსვენრობა შევამჩნიე. მგონი, კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი და ასე. უცებ ვეღარ მოეგონებინა, კერძოდ რა. თუ მე ვუშლიდი? ნიკოლასი დაიხარა, იოანამაც ფეხის წვერებზე აიწია, თანამემამულეს სათუთად აკოცა ყვრიმალზე. შემდეგ მე გამომდო მკლავში თავისი პაწია, მსუბუქი ხელი და ვაგონის კიბისაკენ მიბიძგა.

ბაქანზე რომ ჩავედით და უკან მოვიხედეთ, ნიკოლასი ისევ ვაგონის კარში იდგა და გალიმებული ხელს გვიქნევდა. მე ის ასეთი დამამახსოვრდა და რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ასეთი მეხსიერებაში ყოველთვის. სწორედ მატარებლის დაძვრის წინ, იმავე კიბეზე, რომელზედაც მე და იოანა ჩამოვედით, ორმა ნაცნობი სახის ტანმორჩილმა გოგომ ჩამოირბინა. უცებ აღარც კი მომაგონდა, რომ ეს ჩვენი ტეხაამანა და ვაირაუმატი იყვნენ, რადგან მათ აქ დანახვას ახლა არ მოველოდი. აქ საიდან გამოტყვრნენ? ვინ გამოაცილეს? რატომ აქამდე ვერ მოვკარი თვალი? იოანას გოგოები არ შეუნიშნავს. სწორედ ამ დროს მთელი მისი ყურადღება ძძრულ მატარებელს და ვაგონის ფანჯარაში მომზირალ ნაცნობ სახეებს მიეყრო. სამაგიეროდ, მათ დაგვინახეს, მტრულად დაგვზვერეს, მერე ტუჩი აიბზუეს და სადგურის მოედნისაკენ დაძრული ხალხის ზღვას შეერივნენ.

იოანა მანამ იდგა, სანამ მთელმა შემადგენლობამ არ გაიარა და უკანასკნელი ვაგონის წითელი ფარნები სიბნელემ არ ჩაყლაპა. იდგა და სახეზე ნაღვლიანი ღიმილი არ შორდებოდა. სადღაც მიმავალი რკინიგზა, ეტყობოდა. მის გულშიაც რაღაც იდუმალ, მოუხელთებელ გრძნობას აღძრავდა და ის ამ გრძნობისაგან გამოწვეულ წამიერ ნეტარებას ეძლეოდა.

მოედანზე მანქანა აღარ დამხვედრია. უთუოდ იცადა, იცადა და როცა აღარ გამოვაკითხეთ, სხვა მგზავრები ჩასხა და წავიდა. მიდი და ელოდე ახლა აქ! დგომას და ლოდინს, იქნებ ისინდისოს და უკან დაბრუნდეს-მეთქი, რაღა აზრი ჰქონდა. უკვე გვიანი იყო. იოანას სხვების ანაბარა დატოვებული შვილის ნახვა ეჩქარებოდა. ქალი უმალ მომიხვდა გასაჭირს და მაშინვე აქით წამიყვანა, სადაც მგზავრების გრძელი რიგი ქალაქში მიმავალ ტაქსებს უცდიდა. აქ დავმდგარიყავით? ეს როდის იქნებოდა! ბედად, რიგს შევერიეთ თუ არა, ვიღაც ხანში შესულმა შაოსანმა ქალმა იქვე მოსრიალებული კერძო მანქანის კარი გაგვიღო და ხელი დაგ-

ვიქნია. მანქანა ქალაქში მიდიოდა. შიგ ორნი ჩასხდნენ — მოხუცი ცოლ-ქმარი. ან ღვთისნიერ ხალხს მხურვალე მადლობა მოვახსენე, იოანა შოფრის გვერდით დავსვი, ხოლო თვითონ თანამგზავრები ოდნავ შევავიწროვე და უკანა სავარძელზე გვერდით მივუჯექი. მანქანა მსუბუქად დაიძრა და ტყეიანსავით გაფრინდა გუდრონით მოგებულ სწორ გზაზე. შოფერს ორივე წინა სარკმლის მინა ჩამოწეული ჰქონდა და მანქანაში გრილი ჰაერის ჭავლი იჭრებოდა.

— ხომ არ ავწიო? — იოანამ უკან მოიხედა, ჩურჩულით მკითხა და ხელი სარკმლის სახელურისაკენ წაიღო.

მე მგზავრებს გადავხედე. რაკი შეეტყვე, მათ ჩვენთვის განზრახ არ ეცალათ, რადგან ახალი შეუღლებული ცოლ-ქმარი თუ არა, შეყვარებულები მაინც ვეგონეთ. სარკმელში შემოჭრილი გრილი ნიავისა ხომ არ გეშინიათ? — არა-მეთქი, ვუპასუხე იოანას. მეგონა, ის კიდევ შემეკითხებოდა რაიმეს და მეც საშუალება მომეცემოდა ჩემი მხრივ რაიმე მეთქვა, მაგრამ ამის შემდეგ, თითქოს პირში წყალი ჩაიგუბაო, ქალს ხმა აღარ ამოუღია. გაუნძრევლად იჯდა და გზას გაჰყურებდა. ქარი სახეში სცემდა, აბრეშუმივით რბილ, საკვირველად მსუბუქ თმას უწეწავდა. ვუყურებდი და გული აუწერელი ნეტარებით მიძგერდა. რა იქნებოდა, ყოელის შემძლე ბუნებას ანდრიუსად გავეჩინე, მერე ცხოვრების გზაზე საღმე იოანა შემომყოფოდა, ჩემი გაშმაგებული სიყვარულის საპასუხოდ ქალური თავდავიწყებით შევეყვარებინე და ბოლოს ჰერმეტულად დახურულ თუთიის კუბოში გამომწყვდეულიყო ჩემი უკვდავი სული. თვალები მსხვილი კურცხლებით ამეკსო. ამ წამში ბედნიერიც ვიყავი და უბედურიც. ბედნიერი იმით, რომ იოანა მე მებარა, იოანასაგან თითქმის არაფერი მაშორებდა, ხოლო უბედური კი იმით, რომ იოანას გული ი ავიზგიზებებული ვნება სხვას ეკუთვნოდა, სხვას, ამა ქვეყნიდან ნაადრევად წასულს და არა მე, ცოცხალს...

„ეს უნდა ვუთხრა, ეს აუცილებლად უნდა ვუთხრა!..“ — ბავიფიქრე და ... ლების უპეებზე მომდგარი ცრემლის ღვარი ნამალეველად მოვიწმინდე.

გავბედავდი? მართლა ვეტყოდი, მანქანაში რომ მარტო ვყოფილიყავით? ან კი იყო საჭირო ამის თქმა? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს იოანაზე? ამ ორპოფობასა და სულის მღრღნელ ყოყმანში ვიყავი, როცა იოანამ ოდნავ მოაბრუნა სახე ჩემკენ და თავისებური მეგობრული ღიმილით, ახლაც რომ არ შემძინლია გულის კანკალის გარეშე მოვიგონო, თითქმის ალერსიანად მკითხა:

— რად გაჩუმდი, ვაჟა? თქვი რამე!

ვაჟა? მაშ, ჩემი სახელი ხსომებია! მზად ვიყავი ხელები გამომეტაცა და დამეკოცნა უსაზღვრო მადლობისა და თაყვანისცემის ნიშნად, მაგრამ ამის მაგიერ ხმაში სრული სიმშვიდე შევინარჩუნე და მხოლოდ ეს ვუთხარი:

— რა ვთქვა? მე ისევ იქა ვარ...

— სად?

— სუფრასთან... და თქვენ გისმენთ.

— გმადლობთ, ვაჟა.

— მადლობას რატომ მეუბნებით?

— თქვენ კაცი ხართ. ადამიანები განა ყოველთვის არიან კარგები.

— იოანა... შეიძლება, ერთი რამე გკითხოთ?

—მკითხეთ.

— ოღონდ წინასწარ სიტყვა მომეცით...

— რომ არ მეწყინება? ეგ რა საჭიროა...

— მე ისე ვერ გეტყვით.

— გაძლევთ სიტყვას.

— ის კაცი ცუდი ადამიანია?

— ვიზე ამბობთ? აჰ, ჰო...

— პირობა ნუ დაგავიწყდებათ!

— მოკლედ გეტყვით, ვაჟა: არ ვიცი. ამაზე არასდროს არ მიფიქრია. დამიჯერებთ? ყველა სიკეთე, რასაც ის ჩემთვის აკეთებდა, მე ყოველთვის მაღიზიანებდა, მაშინაც კი, როცა ეს ჩემი კეთილდღეობისათვის აუცილებელი იყო. ვინმეს ან რამეს რომ იძულებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გავეხადე... როგორ გითხრათ... ალბათ, თავის მოკლას ვარჩევდი და ხელიც არ ამიკაწკაწდებოდა. მე ეს ვერ ამიხსნია, ეს...

ამ დროს მანქანა გაჩერდა და ჩვენ იძულებული გავხდით საუბარი შეგვეწყვიტა. მოხუცებულებმა კარი გააღეს და ბოხრიკ-ბოხრიკით დაიწყეს გადასვლა. დაბმული ძაღლივით გავხელდი. იმ ოჯახქორებმა ამოდენა სიკეთე გვიყვეს და რაღა აქ მოუნდათ მანქანის გაჩერება! ხუთიოდე წუთმა კიდევ გასტანა, სანამ ბარგს გადაიტანდნენ და შოფერს გაუსწორდებოდნენ.

ოჰ, არაფერი არაა ამ სიბერეზე უფრო საძაგელი და ნერვების მომშლელი! კაცი სანამ ხარ, უნდა იყო და როცა აღარ იქნები, ბიჭობს საფლავში ჩაწვე და ძმიმე ლოდი დაიფარო გულზე.

შოფერმა რომ თავისი ადგილი დაიკავა და კარი უკმაყოფილოდ შემოიჯახუნა, მე და იოანას შორის ხელახლა აღიმართა გადაულახავი კედელი, როგორიც სამუდამოდ გვთიშავდა და გვაშორებდა. წამებს ვითვლიდი. დრო შეუბრალებლად გარბოდა. ნუთუ ასე უცებ დამთავრდა ყველაფერი? ნუთუ უკვე ვშორდებოდით ერთმანეთს და განმეორებით კი აღარასოდეს შევხვდებოდით?

ამასობაში ქალაქის შუაგული უკან დარჩა და მანქანამ სუსტად განათებულ ქუჩაში შეუხვია. მეხსიერება დავძაბე. გამოვიარეთ დღეს ამ გზით თუ არა, ალა-თაუზე რომ მივდიოდით, ანდა უკან დაბრუნებისას? ქუჩა ძნელი საცნობი იყო. განათებული ნომრების უკან ალიზით შელესილი ყრუ კედელი, ანდა საიმედოდ ჩაგმანული ჭიშკრები მოჩანდა. ერთ-ერთი მაღალი სახლის სადარბაზო შესასვლელის წინ იოანამ შოფერს მანქანა შეაჩერებინა და კარი გააღო. გარეთ შურდულივით გავიჭერი. ქალი მსუბუქად გადმოხტა მანქანიდან, მე კარის მიხურვა დამანება და სადარბაზო შესასვლელში, განათებული ნათურის ქვეშ გაჩერდა.

— დიდი მადლობა, ვაჟა. ამგვარად, შე მოვედი. ჰო, მართლა, სულ მინდოდა გკითხოთ: თქვენს სახელს ხომ სწორად გამოვთქვამ?

— სწორად, როგორ გეკადრებათ! — მივუგე მე. — აქ არის თქვენი შვილი?

— ჩემი ეკა... — ქალმა მეოცნებე თვალები მომაპყრო, მაგრამ ახლა ის ბევრად უფრო ცივი და შორეული მომეჩვენა, ვიდრე მანქანაში. — ძინავს ახლა, ალბათ, მე ძალიან დავიგვიანე. აბა, — მან ხელი გამომიწოდა. — კარგად იყავით, ვაჟა!

— კარგად იყავით, იოანა! — მთელი გზნებით შევღაღადე მე და სახეზე ცეცხლი წამეკიდა.

ქალმა მეგობრულად გამიღიმა, სწორედ ისე, როგორც ასაკით უფროსი ქალები უღიმიან ხოლმე მათზე უიმედოთ შეყვარებულ მცირეწლოვან ბიჭუნებს, მერე სახე სულ ახლოს მომტანა სახესთან, ცხელი ყურიმალით ნიკაპზე გამეხახუნა და წავიდა.

მეხდაცემულივით დავრჩი იმავე ადგილზე, სადაც იოანამ დამტოვა. ჩაბნელებული კიბის მხრიდან კარგა ხანს ისმოდა წვრილი ქუსლების აჩქარებული კაკუნი, ბოლოს სადღაც ზემოთ ზარმა გაიწკრიალა, მძიმედ გაიღო კარი, მძიმედვე მოიხურა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც მხოლოდ მომლოდინე მანქანის ძრავის თანაბარი გუგუნი არღვევდა.

უკან წელმოწყვეტილი გამოვბრუნდი. უკვე გვიანი იყო, ქუჩაში გამვლელთაგან თითქმის არავინ ჩანდა და შოფერს მანქანა დიდი სისწრაფით მიჰყავდა. ორჯერ თუ სამჯერ გზაჯვარედინებზე ისე მკვეთრად მოუხვია, მუხრუჭებმა კივილი მორთეს და მე მხრით კარს მივაწყდი. შოფერმა უკმაყოფილოდ გადმოიხედა და კარი მოსინჯა, ხომ კარგად იყო დაკეტილი.

— ქალის სახსენებელი არ უნდა გაიშვას! — თქვა უცებ მან და გაავებული მზერა მანქანის ქვეშ მომქროლავ ფილაქანს დაადგა.

რევაზ ჯაფარიძე
უკვდავი სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვირდა, რას ამბობს-მეთქი. სმენად გადავიქეცი.

— ცხენის კუდზე უნდა გამობა, — განაგრძო მან, კარი გააღო, ზიზღით გადააფურთხა და ისევ ჯიბეშინ მოხტა. — მერე ისწავლის ჭკუას!

— ვინ? — ვკითხე მე.

— ქალი!

ეს იყო და ეს. მეტი სიტყვა ვეღარ დავაცდენინე. მოიღუშა, მოიქუფრა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვეღარც კი ამჩნევდა, რომ აქ ვიყავი. რა უნდოდა? რას გამოეწვია ამ კაცის ასე დიდი ზიზღი და აღშფოთება? გზა უხმოდ განვაგრძეთ. სარკმელს გადაღმა ქუჩა ქუჩას სცვლიდა, მოსახვევი — მოსახვევს, გზაჯვარედინი — გზაჯვარედინს. მანქანა რომ გაჩერდა და ფეხი მყარ ნიადაგზე დავდგი, ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, გზა ხომ არ შემეშალა და სხვაგან ხომ არ მოვხვედი-მეთქი. მინისკედლებიანი ჰოლი უკვე ჩაებნელებინათ, თვით სასტუმრო კი უზარმაზარ ფრიალო კლდესავით აყუდებულიყო ღამის ბინდბინდნდში და სიცოცხლის ნიშნწყალს არც ერთი განათებული ფანჯრით არ ამჟღავნებდა. აქაურობა უზომოდ მეუცხოვა და ენით გამოუთქმელი სიმარტოვე ვიგრძენი. ჩემი ნაცნობი და ხმის გამცემი აქ ერთი ადამიანიც აღარ იყო და სასტუმროც, ალბათ, ამიტომ მეჩვენებოდა ასე პირქუში და გულგაციებული.

ნომერში ფეხაკრეფით შევიპარე, სინათლე აღარც კი ამინთია, მაშინვე ლოგინში ჩავწექი და თვალები დავხუმე. დიდხანს ვიწრიალე. ძილი არა და არ მომეკარა. მაგდაზე ტელეფონი იდგა. მე შემეძლო ავმდგარიყავი, დამერეკა და იოანას ხმა გამეგონა, კიდევ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გამეგონა იოანას ხმა და ეს სანეტარო თრთოლვა სიცოცხლის დასასრულამდე მეკმარა. მე ვიცოდი: ეს უსინდისობა იქნებოდა და გულში ვზეიმობდი, რომ იოანას ტელეფონის ნომერი არ მქონდა. ტელეფონი უთუოდ ქმრის სახელზე იქნებოდა გაფორმებული. ასე უცებ ხომ არავინ შეცცლილა! რა გვარი იყო ანდრიუსაშვილი ფსიერებაში მხოლოდ ის ჩამრჩა, რომ მათ, კლაიპედადან გადმოსულ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, პატარა ოროთახიანი ბინა პანფილოვის ქუჩის კუთხეში მისცეს. ხამიდ დუკენბაინ ასე არ თქვა? ყველაფერ ამას იმისთვის ვიხსენებდი, რომ თავი დამერწმუნებინა: იოანას ტელეფონის ნომრის გაგება ახლა უკვე შეუძლებელი იყო...

მაგრამ თეატრი? აქ, ამ ვეებერთელა რესპუბლიკის დედაქალაქში, განა ერთი და ორი თეატრი იქნებოდა! რომელ მათგანში დაიდგა „რომეო და ჯულიეტა“? ერთი თეატრიც რომ ყოფილიყო, ასეთ დროს ღამის დარაჯის ან მორიგე მეხანძრის მეტი ვინ უნდა გენახა თეატრის შენობაში!

ჰო, მთავარზე მთავარი სულ გადამავიწყდა და, მადლობა ღმერთს, ერთბაშად გამახსენდა: იოანა ხომ მეგობრის სახლში მივიყვანე და ღამესაც, ალბათ, ძეგობრისას გაათევდა. ანდრიუსის სიკვდილის შემდეგ იქნებ აღარც კი დაუძინია თავის ბინაში. ერთმა ღმერთმა უწყის, რა გვარი იყო იოანას მეგობარი, რა ერქვა და რომელ ქუჩაზე ცხოვრობდა!

ფიქრმა ჩიხში შემიყვანა და იოანას ხმის ერთხელ კიდევ გაგონების ყველა გზა მომიჭრა.

ბურანში წასულს მანქანის მუხრუჭების თავგანწირული კივილი მომელანდა, ცივმა ოფლმა დამასხა. მანქანა თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდა უფსკრულის პირზე და ყოველ წამს ხრამზე გადაჩეხა ემუქრებოდა. მე შოფრის გვერდით ვიჯექი, წინა სავარძელზე და ცხოველური შიშისგან თავზარდაცემული ვცდილობდი ხელის მოსაჭიდებელი რაიმე მეპოვნა. „ცხენის კუდზე უნდა გამობა!“ — ყვიროდა ოფლში გაღვრილი შოფერი და მანქანის საჭეს წალმა-უკუღმა ატრიალებდა. — ცხენის კუდზე... ცხენის კუდზე... მერე ისწავლის ჭკუას!“

გულგახეთქილს გამომეღვიძა და იმავე წამს ტელეფონის ზარის წკრიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიგონე. ძლივს ავწიე ტყვიასავით დამძიმებული თავი. როდის დამეძინა? რა დრო იყო ახლა? ვინ მეძახდა? ტელეფონში ადმინისტრატორი ქალის ხმა გავიგონე და ამ ხმამ თავზე ცივი წყალი გადამასხა. ეს ადმინისტრატორები ყველგან მესაფლავესავით გულგრილი და საქმიანნი ხალხია. ადამიანებმა უთუოდ თავი მოაბეზრეს და ყოველგვარ პირობითობას ზედმეტ-ფუფუნებად თვლიან. მანქანა უკვე დიდი ხანია გიცდით და რად არ ჩამოდიხართო? ახლავე-მეთქი, ვუპასუხე. ხუთი წუთის შემდეგ უკვე ჰოლში ვიყავი. მადლობაც არავისთვის მითქვამს. გარეთ ისე გავკარდი, თითქოს უკან ვინმე მომდევდა და მე როგორმე უნდა გამესწრო.

შოფერი ნაცნობი აღმოჩნდა, აი, ის, ალა-თაუზე რომ წაგვიყვანა მე და ხამიდ დუკენბაი. გაშტერებული ვიჯექი. მეშინოდა, არ დამლაპარაკებოდა და გარინდებიდან არ გამოვეყვანე. ნიკაპზე ცხადლივ ვგრძნობდი იოანას ცხელ ყურამალს და თითქოს ქალის გულის ფეთქეაც გარკვევით მესმოდა.

სად მივდიოდი? სად მიმეჩქარებოდა?

რატომღაც ნიკოლას პალანგოსის დაბღვერილი შუბლი და მოჭუტული თვალები წარმომიდგა. როგორ შეაფასებდა ნიკოლასი ჩემს უგუნურ გატაცებას, გულში რომ მჯდომოდა? რას იტყოდნენ სხვა ბიუები? ისინიც იქნებ ამავე დღეში იყვნენ და ყველა, როგორც ერთი, იოანაზე ფიქრობდა?

შესაძლებელია, სულ ადვილად შესაძლებელია!

მაშ, რაღა მაინცდამაინც მე უნდა მრცხვენოდეს ჩემი გრძნობისა?

უსიამოვნოდ მოვიშმუხნე. რაღა თქმა უნდა, ვეშმაკობდი და წინასწარ მოფიქრებულად საკუთარი სინდისის ჩაჩუმებას ვლამობდი. ენაზე სამად სამი სიტყვა მიტრიალებდა: „მოაბრუნეთ უკან მანქანა!“ ახლაც მიკვირს, რა ნებისყოფა, რა სულის სიმტკიცე გამოვიჩინე, ეს საბედისწერო სიტყვები პირიდან რომ არ ამოვუშვი. შოფერი სამუხრუჭე ბერკეტს ფეხს დააჭერდა და გაკვირვებული შემომხედავდა, ეს მართლა ეუთხარი თუ მოეყურა. რა მოხდა? დაბრუნება და ბილეთის გაცდენა. ის თვითონ აირბენს სასტუმრო ნომერში და დავიწყებულ ნივთს ფოსტით გამომიგზავნის...

ამ შესაძლო სიტყვა-პასუხმა თავში გამირბინა და ოდნავ დამამშვიდა. ახლა უკვე მიხაროდა, რომ იგი მხოლოდ წარმოვიდგინე და შოფერმა ჩემი მკრეხელური ფიქრებისა არაფერი იცოდა, მარჯვედ და თავდაჯერებულად მიჰყავდა მანქანა.

თვითმფრინავს სულზე მივუსწარი. დიქტორს უკვე გამოეცხადებინა, მოსკოვს მომავალ თვითმფრინავში ჩასხდომა შეწყვეტილიაო. აქაც შოფრის გამბედაობამ და სიმარჯვემ მიხსნა. მან რაღაც უჩურჩულა ბაქნის კონტროლიორებს, უთუოდ ჩემი ვინაობა გააცნო და იმათაც მცირე ყოყმანის შემდეგ გაპიღეს ბაქანზე გასასვლელი რკინის კარი.

ირგვლივ ყურისწამღები გუგუნი და გრიალი იდგა. ღილის ცივი ქარი ჰქროდა და ამ გუგუნსა და გრიალს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ჩემი თვითმფრინავი მეხუთე თუ მეექვსე დაეყენებინათ საპაერო ვაგზლის წინ. გარშემო ბევრი ასეთი თვითმფრინავი მოჩანდა. ზოგი ახალი მოსული იყო და ზოგს კი სწორედ ახლა ამზადებდნენ წასასვლელად. მაღალი ტრაპი სულმოთქმელად ავირბინე. ის იყო, კუდის ლუკში შევაბიჯე, თითქოს ამასვა ელოდო, ტრაპი უცებ მოეხსნა ტყვიისფრად მოლაპლაპე ფიუუზელაჟს და ლურჯბერტიანმა სტიუარდესამ მძიმე კარი ყრუდ გადაკეტა. უკან გზა აღარ იყო. ვიდრე მე ახალ ვითარებას შევეჩვევოდი, ჩემოდანს გარიდირობში დავდგამდი და ადგილს მოსაძებნად სალონს მივაშურებდი, ტურბორეაქტიულმა ძრავებმა, აქამდე რომ ყრუდ და მშვიდობიანად ღუღუნებდნენ, გაბმულად დაიშეტქეს, დაიგრუხუნეს და უზარმაზარი თვითმფრინავი ძლივსშესამჩნევი ბიძგით დაიძრა ადგილიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ლექსი ციკლიდან „ახდილი ზედაშე“

გრიგოლ ორბელიანს

ხმლითა და კალმით ასახელე
სამშობლო შენი...

„ოვერია“.

ვამბობ „გრიგოლს“ და
გრიგალი მზარავს,
მასთან სხვა სიტყვაც თუ ვერ ამოვთქვი;
ჯავრი გამყვება შავეთში გზარად,
რომ არ მოგმართო „ბუმბერაზოთი“.
რამხელა ვულის კაცი ყოფილხარ,
რამხელა სიტყვის ბატონ-პატრონი;
ისე წახვედი ამა სოფლიდან,
არ გაგთანგვია თვალნი ფართონი.
არ გაგთანგვია,
რადგან ყოველთვის
ამოღებული იყავი ხმალი, —
და დარიალზე მძლავრი პოეტი
ქუხდი,
ბრდღვინავდი დღითა და ღამით...
უკვდავებისთვის ბევრი მგოსანი
ხატის წინაშე მდგარა მუხლებით, —
და ნაგერალა ლექსის მოსავლით
წასულა ჩვენგან დაუქუხებლივ...
წასულა,
შენ კი მგოსანთა მგოსანს
დაგვიწყებია მგოსნობაც შენი;
ლაშქრობის დროსაც, ქეიფის დროსაც
სხვა დარდი გწვავდა რაინდად შთენილს.
შენ უკვდავებად ისიც გეყოფა,
რომ სიბერეში შამილის სურათს
უმზერდი როგორც მებრძოლ მეგობარს, —
და არა როგორც დასაკლავ კურატს...
ვამბობ „გრიგოლს“ და
გრიგალი მზაფრავს,
„ბუმბერაზოთი“ თუ ვერ მოგმართე;
გიკოცნი ქართულ ფხასა და ფარ-ხმალს
ქართული სიტყვის
ქართველ მომნათვლელს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დენდროლოგიურ ბაღში

ვახტანგ კოტეტიშვილს

დენდროლოგიურ ბაღში ჩავასეირნე ბავშვი,
ენახე ბიუსტი ერთი, უცამედობით გავშრი.
ბავშვს წავატანე ხელი, ორნივ გავდექით განზე,
ცალი მხრით ცად აწეულს თვალი შევავლე ყაზბეგს.
ქვის პოსტამენტი ვდგა მთების მეხოტბეს ტახტად,
ვიცან ქმნილება შენი, კოტეტიშვილო ვახტანგ!..
სად ხარ?!
ხეტავი ერთხელ,
ქვისა და სიტყვის ოსტატს,
კიდევ გრგებოდა წილად შეპაექრება დროსთან...
მჯერა, ქმნილებას შენსას მოაცილებდი ამ ბაღს
და სადმე გაშლილ ადგილს დაამშვენებდი ალბათ...
ვახტანგ,
შენ ვასტანგ მეფის
იყავ სეხნია კარგი,
გორგასალივით არსად არ შეგიხრია წარბი...
რა ვუყოთ, იალბუზზე თუ არ შეგიდგამს ფეხი,
ქართლის ველებზე გაზრდილს ვერ დაგჯაბნიდ ველუსვიც.
შენ დღემ დაგჯაბნა ბნელმა, მაგრამ აღსდეგი მკვდრეთით,
— ჯარჯი ჩაქხედავს ჯიხვებსა! — კიდევ დასჭექე ერთი!..

შემოდგომის ქუხილი

...ამოვარდა ქარაშოტი აშარი,
აუჩეჩა ხეებს ოქროს ქოჩრები;
სამხრეთისკენ დასძრა მთელი ლაშქარი,
დაადევნა ელვა თვალისმომჭრელი,
დაადევნა მობუღრავე ღრუბლების
ხმაგაბმული ქუხილი და ბღავილი;
მათ ირმულად აჰყენენ ირმის ბუღებიც
და მთას მოსწყდნენ ყვითელ ნიაღვარივით.
ქარაშოტმა აიგლიჯა ავშარა,
რიყის ქვებიც ამოყარა ხევიდან;
ბუჩქნარები ხოხბებივით აშალა,
ხენეშ ხესაც ფეხი აადგმევინა...
ბადირია ქარაშოტი აშარი,
ამირია იფნები და ირმები;
ჭალა-ჭალა ბუდეებიც დაშალა,
და ფიქრივით ცას გააკრა ფრინველი...
მე მეგონა, ირმებს ირმის ნუკრებიც
თან მოსდევდნენ ცხარე ცრემლის ოქეშითა;
ეცემოდნენ პაწაწინა მუხლებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი მიწა ეცლებოდათ ქვეშიდან...
მე მეგონა, კლდემაც ფეხი აიდგა,
დაღმართს დაჰყვა, როგორც მწყემსი სახრეთი;
— შენც დაიძარ? — კარგიაო, ჰაიდა! —
შორეთიდან მოჰკიოდა სამხრეთი...
რა სცოდნია ცივგომბორის ქარაშოტს, —
ყველაფერი ერთმანეთში არია;
კაცს არ უთქვამს კაცისათვის არასდროს:
—ღრუბლები თუ ხარირმები ბღავიან?!.
ვენაცვალე ცივგომბორის ქარაშოტს,
რომ სიცოცხლე სულ არ დაამწუხრისფრა;
კაცს არ უთქვამს კაცისათვის არასდროს:
— ხომ ვეღირსეთ შემოდგომის ქუხილსაც!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამთრის დღე

ღამით თოვდა, დილით ქარმა ჩაიარა
ქუჩა-ქუჩა,
უმალ ისფერი თოვლი ხის ძირებთან
მიაქუჩა.
მერე ზეცა გადასარკა და მზე ლურჯ ცას
მიახატა,
ვისაც ღამით, იმ ყინვაში, ნისლში თბილად
ინახავდა.
ბოლოს ჩადგა და მიყურდა, გაინაბა
თოვლი მზეში...
სხივნო, თითქოს ოქროს ბადედ, თეთრ ქალაქზე
გადმოშვით.
მზეო, ოქროს კრავის თავო, უცხო ველთა
ბინადარო,
ან შენ, ცაო, ზღვათა ფერო, რა იალაღს
მიგადარო.
თეთრად გაქათქათებულო, მთაწმინდავ თუ
მახათაო —
ნუთუ ძიწა ასე რიგად ერთმა ღამემ
დახატაო.
ბორცვნი ჩანან აქა-იქ თუ თეთრი ბრიყვი
დათვებია.
თოვლის ნათელს ყოველივე სულმთლად
გაუნათებია,
მისი ფერი ღრუბლის ჩრდილსაც ვერსად
გაუმკრთალებია,
რაც თოვლს ველარ მოუსწრია, ის ქარს
დაუმთავრებია:
ყველგან მიმოუბნევია ფიფქი მოფრენილი
ციდან,
ფიფქი, რაც კი ღამის ღრუბელს ციურ ცრემლად
გადმოსცვივდა...
დახატულა ორთაჭალა, დახატულა
შავნაბადა,
დედამიწა თეთრი ტყემლის ყვავილობამ
გადაბარდნა.
და მსუბუქად აწევს ქალაქს დიდი, თეთრი
ზამთრის თათი,
იმის ნაზი სისპეტაკე და უბიწო
ათინათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გინდა მბრწყინავ სიქათქათეს, ვით მუსიკას
მიაყურო...
მზე კი მიდის, — ოქროს კრავი ლურჯი მინდვრით
მიბაკუნობს,
მერე ჩადის და მოკლე დღეც ინაცრება,
იპარება
და ბინდ-ბუნდში გარეშემო ცივი მწუხრით
იფარება.
მესმის — სადღაც სკვერის ბოლოს ბალღი მშრალ თოვლს
აგუნდავებს,
ხოლო ზეცა ბრდღვიალა მზეს
ვარსკვლავებად ახურდავებს.

●

მოაღიღინებს ბებერ ურემს უღელი ხარი,
მოაღიღინებს ორღობეში მინდვრების
სურნელს,
ულხინს თივაში მინაბული ზაფხულის ქარი
ოიბათვის სუნით გაჟღენთილ ურემს.
შეღამებულზე ორღობისკენ გამორბის მთვარე
და ღობე-ღობე იხედება სურათი მკრთალი:
მოუდერია ხარებისთვის მეურმეს სახრე,
ცრემლით ივსება ხარის დიდი,
ბრიალა თვალი...
ძაღლების ყეფა მოეყურა მთვარეს შორიდან,
ურმის ჭრიალიც ვარსკვლავების მაღლა მოისმა...
ვიშ, რა სიტკბოთი შემომცინა
იმ ორღობიდან
სურათმა — სიყრმისჟამინდელმა საღამოისამ.

როცა შემოდგომის ფერი...

როცა შემოდგომის ფერი
ხეებს მოაბნია ჭარმა —
დადგა ჩემი წასვლის ჟერიც,
განშორების დაპკრა ზარმა.
სამ თვეს ბრიალებდა ზეცა,
სამ თვეს ბიბინებდა მოლი...
მთას ხატავდა მწვანე თექა,
მინდორს — ყვავილების თოვლი.
სამ თვეს თეთრი ღრუბლის
ზემოთ —
ლაჟვარდ ცაში ვქანაობდით,
სამ თვეს შენს სხივებში,
მზეო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტარებით ვბანაობდით.
ჩემსკენ ეწეოდა მთვარეც,
ჩემი თეთრი მარგელი:
იდგა დღე და იდგა ღამე,
მართლა შეუდარებელი.
ასე მიველტვოდით ერთურთს,
მეპყრა მისი ბროლის ხელი.
და მიჰქროდა სამი თვე თუ
სამი დარახტული ცხენი,
თითქოს ჩამჩურჩულებს ისევ
ზარზმით მონაბერი სიო;
უბიწოა ივნისის მზე,
გადირევა ივლისიო...
დღეს მთას შეეპარა ვერცხლი,
ყვითლად იფარება მოლი,
ნელა უერთდება ზეცას
თეთრი ყვავილების ბოლი.
და იმ სიზმარეულ დღეთა
უსმოდ იხურება კარი
და მზეს უერთდება,
ვხედავ,
გადანთებული მთვარით.
ზაფხულმა დაკეცა ფრთები,
ტყეებს გადაედოთ ქარვა
და ამ შემოდგომის ნებით
დაჰკრა განშორების ზარმა.

თეიმურაზ მაღლაფერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

წიგნი მეოთხე

თავი VI

— ღებულობ სტუმარს? — თქვა ნუცამ.

— სტუმარი ღვთისაა.

— თუ სამტროდ ვარ მოსული, მაინც?

— ეე, მაგისთანები ხდება? — თავისდაუნებურად ის ფრაზა თქვა, გიგი რომ ამბობდა „ძველ ნაცნობებში".

— მე სამტროდ არ მოვსულვარ, ლადო, — ნუცამ დაბინდული მზერა უსწორა, — ვერ ვატყობ?

— დაჯექი...

— არა, მინდა შენი ბინა დავათვალიერო — შეიძლება? უუ, რამდენი ხანია აღარ ვყოფილვარ აქ. მგონი სტუდენტობის მერე, ხომ?

— მგონი...

— თუმცა, ძია პეტრეს დაკრძალვაზე აკი ვიყავი...

მამის ასე ჩვეულებრივად ხსენებამ

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 7, 8, 9.

უსიამოვნოდ გაჰკაწრა ლადო. არაფერი უთქვამს, გონება კი მეტი სისწრაფით აუმუშავდა. „ტყუილად არ მოვიდოდა... რა აქვს ჩაფიქრებული? იქნებ ღმერთმა ისმინოს ჩემი თხოვნა და მართლაც მომივლინა ეშმაკი, რათა გამომცადოს?“ ნუცამ წიგნებით დატვირთული თაროები ჩაათვალიერა, სარეები ჩაიკვირტა და თმებზე გადაიკრა ხელი, საწოლ ოთახშიც შეიხედა და მერმე კარგა ხანს იდგა ფიროსმანის „კრუხისა და წიწილების“ წინ.

— ღმერთო, როგორი მშობლიური და ახლობელია აქ ყველაფერი, — თქვა თავისთვის, — წიგნებიც, სურათებიც, საწერი მაგიდაც...

უსაშველოდ მაღალქუსლიანი, თეთრი ფეხსაცმელები ეცვა.

— და იცი ყველაფერს შენი იერი აღევს. ყველაფერი შენსავით დიდია და მოუხეშავი.

— ჰოო?

— ჰო! გიხდება წვერი, ჰემინგუეის გავხარ.

— პირიქით, ჰემინგუეი მგავს მე, — ღიმილით თქვა ლადომ.

— ეგრე იყოს, ბატონო მწერალო. ის მითხარი, საბოლოოდ გადაეწერე უმუშევართა რიგებში?

— საბოლოოდ.

— არ ეძებ სამსახურს?

— არა.

— კი მაგრამ, პურის ფული მაინც არ გინდა?

— ნუ გედარდება, მათხოვრობას არ დავიწყებ.

— ოი, რა უხეში ხარ...

მიუახლოვდა, მაცდური ღიმილით ჰკითხა:

— შეიძლება შენს გვერდით დავჯდე?

— დაჯექი...

— მაიან მითხრა, ლადო და რიშარდი უშშაზე აპირებენო; მართალია?

ლადოს არ უნდოდა ამ თემაზე ნუცასთან ლაპარაკი.

— ვნახოთ.

— უიმე, უიმე, როგორ ენანება სიტყვის თქმა! თუ ასე გეწყინა ჩემი მოსვლა...

— რატომ მოხვედი? — გაწყვეტინა ლადომ.

ნუცა კარგა ხანს ჩაციებით უმზერდა. ფრთხილად ასწია ხელი, წვერი მოუჩეჩა, მერმე შუბლის ნაჭრევსაც მისწვდა. ოდნავ იღიმებოდა.

— ნუ მეკითხები!

— მიპასუხე!

— ნუ მეკითხები! — ნუცამ თავი გაიქნია, — ცოტა ხნის მერე გეტყვი!

ლადო მთელი არსებით ცდილობდა საღი აზროვნების შენარჩუნებას, მაგრამ წამიდან წამამდე ატყობდა, — არაფერი გამოუდიოდა. მოიშორა ნუცას ხელები, ადგა და კარის საკეტი გადაატრიალა. სიცილმა შეაკრთო.

— რად ჩაჰკეტე?

— ისე.

— მაინც?

— ისე-მეთქი! გაჩუმდი!

გვერდით მიუჯდა, იატაკზე. ტახტს იყვნენ მიყრდნობილი და მხრისთავებით ეხებოდნენ ერთმანეთს. ლადო, შეუმჩნევლად, ნუცას გავლენას დაემორჩილა და ცვილივით რბილი შეიქნა. ხოლო როცა ეს მიუვიდა გონებამდე, წინააღმდეგობის მძაფრი სურვილი აღეძრა. ნუცა თითქო მიუხვდაო, ადგომა აღარ აცალა... და ლადო მინებდა... მინებდა ალერსს მონატრებული კაცის ცმაყოფილებით...

●

გამოფხიზლება უფრო სწრაფი და მძიმე გამოდგა, ვიდრე თრობა! ლადომ ოდნავ გაახილა თვალი და მაშინვე დახუჭა. მაგრად დახუჭა და გაიტრუნა, სუნთქვაც კი შეიკრა. „ნეტა მოჩვენება იყოს, ან სიზმარი“, — ესღა გაიფიქრა, მაგრამ ყელზე აშკარად გრძნობდა ნუცას თბილ სუნთქვას. და სადღაც, შიგნით, ბურთად შეიკრა და გულისკენ დაიძრა მტანჯველი, შემხუთველი განცდა.

ცდა, რომელიც საკუთარი თავის ზიზღი იყო, სხვა არაფერი.

— ლადო! — ჩუმად შეეხმიანა ნუცა, — ლადო!

— ა?

— ძალიან ბედნიერი ვარ!

ლადო სდუმდა.

— მისმენ?

— ჰო!

— გინდა, შვილს ვიყოლიებ?

მოულოდნელობისაგან ლადო შეხტა, წამოიწია და ნუცას თმები ღელვრეგვით დაიხვია მკლავზე.

— რა თქვი?!

— შვილი...

„ქეთუსასაც ჰყავს შვილი. ბიჭი“.

— ხმა ჩაიკმინდე!

— რატომ ჯავრობ? თუ არ გინდა, არ ვიყოლიებ. როგორც შენ მეტყვი...

რაც უფრო იძაბებოდა და იღრინებოდა ლადო, მით უფრო თასმასავით იქნებოდა ნუცა. ლამის ზედ დასდნობოდა.

— ო, ჩემო ღმერთო... ჩემო...

და ლადო ბოლმით ამჩნევდა, რომ ალერსზე ალერსითვე ეპასუხებოდა. რა ჯადო ჰქონდა ამ ქალს, რა თაფლი ესვა? რამდენს აურია გზა-კვალი და ვინ იცის, კიდევ რამდენს აურევს... არა, უნდა მოიშოროს თავიდან, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიწყვიტოს... მაგრამ, როგორი ტკბილია მისი ტანის ხვეულები... აუ, როგორი ტკბილია და თან საზიზღარი!..

— მითხარი, ცოტა მაინც გიყვარვარ? — ჩურჩულებდა ნუცა.

— არა!

— სცრუობ!

— უ, შე!..

— ხომ იქნები ჩემთან? ა? ხომ იქნები?

— არა!

— რატომ, ლადო?

— არ უნდა ვიყო და იმიტომ!

— ოჰ, ოჰ! არ მოგბეზრდა მაღალზნეობრივი ახალგაზრდის თამაში?

— უარესი მეკუთვნის... უარესი!..

— Кстати, რატომ მოვედი იცი? ბიძინას მივყვები ცოლად. მაგრამ, თუ დამიძახებ, მაშინვე შენთან გავჩნდები... აი, ამის თქმა მინდოდა!

ლადომ თმებში იტაცა ხელი.

— მეზიზღები!

— გეყოფა ბავშვობა!

ოთახში უკვე ბნელოდა, ლადომ სწრაფად ჩაიცვა.

— აღექი!

— ლადო...

— ადე, თორემ დაგახრჩე!

ზურგით იდგა და ელოდა. თვითეული კუნთი უთრთოდა.

— მზადა ხარ? — ეკითხებოდა დროდადრო მოუთმენლად.

— ლადო...

— წადი!

— ლადო, მომისმინე!..

— არ გისმენ!

— ბიძინას არაფერი უთხრა, თორემ თავს მოვიკლავ, იცოდე!

— აჰაა! მაგის გეშინია!

ნუცა მკლავში ჩაეფრინდა.

— ეტყვი და უთხარი! მაინც შემირთავს! შენ ჯიბრზე! თუ მოვინდომე?..

●

დიდ ხანს იჯდა ლადო ბნელში. გაძრავევის თავი არა ჰქონდა. ყურები უწოოდა და ერთადერთი, რაც ახრჩობდა, საკუთარი სხეულიდან ამოხტომის სურვილი იყო. ისე, როგორც ლოფორთქინა გადაიძრობს ხოლმე თავის ხობოკვერას... საშინელი მტანჯველი, გამაწამებელი განცდა!.. ხოლო როცა სინათლის ჩამრთველი გადაატრიალა, კედელზე მამის თვალებს წააწყდა. პეტრე უყურებდა მშვიდი, გამომცდელი მზერით. „გეზიზღები მამა? გეზიზღები?“ მაგიდაზე „ქველი ნაცნობების“ ხელნაწერს მოჰკრა თვალი.

ინსტინქტურად გადაფურცლა. „ეე, მაგისთანები ხდება?“ — წაიკითხა რომელიღაც გვერდზე. ბოლმა კიდევ უფრო გაუძლიერდა. ბახელებით დაუწყო ფხრეწა. მთლად დააქუცმაცა, საკუჭნაოში გაიტანა და გადაყარა. ოდნავ მოეშვა გულზე, მაგრამ მაინც ვერ პოულ-

ობდა ადგილს. სადაც არ მიდგა, ყველგან მისწვდა მამის მკაცრი, განმსჯელი მზერა. მზერა, რომელსაც არაფერი გამოეპარებოდა. „ბიძინა უნდა ვნახო“, — გაიფიქრა და ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა.

●

მძიმე ნაბიჯით მიჰყვებოდნენ გოგოლის ქუჩას. კარგა გვიანი იყო. სადგურის მოედანადე სიტყვაც არ დაუძრავთ. ბიძინას მოკლესახელოებიანი, ჭრელი პერანგი და ლურჯი „ტეხასკა“ ეცვა. წელზე სქელი ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ბედს დამორჩილებული მსჯავრდადებულივით ლასლასებდა, ძლივს დაათრევდა სქელლანჩიან ბათინკებს.

— კიდევ? კიდევ რას მეტყვი?

— აღარაფერს, — თქვა ლადომ;

მოედანი გადაჭრეს და შეთანხმებულებივით, ბაქანისკენ გაემართნენ. „თბილისი — ვალეს“ გარდა ყველა მატარებელი გასული იყო. „ვალე“ ღამის ორის ნახევარზე გადიოდა, ჩასხდომა ჯერ არ დაეწყოთ.

— როგორ მოვიქცე ახლა მე? — თავისთვის თქვა ბიძინამ, — და საერთოდ, როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევაში?

ლადოს მწარედ გაეღიმა.

— რას იცინი! მე დამცინი?

— არა...

ბიძინა გაზეთების ჩაბნელებულ ჯიხურს მიეყრდნო, თვალები მილულა.

— დავიღალე, — თქვა ჩუმად, — ძალიან დავიღალე.

— ნეტა ვიცოდე, რატომ მოვეხეტეთ აქ?

— დავიღალე და შევშინდი. ყველასი მეშინია: შენიც, ნუცასიც, საკუთარი თავისაც... დავიბენი.

— მეც, ბიძინა.

დუმილი მტანჯველი გახდა.

— თქვი რამე! — ვეღარ მოითმინა ბიძინამ.

— მეზარება ჩემი თავი!

— ო, აღსარებას მანდობ? — ბიძინამ **ბოროტად ჩაიქირქილა**, — გისმენ, შვილო ჩემო!

— დავამთავრე! — ცივად მოსჭრა ლადომ.

ბაქანზე ნელ-ნელა მომრავლდა ხალხი. ხელჩანთებიდან დაგორგლილი ჰამაკები და პეპლის საჭერის ტარები ჭქონდათ ამოჩრილი. „ნეტა მეც მივდიოდე სადმე, — გაიფიქრა ლადომ. — აღარ შემიძლია ქალაქში გაძლება...“ უმთვარო ღამე იყო. წვიმის შემდეგ ჰაერი უფრო ჩამოიხუთა. მაზუთით გაჟღენთილი შპალების სუნი იდგა. ბიძინა პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. დაამთავრებდა თუ არა ერთს, მაშინვე მეორეს უკიდებდა.

— მოდი, არაყი დავლიოთ, — თქვა მოულოდნელად.

— გვიანია, ველარ ვიშოვნით.

— ვიშოვნით. წამო.

სადგურის რესტორანი დაკეტილი ღიმრჩნდა. რკინის ვიადუკის ქვეშ ჯიხური იპოვნეს, სადაც ლიმონათს, ძეხვს და მისთანებს ჰყიდნენ. დიდი თხოვნის შემდეგ ნოქარმა უფაქტურო არაყიც დააძრო და ბიძინამ ორი ბოთლი იყიდა. ჯიბეებში ჩაიტენა და გამობრუნდნენ. დასაყოლებლის ყიდვა არც გახსენებიათ. ჩიხში მდგომ რომელიღაც შემადგენლობას უკნიდან მოუარეს და ვაგონის კიბეზე ჩამოსხდნენ. ბიძინამ საცობი კბილებით ამოაძრო.

ვაგონის კიბიდან ჩანდა სადგურის ვადაღმა წამოყუდებული დიდი შენობა, რომლის სახურავზეც ნეონის მწვანე რეკლამა ენთო: „დალიეთ ქარბუნული ჩაი“... „ლუდი სასიამოვნო და მარგებელია...“

— არაყიც სასიამოვნო და მარგებელია, — ჩაიცინა ბიძინამ და კარგა დიდი ყლუპი მოსვა.

ლადოს აკრთობდა ბიძინას სიცილი. ხვდებოდა, რა ბალღამიც უდუღდა გულში და იცოდა, — ეს კარგს არაფერს მოასწავებდა.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
წყურვილი

— გამიგონე .., — შემპარავი ხმით თქვა ბიძინამ, — რა საჭირო იყო ყველაფერი რომ დაწვრილებით ჩამიკაკლე? ერთი მითხარი: რა საჭირო იყო?

ლადო მოეღლოდა ამ კითხვას.

— სხვაგვარად ვერ შევიძელი, ბიძინა.

— აჰ, სიმართლის მოყვარული ბრძანდებით, ბატონო მწერალო?

„ბატონო მწერალომ" გულში უჩხვლიტა ლადოს;

— მართალს გეუბნები: სხვაგვარად ვერ შევიძელი, — თქვა ჩუმად.

ბიძინამ კბილები გაახჩიალა.

— რად მინდა ისეთი სიმართლე, შებითურო, რომელიც სიცოცხლეს გამიმწარებს? რად მინდა? ჩამოიკიდე ყელზე და იარე! შენთვის დამილოცნია!

— ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლე ჯობია!

— თუ ტყუილი გიშველის და გადაგარჩენს?

— მთლად რომ დამღუპოს, მაინც სიმართლე მირჩევნია!

გაჩუმდნენ.

— მე ვიცი, ლადო, რა ხვითოც ვარ! ისიც კარგად მომეხსენება — ადამიანები რა შვილებიც ბრძანდებიან, მაგრამ ერთხელ კიდევ აღარ მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ არარაობაა სიყვარულიც, მეგობრობაც, საერთოდ ადამიანობაც!.. აღარ მინდოდა, აღარ!..

— მერედა, ვინ მოგახსენა, რომ არარაობაა?!

— არარაობა! ყველგან და ყველაფერში არარაობა...

— სტყუი!

— გეგონოს!

— მე არ შემიძლია მეგობრობა, არც სიყვარული შემიძლია მე! მე ვარ სრული არარაობა! საერთოდ ადამიანებს კი მოეშვი! ჩვენს სისუსტესა და უხამსობას სხვებზე ნუ ავრცელებ! სულ ერთია, ამით თავს მაინც ვერ დაიძვრენს კაცი!

— ო! რა გულისამაჩუყებელი ტირადა მოვისმინე! ბრავო!

— მე ძალიან, ძალიან, ძალიან სერიოზულად ვლაპარაკობ! ასეთ დროს, დაკცინეა სიგლახეა, ბიძინა!

— ბოდიში ხომ არ მოგიხადო?

— პირიქით, მე გიხდი ბოდიშს...

— ლადო, ნუ თამაშობ ანგელოზს! ნუ!

ლადოს გული ჩასწყდა.

— არა.., — თქვა წყნარად, — არ ვთამაშობ...

გაჩუმდნენ.

— ხომ იცი, რა ხვითოც ვარ! — იყვირა უცებ ბიძინამ, — ხომ იცი? ხოდა, თავი დამანებეთ! ჯანდაბამდის გქონიათ გზა!

უკვე მთვრალი იყო. ლადოს ყველაზე მეტად ამის ეშინოდა.

— ნუ ყვირი, — უთხრა რბილად.

— მომეშვი!

— წავიდეთ სახლში, ბიძინ, გვიანია.

— ჰმ, ბიძინ... გახსოვს, ასე მეძახდი ადრე, როცა მეგობრები ვიყავით.

— ახლაც მეგობრები ვართ...

ბიძინამ ბოთლი მოიყუდა და სანამ არ გამოსცალა, არ მოეშვა. მოულოდნელად მილიციონერი წამოადგათ. ფრთხილი ნაბიჯით ახლოვდებოდა. ცალი ხელი რევოლვერზე ედო. ვერ გაეგო: ვინ უნდა მსხდარიყვნენ ამ შუაღამისას უქმად მდგომი რონდის კიბეზე — თუ არა საეჭვო პირები.

— რა ამბავია აქ?

ლადომ დაინახა, — როგორ შეიხსნა ბუდე.

— მშვიდობა, — უპასუხა წყნარად.

— აბა, მოწყდით აქედან! თორე...

— ჰო, კარგი, კარგი, — დაეთანხმა ლადო, — წავიდეთ, ბიძინ!

— ვისი რა საქმეა.., — ჭიქვეულად წამოიწყო ბიძინამ, მაგრამ ლადომ პირზე მიაფარა ხელი. ძალით ჩამოიყვანა კიბიდან. „თბილისი-ვალე" აღარ იდგა ხაზზე. ბაქანი ცარიელი იყო. ეძინათ ბნელში გასუდრულ მატარებლებს. მილიციელმა ერთი კი დააპირა ამ საეჭვო სუბიექტების ვინაობის გამორკვევა, მაგრამ იფიქრა — აუტკივარი თავი რაზე ავიტკიოო და წავიდა.

ტაქსების სადგომთან რამდენიმე თა-

ვისუფალი ტაქსი გაჩერებულიყო. სასტუმრო „კოლხეთისაკენ“ ჩაუხვიეს და შუა ქუჩაში ტრამვაის ლიანდაგს გაჰყვნენ. ელექტრონის სუსტ შუქზე ლიანდაგი მქისე სითეთრით ბრწყინავდა. „დინამოს“ სტადიონთან, უზარმაზარი ჭადრებით დაბურულ ქუჩაზე სიბნელე და უსიამოვნო მღუმარება იყო. კაციშვილი არ ჩაჰანგბდა.

— მომე არაყი! — ჟინიანად თქვა ბიძინამ.

ხარბად მოიყუდა, მაგრამ არ მოეწონა და გამეტებული მოქნევით ბოთლი სტადიონის რიკულებს შეაფშვნა. ღამეულ სიჩუმეში მსხვრევის ხმა აფეთქებასავით გაისმა. კმაყოფილებით, ბოროტად გაიცინა. ფეხი ეშლებოდა, მაგრამ მაინც გაჰყვა. წინაგრძნობა არ ასვენებდა — რაღაც ძნელი და მძიმე მოხდებაო. თან, გულის სიღრმეში თვითონაც უნდოდა ეს... ცალი პროკურორი სუსტად ანათებდა მოედანს. ბიძინამ კიბე რწევა-რწევით ჩაირბინა, გადაებღოტა და მოედნისაკენ წაბარბაცდა.

იდგნენ და უყურებდნენ უკაცრიელ ტრიბუნებს. უცაბ, ლადოს ნელი ტირილი ჩაესმა და ტანზე ბალანი აეშალა. ბიძინა კარის ძელთან ჩამუხლულიყო და ზლუქქუნებდა.

— ბიძინა, შენი ჭირიმე...

ბიძინა ელდანაკრავივით წამოვარდა და იღრიალა:

— არ მინდა სიცოცხლე! არა! არა!

ტრიბუნებმა ყრუ ექოდ გაიმეორა ეს სასოწარკვეთილი ძახილი. ლადომ ფრთხილად დაადო მხარზე ხელი.

— მომშორდი!

— ნუ, ბიძინ...

— ყველგან ხელი მომეცარა, ყველგან! აღარ შემიძლია ასე, მიხვდით, გაიგეთ...

— მომისმინე, ბიძინ...

— რას მეტყვი, რომ მოგისმინო? არ მჭირდება შენგან შებრალება! არავის სიბრალული არ მჭირდება!

— ბიძინ...

— რა ბიძინ! რა! ქველმოქმედი გახდი? სიმართლის მოყვარე ხარ? იყავი ჩემნაირი, ეს მეტ შვებას მომგვრის, რომ იცოდე!

ბიძინა ხელებს მუხლებზე და თავპირში იცემდა, გაბმით ღმუოდა. ლადოს მთლად გაუწყდა მოთმინება.

— მთვრალი ხარ, ბიძინ. წავიდეთ სახლში!

— მომშორდი! წაეთრიე ჯანდაბის იქით!

ლადო ცახცახმა აიტანა. გონება გამოეთიშა, თითქო სადღაც ბნელში გადაყორავდაო. აღარ ახსოვდა, როგორ გაიქნია ხელი. ბიძინამ მოკლედ დაიკვნესა და გულაღმა ქაასკდა მიწას.

— ვაი, დედა...

●

რა დრო გავიდა: ერთი საათი? სამი? ხუთი? იწვნენ რბილი ბალახით დაფარულ მოედანზე, თავები ერთმანეთისათვის მიედოთ და სტიროდნენ ჩუმი ცრემლებით. ცრემლი ვარამსა და ნაღველს ამსუბუქებდა. ბიძინას თავი უხურდა და ყბაც სტკიოდა, მაგრამ ეს ტკივილი როგორღაც განმწმენდი ტკივილიც იყო.

— მაპატიე, ლადო, — თქვა ჩუმად.

— შენც მაპატე.

— შენ არაფერი გაქვს საპატიებელი!

— არც შენ!

— მადლობელი ვარ!

— მეც!

„უნდა წავიდე ქალაქიდან, ხვალვე უნდა წავიდე“, — ფიქრობდა ლადო.

თავი VII

გადაყვითლებულ ნაპურალებს ყამიდანყამზე ვენახები ენაცვლება. შეთვალული რქაწოლის მკვრივი მტევნები ჩხეებში მინაბულან. სიმინდს მაჯის სიმსხო ტაროები აყრია. ქვით ნაშენი კოხტა სახლები კაკლებით არის დაჩრდილული. ატმის, მსხლისა და ლეღვის დახუნძლულ ხეებს ტოტები მი-

---

თეიმურაზ მალლაფერიძე
ჩუქურვილი

წამდე დაუხრიათ. ოჯახის დედაკაცი თონეში მარჯვედ აკრავს „დედას პურებს“. სახლების წინ რუი ლიკლიკებს. რუზე ტატლიკანა ბალღები ჩალის წისქილებს მართავენ, ხოლო „შიშია“ გზაზე ალერდით დატვირთულ ურმებს მიაჭრილიენენ ლაბა ხარები. მტკავლი მიწისა არ არის აქ, ადამიანის გამრჯე მარჯვენისა და მლაშე ოფლის კვალი რომ არ ეტყობოდეს... გორმახებზე გუმბათმორღვეული საყდარი ან ციხის ციხლის ნაშთი ილანდება. შორს კი, ალაზნის ველის გაღმა, მოლურჯო ნისლში, ყინულგვირგვინით შემკული კავკასიონის ბრეხილი ასვეტილა. ასეთი ჩანდა კახეთი მოჯაყჯაყე ავტობუსიდან ივლისის ერთ თაკარა დღეს: ლადოს სვანური ქუდი ეხურა, ხორბლისფერი წვერი მომშვებული ჰქონდა და უცხო გარეგნობით უნებლიეთ იქცევდა მგზავრების ყურადღებას;

ლადო მთელი არსებით აღიქვამდა კახეთის მსუყე, დაქალებულ ზაფხულს; აღიქვამდა, როგორც საკუთარი სულისა და სხეულის განუყოფელ ნაწილს. შეგრძნება იმისა, რომ თვითონაც ამ სისხლითა და ოფლით გაპოხილი მიწაწყლის შვილი იყო, ძალ-ღონეს ჰმატებდა. რამდენმა თაობამ იმუშავა ამ მიწაზე, რამდენის მკლავი და ქედი გაცვდა, რამდენის ძვალი დაიფერფლა, მაგრამ მოდიიდა ახალი და ახალი თაობა, რომელიც კვლავ ეწოოდა ცხოვრების მძიმე ჯაპანს. და ლადოს სტანჯავდა იმაზე ფიქრი, თვითონაც იდგა თუ არა ულლის გამწევთა კვალში. ჰქონდა თუ არა უფლება, რომ სინდისის დაუქანჯნელად გაეტეხა პური, რომლის მოპოვებისათვის ოურაცხელი თანამოძმის ოფლი იღვრებოდა. გაჰყურებდა მოვლილ-მოლამაზებულ ბაღ-ვენახებს, ჯებირებსა და წისქვილებს. სათიბებსა და ახოებს, და როგორც არასდროს, ისე ცხადად გრძნობდა, რომ ქვეყნად ყოფნა ერთი დიდი ვალის გადახდაა საკუთარი მიწისა და ხალხის წინაშე და ვინც ამას დროზე ვერ მიხვდება, მისი სიცოცხლე უქმი და მომცდარ მიწასავით უნაყოფოდ იქნება. მაგრამ რით გადიხადოს ლადომ ეს ვალი? მასწავლებლობა უნდოდა, არ გამოუვიდა, გამომცემლობაში იმსახურა — და გუდა-ნაბადი აუკრეს. სხვა რაღა შეუძლია? დასახლდეს სადმე სოფელში, გაიჩინოს ცხვარ-ძროხა, მოხნას მიწა, ვენახს მოუაროს? ამას სხვანაირი ძვალი და ჯავარი სჭირდება და ასწევს კი ასეთ საჯილდაო ქვას ლადო? ვაი, რომ საეჭვოა! მაშ რა? რა უნდა გააკეთოს? წეროს? მაგრამ განა ეს კი შეუძლია? თუ ხარ, ნამდვილი უნდა იყო — ნამდვილი, როგორც ხნულში გაღვივებული თესლი ან მთის ყურეზე მიყუჟული ბინული. შენი ნაწერი ისეთივე საჭირო და აუცილებელი უნდა იყოს ხალხისათვის, როგორც პური არსებობისა! ლადოს გული ერჩის, შეძლებაც მოსდევს, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც არ ძალუძს თავისი ხალხისათვის არსობის პურის მიცემა! და რაკი არ ძალუძს, განზე უნდა გადგეს და გზაც უფრო მეხლმაგრებსა და შემძლეებს დაუთმოს! ასეა! წყალი არ გაუვა! ასეა! მაგრამ თვითონ რაღა ჰქნას? სად მოიკიდოს ფეხი? რით გადაიხადოს ვალი, რომელიც ქვეყნად მოსვლისთვის დააკისრა ვიღაც უხილავმა და ყოვლისშემძლემ?

გამოჩნდა ფერცხალი კლდის კიჩოზე გაშენებული, გალავანშოვლებული ქალაქი. ლადომ იცოდა, რომ სიღნაღი ძველი ქალაქი იყო, მაგრამ ასე მკვეთრად თუ ესვა ისტორიის ბეჭედი, არ მოელოდა; ქვიტკირის გალავნის იქით მოჩანდა თეთრი სახლები წითელი კრამიტის წვეტიანი სახურავებით. ქალაქის ოღრო-ჩოღროებს ატყორცნილი ჯადრის ხეების ქოჩრები აღნიშნავდნენ. აქა-იქ ეკლესიის მაღალი გუმბათი ამოჩრილიყო.

— აენდე სიღნაღიცა! აქეთ გივლია, ჯელო? — ჰკითხა პირბუდაღმა, წითურმა გლეხმა. თბილისიდანვე უთავთვალებდა ლადოს, უნდოდა გამოლაპარაკებოდა, მაგრამ საბაბი ვერ ეპოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა.

— ჰოდა, იცოდე, რომა ქიზიყში ხარ. სიღნაღი კიდევნა, ქიზიყიჲ დედაქალაქია!

— ეგ ვიცი;

— შენ აქ კიკინა იმერლებიჲ ქვეყანა არ გეგონოჲ... იგეთი ჰურ-ღვინო ვიცით, იგეთი, რო... აი, ხვალ კვირეა, გამაიარე ბოდბიხევიჲ ბაზრობაზე, თვითონვე ნახამ.

— უეჭველად გამოვივლი, — ლადოს გაეღიმა.

— კარქი, ვანიჲ, ნუ შაწუხე ეგ უცხო კაცი! — დაუძახა წინა სკამიდან შავთვსაფრიანმა დედაკაცმა.

ვანია გაჩუმდა. ლადომ ახლაღა შეატყო, გვარიანი ნაყლაპი რომ იყო.

ავტობუსი გალავანში შევიდა, მიუხვმოუხვია და ერთსართულიან, ლურჯადშეღებილ შენობასთან დადგა. ყველაზე ბოლოს ლადო ჩავიდა. მგზავრებიდან ზოგი უკვე მიჰყვებოდა ქალაქისკენ მიმავალ აღმართს, ზოგიც თავის ბარგი-ბარხანას მეორე ავტობუსისაკენ ეზიდებოდა. ავტობუსს „სიღნაღი-ბოდბისხევი“ ეწერა. ლადო ალალბედზე დადგა ქუჩას. სისუფთავე და პროვინციული სიმყუდროვე სუფევდა და ეს განსაკუთრებით მოსწონდა, როგორღაც შინაგანად ისვენებდა...

სასტუმრო ზემოდან დაჰყურებდა ქალაქს. ჯოლში გრილოდა, სიცარიელე იყო. ადმინისტრატორს ფეხის ხმაზე არ აუხედნია.

— ნომერი გაქვთ?

— არის.

●

ნელა ადიოდნენ ქვის კიბეზე და ქუთუს ფეხები უკან რჩებოდა.

— მოცხვენია, ლადო, რას იტყვიან?

— რა უნდა თქვან? მეუღლე ხარ ჩემი!

— პასპორტში რომ არ გიწერია?

— პასპორტს საერთოდ არ ვაჩვენებ.

— არ აჩვენებ და არც შეგიშვებენ. ასეა წესი!

— გამომივიდა წესების მცოდნე, — ლადომ გაიღიმა და სახეზე მოუსვა ხელი,

— ნახევარი სიცოცხლე სასტუმროში აქვს გატარებული. ამბობენ, ვენეციაში კარგი სასტუმროებიაო, რას იტყვი?

— შენი ჭირიმე, უნერხულია!

— წამო! წამო!

არ იმჩნევდა, თორემ ლადოც მაგრად იყო შემცბარი. აათავეს კიბე. შენობა მოდერნისტული არქიტექტურით იყო ნაგები.

მოხუცი, მკაცრი სახის ადმინისტრატორი, თეჯირის მიღმა გაზეთს კითხულობდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, სათვალე შუბლზე აიწია და მოსულები დაკვირვებით შეათვალიერა. ლადო მიხვდა: „მთავარი იყო სწრაფი მოქმედება, რომ „მოწინააღმდეგისათვის“ ფიქრის საშუალება არ მიეცა.

— სალამი, ქალბატონო!

— გაგიმარჯოს...

— ნომერი ალაზნის მხარეს გვინდა.

— გვაქვ რო? — თქვა ადმინისტრატორმა.

— მაშ რა ვქნათ? — ლადომ უმწეოდ გაშალა ხელები, — ჰა?

ქალმა სათვალე ჩამოიწია და ისე შეხედა.

— ეს ქალბატონი?..

— ჩემი მეუღლეა. კახეთი არ უნახავს და წამოვიყვანე.

შიშისაგან გამტკნარებულ ქეთუს ხმის ამოღების თავიც არა ჰქონდა.

— კეთილი, — თქვა ადმინისტრატორმა, — მაშ, ალაზნის მხარეს, არა?

— გთხოვთ...

— ახლავე, გენაცვა. იქნებ საბუთი გქონდეთ რამე?

— იცით, მოულოდნელად წამოვედით და საბუთები სახლში დაგვრჩა.

ადმინისტრატორმა გვარი ჩაიწერა და თვითონვე გაუძღვა ნომრისაკენ.

ოთახის აივანი მართლაც ალაზნის ველს გადაჰყურებდა, მაგრამ სქელი, რძისფერი ნისლის გამო ვერაფერს დაინახავდა კაცი. ბუნდად ჩანდა მხოლოდ ახლომახლო შენობების თოვლიანი სახურავები

თეიმურაზ ბაღლაფერიძე
ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საყდრის წოწლოკინა გუმბათი. ზამთრის ჩუმი, შეხუთული, უფერული და უმზეო დღე იყო.

—აი, დავრჩით მარტო, — თქვა ლადომ.

— რა ვქნათ ახლა? — რატომღაც ჩურჩულით იკითხა ქეთუმ.

ლადომ სათუთად გადაუწია სიმინდის ხაშარისფერი, რბილი თმა და პატარა, ნაზი ყურის ბიბილოები გამოუჩინა.

— იყავი დიასახლისი.

ქეთუმ ოთახი მოათვალიერა. ყველაფერს წკრიალი გაუდიოდა.

— ესკვე დაულაგებიათ, — თქვა სინანულით.

— უფრო დაალაგე, — ლადო იღიმებოდა, — მე კი წამოვწვები და გიყურებ.

— კარგი.

პირველ რიგში პალტოებიანი საკიდარი რადიატორისაკენ მიაჩოჩა. რაღაც ფლასი იპოვნა და ავიჯიდან გულმოდგინედ გადასწმინდა არარსებული მტვერი. მერმე სავსე გრაფინი დასცალა და ხელახლა ააგსო...

ლადო აულაგებელ ლოგინზე იწვა. ფეხები საწოლის საზურგეზე ეწყო. გაფაციცებული ადევნებდა თვალს ქეთუს ყოველ მოძრაობას და ლამის გული გასკდომოდა, ისე უყვარდა ეს ქალი. რაღაც უცნაური გრძნობა იყო... „გიპოვნე, ქეთუ, როგორც იქნა გიპოვნე! ახლა ერთად ვიქნებით, სამუდამოდ ერთად ვიქნებით! როგორ დავიღალე უშენოდ, ქეთუ, ჯვარს ვეცი, ვეწამე, მაგრამ ახლა სამუდამოდ ერთად ვიქნებით!“. და ლადოს ცხადად, აშკარად ეჩვენებოდა, რომ ყოველთვის ცოცხლობდნენ თვითონ და ქეთუ, ყოველთვის — მზის და მიწის გაჩენის შემდეგ და მუდამ უყვარდათ ერთმანეთი...

ქეთუ ოთახის შუაგულში გაჩერდა.

— ახლა რაღა გავაკეთო?

ლურჯ, ნუშის მოყვანილობის, ფართოდ გახელილ თვალებში ისეთი სხივი უციგლიგებდა, რომ ლადო მიხვდა: — ქეთუც იგივეს ფიქრობდა, რასაც თვითონ.

— მორჩი?

ხელები გაშალა.

— კი...

— ასე უცებ?

— რა ვუყო, მოვრჩი და...

— მოდი.

— არა! არა!

ქეთუმ უკან დაიწია, კედელს აეკრა. ლადო ვედარაფერს ხედავდა ორი უძირო, კამკამა, ლურჯი ტბის მეტს.

— მოდი, გთხოვ...

ქეთუმ ნაბიჯი გადადგა. მთვარეულივით ფრთხილად მიდიოდა — თითქო ეშინოდა არაფერს წამოვედოო. მორჩილად ჩამოუჯდა სასთუმალთან და მიბნედილი ჩურჩულით თქვა:

— შენი ჭირიმე...

ლადომ ხელის ცეცებით მოსძებნა მისი თმის სარჭები, სათითოდ გამოაძრო და როცა ოქროსფერი ჩქერალი სახეზე გადმოეღვარა, მთელი მკერდით შეისუნთქა რბილი, ალერსიანი, მშობლიური სურნელი.

— ვოი, ლადო! — დაიკვნესა ქეთუმ, — მეშინია!

— შიშს ნუ ახსენებ!

— რომ მოგვაგნონ? აქაც რომ მოგვაგნონ?

— უწინამც სიკვდილი!

— ორივეს, — ცხარედ თქვა ქეთუმ, — შენც და მეც!

— ყოველთვის მიყვარდი! ყოველთვის, ქეთუ! სანამ დავიბადებოდი, მანამდეც მიყვარდი!

— ვოი, მიშუ ლადეო სი.

— და იცოდე: სიკვდილივით ძლიერია ჩემი სიყვარული!

— შენს მეტს არავის ეცოლოს ქეთუ!

— ქეთუს შვილი ჰყავს, — თავისთვის თქვა ლადომ, — ბიჭი!

— შენი შვილია! შენი! არ გახსოვს ის ღამე? ის ბედკრული ზამთრის ღამე არ გახსოვს სვანეთში?

— ღმერთო, მიშველე!

— მე ის მტვენი ვარ, შენმა ხელებმა რომ მოისთველა, ლადო!

— და ჩემი შვილის დედა?

ქეთუ უმზერდა უძირო ლურჯი, სიყვარულით სავსე თვალებით.

— ჰო, ლადო! შენი შვილის დედა!

— ღმერთო მიშველე! ღმერთო მიშველე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ქალაქი მდუმარებას მოეცვა. დროდადრო ხეებიდან მოწყვეტული თოვლი ჩუმი ფათქუნით ეცემოდა ძირს. ქუჩის ნათურების შუქზე თოვლით შეჩინჩხლული ხეები ნატგრის ხეებივით ბრწყინავდნენ. ჰაერი წმინდა იყო, გამჭვირვალე და სუსხიანი. ისინი მიდიოდნენ მანქანების ნაკვალევით დაღრღნილ, ჭუჭყიან, გამაგრებულ და ხრაშუნა თოვლზე.

— არ მინდა ეს, — თქვა ქეთუმ, — სუფთა თოვლი მინდა!

ლადომ ხელი ჩაკიდა და დიდი ჭადრების ხვეულსაკენ წაიყვანა. ბუჩქნარის იქით ხელუხლებელი თოვლი იდო.

— აი, სუფთა თოვლი! — წამოიძახა ქეთუმ.

— რასაც ინატრებ, ყველაფერი შეგისრულდება!

— ნატგრის თვალი გაქვს?

— არ იცოდი?

— ოი, მიშგუ ლადეე სი!

— კიდევ მითხარი!

— მიშგუ ლადეე სი!

— კიდევ!

— მიშგუ ლადეე სი... ახლა შენ მითხარი ჩვენი შვილის სახელი!

ლადო ჩაცუცქდა და თოვლზე თითით დაწერა: მინდია!

ჭადრის ქვეშ იყვნენ. გაბარჯღული ჭადრის ქვეშ, რომელსაც მსხვილ, ღონიერ ტოტებზე ხვავრიელად ედო თოვლი.

— ეს ჭადარი შენი იყოს, ქეთუ! — ლადომ ღაწვი მიადო ხის მოტეხიფრულ ტანს, — საკუთრად შენი.

ქეთუმ ფრთხილად, სიყვარულით აკოცა ხეს.

— ინატრე რამე,— შეეხვეწა ლადო, — ინატრე!

— და შემისრულდება?

— იმავე წუთს!

— მაკოცე, — ჩუმად თქვა ქეთუმ, — მხოლოდ თვალები დახუჭე და ისე.

ჭუჭყიანი თოვლით დაფარულ გზაზე გავიდნენ. ჭუჭყიანი თოვლი იყო ირგვლივ. ქუჩის ნათურები საცოდავად ბეჟუტავდა. წყვდიადი... წყვდიადი... „მაინც, ასე რამ გადააშენა მთელი მოსახლეობა, რომ გარეთ არავინ იხედება? ან რა ქალაქია ეს?“ ფიქრობდა ლადო, — „ჰო, სიღნაღი... მაგრამ რა გვინდა აქ?“.

— ქეთუ!

— ვოი, მიშგუ! მინდიასთან წავიდეთ ჩქარა!

— სად არის მინდია?

— არ ვიცი!

— ქეთუ!

— არ ვიცი! — იკივლა ცივი ხმით, — არ ვიცი!

— ქეთუ... ინატრე რამე, ქეთუ! ინატრე და შეგვისრულდება! ნატგრისთვალი იმ წუთშივე შეგვისრულებს! ინატრე, ქეთუ! — ემუდარებოდა ლადო.

— ვოი... ვოი... ვოი...

საშინელი იყო ეს ტანჯვა: თითქო რკინის ჭახრაკში დაატანა ვიღაცამ და აგერ-აგერ გაისრისებოდა. ყურებში ედგა ქეთუს მომკვეთი კივილი: ვოი... ვოი... ვოი... სული შეეხუთა, სიმწრის ოფლი გადაასკდა. ყვირილი უნდოდა, მაგრამ უმწეო ხავილიღა აღმოხდა და ამ წყვეტებში გაეღვიძა.

●

მზის მიდრეკამდე დაეხეტებოდა ქალაქში. სულ დაიარა ვიწრო, ვაზის ძირივით დაგრეხილი ქუჩაბანდები და ფოლორტები. სახლები, უმეტესად, ერთ და ორ სართულიანი იყო, თან აივნიანი. აშკარად ჩანდა: სიღნაღელ მოქალაქეებში ფართოდ აივანი კაი ცხოვრების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ქუჩები არ გამოირჩეოდა ხალხმრავლობით. მოედანზე, კინოთეატრის წინ, ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ. დროდადრო, მოზომილი ნაბიჯითა და ხელჯოხის კაკუნით მოედანს გადასჭრიდა პატიოსანი ღიპით დამშვენებული მოქალაქე... ძველი უბნები განსაკუთრებით საინტერესო იყო. აქ თითქო არაფერს ეცვალა იერი მის შემდეგ, რაც ერეკლე მეორემ სიღნაღი ქალაქად დაადგინა. ჩუქურთმიანი რიკულებით მორთული აივნები, კვადრატუ-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ფუურვილი

ლი, თხელი აგურით ნაშენი კედლები, მიხლართულ-მოხლართული კიბეები და პირდაპირ ქუჩაში გამოფენილი სარეცხი განუმეორებელ თავისებურებას ქმნიდა. ღრმად პატივცემულ მოქალაქეებს თავიანთი ჭიშკრების წინ გამოეტანათ სკამები, ჩამომსხდარიყვნენ და ტკბილად მასლაათობდნენ დღიურ ჭირ-ვარამზე. გზაგასაყარებში ღვინის სარდაფები ან პატარა სამწვადეები სარდაფებით, საიდანაც ცხვრის მწვადის მძაფრი სუნი, გარმონის ხმა და მოქეიფეთა „ჰარუნანო-თარუნანო“ გამოდიოდა...

მალე ქალაქის განაპირას აღმოჩნდა. აქედან იწყებოდა ქვიტკირის გალავანი. ასფალტირებული გზა ძველებურ თაღში გადიოდა და ტაფობისაკენ ეშვებოდა. ეს სიღნაღის მეორე ბეჭე იყო. გოდოლის შვერილებს მოეკიდა და ზევით აცოცდა. კარგა მაღალი გალავნიდან ქალაქიცა და ალაზნის ველიც ხელის გულივით ჩანდა. მცხრალ მზეს წითლად აევარკვარებინა მდინარის ზოლი და ყინულოვანი ტეხილები დაღესტნის მთებისა. მალე ძოწისფერი ნელნელა მიიფერფლა, დაიბინდა და ჩალურჯდა. მთელმა მიდამომ, თითქო რაღაც იდუმალის მოლოდინში, სული შემკო და გაირინდა. ნიავიც არ იძვროდა. ცაზე მეჩხრად აციმციმდნენ ვარსკვლავები.

და მობრძანდა ღამე!

ლადო იჯდა გალავნის ქონგურზე, უყურებდა ბუნების ფერისცვალებას და ვერ გაეგო: რატომ იყო ბუნებაში ყველაფერი ჰარმონიული, შეთანხმებული, გაწონასწორებული, ხოლო ადამიანი უცნაური წინააღმდეგობისაგან იქსოვებოდა? ადამიანიც ხომ ბუნების შვილია! ამდენი დაბრკოლება ძიების გზაზე? ამდენი მწარე გამოცდა? თითქო ვიღაც უხილავი დაეინებით უთვალთვალებდა მის ყოველ ფიქრს, მოქმედებასა თუ განსჯას. უთვალთვალებდა და მისხალ-მისხალ სწონიდა ფუნაესი სამსჯავროს სასწორზე... ნეტა ვინ იყო ეს უხილავი: — მფარველი ანგელოზი თუ მაცთური ეშმა? ან საით მიუძღვებოდა თავის წილხვდომილს? — ბოროტებისაკენ? კეთილისაკენ? ბოროტისაკენ, რატომ ვერ ჰპოვებდა საკუთარ თავში სურვილს ბოროტისა? და თუ სიკეთისაკენ, რატომ ვერ მისწვდა ბოლომდე კეთილ ნაყოფს, რატომ აქამდე ვერ მოიკლა წყურვილი?

საით მიდიოდა სიცოცხლე მისი? რას განუმზადებდა ბედი-მდევარი? როდის აიხსნებოდა ამოუხსნელი?

ყურს უგდებდა შინაგანად გახმიანებულ ამ ფიქრებს, თან მეორე „მეს“ ეუბნებოდა: „მოიცილე ეჭვები! ყველაფერს შეიძლებ, რადგან უფალი ხარ საკუთარი თავისა! მთავარია გინდოდეს! მთავარია გწყურდეს!“...

ქალაქი დაიწინწკლა ყვითელი წერტილებით. გაიფიქრა: სასტუმროში დაბრუნების დროაო. სასტუმრომ დღისით ნახული სიზმარი გაახსენა და იგრძნო: მთელი ამ დროის განმავლობაში, ქვეცნობიერად, სიზმარს დასტრიალებდა. „ის შენი შვილია, ლადო! შენი შვილია!“ — თითქო ხელახლა ჩაესმა ქეთეს ხმა. რა იყო ეს, ბედის დაცინვა? რა იყო ეს? „მაგრამ იქნებ მართალია? იქნებ მართლა ჩემი შვილია?“ — კითხვა ისე ცხადად წამოისვეტა, რომ გვერდის აკლისათვის ყველა გზა მოიჭრა და ლადო გამოუტეხდა საკუთარ თავს: ეს მართლაც შესაძლებელიაო! „თვითონვე იცი, რომ შესაძლებელია! ათმეტრზას ნაამბობის მერმე ყოველთვის ფიქრობდი ამას, მაგრამ არ გინდოდა გაგეგზიარა. აი, ახლა გეზმანა კიდეც... მაგრამ... ამოდენა ბედნიერება მე? ლადო იაშვილს? არა, შეუძლებელია! ქეთე, ქეთე ეს რა მიყავი! ცოდო ვარ, ქალო!..“

ახლა ლადომ, როგორც არასდროს, ისე მკაფიოდ იცოდა, რომ წავიდოდა სვანეთში. წავიდოდა უშბაზე, უკლებლივ მიიღებდა, რაც მისაღები დარჩენოდა — აესაც და კარგსაც. ვერ გადაეღობებოდა ვერაფერი — თვით სეკვდილის თეთრი აჩრდილიც კი. და გაახსენდა, ამ რამდენიმე დღის წინ სასაფლაოზე რომ ავიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნი სიბნელე იყო. გზა ერთმანეთზე მიხერგილ საფლავებს შორის გადიოდა. იდგა მორწყული ყვავილებისა და მიწის სუნი, გრილოდა. ყოველთვის, როცა ლადო სასაფლაოს ჭიშკარს შეაღებდა და მშობლების საფლავებისაკენ გზას დაადგებოდა, მძიმე, სულის შემხუთველი განცდა უწურავდა გულს და მერმე დიდ ხანს ვეღარ იშორებდა მარტოობისა და მიუსაფრობის ტვირთს. საკვირველი იყო, ახლა ეს შეგრძნება არ გასჩენია. თითქო იმიტომ კი არ მოვიდა აქ, რომ დედ-მამის ხსოვნისათვის პატივი ეცა, არამედ ფიქრები გაეზიარებინა მათთვის და რჩევა ეკითხა. რკინის პატარა კარი გააღო, იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც ხშირად ისხდნენ ხოლმე თვითონ და მამამისი გვერდიგვერდ. ბუნდოვნად მოჩანდა მარმარილოს თეთრი დაფები. მათ ქვეშ გზია მომცრო ბუჩქებით შემორგული საფლავები იყო. ლადომ დაიჩოქა და ხელი გადაუსვა ორივე სამარეს. მერმე ყვრიმალი დაადო მიწას. გაირინდა. ცრემლი არ წამოსულია, არ ჰქონდა ცრემლი.

...მამას თბილი ხალათი წამოეხურა, მუხლებზე წიგნი ედო, მაგრამ არ კითხულობდა. ლადო იატაკზე იჯდა, ღაწვი მამის გამხდარი მუხლისთვის მიეხუტებინა. მამამ დაძარღვული ხელი ასწია და თავზე გადაუსვა ლადოს. მთელი მისი მოფერებაც ეგ იყო.

— ღამელოცე, მამა!

— არ იწლი, მიდიხარ?

— ჰო, უნდა წავიდე.

— უშბა მაღალია, შვილო, ზვავიანი.

— ვიცი.

— და მაინც?

— იქ ჩემი შვილია, მამა. იქ ფარული აზრია. იქ განწმენდაა.

— ძნელი გზაა, იცოდე.

— მინდა სიძნელეე. ისე ვერ დაიბადება ნამდვილი თავისუფლება. უნდა იტანჯო, რომ გათავისუფლდე.

— მეშინია, ხიფათს არ გადაეყაროო.

— მეც მეშინია. თან მიყვარს შიში, რადგან ვიცი, მასზე მაღლა ვდგავარ.

— ვაი თუ ამაოდ დაიხარჯო.

— სანამ არ გამიგია რა შემიძლია ავად ან კარგად, როგორ დავიხარჯები?

— ხელმომართულს გევლოს, შვილო, თავს გაუფრთხილდი. ოჯახი შენს ბეჭებზეა დგას.

დედაც იქვე იყო. შესცქეროდა უსიტყვოდ, ცრემლჩამდგარი თვალებით. მოეხვია და შუბლზე აკოცა.

როცა თავი ასწია, დაინახა, რომ მთვარე ამოწვერილიყო და მკრთალად გაენათებინა საფლავების ვერცხლისფერი რიკულები. გულისმომწყვეტელი სიჩუმე სუფევდა. ლადომ ხელი მოუსვა მარმარილოს დაფებს იმ ადგილას, სადაც დედისა და მამის სურათები იყო ამოტვიფრული.

— მშვიდობით, — თქვა ჩუმად და გამოვიდა.

ეჩქარებოდა ქალაქში დაბრუნება. უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაენახა ადამიანები, განათებული ქუჩები. თავი ვეღარ შეიკავა და გაიქცა. სულმოუთქმელად ირბინა ჭიშკრამდე. ჭიშკართან ვიღაც იდგა, პაპიროსს ეწეოდა. შუქი ციცინათელასავით ელავდა ბნელში. ფეხის ხმაზე ჯიბის ფარანი აანთო და პირდაპირ თვალებში მიანათა ლადოს.

„ჩხუბს გადავეყარე, ნაღდია“...

— ლადოჯან, შენა ხარ?

მესაფლავე ამირანი იყო. ლადოს გულზე მოეშვა.

— მე ვარ, ამირან.

— ვიფიქრე, მკვდარი გაცოცხლებულა მეთქი და თმები ამებურძგნა, — ჩაიხითხითა ამირანმა, — ამ შუაღამისას აქ რა გინდა? დღე აღარ დადგებოდა, შე დალოცვილო?

— ღამე მირჩევნია, უფრო თავისუფლად ვარ.

— რა სიცხეები დაიჭირა, კაცო, ჰა? „დაჩაზე“ არ აპირებ?

— აგარაკი რა ჩემი საქმეა, ამირან, აი, მთაში კი წავალ მალე.

— მთაში? მთაში რა გინდა?

— უნდა ავიდე.

ლადოს სიამოვნებდა ამირანთან ბეჭუტური.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ფუურვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაღალია?

— იცოცხლე...

— მერე არ გეშინია, ძმაო? ერთიც ვნახოთ და გადმოვარდი. პრასი ხომ არა ხარ, მეორედ ამოხვიდე?

— წინასწარ ვიდარდო?

— ეე, კარგი თუ ღმერთი გწამს. დაგავალეს?

— არა, მე თვითონ...

— შე კაი კაცო, რაღა შენ ეძებ სიკვდილს? დრო მოვა, თვითონ მოგძებნის.

— გემოც იმაშია, რომ მოძებნი და დაამარცხებ.

— ეეჰ, ლადოჯან, სიკვდილის დამარცხებაზე კი ბოდიში, ვერ მოგართვეს. ჯოჯია ნესტორას „ბუტკაში" თითო არაყი დავარტყად. რას იტყვი? მე გადავიხდი, ისე კი არ გეგონოს.

ლადომ მხარზე მოუთათუნა ხელი.

— გმადლობთ, ამირან, არა ვსვამ. მთაში ვეღარ ვივლი.

— გირჩევ არ წახვიდე, ლადოჯან, სახიფათო საქმეა.

— უხიფათო ცხოვრება რაღაა?

— მე გითხარი, ეხლა შენ იცი.

— საფლავებს კარგად მიმიხედე, ამირან. გავსწორდებით.

— ფიქრი არა გქონდეს. საკუთარი შვილივით მოვუვლი.

ლადო გამოეთხოვა, ტროლეიბუსში ავიდა. მის მეტი არავინ იყო. დაჯდა და იგრძნო, რომ გული უკიდურესად ჰქონდა დამძიმებული.

ქვევით მოჩანდა ათასფერი ნათურებით გაბრწყინებული დიდი ქალაქი.

●

ბოდბისხევის ბაზრობა დოვლათითა და ბარაქით მთელს ალაზნისპირა კახეთშია განთქმული. დახლებთან გარუჯული, ნაშრომ-ნაჯაფი კოლმეურნეები დგანან და ალაფი მარჯვენით მოწეულ ჭირნახულს სთავაზობენ მუშტრებს. ცხელა, ხვატისაგან სულთქმა ჭირს. ბაზარში მაინც უშტი და უშქარი ხალხი ირევა. არის ყურისწამღები ყაყანი და ვაჭრობა. ლადო კმაყოფილებით დაახჯეებს დახლებშუა და ცდილობს ყველაფერი დაინახოს, მოიკითხოს და დაამახსოვროს. რა ღონისაც ბაზარია, იმ შეძლებისაა სოფელი — ეს კარგად იცის ლადომ და უხარია, საკუთარი თვალით რომ უყურებს ქართული მიწის პოხიერებასა და სიმსუყეს. მწვანილეულის რიგში უმეტესად, დედაკაცები ვაჭრობენ. ეს სადედაკაცო საქმეა. დახლზე მწვანედ ხასხასებს ოხრახუში, ქინძი, ომბალო, ქონდარი და კამა. ყვითლად ჭიატობს სურნელოვანი ზაფრანის გალები. იქვეა წიწაკტი, შებერებული ტარხუნა, კოხტად გაბანილი თვის ბოლოკი და წნელით შეკრული ქორფა ხახვის კონები. მწვანილეულის რიგს ხილისა მოსდევს. პირამიდებივით აუკოკოლავებიათ ვაშლი და მსხალი, დინჯად განისვენებს თაფლივით ტკბილი გუდა ლეღვი, მუქლურჯად მიბინდულა მუშტისტოლა ღორქლიანა, თვალს ახარებს გაკოცილი ნედლი კაკალი, მაგრამ ყურძენი მაინც სხვა რამ ხილია და სხვა მაზახდაც ადევს. ყურძენს უეჭველად კაცი ჰყიდის. ისე ფრთხილად, სათუთად, სიყვარულით იღებს თვითეულ მტევანს დახლიდან და ალაგებს სასწორის პინაზე, თითქო საკუთარ გულს აყოლებდეს მუშტს. ო, რა ყურძენია! თითო მტევანი ორი მტკაველი მაინც იქნება — ნამდვილი ქიზიყური რქაწითელი. მარცვლები ისე მკვრივად მინაბდულა ერთმანეთზე, რომ კუმპალის მოძებნა გაგიჭირდება.

— მიირთვი, არ მეგეწონება. ფული არ მინდა, — ეპატიჟება გლები ლადოს.

— კარგია, ძია კაცო, კარგი! ბარაქა ნუ მოგაკლოს!

მზერით ეალერსება დამკრახულ მტევნებს და ამურმურებულ მყიდველებში გზას მიიკვლევს. ქვიტკირის კედელთან ყარფუზისა და ნესვის გორები დამდგარა.

სასწორთან საზამთრო დევს, ზედ წითლად აღუებული, ჩაშაქრებული სამკუთხა ნაჭერი ადევს.

— ტიბაანურია, ტიბაანური! — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძახის ბიჭი და თეთრ კბილებს აელვებს.

მეორე, შალაფის თხელ ფენაზე ზანტად წამოწოლილა, თვლემს და წამღერებით ამბობს:

— ნა რაზრეზ! ნა რაზრეზ! ნა რაზრეზ!

— პაჰ, პაჰ, რა ნესვია, კაცოო! — იკაპეკნა მესამე, თან სურნელოვან ნესვებს ხელში ათამაშებს, — ცოტაღა დარჩა, აი!

იქვე მწნილეულის რიგია. ლამაზად ჩარიგებული სხვადასხვა ზომის კასრები, რომლებშიც ხანჯალივით წვერწამახული წიწაკის, ქარვისფერი ჯონჯოლის, ნივრის, პამიდვრისა და პარხლის წვენით შენელებული კომბოსტოს მწნილი ჰყრია. მწნილს რომ ყველი, პური და არაყი უხდება, კარგად იცის იმან, ვინც ჯერ არს. ამიტომ: დახლზე უხვად აწყვია გუდის ყველის გულამოყვითლებული კვერები, შინაურ თონეში გამომცხვარი ფაშარი შოთები და ლტრიანებით „ჭაჭა“. გამოიღლის ვინმე ბოღლიწო მუშტარი, ჯონჯოლზე გული მიუვა, იყიდის, მერმე „დედას პურსა“ და ყველსაც აიღებს, მაგრამ ლუკმა ყელში გაეჩხირება, თუ ერთი „ტაქანიც“ არ ჩაეცხლა. დაილოცება, გადაჰკრავს და წავა თავის გზაზე.

ვის არ შეხვდებოდით ბაზარში: მთელი ქიზიყის ახლო-მახლო სოფლები აქ იყვნენ ჩამოლაგებული. ჯგროდ დადიოდნენ დაღესტნელი ლეკები. ამ სიცხეში ცხვრის ტყაპუჭები და ცხვრის ტყავისვე წილამურებიანი ფაფახები ეხურათ. ვერცხლის კოპლებიან ქამრებზე მოსევადებული სატევრები ჰქონდათ ჩამოკიდული. წვერმოშვებულები, მუგუზლებივით აელვებდნენ თვალებს.

ლადოს დილიდან არაფერი ეჭამა. მჟავე-მჟუვისა და „დედას პურების“ დანახვამ კიდევ უფრო გაუცხოველა შიმშილი, მაგრამ მარტოდმარტოს დახლთან დადგომისა შეეხთარა და ისევ სახინკლისაკენ გასწია, რომლის აბრაც ბაზრის ბოლოში ჩანდა.

შესასვლელი ძველ ფარაჯაში გამოწყობილმა ბიჭმა გადაუღობა. ოფიცრის უკოზიროო ქუდი ეხურა. ლადო მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და სცადა გვერდი აევლო,, მაგრამ ბიჭმა ისევ უყველა.

— ალ გაგიშებ!

— რადა, ბატონო?

— იმიტომ, ლო ალ გაგიშებ!

საოცრად მეტყველი შავი თვალები ჰქონდა, ბოჩოლას თვალები. ჯერ კიდევ ბავშვური ლოყები მეჩხერ წვერს დაეფარა. მაზარაზე ათასგვარი ნიშნები მიებნია: ზოგი ფიზიკულტურელისა იყო, ზოგი ნიშნები მსროლელისა, ზოგიც მებრძოლ უღმერთოთთა კავშირისა.

— მშია, ძმობილო, — ღიმილით უთხრა ლადომ.

— გშიოდეს ლა! მთელი მილიცია ლო მომიყვანო, მაინც ალ გაგიშებ!

— რა გქვია?

— ტალიელა მქვიან.

— აუ, ვისი სახნია ჰყოფილხარ! გინდა ხინკალზე დაგპატიჟო?

— ტალიელა მქვიან.

— ა?

— ჰო! ჰო!

— ალ მინდა შენი ხინკალი! მთელი მილიცია ლო მამიყანო, მაინც ალ გაგიშებ! — გაჯიქდა ისევ, — ჯუღუნა ქეიფობს!

— ჯუღურა ვინ არის?

— ი! ჯუღუნა ალ იცის! — ტარიელამ გაკვირვებისაგან პირი დაიღო.

— ბიჭო, ტარიელ, გაიწი — დაიკარგე მანდედან! — გამოსძახა შიგნიდან დახლიდარმა. ტარიელა ნაცემი ძაღლივით გაიძურწა და კუთხეში დაჯდა. ლადოს შეეცოდა.

სახინკლეში ხალვათობა იყო. მხოლოდ განაპირა მაგიდას უსხდა ოთხი მოზვერივით ჯმუხი ბიჭი. კარგა მაგ-

---

თეიმურაზ ბაღლაფერიძე
ფუფრალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შეღვინებული იყვნენ. ერთი სიმღერას ცდილობდა:

ნეტავი ხელით შემახო
შენ რო ვარდი გქონ მკერდშია...

„ალბათ ეს არის ჯუღურა“, — გაიფიქრა ლადომ.

უცხოს დანახვაზე მოქეიფეებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და გაჩუმდნენ. ლადომ დინჯად გაიარა, ტარიელასთვის მხარზე ჰქონდა მკლავი გადახვეული. დახლიდარმა შეუბღვირა.

— მე არ გითხარ, გაიწი აქედან, მეთქი?

— იყოს, მე მოვიყვანე! — უთხრა ლადომ, — რას ერჩი?

— გიჟია. — დახლიდარმა ჩაუჩურულად გაიღიმა, — აფრენს. ისე, წყნარი კია, ჭიანჭველაᲐ ფეხ არ დაადგამს.

— ჰოდა, ვაფლენ! კიდევაც ვაფლენ! მელე შენ ლა? — გული მოიცა ტარიელამ.

— ხინკალი გაქვთ?

— აღარა; რაც იყო, სულ იმათ წაიღეს. მეტ აღარ ჩავყრით.

ე რა ჩიტი მოფრენილა?
სადან და სადაური?

მოისმა უკნიდან. გაიცინეს. ლადომ იგრძნო ვისი მისამართითაც იყო სიმღერა ნათქვამი. შეიწკიპა.

— ჩვენი ძმა! — დაუძახა რომელიღაცამ, — ჩვენი ძმა!

— ალ მიხიდე, — სწრაფად უჩურჩულა ტარიელამ, — ოხელი ხალხია.

— თუ რამე გითხრან, მაითმინე! — ჩაულაპარაკა დახლიდარმაც, — მირზაანელი ჯუღურა გაგიგონია? ისა ქეიფობს, ცეცხლადამც შარგებია! აკი იმიტომ არავინ შამოდის!

დახლიდარს თავისი ედარდებოდა.

— ჩვენი ძმა! — მოისმა ისევ.

— მე მეძახით?

— მა ვისა? აბა ერთი აქეთ მობრძანდი!

ლადო აუჩქარებლად მივიდა. ოთხნი იყვნენ. ველური ტახებივით ატრიალებდნენ ჯიღა თვალებს. „ცოტაა შანსები, მაგრამ ქვეშიდან მაინც არ გამოვალ. — გაჰკრა ლადოს, — ეგრეთვე, ბოთლის აღება უნდა მოვასწრო“.

— ეგრე რო გადი-გამოდიხარ, თქვენში გამარჯობა არ იციან? — დააძგერა ჯუღურამ.

— ვისაც არ ვიცნობ, სალამსაც არ ვეუბნები, — მშვიდად უპასუხა ლადომ.

პასუხი მოულოდნელი იყო და ჯუღურა წამით შეცბა.

— მაშინ, ერთი ტაქანი დაგვილიე!

— წესად არა მაქვს უცხო სუფრასთან ღვინის დალევა.

— რაო? — ჯუღურას გაწვდილი მკლავი ჰაერში გაუშეშდა.

— ეგრეა!

ჯუღურამ ბოროტად გაიცინა და ნელ-ნელა წამოიწია. „ბოთლს ვერ მივწვდები. სკამი, სკამი უფრო ადვილია“, — გაჰკრა ლადოს.

— წესად არა გაქვს, რა, განა პაპაშენი მარანია, რო!

კარებში გაჩხდარი, გაკნაშული მილიციონერი გამოჩნდა. ეჭვით შეათვალიერა მოქეიფეები და ლადო.

— ჰა, ვერანებო, ხო ჭკვიანად ხართ?

— ბატკნებივითა ვართ, მიტოჯან, ბატკნებივითა, — დაითაფლა ჯუღურა.

— ოდი, ძმურად დაგვილიე.

ჩხუბის ღრუბელი გადავლილი იყო. ლადომ გასასვლელს მიაშურა, გულის სიღრმეში კი ეწყინა — ასე იოლად რომ ჩაიფარცხა ყველაფერი. ისევ შეერია ბაზარში მოზიმზიმე ხალხს და იმ რიგზე აღმოჩნდა, სადაც ღვინით ვაჭრობდნენ.

ტიკები, კასრები, მოწნული ბოცები, კოკები და ხელადები წესისა და რიგის მიხედვით ელაგა დახლზე. სულ განაპირა სერთი ბერიკაცი იდგა, კასრს დაყვით ჩამოყრდნობოდა და სევდიანი თვალებით აცილებდა გამვლელ-გამომვლელს. ლადოს შორიდანვე მოეწონა.

— რა ღირს შენი ღვინო, პაპავ?

ბერიკაცმა აუჩქარებლად აჰხედ-დაჰხედა.

— მყიდველი ხარ, რო?

— რატომაც არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რავი, აი წეღანაც შენითანა ჯეელებმა ჩამოიარეჲ, ერთი ათ ლიტრიანი გამამართვეჲ და ფული ჯერაც არ მოუციათ.

— მოგცემენ, პაპა!

— ისემც მოკლეიანთ ჯიღურაჲ... — ბერიაკაცა უშვერად მიაგინა, — ყაჩაღია ეგ ჩემიჲ გადანგრეული და აბა თუ ვინმემ ხმა გაჲცეჲ, კაცო!

— ჯიღურა? სახინკლეში ქეიფობს.

— არ ვიცი, რო? დოზანაში უქეიფნია, აჰა!

— მაინც რას აფასებ, პაპა?

ბერიაკაცმა უთხრა.

— სხვები რომ მანეთად ჰყიდიან?

— სწვამ თავისი იცის, მე — ჩემი. გინდა — აიღე. არ გინდა, ღმერთმა ხეირი მოგცეჲ.

— რადა ეგრე ძვირად, პაპა, ჰა? — დაინტერესდა ლადო.

— რადა და მადა, რომა ჩემი ნამდვილი ღვინოა, ნამდვილი რქაწითლიჲ წვენი, ვენაცვალე მაგი მადლსა! სხვიჲ ნაწუწწკალ და მდღვრიო ღვინოჲ მიდარებ? თუ მცნობელი ხარ, გასინჯე და გიიგებ.

ლადომ ფული გაუწოდა.

— არ მინდა გასინჯვა. აჰა, ხუთი ლიტრისა აიღე.

ბერიაკაცმა დინჯად დათვალა, შეინახა.

— ჭურჭელი?

— აქვე უნდა დავლიო, — უთხრა ლადომ ღიმილით, — შენთან ერთად! შეიძლება?

ბერიაკაცს ჭროღა თვალებში სიფრთხილე ჩაუსახლდა, ემანდ არაფერს მატყუებდესო. რა იცი, ამ ტიალ ბაზარში ათასი ძაღლი და მამაძაღლი დაეხეტება...

— ეგ მითომ რაღა მაიგონე? — ჰკითხა ეჭვით.

— შენ ჩამოასხი! მე ყველსა და მწვანილს მოვიტან, — უთხრა ლადომ და გაიქცა.

მალე სუფრა გაიშალა. დახლზე ყველი, ჯონჯოლი, ბოლოკი, წიწმატი, ხაჰი და შოთები დაალაგეს და გახურდა სადღეგრძელოები. გამგელები ღიმილით უყურებდნენ ბერიაკაცს და სვანურქუდიან, წვერგრეშვებულ უცნობს, მწყურვალებივით რომ ხვრეპდნენ პირდაპირ სველი ხელადიდან.

— ალექსი, ვინ იცი შენი დედაკაცი რასა გწყევლიჲ და გვოქამს, ჰა? — გამოსძახა ბერიაკაცს მეზობელმა.

— მითომ და რითვინაო?

— აემაგრე რო მიჲდგომიხარ და სომ.

— ჩემი საქმისა მე ვიცი! — ღაჟუდ უპასუხა ალექსიმ და ლადოს მიუბრუნდა, — შენ მაგაჲ ყური ნუ უგდებ. ქვაწვია, პურშავი კაცია... ერთიც დავლიოთ, ორი იქნება. კარგმა მუშამ უნდა დაჲლიოი და სხვასაც დაალეინოთ, მა როგორ? აემ ღვინოჲ რო უყურებ, ნახევარი ჩემი სისხლია!

— ბევრი მუშაობა უნდა, პაპა ალექსი?

— ეეჰ, უნდა, მართალია, მაგრამ ი დალოცვილი ბოლოჲ რო თავისაჲ გაამართლებს ხოლმე, იმაჲ რაჲ ჯობია.

ლადომ ხელადა ასწია.

— თქვენ შრომას გაუმარჯოს, პაპა ალექსი.

— იცოცხლე, შვილო. გიამა?

— მირონის ღვინოა.

— ღვინოჲ უთქმ: მამიარე და მეც მოგივლიო. ფაქიზი შანახვა უნდა, ძალიან მალალი რამეა. გადაღება ჩქარჩქარაჲ ჭირდება. თუ არ გადაიღე, მთლად გადაბრუნდება ღვინო, ეგრე რო სუ ეგემდღვრევა და ვეღარ დაწმინდებ.

— როგორღა გაიმეტე გასასყიდად, პაპა ალექსი?

— რას იზამ, შვილო, იცი რამდენი მუქთახორა გვასევია მე და ჩემ დედაკაცსა? სუ იმაჲ შამოგვახიან — მაიტა, მაიტაო. ბარემ კი მენანება, მაგრამ რა ვუყო, რით აუვიდე ამდენ დაღებულ ხახაჲ? ისე, ძალიან კი ვინახე, აი! როცა გლეხ დიდ ხან უნდა რო შაინა-

ხოჭ ღვინო, მაშინ ჩვენში იტყვიან ხოლმე, ქვევიზე ქინძი დათესაო, ესე იგი ჯერ ქვევრ არაჟ ხარჯამსო.

სიცხემ კიდევ უფრო დააჭირა. ბაზარში ხალხი შემეჩხრდა: მუშტრებმა სახლებს მიაშურეს, გამყიდველებმა ჩრდილს დაუწყეს ძებნა. ზოგმა პირდაპირ დახლზე ჩამოსდო თავი და წასთვლიმა, ზოგიც ტომრებზე გაიშოტა. ისევნებდნენ, რომ აკრილებულზე ისევ განეახლებინათ მუშტრებთან დავა და ყაყანი, ხოლო უფრო მოგვიანებით ვირის „კაკუკები" შეებათ და სოფლის გზას დასდგომოდნენ — ნავაკრით კმაყოფილნი ან ხელმოცარულნი...

პაპა ალექსი და ლადო ისევ დახლთან იდგნენ და შეექცეოდნენ. ორივეს გვარიანად შესჯდომოდა ღვინო და ლადო არაფერს განიკიდდა ახლა, გარდა ამ ბერიკაცის უსაზღვრო სიყვარულისა. უყვარდა მისი დაშაშრული ხელები, თეთრი ჯაგრით შემოსილი წითური პირისახე, კოსროზე მოგდებული თუშური ქუდი და საუბარი. ყველაფერი უყვარდა. უკვე იცოდა, რომ ალექსის სამი ვაჟიდან (ერთი ადრევე დაკარგვოდა ომში) არც ერთი სოფელში არ დადგა და ყარალანად დაეხეტებოდნენ ქალაქში. ახლა შინ ბებერი დედაკაცი და ომში დაღუპული შვილის შვილი ჰყავს, ეგ არის და ეგ. „მაინც რაჟ გარბიან ქალაქისაკენ ეჟ ჯელები, კაცო! რა თაფლი ჟცხია იქაურობაჟ იგეთი?„— შეწუხებული ჰკითხულობს ალექსი და ლადომ არ იცის, რა უპასუხოს. მერმე ლადო უყვება თავის ამბავს. უყვება დაუფარავად, ისეთ რამეებსაც უყვება, რაც ალექსის შეიძლება არც აინტერესებდეს და არც ესმოდეს, მაგრამ ლადო მაინც უყვება, სხვას ვერავის უამბობს და იმიტომ...

— შენ ეგ მითხარ, ქალაქშ რასა საქმიანობ?

— ამჟამად არა ვმუშაობ, პაპა.

— უშრომელი კაცი არ ივარგებს! — მოსჭრა ალექსიმ.

„საქმე! საქმე! თუ საქმეს არ აკეთებ, კაციც აღარა გქვიან! აგრე ფიქრობენ ესენი და მართალნიც არიან.

— მიიხედე! დანიშნული ხარ?

ლადოს გაეღიმა.

— არა, უცოლშვილო.

— რათა, კაცო?

ლადომ მხრები აიჩეჩა.

— დაიცა რა გითხრა! შენ ჯუგაანი გაგიგონია? იქა ვცხოვრობ, ალექსა რო იკითხო, ყველა გეტყვიან რა კაცია ვარ. წამო ჩემთან, ერთი შვილიშვილი მყამს, ლამარა, კაი მკვრივი გოგოა. შაირთე, დასახლდი და ბედ ეწიე. ჰა, მოგიდიჟ?

„იქნებ მართლაც ეგრე სჯობდეს... შეირთე და დასახლდი... მოიშორე მტანჯველი ფიქრები, შემაწუხებელი კითხვები, აუხდენელი სურვილები..."

— ვერ გამოვდგები, პაპა.

— მითომ და რატომაო?

— ქალაქელები, ხომ იცი, იოლ ცხოვრებასა ვართ მიჩვეული..

— მამა გიცხონდა! — ჩაიცინა ალექსიმ, — იოლი ცხოვრება მამინდომე?

ეს ისე გულწრფელადა თქვა, ლადოსაც გაეცინა.

— საქართველო ხარ შენ, პაპა!

— მეე — ალექსი ხითხითებს, — მე ვარ საქართველო? ჰი, ჰი, ჰი, რა გულიანად მაცინე! მე რა საქართველო ვარ, ცალი ფეხი სამარეში მიდგაჟ. საქართველო თქვენა ხარ, ჯელებო, თქვენა!

— ჩვენცა და შენც! — ჯიუტობს ლადო.

მეღვინეთა რიგის ბოლოში გამოჩნდა ჯუღუტა თავის ამფსონებით. თვითეულ მეღვინესთან ჩერდებოდნენ, რაღაცას ეუბნებოდნენ, ხარხარებდნენ და ნელინელ მოიწევდნენ ალექსისაკენ.

— ათი ბოთლისა, პაპა?

— ჰო, მაგი დედა კი...

— კაცი არ ვიყო, თუ არ მოვაცემინო!

— გაუშვი, კაცო, თავზეხელაღებული ვინმეა, ეხლახან გამოეთრია ციხიდან.

ჯუღურას ტარიელა მოუძღოდა და გაჰკიოდა:

— ცუმპა-ლამპა! ცუმპა-ლამპა!

— ალექსის ვახლავარ! ჰა, ხო არაფერი გეწყინა?!

ალექსი დაიკოხა, განზე გაიხედა — თითქო არც ჯუღურა შეემჩნიოს და არც ნაოქვამი გაეგონოს. ლადო დაიძაბა, მთელი სხეული შეეკუმშა, მაგრამ ვიდრე რამეს მოიმოქმედებდა, ჯუღურამ ხარხარით გადაადარა სვანური ქუდი და ალექსის გადაუგდო.

— აბა ერთი ამაში ჩამოუსხი ჩვენ ძმაკ!

იმ წამს ლადო ირიბად გაფრინდა და ისეთი თაური აჭამა, კედელს გაანგრევდა. ჯუღურა ფქვილის ტომარასავით მძიმედ წაწვა. ვიღაცას საპასუხო დარტყმამ თვალებიდან ნაპერწკლები დააყრევინა. შებანცალდა. კიდევ მიიღო კისერში და სახით მიასკდა ბოძს. მერმე აღარაფერი ახსოვს. ჰაიჰარად იქნევდა ხელებს...

— მაჯალით, მაგის.., — ღრიალებდა უცნობი ხმა.

ფუთიანი დარტყმები ყოველი მხრიდან ატყდებოდა თავზე.

— გააშლეთ, ხალხნო, მაჯალეს კაცი, — კიოდა ტარიელა.

როგორც იქნა გაარღვია წრე და გაიქცა. გარბოდა მთელი ძალ-ღონით. ყურებში ცხელი ჰაერი უწოდა...

სახინკლე არაბუნებრივად თეთრი იყო. თეთრი იყო ჭერიც, იატაკიც, კედლებიც. გრძელ მაგიდასთან გაბურძგნული ლეკები ისხდნენ. წილამურებიანი შავი ფაფახები ეხურათ და შიშველი, ვარვარა ხანჯლები სიბრტყივ აეფარებინათ სახეზე. ხინკალს ოხშივარი ასდიოდა, მაგრამ ხელს არავინ ჰკიდებდა — ყველანი ლადოს და ქეთუს მისჩერებოდნენ ანაკვერჩხლებული თვალებით. საიდანღაც გიეი ტარიელა მოფრატუნდა, თავი მდაბლად დაუკრა ლადოს და ქეთუს.

— ე ლადო, ისეთი ლამაზები ხალთ, კაცო!

ხანჯლიანი ლეკები არ იძროდნენ.

— წადით აქედან, წადით! — იხვეწებოდა თეთრი დასლიდარი.

ქეთუმ და ლადომ დაუჯერეს და გამოვიდნენ. ზამთრის ცივი, ბურუსიანი დღე. ჭუჭყიანი თოვლი დევს ირგვლივ. მთელ ბაზარში კაციშვილი არა ჩანს. კაუკეზზე ყელგამოღადრული წითელი დეკეულების მთელი ტყე ჰკიდია. ვის რად უნდოდა ამდენი უშობელის ტყვილ-უბრალოდ დახოცვა? არც მყიდველი ჩანდა და არც გამყიდველი. აქა-იქ დეკეულის თავები იყო დახოხოოლავებული. იცქირებოდნენ უაზრო, ჩამქრალი თვალებით და ქეთუს და ლადოს ძრწოლასა ჰგვრიდნენ. აი, მეღვინეთა რიგიც გამოჩნდა. არც იქ ჭაჭანებდა ძეხორციელი. უზარმაზარი კასრებიდან თხლეშინით იღვრებოდა წითელი ღვინო. ლადოს სწყუროდა. ძალიან სწყუროდა. კასრს მიეწაფა. ღვინო თავ-პირზე გადასდიოდა, გულში ესხმებოდა, წყურვილი კი მაინც ვერ მოიკლა.

— ოი, რა კარგია, — აღტაცებით იძახდა ქეთუ და ერთ ადგილზე ტრიალებდა, — მთელ ბაზარში ჩვენს მეტი არავინ არის! ოი, რა კარგია!

— მე აქ არა ვარ, კაცო?

პაპა ალექსი კასრზე გადამჯდარიყო. ლადოს გაუხარდა მისი დანახვა.

— აი პაპა, ეს არის ჩემი ქეთუ!

— აკი დანიშნული არა ვარო?

— შვილიცა გვყავს, პაპა ალექსი, მინდია!

ალექსიმ გაიცინა.

— რად მატყუებთ, თქვე კარგებო, ჰა? რად მატყუებთ?

—ცუმპა-ლამპა, ცუმპა-ლამპა, — მოისმა ამ დროს ტარიელას ხმა. ბანჯგვლიანი, ფაფახიანი ლეკები ორ მწკრივად დაწყობილი მოემართებოდნენ. სახეზე სიბრტყივ აეფარებინათ შიშველი ხანჯლები და თვალებს ნაკვერჩხლებივით აკვესებდნენ. ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ, — ხრაშუნობდა მათ ფეხქვეშ ჭუჭყიანი თოვლი. პაპა ალექსი სადღაც გაქრა.

— ვაიმე, ლადო, — დაიკვნესა ქეთუმ.

თეიმურაზ მაღლაფერიძე

წყურვილი

ლადოს შიშისაგან თმა აებურძგნა; ხანჯლიანმა ლეკებმა წრე შეკრეს მათ ირგვლივ — ჩუმად, უსიტყვოდ. „აბა რერა რამაიდა, ვოუ რერა რამაიდა", — მოისმა გამყივანი ხმა და ლეკები წარმოუდგენელი სისწრაფით აცეკვდნენ. ცეკვავდნენ, თან რიგრიგობით ხანჯლებს ასობდნენ მიწაში. მერმე ჩოფე გაჩნდა. ხარხარებდა და ზემოთა ღრძილი უჩანდა. „აბა რერა რამაიდა, ვოუ რერა რამაიდა", — ყიოდა მთელი ხმით. ხანჯლებმა წრე შემოფარგლეს. ლეკები გაპაჭრნენ: ჩოფემ სატევარი გაიძრო. წვერით მიაწოდა ლადოს. ლადომ გამოართვა. ხელი შეაჭრა გაალმასებულ ფოლადს, მაგრამ მაინც გამოართვა, შორს ისროლა. და იცოდნენ ქეთუმ და ლადომ, რომ ხანჯლების მიღმა ვერ გადავიდოდნენ. მთელი ბაზარი ცარიელი იყო. თავდაღმა ეკიდა ყელგამოღადრული დეკეულები. თეთრი რეპროდუქტორიდან გაისმა იაპონელი დების სიმღერა: „მოკრიფე ბედნიერების ყვავილები". საოცარი სინაზითა და ნაღველით მღეროდნენ: ცა კიდევ უფრო ჩამოიბურა — თითქო ბეჭებზე დაეწვა ქეთუს და ლადოს და ნელა, ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა შავი თოვლის ფანტელები. შავი თოვლი! შავი თოვლი! შავი თოვლი ეფინებოდა მიწას... მღეროდნენ იაპონელი დები და შავი თოვლი ეფინებოდა მიწას. საიდანღაც ცოლ-ქმარი ტატიშვილები გამოჩნდნენ. ნელი ნაბიჯით მოემართებოდნენ მათკენ. ხელში ბედნიერების ყვავილები ეჭირათ და გზადაგზა ფანტავდნენ.

— ვერ მოიტანენ ჩვენამდე, — გაიფიქრა ლადომ.

ელისაბედმა გაიღიმა და ლადოს ანიშნა: — უყურე, როგორი შავი თოვლი მოდისო.

— კარგის მომასწავებელია, — თქვა მან, — ისეთი სიზმარი ვნახე, კარგად ამიხდება.

მღეროდნენ იაპონელი დები და შავი თოვლი ეფინებოდა მიწას. ქეთუ ნელ-ნელა ჩაიკეცა ვარვარა ხანჯლების წრეში. ატირდა...

●

ლადომ ფრთხილად გაახილა თვალები: ცხადია თუ სიზმარია? ტანდაბალი ელი მუხის ძირში „კაჭკა" დგას. გვერდით ვირი აბია და გამმპარ ბალახსა სწიწკნის. ლადოს თავქვეშ მისი კეხი უდევს. იქვე ტარიელა ზის და ჩაცეებით უყურებს ალალი თვალებით. საშუადღეოდან მზე კარგა ხნის გადაწვერილია.

— აქ რა მინდა? — ჩუმად იკითხა ლადომ.

— ჰი, ლა ვი, აბა?

— შენ სულ აქა ხარ, ტარიელ?

— აქა ვალ, მაშ! ხო ალ მიგატოვებდი? მთელი მილიცია ლო მოსულიყო, მაინც ალ მიგატოვებდი.

— აქ საიდან მოვხვედი?

— ალ გახსომს, ლო გამაქეცი?

— ისინი სადღა არიან? — სწრაფად წამოჯდა ლადო.

— ჯუღულა? ლა ვი, აბა... — ტარიელა გაიბადრა, — რა მაგალი თაფლი აჭამე კაცოო! იგლე გაგოლდა, ლოგოლიც გუდულა. მაგლამ შენც მაგლა გილტყეჲ, ხო იცი!

— დიდი ხანია მძინავს?

— ლოგოლ ალა! მე წავედი, ქუდი ამოგიტანე. აი, აჰა! პაპა ალექსიმ კიდენა, ელთი ხელადა ღვინო გამოგიგზავნა, ალალი იყოსო.

— პაპა ალექსიმ?

— მაშ!

— არ უნდა გამოგერთმია, ტარიელ!

— იი! მე ლა ვი...

ვირმა, აქამდე წყნარად რომ წიწკნიდა ბალახს, თავი ასწია, დაიყროყინა. „აი, ჩემი კუთვნილი სიმღერა" — მწარედ გაიფიქრა ლადომ. თავი უსაკდებოდა. შუბლზე გვარიანი კოპი აჯდა. რაღაც ცუდი, შემაწუხებელი წინაგრძნობა უმღვრევდა გონებას, „ავტობუსი 7 საათზე გადის. ჩქარა თბილისში! რაც შეიძლება მალე უნდა ვნახო რიშარდი და დავაჩქარებინო სვანეთში წასვლა. აღარ შემიძლია მეტი!"

ქვემოთ, ფერდობში მოჩანდა ხალხმრავალი ბაზარი. იწყებოდა საღამოს ვაჭრობა. ლადოს წეღანდელი სიზმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაახსენდა. ცხადად ჩაესმა სიმღერა: „მოკრიფე ბედნიერების ყვავილები“ და ტანში გასცრა.

— ამ ხელადაჲ ლა ეუყო?

— პაპა ალექსი წავიდა?

— ჰო. შაბაბ თავი „კაჭკა“, დაუდო ღვინო და ჰელი, ბიჭო.

— მოიტა, — უთხრა ლადომ და დალოცა: — გაგიმარჯოს, ტარიელ, შენც, პაპა ალექსისაც...

— ი

მაია და რიშარდი და შერცხვა. იგრძნო: მთლად რომ შუბლი მიეჩეჩქვა უშბის პიტალოგზე, მაინც წავიდოდა...

დაშვება უფრო ადვილი იყო. ფეხს ჰკრავდა კლდეს და ნახტომებით იწევდა ქვევით, მალე ჩავიდა მიწაზე და თოკი შეიხსნა.

მაია და რიშარდი ბამბუკების კოროვთან იდგნენ. იქვე, ლეღვთახვევი მიჩხრიალებდა და ოდნავ მოშორებით, კლდის კალაპოტიდან, ჩანჩქერად ეშვებოდა დაბლა. ბამბუკების ჩრდილქვეშ მზის მცხუნვარება ვერ ატანდა, სიგრილე იყო.

— ცოტა მძიმედ მ...მუშაობ, ლადო, — თქვა რიშარდმა.

— როგორღაც ფიქრში გავერთე...

— ვითომ?

რიშარდმა ეჭვით გადაქნია თავი. მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა, რომ ლადოს ხელახლა შეება თოკი. და სანამ რიშარდი დაცვაზე დაუდგებოდა, კატასავით მარდად შეახტა კლდეს. რიტმულად, თანაბრად ამუშავებდა ხელ-ფეხს და ისე სწრაფად, შეუფერხებლად აიარა ვერტიკალი, თითქო კიბეზე აერბინოს. აიარა და მაშინვე დაშვება იწყო. მოძრაობაში დაოკებული სიმარდე და ძალა გამოუქვევიდა... არც ერთი ზედმეტი ილეთი, არავითარი ყოყმანი!

მაიამ აღტაცებით შემოჰკრა ტაში.

„ამის იმედი შეიძლება ჰქონდეს კაცს“, — გაიფიქრა რიშარდმა.

მერმე მხარმკლავები ნაკადულში ჩაიბანეს, გადაიცვეს, სავარჯიშო მოწყობილობა პატარა ჩემოდნებში ჩაალაგეს, ბოგირი გადაიარეს და ცაცხვებით დაბურულ ხეივანს შეჰყვნენ. ჩანჩქერის ზემოთ, ფრიალოს წვერზე თალარი იყო და ძელსკამებიც იდგა. აქედან ხელისგულივით ჩანდა ზაფხულის ხვატით მოხრუკული შავნაბადა, ორთაჭალა, სეიდაბადი, ხარფუხი, ნარიყალას დაღადრული ბასტიონები და ციმკავშირის ხეივნაში თასიანი და ხმლიანი „ქართველის დედის“ უზარმაზარი, თეთრი ზურგი.

მაიას ლურჯყვავილებიანი ჩიბუხი ეცვა. სადა, უპრეტენზიო ... ეცვა. ... იცოდა და რაც უნდა ჩაეცვა, ... და. ფიქრიანი, თითქოს დასევდიანებული იყო.

— მშურს, რომ მიდიხართ. მეც მინდა უშბა, — თქვა ჩუმად, — თან მეშინია.

— რისა?

— უშბის. იქნება სჯობდეს, რომ... რიშარდმა გაუღიმა:

— შიში ვერ იხსნისო... ხომ გ...გაგიგონია?

— ღმერთმა დაგიფაროს! — მაიამ მავედრებელის პოზა მიიღო.

— როგორ მიიზლაზნება დღეები... ვეღარ ვჩერდები თბილისში, — თქვა ლადომ.

— აგვისტოში ბ...ბეჩოში ვიქნებით, — თქვა რიშარდმა.

ისე ადვილად, ჩვეულებრივად თქვა „ბეჩოში ვიქნებითო“, ლადოს კინაღამ გააცივა.

— გაფრინდებით? — ჰკითხა მაიამ.

— ჰო. უნდა ვ...ვეცადოთ, თვალში არავის შევეჩხიროთ.

— ვეცადოთ...

— მგონი ყველაფერი გათვალისწინებულია. ხომ არაფერი გ...გავიწყდება?

— არა.

ლადოს არ აინტერესებდა ეს ამბავი და უგულოდ ეპასუხებოდა. სრული იმედი ჰქონდა რიშარდის პრაქტიკული ნიჭიერებისა.

ბოტანიკური ბაღის ხასხასა, ჩაბურული სიმწვანე ნარიყალას ორწოხებთან ილუოდა. მერმე ქალაქი იყო, რომელსაც მზის ოქროსფერი ნიმბი ედგა.

— თბილისის ბაღებიდან ყველაზე მეტად ეს მიყვარს, — თქვა მაიამ, — აქ რომ ვარ, თბილისს ისე განვიცდი, როგორც ადამიანს.

— მოგენატრებით, მაია? — რიშარდმა დიდრონ, ნუკრივით უზაკველ თვალებში ჩაჰხედა. მაიამ ერთხანს უსწორა მზერა. ყველაფერი იყო ამ მზერა-

ში: საყვედურიც, ალერსიც, უთქმელი მუდარაც, სევდაც და შიშიც...

ცას კრავებივით ლბილი, თეთრი და ხუჭუჭა ღრუბლები მოსდებოდა. ქვემოთ მოჩანდა მტკვრის კლდოვან ნაპირზე გაშენებული ისნის აივნიანი სახლები, აქვე, ახლოს კი ნარიყალას დუღაბიანი კედლები და თათრული მეჩეთი. ტიტლიკანა იეზიდი ბავშვები პირდაპირ ქვაფენილზე თამაშობდნენ.

— წამოდით ჩემთან, — თქვა რიშარდმა, — ისლანდიური ქაშაყი მაქვს. ლუდსაც მოვიტან.

— ქაშაყს ძმარი და ხახვი უნდა, — დიასახლისის კილოზე თქვა მაიამ.

— ვერა, — თქვა ლადომ, — ნუკრი მოვა. სახლში უნდა დავუხვდე.

— აბა რა ვქნათ? — რიშარდმა მომუდარე თვალებით შეხედა ლადოს და გაწითლდა, — ა?

— შენ და მაია წადით, — თქვა ლადომ.

— მაია, წამოხვალ? — გულის კანკალით ჩაეკითხა რიშარდი.

ლადომ, თითქოს ვერ შეამჩნია მაია რომ უყურებდა, განზე გაიხედა.

— წამოვალ.., — ჩუმად თქვა მაიამ.

●

ვიწრო, ტეხილ ქუჩაზე სახლები სიძველისაგან დაფერფლებული იყო. ჩამავალი მზის სხივები ფანჯრის მინებს წითლად აბრჭყვიალებდა. ნიავი არ იძროდა, მტვრიანი აკაციები გარინდული დასაცქერდნენ ტროტუარს. რიშარდი დუმილით მიჰყვებოდა მაიას მხარდამხარ. ძალიან უნდოდა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა, რომ მკლავზე მოეკიდა ხელი.

თბილი პურის სუნი მოვარდა. ახლოს თონე იყო და იქით გასწიეს. წელზევით შიშველ ხაბაზებს კინშოტებით ამოჭჭონდათ დაბრაწული შოთები თონიდან. რიშარდმა ორი იყიდა.

— ბრწყინვალე ვახშმი გ...გვექნება!

ჩაუარეს სუფგეორგის სომხურ ეკლესიას, სადაც აშული საიათნოვა გაინიავებს. ვიწრო ქუჩაზე შეუხვიეს, პურის მოედანი გადაჭრეს და ფეთხაინის გავლით სიონთან გავიდნენ. „მეტროპოლიტენი“ ჭრელი მოსახლეობა ცხოვრობს. ქართველები, სომხები, ებრაელები, თათრები ერთმანეთში არიან არეულნი და ხანგრძლივ ერთად ყოფნას მათს კილოზე და გარეგნობაზეც კი დაუმჩნევია კვალი.

„შევიდე სახლსა შენსა და თაყვანი ვსცე ადგილსა წმიდასა შენსა“, — ეწერა სიონის დიდებული კათედრალის კარიბჭეზე. ჩასასვლელთან ორი უპოვარი იჯდა. რიშარდმა შოთი გადატეხა და თვითეულს ნახევარ-ნახევარი მისცა. მაიას უსაზღვრო მადლიერებით აევსო გული.

ტაძარში აჭა-იქ ენთო თაფლის სანთელი. მიმკრთალებულ შუქზე მოვარცხლილი ხატები და გამოხუნებული ფრესკები ლაბრად ჩანდა. იდგა საკმევლის სურნელება. რამდენიმე მლოცველი კანკელთან დაჩოქილიყო და თავისთვის ჰუტუნებდა მიმწუხრის ლოცვებს.

სპეტაკწვერიანი ხუცესი ამბიონზე გამოვიდა, გადაშალა „დავითნს“ ჩააცქერდა და ამდერებული, სასიამოვნო ხმით მოჰყვა კითხვას:

„ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, უფალო“.

„სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო ძლიერო და ცხოველო. ოდეს — მე მოვიდე და ვეჩვენო მე პირსა ღმრთისასა?“

მაია და რიშარდი სულგანაბული უსმენდნენ, მაგრამ არაფერი ესმოდათ. ორივეს გამჭვირვალე, ნათელი, ყოვლისმომცველი სიხარულით ევსებოდა გული. ამ უხინჯო სიხარულს კიდევ უფრო აძლიერებდა მოვდლის ტკბილი ღაღადისი და ტაძრის იდუმალი გარემო. და არ არსებობდა მათთვის უფრო დიდი ღმერთი, ვიდრე სიყვარული!

— მაია...

თეიმურაზ მალლაფერიძე
ფაფუკგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიამ სწრაფად მიაფარა ხელი.

— ჩუ!

რიშარდმა მხურვალედ აკოცა ნებზე. მერმე კიდევ. მერმე კიდევ.

„შემუსრავსა ძუალთა ჩემთასა მყუედრიდეს მე მტერნი ჩემნი, იგინიდა მეტყვიედ მე მარადღე: სადა არს ღმერთი იგი შენი?“

„აწ რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე? ესევდ ღმერთსა, რამეთუ მე აუუარო მას, მაცხოვარსა ჩემსა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა“, — ისმოდა ამბიონიდან.

— ოღონდ მშვიდობით დაბრუნდით უშბიდან! — აღმოხდა მაიას.

შაოსანი მონაზონი მოფათურდა, ხმადაბლა, მკაცრად თქვა:

— აქ რა სამასლაათო ადგილი ნახეთ? აღარაფრისა გერიდებათ?

შემცბარნი და ალანძულნი ისევ სიონის ეკეზიაზე აკიდნენ. რიშარდი ამ ქუჩის ბოლოს ცხოვრობდა — „სალაყბოზე“, ახლა რომ ერკლეს მოედანი ჰქვია. სახლის წინ პაწია ბაღჩა იყო, სადაც რამდენიმე ვაშლის ხე და კომბოსტოს კვლები ხარობდა. ვაშლებს მჟავე ნაყოფით დაჰხუნძლოდათ ტოტები. უჩვეულოდ აღგზნებული მაიას ლურჯკოპლებიანი კაბა ბაღჩის ხან ერთ კუთხეში გაიელვებდა, ხან — მეორეში, სახეზე ილამუნებდა პრიალა ფოთლებს, ეალერსებოდა თვითეულ მათგანს, ნაზ, სასიყვარულო სიტყვებს ეჩურჩულებოდა და ეს ისე ბუნებრივად გამოუდიოდა, რომ რიშარდს მთენთავი ტკბობით ევსებოდა სხეული...

ოთახი პატარა იყო, ცალფანჯრიანი, სამაგიეროდ, ფანჯრიდან ნახევარი თბილისი ჩანდა: ბარათაშვილის აღმართი, „მტირალა“ კლდეზე ბუდეებივით მიშენებული სახლები, რიყის უბანი, ისანი, დარეჯან დედოფლისეული „საჩინოს“ ნაშთი და მეტეხის დიდებული სილუეტი.

— სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ, — თქვა მაიამ.

რიშარდს თვალები გაუფართოვდა.

— არა... მე მხოლოდ..., — მაია დაიბნა და გაწითლდა.

რიშარდმა პური დატეხა, სქელ ქაღალდში გახვეული თევზიც მოჩხრიკა.

— ფანჯარას გავაღებ, შეიძლება? ჩაიხუთა ჰაერი.

— მე თვითონ მ...მინდოდა მეთქვა. და საერთოდ, ისე მ...მოიქეცი, როგორც საკუთარ ოჯახში!

მაიამ ღიმილით დაუქნია თავი.

— მოგეხმარო?

— არა, რად მ...მინდა? აი, წყალს შემოვიტან და..., — რიშარდი ეზოში გაიქცა. ასე ეგონა: ხელების გაშლაღა მაკლია და ფრენას დავიწყებო.

ქველი, ნიკელის ბურთულებიანი საწოლი კაცური მოუხეშაობით იყო მილაგებული. საწოლის თავზე გულის ყინვარის მხრიდან გადაღებული უშბის დიდი ფოტო ეკიდა. იქვე, ჟურნალ „პოლ'მადან“ ამოჭრილი ზოპენის სურათი იყო მიმაგრებული. კუთხეში ეყარა: ზურგჩანთები, საძილეები, კარავი „პამირკა“, რკინით შეკეთილი ბათინკები, წრიაპები, რეპშნური, სპორტ-ქურა, ნეილონის თოკის მორგვი, კანისტრა სპირტისათვის, კლდისა და ყინულის პალოები, წერაყინები, სამთო ჩაქუჩი, „შტურმოვკები“... და წიგნები! სადაც კი შესაძლებელი იყო, წიგნები ელაგა. წიგნები — საწერ მაგიდაზე, წიგნები — ტანსაცმლის კარადის თავზე, წიგნები — განჯინაში, ჭურჭელთან ერთად, წიგნები — ლოგინის ქვეშ, ვარცლში და ასე გასინჯეთ, ლურსმანზე ჩამოკიდული ბაზრის ბადეურაც წიგნებით იყო გატენილი. ერთი სიტყვით, მაია დაუდევარი, მარტოხელა კაცის ბინაში იმყოფებოდა.

— როგორია ჩემი ბუნაგი? — დარცხვენილი ღიმილით ჰკითხა რიშარდმა და გრაფინი მაგიდაზე დადგა, — საუკ...კუნეა არ დამილაგებია.

— ძალიან მომწონს.

— დამცინი, ხომ? — სწრაფად დაჭრა თევზი.

— სულაც არა!

— მზად არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტა არავინ მოვიდოდეს, — ინატრა მაიამ.

— არავინ მოვა. სრულიად არავინ.

— მეზარება ჭამა, აი, ისე დავჯდეთ და ვილაპარაკოთ.

— როგორც გინდა, — რიშარდი ყველაფერზე ეთანხმებოდა.

მაია დაეინებით უყურებდა ნაბზარს, სადაც წეღან ფეხსაცმლის ქუსლი გაეჩხირა. რატომღაც აეკვიატა — ისევ გამეჩხირება და წავიქცევიო. ადგა, მეორე სკამზე გადაჯდა. საწერ მაგიდაზე სულ პატარა თოჯინა იდო, — ცხვირაბზეკილი ბურატინო. მაია მიეალერსა, ბავშვივით გამობურცა ტუჩები და აკოცა ცხვირის ჭვინტზე. ფანჯარაში გამქვირვალე სილურჯემ შემოიხედა.

— ავანთო შუქი?

— არა.

რიშარდმა ფრთხილად გამოართვა ბურატინო. მაია სიბნელეში ძლივს არჩევდა მის სილუეტს. ოთახში ირეოდა განცდების უხილავი ტალღა. „თითქოს მთვრალი ვიყო“, — შუბლზე გადაისვა ხელი. აზრები ებნეოდა. ძალიან დასცხა, წუთის წინ კი ძლივს იკავებდა კანკალს.

— მომეცი ბურატინო, — უთხრა რიშარდს, — მიყვარს...

რიშარდმა ფრთხილად აიღო მისი ხელი. „რა ნაზი თითები აქვს, — ფიქრობდა მაია, — ნაზი და ნერვიული“... თვალები დახუჭა. რიშარდი ცხელი ტუჩებით უკოცნიდა ნებებს ისე, როგორც წეღან, ეკლესიაში... და მაიას უხმინდებოდა: — „არ მოხვალ ჩემთან? ბოლოს და ბოლოს არ მოხვალ ჩემთან? ნერვიულ თითებს დაგიკოცნი და ავტირდები ნეტარების ჩუმი ცრემლებით“...

უცებ გაწყდა უხილავი სიმი, მაია საკუთარი თავისაგან გაითიშა, მთლად დანაწევრდა. ესმოდა რიშარდის გულის ბაგაბუგი ახლოს, სულ ახლოს, და ეჩვენებოდა: ცოტაც და, ეს აფორთხალებული გული ჩემში აძგერდება, მთლად ჩემეული გახდებაო.

პატარა ბურატინო ტკაცუნით დაარტყა ვარდა იატაკზე.

●

ლადოს კი ხანი იყო აღარ ენახა ნუკრი. შეცვლილი ეჩვენა: გამხდარიყო, შუბლზე დარები გამრავლებოდა, სათვალის მინებში ბეცე თვალებს კიდევ უფრო ხშირად აფახულებდა და ნატანჯი ღიმილით იღიმებოდა — ძველებურად ახლობელი და ძვირფასი.

ხალჩავადფარებულ ტახტზე ისხდნენ.

— შენც გვარიანად შეცვლილხარ, ბატონო! რაა, წვერი რომ მოგიშვია, ბერობას აპირებ? ისე, გიხდება! მთლად არსენას დაემგვანე.

— თუ ჰემინგუეის? — ლადოს გაეღიმა.

— იყოს ჰემინგუეი...

— უშბიდან რომ ჩამოვალ, მოვიპარსავ.

—კაცო, ეგ რაღა აიხირე? იმ ჟურავსკის თუ უყურებ, მთასვლელია, ბიძია! ალპინისტობა გინდა? ვინ გიშლის, მაგრამ სად გაგონილა უშბიდან დაწყება?

— თუ დაწყებაა, უშბიდან უნდა დაიწყო!

—რა ვაგიხდა ეს უშბა! თავი უნდა გადააყოლო სვანეთს? მე მგონი, შენი მოთხოვნითი საბოლოოდ გაასწორე იქაურობასთან ანგარიში.

— საუბედუროდ, ვერა!

— როგორ თუ ვერა, შე კაცო?

— ვერა-მეთქი!

— ცოდო ხარ, ბიჭო...

— გავუძლებთ! უნდა გავუძლოთ! უშბა — განსაწმენდელია. არ ვიცი, როგორ აგიხსნა.

— კი გავიგე. ლადო, მაგრამ...

— რაც მოსახდენია, ისედაც მოხდება. შენი საქმეები როგორ მიდის?

— სწორედ მაგიტომ მოვედი, — ნუკრიმ დარცხვენით გაიღიმა.

— რაო, ახალია რამე?

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ჟუჟგილი

— ასე ვთქვათ... საქმე ისაა, რომ...

— ჰო, ამოღერღე!

— თეატრალურ ინსტიტუტში მინდა ჩაბარება.

შეიცადა — რას იტყვისო. ლადო ჯიუტად სდუმდა.

— ამ ბოლო დროს მიმიკის თეატრმა დამაინტერესა. ვგრძნობ, რაღაცის გაკეთება შემიძლია. როდემდე ვიყო რესტორნის უხამსი ჯაზის მომღერალი?

— მადლობა ღმერთს, თუ მიხვდი! — თქვა ლადომ.

— ჰოდა, აი...

— რომანი? აკი ცხოვრების გამოცდილება უნდა დავაგროვო და მერე რომანი დავწეროო?

— გამოცდილება აი აქამდე დავაგროვე, აი! — ნუკრიმ ყელზე მოისვა ხელი, — რომანისა კი რა მოგახსენო. ძნელია! ნებისყოფა არ მეყოფა:

— მარსელ მარსობა ადვილი გგონია?

— არ გამომივა? მითხარი, თუ ძმა ხარ.

— ვერაფერს გეტყვი.

— მე არ შემიძლია შემოქმედების გარეშე, ლადო...

— მოეშვი ბრტყელ-ბრტყელს.

ნუკრიმ თმებში წაივლო ხელი.

— აბა რა ვქნა, რა?! რაღაცას ხომ უნდა აკეთებდეს კაცი?

— უნდა აკეთებდეს. მაგრამ...

— მაგრამ შემოქმედება ჩემი საქმე არ არის?

— გაიჩნია, რას უწოდებ შემოქმედებას.

— უჰ, რა იდიოტი ვარ! — ამოიკვნესა ნუკრიმ.

— ნუ სულელობ!

— ჰმ, ვსულელობ? მაშინ, მითხარი როგორ ვიცხოვრო! ყველა რაღაცას აკეთებს ამ ქვეყნად. მე? ვაჩხაკუნებ გიტარას და ვარ. ძლივს თეატრალურ ინსტიტუტში შესვლა გადავწყვიტე და, არ გინდაო. კარგი, ბატონო არ მინდა, მაგრამ სხვა რა გზას დავადგე?

— სამსახური უნდა იშოვნო, ნუკრი.

— სამსახური! — ნუკრის [illegible] — კი მაგრამ სად არის ეს სამსახური? მასწავლებლად რომ არ ვვარგივარ — დავრწმუნდი. ჩემთვის რა ვიცი, ბავშვებს რა ვასწავლო. შენ და მიიაესავით სხვისი ხელნაწერების ჩხრეკასთვისაც არ გამოვდგები — ნერვები არ მეყოფა. ჯაზი — მომძულდა სიკვდილივით. სხვაგან სად უნდა იმსახუროს ჩემი პროფესიის ადამიანმა? თანაც სამსახური კარგი რომ ყოფილიყო, შენ თავს დანებებდი?

— ჯერ ერთი, კი არ დავანებე, დამანებებინეს! ეგეც არ იყოს, გგონია უმუშევრად გავჩერდები? როგორც ჩამოვალ უშბიდან...

ნუკრი საგონებელში ჩავარდნილი აფახულებდა თვალებს.

— მერე, მწერლობა?

— არა მგონია ხელი შემეშალოს.

— ახალი გააკეთე რამე?

— ამას წინებზე მივიტანე რამდენიმე ნოველა.

— ისევ იმ ჟურნალში?

— ისევ.

— მე არ წამიკითხავს?

— არა, სულ ახლებია.

— შენი რწმენა და ნებისყოფა მომეცა! — ინატრა ნუკრიმ.

ლადოს მწარედ ჩაეღიმა. არაფერი უთქვამს.

— იმ ლავრენტია — მაკედონისტს ხომ არ შეხვედრიხარ, გაფიცებ ყველაფერს?

— თუ შემხვდა, უნდა წავახრჩო კატასავით. მტაცებენ ხელს და ჩამსვამენ. ჰოდა, ვერიდები.

— მოეშვი, კაცო!

— თვითონ არ მომეშვება, ისეთი ჯელია, — ლადო მოიღუშა.

— რაღა საქმე აქვს შენთან?

— გაიგებ? რომანოზმა მითხრა: წერილი დაუწერია თურმე ჩემს მოთხრობაზე.

— აი, დარდი! წეროს და იკითხოს, ვინ დაუბეჭდავს?

— ბეჭდავენო! წინასწარ ვგრძნობ.

ცილისწამების მეტი არაფერი იქნება იმ წერილში და მეტი კი არ უნდა ზოგიერთს. აბა, ლავრენტას წერილი ფეხებზე მკიდია მე!

საუბარი არასასურველი გზით წავიდა და ნუკრიმ ოსტატური გზით უგანა: — ასეა თუ ისე, ზედგამოჭრილი სულიწმინდა ხარ, უმუშევარი, უქმელი და უსმელი.

ლადოს გაეღიმა.

— სანამ ჰონორარი შემომელეოდა, ვიყავი როკფელერივით. ახლა, სხვა რა გზაა, კეთილი ადამიანების წყალობით ვცხოვრობ. ეს ცოლ-ქმარი ტატიშვილები რა ღვთისნიერი ხალხია, რომ იცოდე! დღე არ გავა, მოსაკითხი არ ამომიგზავნონ. ნეტა როდის გადავიხდი მაგათ პატივისცემას...

— მართლა, წეღან დავინახე: ისხდნენ შუშაბანდში ძველებური სურათივით და ისე მიყურებდნენ, ნაბიჯი ამერია.

— ასე სხედან სულ. სხედან და ელიან შვილის დაბრუნებას.

— მეტი არაა ჩემი მტერი! — ამოოხრა ნუკრიმ.

— გატყდა საწყალი ელისაბედი. ქვასავით ქალი იყო, უბრალო წუწუნს ვერ გაიგონებდი მისგან. ამ ბოლო დროს კი — გატყდა.

— ეხუმრები?

— ეჰ...

— აი, მაგათზე ღირს დაწერა. ამდენმა ხანმა განვლო, ომის ჭრილობებიდან კი აქ, ჩვენს თვალწინ, ისევ მოსწვეთს სისხლი.

— ვნახოთ, — ფიქრიანად თქვა ლადომ, — ვაპირებ, თუ გამომივიდა.

საუბარი ისევ ჩიხში მოექცა.

— ყველა — ყველა, მაგრამ ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? — იხუმრა ნუკრიმ.

— კაი ძროხის ჩალადაჯი, — ხუმრობითვე მიუგო ლადომ, — არ გინდა?

— რამ გაგიტეხა, შე კაცო, გული? — ნუკრიმ ჯიბე მოიჩხრიკა და წითელი თუმნიანი დაადგა მაგიდაზე, — წადი, მოიტანე რამე. კაი ცივი „რვა ნომერიც“ არ გვაწყენდა, ა? ნეტა მაიკი და რიშარდიც აქ იყვნენ, გზას დაგელოცავდით.

— მაიას და რიშარდს სამაგისოდ არ სცალიათ ახლა, — თქვა ლადომ.

●

ფანჯარაში აგვისტოს სავსე მთვარე იყურებოდა.

— მიამბე, — ჩუმად თქვა მაიამ, — კიდევ მიამბე...

— უშგულში ყორულდაშის უღელტეხილით გადავალთ. მაღლობიდან უცებ გ...ვამოჩნდება კოშკების ტყე — ზღაპარში რომ წაგიკითხავს, ისეთი. სოფელ ჩაკაშში ძმადნაფიცი მყავს — ჩარქსელანი. თავის კოშკს დაგვიმობს დროებით. კოშკიდან ხელის გ...გულივით მოჩანს შხარა. ელვარე შხარა.

რიშარდი გაჩუმდა.

— მიამბე. კიდევ მიამბე!

— მაია!

— შემოგვევლე!

— მართალი მ...მითხარი, გაწუხებს ენას რომ ვუკიდებ?

მაიას გაეცინა. მისი ხელები მოძებნა და თითები დაუკოცნა.

— ბედნიერი ვარ... ბედნიერი... ბედნიერი... და მეშინია!

— რის გეშინია, მაია?

— არ ვიცი... ბედნიერების მეშინია...

ფანჯრიდან ჩანდა აგვისტოს პირფართე მთვარე. ვეღარ გასძლეს ოთახში. ბაღჩაში გავიდნენ. მთვარე ვერცხლისფრად ავარაყებდა ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხეებს.

— ო, ადამ, მოიპარე ჩემთვის ვერცხლის ვაშლები, — უჩურჩულა მაიამ.

მიჰყვებოდნენ ქუჩას და უმწიფარ, მკავე ვაშლებს სჭამდნენ. ქუჩა ვიწრო იყო, მტვრიანი.

— უშგული მინდა, — თქვა რიშარდმა.

„ნეტა მართლა უშგულში ვიყოთ“, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობდა მაია, „არ მინდა არც ქალაქი, არც გამომცემლობა, არც თეატრი, არც ტელევიზორი... არაფერი არ მინდა, ოღონდ შენ იყავ ჩემთან და მაგრძნობინე, რომ ნამდვილად გჭირდები“.

— მეც! — თქვა ცრემლიანი ხმით, — მეც მინდა უშგული!

●

ზაფხულის ღამის უშფოთველი მყუდროება თავზარდამცემმა კივილმა გაიაო. ლადო და ნუკრი დაფეთებული გაცვივდნენ აივანზე.

ეზოში ცოცხლად იწვოდა ადამიანი!

მკლავები ხისთვის შემოეხვია. გიზგიზა ალი ტოტებამდე უწევდა. მეზობლის ქალი ლოყებს იხოკავდა. კიოდა. იქვე, სანდრო ტატიშვილიც დალანდა ლადომ. კისრისტეხით დაეშვა დაბლა.

— აარ მომეკაროთ! ააარ მომეკაროთ! — შემზარავი ხმით ღმუოდა ელისაბედი.

—ვაი, ჩემს გამჩენს! ვაი! — უმწეოდ ქვითქვითებდა სანდრო.

მთელი ეზო შეიყარა. ქუჩიდანაც მორბოდნენ უცნობები. ვიღაცამ მოიფიქრა, საბანი მოარბენინა. შემოფარეს. ძლივს დაცხრა აწყვეტილი ცეცხლი. ჰაერში დამწვარი ხორცის სუნი დატრიალდა. გამურული, დაღუდუდოებული ელისაბედი ახლა მიწაზე იწვა და ღმუოდა:

— სანდრო არ მოუშვათ! უბედური სანდრო არ მოუშვათ!

— ეს რა ჩაიდინე, ქალო! — მოსთქვამდა მუშტივით მოკუნტული სანდრო, — ეს რა მიყავი, ქალო!

— რა მოხდა? როგორ მოუვიდა? — ტორტმანებდა შემოგროვილი ბრბო.

— თვითონვე უქნია! — ჰყვებოდა ერთი ცრემლების ყლაპვით, — ბენზინი გადაისხა თურმე და ცეცხლი მოიკიდა!

— ვაიმე! ვაიმე!

— ნიკო, შვილო! მოვდივარ, შვილო!

ეს უკანასკნელი სიტყვები იყო. სანამ სასწრაფო დახმარება მოვიდოდა, ელისაბედიც განუტევა.

ატირდა ყველა: ნაცნობი, უცნობი, დიდი და პატარა.

ლადო და ნუკრი სანდროს შეუდგნენ მხარში. ცრემლი ახრჩობდათ.

— რაღა ექნა ახლა მე? — უსასრულოდ იმეორებდა გამეხებული ბერიკაცი, — ლადო, ბიჭო, რაღა ექნა ახლა მე?

●

წლების შემდეგ, ომში დაღუპული ნიკოს უნივერსიტეტელი მეგობარი, ცნობილი ლიტერატორი და მოღვაწე, თვითონაც ომის ჭირნახანი კაცი, თავის მემუარულ-ესეისტურ წიგნში „ასერგასის დღე“, წერდა:

„დიდხანს ელოდნენ ნიკოს მშობლები უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილს. ნაცნობებმა იცოდნენ, მაგრამ არ უმხელდნენ, რომ დაიღუპა. ტყვეობაში უნახავთო სადღაც, ატყუებდნენ და ანუგეშებდნენ მათ.

ბინა როდენის ქუჩაზე ჰქონდათ. უნივერსიტეტის ახლოს, ფიქრის გორაზე. ლექციების შემდეგ ხშირად გავუვლიდით ხოლმე მათ, რომ ტყვილები გვეთქვა და იმედი მიგვეცა. გასაოცარი სურათი გვხვდებოდა ყოველთვის: ტატიშვილების სახლის წინ პატარა ეზო ჰქონდათ. თვითონ პირველ სართულზე ცხოვრობდნენ. დაბალი აივანი პირდაპირ ეზოში გამოდიოდა. რამდენჯერაც კი მივიდოდით, ცოლქმარი, თითქო „საგანგებოდ გამოწყობილები“, ისხდნენ ერთმანეთის გვერდით გარინდებულნი და მიჰერებოდნენ ეზოს კარებს... ასე ელოდნენ ისინი წლიდან წლამდე, როდის შემოვაო ჩვენი ნიკო. ეს წარმოუდგენელია: ყოველდღე იჯდე აივანზე და ელოდებოდე... ელოდებოდე დილით, შუადღით, საღამოთი, ღამეც. — იქნებ ძილში მაინც მომეჩვენოსო... ასე იყო ერთი თვე... ორი... ათი... წელიწადი... წლები...

მერე ცხოვრება თავის გზით წავიდა.

ნუგეშის მიცემა უკვე უაზრო გახდა. ან ნუგეშს რა ძალა ჰქონდა, როცა ყოველგვარი იმედი გადაწყვეტილი იყო. ჩანს, უგნურები ვიყავით, თორემ იქნებ ისა სჯობდა, თავიდანვე გვეთქვა მოულოდნელ ზარზე უფრო მძიმე ეს გაუთავებელი მოლოდინი იქნებოდა.

ამბობენ, კაცი იმედით ცხოვრობსო. ჩვენც ვცდილობდით დაგვიმედებინა, მაგრამ ნიკოს დედა ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა:

— არა შვილო, სასწაული არ მოხდება, არ დაბრუნდება ჩემი ნიკო. ცოტას კიდევ მოვუცდი და მერე მე თვითონ წავალ მასთან...

ამას რომ იტყოდა, ისე ამოიოხრებდა, რომ თან გულს ამოატანდა:

...იმ დღეს მართლაც გადაეწყვიტა „ნიკოსთან წასვლა“. ეზოში გამოსულიყო, ჩვარი ნავთით დაესველებინა, ასანთი გაეკრა... და უბეში ჩაეგდო.

უცებ ავარდნილი ცეცხლის ალი ჯერ გულმკერდს მოედო თურმე, მერე მთელ ტანს და...

ყოველთვის, როცა ჩემი ბინის აივნიდან ფიქრის გორას გადავხედავ, ასე მგონია, ახლაც კელაპტარივით ანთია ცეცხლმოდებული ნიკოს დედა, ახლაც იწვის მისი დამჭკნარი სახე, ეზოს კარისკენ მიპყრობილი თვალები და თითრად განათებული ჯალარა.

●

რუსთაველის პროსპექტზე ჩამომდგარი მუქლურჯი სისხამის მყუდროებას რიშარდისა და მაიას ნაბიჯების ხმა არღვევდა. ხელიხელ ჩაკიდებულებს ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, მიწაზე ფეხს არ ეკარებათო.

მაღალ კვარცხლებეზე წამომართული ბრინჯაოს შოთა ფართოდ გახელილი თვალებით უმზერდა მარადისობას. რიშარდმა და მაიამ მოედანი გადაჭრეს, პოსტამენტთან მარმარილოს კიბით მივიდნენ, ჩამოსხდნენ და ზურგი ზურგით მიეყრდნენ ბარელიეფს, რომელიც ნესტან-დარეჯანის ქაჯეთიდან გამოხსნას ასახავდა.

ზეცა ნელიად ლაჟვარდისფერდებოდა. ღილს ნიავი ოდნავ არწევდა მონუმენტის წინ ტოტებჩამოშლილ ძეწნებს. საიდანღაც, სარწყავი მანქანა გამოღოღდა. წყალს მარაოსავით აშხეფებდა ირგვლივ. მალე, სულ მალე გაიღვიძებდა დიდი ქალაქი და ცხოვრების ყოველდღიურ ჰაპანს გასწევდა.

თავი IX

ნაძვნარიანი აღმართის ბოლოში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეთრი შენობა ჩანდა. შუადღე იყო, ქალაქს უკვე ასდიოდა სიცხის ალმური, მაგრამ ლადოს მთელ ტანში ცივი ერუანტეული უვლიდა. მოდი და, ნუ შეკითები: ცენტრალური კომიტეტი ხომ გამომცემლობის ადგილკომი არ იყო, ფეხები უკან რჩებოდა. ერთი-ორჯერ ისიც გაიფიქრა: სულ არ მივალ და ბოლოს და ბოლოს, რას მიზამენო, მაგრამ სად დაიმალებოდა? ან რა აზრი ჰქონდა დამალვას?! ლადო გაჩერდა, უმწეოდ მიმოიხედა. ქვაფენილიან ღაღმართზე განუწყვეტლივ ნაკადად ჩარბოდნენ გაკრიალებული მსუბუქი ავტომობილები. შოფრის გვერდით, ალბათ, ძალიან დიდი თანამდებობის კაცები ისხდნენ და იყურებოდნენ მხოლოდ წინ. ეს კიდევ უფრო აბნევდა ლადოს. გამომცემლობის დირექტორისა და ეკონალის რედაქტორზე უფრო დიდი სამსახურის პირი თავის სიცოცხლეში არ ენახა სასაუბროდ. იმ კაცის თანამდებობა კი, ვისთანაც დაბარებული იყო, შთამაგონებლად ეღერდა!.. რას არ მისცემდა, ოღონდ ახლა ვინმეს ეთქვა:

თეიმურაზ ბალლაფერიძე
ნუურგილი

ნუ მიდიხარ, აღარა ხარ საჭიროო. დასასჯელი იყო? დაესაჯათ, ოღონდ იქ მისცა აეცილებინათ თავიდან... გული წვეთწვეთობით ეესებოდა ბოღმითარ აკმარეს მოხსნა? არც ის, ამდენი ხანი უხელფასოდ რომ დაწანწალებს? რა უნდათ, აკი არავის აწუხებს — მომხედეთ, შემიბრალეთო? როგორც იქნება, გაიტანს თავს. ჰოდა, რა უნდათ, ახლა მის ლიტერატურულ საქმეებშიც უნდა ურიონ ხელი? განადგურებული, დაჯაბნილი და აბსოლუტურად მარტოდმარტო იყო. იფიქრა: ამხანაგებს გავიგებინებ, ვნახოთ, რას მირჩევენო, მაგრამ ვერ გადაწყვიტა. არ შეეძლო ასე დაბნეული და ჩიხში მიმწყვდეული დანახვებოდა ვინმეს, თუნდაც მეგობრები ყოფილიყვნენ ისინი. ერთადერთი, ვისაც მთელი არსებით, ნატრობდა — მამა იყო!.. როგორ სჭირდებოდა მამა! როგორ უნდოდა — ეგრძნო მისი თბილი, ძარღვიანი ხელის შეხება, გაეგონა წყნარი, მკერდისმიერი ხმა და დინჯი დარიგება. მაინც რას ეტყოდა მამა? ბოღმა მოიშორე და საკუთარ ხვედრს, გინდაც მძიმეს, პირდაპირ თვალებში შეხედეო! მაგრამ ქვისგან ხომ არ იყო გამოთლილი?

ამ ორი-სამი დღის წინ გაზეთში მსგავსი შრიფტით აწყობილი სათაური წაიკითხა: „გამრუდებული სინამდვილე“. ავტორი — ლავრენტი ბედიანი გახლდათ. სწრაფად ჩაათვალიერა. სტატია მის მოთხრობას ეხებოდა. ჰოო, რა ლაღად გაეშალა ლავრენტის ფანტაზიის ფრთები! და ერთადერთი აზრი, რომელიც ამ სტატიიდან გამომდინარეობდა, იყო: „ჯვარს! აცუთ, ჯვარს აცუთ ეგე!..“

სტატიას მთელი „სარდაფი“ ეჭირა. მისი წაკითხვის შემდეგ, საქმის ვითარებაში ჩაუხედავი მკითხველი იფიქრებდა: ლიტერატურაში გამოჯირითებული ერთი, ასე ვთქვათ, ნიჭიერი ახალგაზრდა, მაგრამ ვის რად უნდა მისი ნიჭიერება, თუკი უსინდისოდ შეაგინებს ყველაზე წმიდათა წმიდას ამ ქვეყნად: — საკუთარ დედა-ერსო! კიდევ კარგი, რომ ქვეყნის ქომაგის, ალპატიო საკარცხელში ამაყად ამოფარებული ლავრენტი ბედიანი და ხმალგაშიშვლებული იცავს არამკითხე მწერლისაგან შეურაცხყოფილი კუთხის ღირსებას! მახვშივით სეფე-სიტყვას ამბობს, თავხედზე უთითებს და ჰკივის: „ჯვარს აცუთ, ჯვარს აცუთ ეგე!“

და ლადომ, როგორც არასდროს, ისე ინანა, იმ დღეს რომ არ წაახრჩო ლავრენტი.

ეს მოხდა ორი-სამი დღის წინ, ახლა კი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იბარებდნენ. ალბათ უნდათ ნახონ, ვინ არის ეს არამკითხე მჯღაბნელი: ნახონ და საკადრისიც მიაგონ, ერთხელ და სამუდამოდ ასწავლონ ჯკუა! ლადო ისევ შეყოყმანდა: იქნებ მიუსველობა სჯობდეს? დღეს-ხვალ ისედაც აიბარგება ქალაქიდან, მოდგნენ და ეძებონ უშბაზე...

შეუჭმნევლად მიახლოებოდა შემინულ კარს და აღარ უფიქრია, შევიდა. ვესტიბიულში რამდენიმე კაცი იცდიდა. ჩუმად, როგორღაც საზეიმო იერით ისხდნენ. ლადომ დაბნეულად მიიხედ-მოიხედა, ბოლოს იაზრა და კედელში გამოკრული პატარა სარკელთან მივიდა.

— რა გნებავთ, მოქალაქევ?! — შეაგება სიტყვა ფორმიანმა თანამშრომელმა, თითქოს მის გამოჩენას ელოდაო.

— დედაბრიშვილთან ვარ გამოძახებული.

— გვარი?

ლადომ უთხრა.

— ინებეთ საშეი. მანდ სწერია სართულიცა და ოთახიც.

ლადო იმ წუთში აღარაფერზე ფიქრობდა, გარდა ერთისა: რაც შეიძლება მალე ენახა დედაბრიშვილი, მოესმინა მისგან გამოტანილი განაჩენი და უსაშველო მღელვარებისაგან გათავისუფლებულიყო.

დერეფნებში საქმიანი, დაძაბული სინუმე სუფევდა. ისე ავიდა საჭირო

სართულზე, არავინ დაუნახავს, არც ვინმეს გაუჩერებია. კრძალვით შეაღო შავმუშამბიანი კარი. მოელოდა, რომ პირდაპირ კაბინეტში აღმოჩნდებოდა და ცოტა არ იყოს გაკვირვებული მიაჩერდა მდივან ქალს.

— მე იაშვილი ვარ, — წაიბუტბუტა, — დამიბარეს...

მდივანი ქალიც გაკვირვებული უყურებდა წვერმოშვებულ, შუბლგაჩეხილ და ბეჭებში ფართოდ გაშლილ ახალგაზრდას, რომლის იერსაც აშკარად არ შეეფერებოდა ასეთი ბავშვური დაბნევა. მას თაკარა ზაფხულისთვის უჩვეულოდ ეცვა: შავი, მაჯებთან შესაკვნილი და შარვალში ჩატანებული პერანგი, ვიწრო, ლურჯი „ტეხასკა“ და სქელძირიანი ბათინკები.

—ახლავე მოვახსენებ.

ქალი მეორე ოთახის კარსუკან გაჰქრა. იმ კარსაც მუშამბა ჰქონდა გადაკრული. ლადო უყურებდა ერთადერთ ფანჯარას, რომლის იქითაც ვარვარა მზით განათებული ჭადრის ფოთლოვანი კენწერო ჩანდა. „ცუდადაა საქმე... აშკარად ცუდადაა!“

ქალი გამოვიდა.

— შებრძანდით! — უთხრა მოკლედ.

ასე ორმოციოდე წლის კაცი წამოდგა, ხელი ჩამოართვა, უსიტყვოდ ანიშნა სკამზე და კვლავ საწერ მაგიდას მიუჯდა.

— თქვენ ხართ ლადო იაშვილი? — თან მზერას არ აშორებდა, — ძალიან კარგი!

ლადო დიდი დაჭიმვით ინარჩუნებდა მოჩვენებით სიმშვიდეს. ვერ გაეგო: რას მოასწავებდა ეს „ძალიან კარგი“ და გადაწყვიტა, კრინტი არ დაეძრა, თუ უკიდურესად აუცილებელი არ იქნებოდა. კედელზე ვასილევის შესრულებული ლენინის პორტრეტის ფოტოპირი ეკიდა. ლენინი თბილი ღიმილით იმზირებოდა, თვალთა კიბეებთან კეთილი ნაოჭები ასხდა.

— მითხარით: რას ფიქრობდით, აქ რომ მოდიოდით?

უბრალოდ, ბუნებრივად ჰკითხა და ლადომაც გულწრფელად უპასუხა:

— მეშინოდა...

დედაბრიშვილს მკაცრი სახე ღიმილმა გაუნათა.

— მე კი ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა!

ლადო დაელოდა — მერმე რაღას იტყვისო.

— ადრე კი მინახიხართ, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, რომ...

ლადომ დაჟინებით შეათვალიერა. კეხიანი ცხვირი, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები, მტკიცედ, ცოტა ნერვიულად მოკუმული თხელი ტუჩები და წვეტიანი ნიკაპი ამ კაცის ასკეტურ ბუნებაზე მეტყველებდნენ. სად უნახავს?

— მამათქვენის მოწაფე ვიყავი.

— ა?!

— ომამდელი ამბავია. თქვენ მაშინაც როდენის ქუჩაზე ცხოვრობდით და მოწაფეები ხშირად მოვდიოდით. რა კაცი იყო! აი, ვის შეეძლო ეთქვა — ნამდვილი მასწავლებელი ვარო...

ლადო მოუსვენრად შეტოკდა, წამოიწია.

— ჩვენი კლასის დამრიგებელი იყო, მთელი ოთხი წელიწადი. ახლაც არ ვიცი: რა ჯადო ჰქონდა ამ კაცს ისეთი, რომ ყველანი ვლოცულობდით მასზე? შეუძლებელი იყო ოდნავ გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა ან დავეტუქსეთ. ცუდი ნიშანი ხომ არასოდეს დაუწერია! ან კი რატომ დაწერდა — შესანიშნავად ვსწავლობდით... ახლაც უყურებში მიდგას მისი ხავერდოვანი ხმა და მკაფიო დიქცია... ახლა ალბათ მარტო ცხოვრობთ, არა?

— დიახ.

— საკუთარ ოჯახზე არ ფიქრობთ?

ლადო მოგონილი ინტერესით დააცქერდა მუხლებზე დაწყობილ ხელებს.

— თქვენს პირად საქმეში ვერევი, მაგრამ...

— არა, რა სათქმელია!

— გამოცდილებით ვიცი: თუ დროზე არ მიხედა კაცმა მაგ ამბავს... რამდენი წლისა ხართ?

— ოცდაშვიდის.

— დროა! უკვე დროა, თორემ დარჩებით ჩემსავით!.. — დედაბრიშვილი ისე უბრალოდ ელაპარაკებოდა, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. თუმც, ამ უბრალოებაში მისი სრული უპირატესობა იგრძნობოდა.

— მითხრობა რომ წავიკითხე, მაშინვე ვიფიქრე: პეტრე მასწავლებლის ვაჟისა იქნება მეთქი. დამაინტერესა. სხვათაშორის, ამხანაგებიც დაინტერესდნენ. სულ მინდოდა თქვენი ხმობა, მაგრამ გადაუდებელმა საქმეებმა არ მომცა საშუალება. მერე ლავრენტი ბედიანის რეცენზია გამოჩნდა და მისი წერილიც მივიღე...

ამასობაში, ლადოს მთლად დაავიწყდა ლავრენტიცა და მასთან დაკავშირებული უსიამოვნებაც. დედაბრიშვილის ბოლო წინადადებამ რეალობას დაუბრუნა. შეაკრთო და დაძაბა. მიხედა: იწყებოდა მათი საუბრის საქმიანი ნაწილი. დედაბრიშვილმა უკრა გამოსწია, თავმოხეული კონვერტი და გაზეთი ამოიღო.

— აი, ბედიანის წერილი!

ლადო სდუმდა.

— ჯერ ის მითხარით: სამსახურს რატომ დაანებეთ თავი?

— მე არ დამინებებია.

— აბა?

— მომხსნეს.

— მიზეზი?

— ერთი თხოვნა მაქვს! შეიძლება?

— ვისმენთ.

— მზადა ვარ ყოველგვარი სასჯელისათვის, ოღონდ მაგ საკითხზე ნუ მალაპარაკებთ.

დედაბრიშვილს წვეტიანი ნიკაპი აუცახცახდა და მკცრად მოკუმული ტუჩები ღიმილმა გადაუსერა.

— სასჯელზე მერე ვიფიქროთ, ჯერ თქვა მშვიდად, — ჯერ მიამბეთ.

— სიმართლე გინდათ?

— სრული!

— დამიჯერებთ?

— რატომ არ უნდა დაგიჯეროთ? — ისეთი ტონით მიუგო, ლადოსათვის ცხადი შეიქმნა — დაუჯერებდნენ.

— არა ვარ დამნაშაევ! იმიტომ არ გეუბნებით, რომ სასჯელი ავირიდო!

— რა ურთიერთობა გაქვთ ლავრენტი ბედიანთან?

— არავითარი!

— გქონდათ კი?

— ერთად ვმსახურობდით. ეგ იყო და ეგ.

— რის საფუძველზე მოხდა თქვენს შორის განხეთქილება?

— შეიძლება, არც მაგ კითხვაზე გიპასუხოთ?

ლადომ მაგრად დახუჭა თვალები და ისე დაელოდა პასუხს.

— უპასუხოდაც ვიცი! ვიცი, რომ ცილი დაგწამეს და თქვენი რეაქციაც ამან გამოიწვია, — დედაბრიშვილი თანაბარი, მშვიდი ხმით ლაპარაკობდა, — მაგრამ უსამართლობის წინააღმდეგ ასე ბრძოლა სად გაგონილა? რა გამოვა, სხვებმაც რომ თქვენ მოგბაძონ? დაფიქრებულხართ ამაზე?

— მაშინ არა მქონდა ფიქრისა და განსჯის თავი, — ჩაილაპარაკა ლადომ.

— სამეც ეგაა! და თქვენმა მოწინააღმდეგემ იმშვენიერად ისარგებლა ამით!

დედაბრიშვილმა კონვერტიდან გაკეცილი თაბახის ფურცელი ამოიღო, ჩაათვალიერა.

— ბრალდებები ძალზე სერიოზულია! თქვენ თურმე გარყვნილებისა და ლოთობის ბუდედ აქციეთ გამომცემლობა. თურმე ჩხუბობდით და დებოშებს ტეხდით. შეთხზეთ და მოახერხეთ დაგებეჭდათ რაღაც პასკვილი. ამ პასკვილში დასცინეთ ხალხის წმიდათა წმიდა გრძნობებს... ერთი სიტყვით, თქვენ ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული ხულიგანი ხართ!

აი მოკლედ, რაც ამ წერილში სწერია... ამას დავუმატოთ გაზეთში გამოქვეყნებული რეცენზია და...

დედაბრიშვილმა გაზეთი გაშალა.

— მაგ რეცენზიას ვიცნობ, — თქვა ლადომ.

— რას იტყვით?

— ბედიანი უფრო მსხვილი მასშტაბის საქმოსანი ყოფილა, ვიდრე წარმოვიდგენდი.

— არ ცდებით, — დაეთანხმა დედაბრიშვილი, — წერილიცა და რეცენზიაც იქითაა გამიზნული, რომ საბოლოოდ დგაესვამოთ, როგორც მოქალაქე და მწერალი. კიდევ კარგი, თქვენი ნაწარმოები არ იძლევა საფუძველს, თორემ ყოველივე ამას შეიძლება სერიოზული გართულება მოჰყოლოდა.

— ვნანობ, რომ არ დავახრჩე!

დედაბრიშვილმა წარბები შეჭყარა:

— ნუ ბავშვობთ!

— მთელ სვანეთში გამიტეხა სახელი, — ლადომ უმწეოდ გაშალა ხელები, — იცით, რას ნიშნავს ეს ჩემთვის?

— მაგის მიხვედრა არ არის ძნელი, — ფიქრიანად წარმოთქვა დედაბრიშვილმა, — ვილაპარაკოთ ისევ თქვენზე. მიამბეთ რას წერთ, რაზე ფიქრობთ, რა გეგმები გაქვთ.

ლადო უხერხულად შეიშმუშნა.

— ბევრი რამის დაწერა მინდა. შევძლებ თუ ვერა, არ ვიცი.

— ახალს არაფერს ბეჭდავთ?

— ნოველები მაქვს მიტანილი.

— მერე, რაო?

— ორი კვირის შემდეგ დამიბარეს, მაგრამ ბედიანის წერილი ალბათ იქაც აამტუტებდა.

— ნუ გედარდებათ. თუ ნოველები რამედ ღირს, დაბეჭდავენ. ამჟამად წერთ?

ლადოს უნდოდა ეთქვა: ამ დღეებში უშბაზე მივდივართ და მთელი დრო სამზადისს მიაქვსო, მაგრამ გაახსენდა, რომ თქმა არ შეიძლებოდა და სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა.

— არა, ამჟამად არა.

— გასაგებია, — დედაბრიშვილს ხმაში მსუბუქი ირონია გაუკრთა, — ისევ ნებით ცხარე ლიტერატურული ბატალიების შემდეგ...

წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა კაბინეტში. საშუალო ტანისა იყო, არცთუ მკვრივად ნაგები. ნაცრისფერი, თხელი კოსტუმი უზადოდ ჰქონდა მორგებული. შუბლი ღრმა ნაოჭებს დაესერა და სახე კიდევ უფრო პირქუში გაუხდა — თითქმის მრისხანე. ეტყობოდა: დაძაბულად ფიქრობდა.

— თქვენნ ნაწარმოები ყურადღებას იმსახურებს. მე მჯერა, საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება მოგელით, თუკი იმ მძიმე შრომას არ გაექცევით, მწერლობას რომ მუდამ ახლავს თან... ნელი ნაბიჯით მიდი-მოდიოდა.

შეიძლება ქრესტომათიულ ჭეშმარიტებას ვიმეორებ, მაგრამ ვალდებული ვარ გითხრაო! მე მინდა იცოდეთ, რომ ლიტერატურა ნებიერი მუზების თავშესაფარი კი არ არის, როგორც ზოგს ეგონა და ახლაც ჰგონია. არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიდი სოციალური დაკვეთაა და ამიტომ, იგი ყოველთვის იყო და დღევანდელ ვითარებაში განსაკუთრებით არის — პარტიული და მხოლოდ პარტიული! ასეთია ჩვენი გეზი და, ამის დავიწყება არ შეიძლება.

— ვიცი მე ეგ, — ჩაილაპარაკა ლადომ.

— ჰოდა, ძალიან კარგი თუ იცით! მაგრამ თქვენ ახლა იწყებთ და ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ გაიხსენოთ: ვინც კალამს მოკიდა ხელი, უზარმაზარი ტვირთიც აიკიდა ერის წინაშე ვალდებულებისა! ის, ასე ვთქვათ, თავისთავს აღარ ეკუთვნის, რადგან ყოველ მის სიტყვას — დაწერილსა თუ ნათქვამს, ყოველ საქციელსა და მოქმედებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა და ფასი ეძლევა... სიტყვის ოსტატს საქართველოში მუდამ წინა-

თეიმურაზ ბაღლაფერიძე
ნუკრიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლის უფლებას ანიჭებდა ხალხი და მწერლობაც სინდისიერად იხდიდა ამ ვალს. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება! მე მინდა, რომ ეს მტკიცედ გახსოვდეთ!

ლადო გუმანით მიხვდა: დედაბრიშვილის სიტყვა ერთვვარი გაფრთხილება იყო. საუბრის ასეთი მანერა ეჩოთირა, მაგრამ ვეღარაფერი თქვა.

ეს კი იყო, რომ გარდუვალი მკაფიობით შეიგნო: ადამიანი სულაც არა ყოფილა ჩიტივით თავისუფალი არსება. ადამიანს ადამიანობისკენ ტვირთი აწევს და კაცის ღირსებაც სწორედ იმით განიზომება, თუ რამდენად მძიმეა მისი ადამიანური მოვალეობის სპალნე.

დედაბრიშვილს ნიკაპის ცახცახით გაეღიმა.

— ნუ შეგაკრთობენ ბედიანები. წერეთ და იმუშაეთ... ჰო, კინაღამ დამავიწყდა: ახლა უსამსახეროდ ხართ?

— ჯერჯერობით.

— როდემდე უნდა იყოთ ასე?

— სექტემბრიდან დავიწყებ.

— სად?

— სკოლაში დამპირდნენ, — იცრუა ლადომ.

— მამის კვალს შეუდექით? — დედაბრიშვილმა მხარზე დაადო ხელი. — თქვენ იცით, თუ არ შეარცხვენთ მის სახელს.

ლადოს სიწითლემ აჰკრა.

— თუ რამე დაგჭირდეთ, ნუ მომერიდებით...

— არა, გმადლობთ, — აჩქარდა, — რა უნდა დამჭირდეს?!

●

გარეთ გამოსულს სიმშვიდე და სიმსუბუქე დაეუფლა. ყველაფერი იოლი, კარგი და რაც მთავარია, გასაგები ეჩვენებოდა. მზე აპერდა აგვისტოს მცხუნვარებით და ქალაქის მოხუთვა უნდოდა, მაგრამ ქალაქი მაინც თავისუფალ ქშენდა ძლიერი ფილტვებით. გამვლელები მხიარულად მიდი-მოდიოდნენ და ავტობუსის ბორბლების ზუზუნიც სიმღერას გამოსცემდა თითქოს. ლადო მთელი არსებით აჰყვა ცაცელი დღის ამ უტყვ მუსიკას. ბეკეტიც ... ვით მიალაჯებდა და დღემდე არყოფილი მკაფიობით აღიქვამდა ყველას და ყველაფერს... ჩიტაძისა და ძერკინსკის ქუჩის კუთხეში მოძრაობის სარეგულაციო ჯიხური იდგა, საიდანაც გაოფლილი მილიციელი იყურებოდა. აშკარად არ იყო გუნებაზე. ლადომ მიაკაკუნა:

— Как дела, друг?

მილიციელს მოღვენთილი სახე სწრაფად ეცვალა.

— Чего тебе?

ლადომ უსიტყვოდ გაუღიმა.

— Но, валяй! Не время тут!

ლადოს ცოტა წაუხდა განწყობილება, მაგრამ მაინც მხნედ გაბიჯა. არა, სახლში ვერ წავიდოდა ახლა. შენობათა ვიწრო დერეფანში, ზემოთ, სულ ზემოთ, მამადავითის ეკლესიის გუმბათებს მოჰკრა თვალი და იქით გასწია.

მიდიოდა და თავისთვის იღიმებოდა.

ბესიკის ქუჩის შუაწელზე, ბაღთან, საფეხთუშუ შენიშნა. გამყიდველს მრგვალი პური გააჭრევინა, ილლიაში ამოიდო და ისევ შეუყვა აღმართს.

რიყის ქვით მოკირწყლული შარა ზიგზაგად მიდიოდა ზევით. პანთეონთან გაჩერდა და შემობრუნდა. დიდხანს უცქირა მზეარეში გარინდულ ქალაქს. დასავლეთიდან ფართო ნაკადად მოედინებოდა მზეზე ალაპლაპებული მტკვარი, მერმე გრანიტის კალაპოტით ვიწროდებოდა და სოღანლუღის მიდამოებში კვლავ გაფართოებული, უერთდებოდა ოქროსფერ ბურუსს. მდუმარე მეტეხს თასიანი და ხმლიანი თეთრი „ქართველის დედა“ დაჰყურებდა კომკავშირის ხეივნიდან. გარშემო იყო სიჩუმე და მწიფე სიმწვანე.

ერთხანს ფიქრობდა, პანთეონში შევიდე თუ არაო, მაგრამ არ შეეძლო საფლავების, თუნდაც პანთეონის საფლავების ნახვა. გზა ფუნიკულიორის ლანდგაზ კვეთდა. ვიადუკის ქვეშ ბე-

ტონის თაღი იყო. უეცრად ძაღლი გამოჩნდა. წითელი სეტერი. შემკრთალი იყურებოდა, არ იცოდა: მტერთან ჰქონდა საქმე თუ მოყვარესთან.

— მოდი, — უთხრა ლადომ, — მოდი, ძმაო! გშია?

ძაღლმა ოდნავ გააქიცინა კუდი. ლადომ მოუტეხა.

— აჰა, მიირთვი.

ძაღლმა ზრდილობიანად გამოართვა.

— ნუ გეშინია, ჯამე, — უთხრა ლადომ და რბილებწყვიან თავზე გადაუსვა ხელი. ახლადა იგრძნო, როგორ უნდოდა ვინმესთან გამოლაპარაკება და ქალაქი მოენატრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი X

(მარია თოიძის ლიუბრიდან)

12 აგვისტო, 1961 წ.

შენს ოთახში ვარ, რიშარდ. მაგიდაზე შამპანურის დაცლილი ბოთლები და საკვლის ნარჩენები აწყვია, ჩვენი წუხანდელი „ღრეობის“ ნაშთი. განგებ არ ვალაგებ, ეს ბოთლებიც, ჭიქებიცა და სხვა წვრილმანიც, ძვირფას მოგონებებს აღმიძრავენ. აი, აქ, სადაც მე ვზიავარ, შენ იჯექი. მარცხნივ — ლადო, მერე ნუკრი. მე — საწოლზე ვიყავი მოკალთებული. „ჩვენი დიდოფალი ხარ და ტახტზე დაბრძანდიო“, — იცინოდით თქვენ, სინამდვილეში კი სკამი არა გვქონდა მეტი.

ვუყურებ უშბის დიდ სურათს და მეშინია. ორი ღოჯი საზარლად წამოუშვერია. ღოჯებშუა გაქვავებული ჩანჩქერი — ყინვარია დაკიდული. მე ვიცი: ეს ყინვარი უნდა გადაიაროთ და საშრეთის ღოჯს წვერზე მოეცეთ.

გახსოვს, ერთხელ გითხარი: ბედნიერი ვარ და მეშინია-მეთქი? ახლაც მეშინია, რიშარდ!

ოი, უშბავ, ზვიადო და ძლიერო, შენს ცადაწვდილ ქარაფებს შემოვევლე, შენს ტანზე მძიგებივით ასხმულ ყინვარებს შემოვევლე, ოი, უშბავ, ზვიადო და ძლიერო, გაფიცებ ქალწულ თეთნულს — შენს სატრფოსა და საუკუნო საფიცარს, მზეს გაფიცებ, სხეულს რომ გითბობს ცხელი თითებით — ნუ გაურისხდები ლადოს და რიშარდს. ნუ გაურისხდები მწევრვალთა მბრძანებელო, რამეთუ სიმაღლეს ელტვიან ორივენი!

ოი, ლეგა ღრუბელო, გულს ნუ აიმღვრევ შავი ფიქრებით, ნუ დაიბერტყავ თქმისა და სეტყვის კალთას, ნუ გადაეფარები კეთილ მზეს, გზას ნუ გაუძნელებ ორწოხებში მომწყვდეულ რიშარდსა და ლადოს, რამეთუ სიმაღლეს ელტვიან ორივენი!

ოი, თოვლისა და ყინულის კერთხეულო ბატონო, თეთრწვეროსანო და სპეტაკო, ალმასის ტახტი რომ გიდგას უშბის კენწეროზე, მუხლმოდრეკილი გევედრები — წინ ნუ აღუდგები ლადოს და რიშარდს, რამეთუ სიმაღლეს ელტვიან ორივენი!

ოი, თეთნულდო, შენს უბიწო მუხლებს შემოვევლე, შენს ბროლის გულმკერდს შემოვევლე, მზით განათებული ქალწულის მანდილს შემოვევლე... მეც ქალწული ვარ და მეც მიყვარს, დაო... ევედრე შენს ზვიად მეტრფეს, მწვერვალთა ბატონს, ნუ გაურისხდება რიშარდს და ლადოს, რამეთუ სიმაღლეს ელტვიან ორივენი!

მეც ქალწული ვარ და მეც მიყვარს. დაო...

ოი, დალი, უბერებელო და უხრწნელო, გმირთაგმირი ამირანის დედავ და მონადირეთა მოდგმის მფარველო, შენ მიასწავლე ლადოს და რიშარდს

თეიმურაზ მაღლაფერიძე
ჭყონდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვალი ბილიკების კვალი, უფსკრულზე მოქანავეთ ოქროს დალალები ჩამოუშალე და ისე გაიყვანე სამშვიდობოს. ამირანის დედავ, შენ ცხელ ძუძუებს ვენაცვალე, შემწედ ექმენ რიშარდსა და ლადოს, რამეთუ სიმაღლეს ელტვიან ორივენი!

ქეთუ! ჩემო უცნობო მეგობარო, ჰფარავდეს ლადოს შენი სიყვარული ამ ძნელსა და მძიმე გზაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

განსაწმენდელი

ᲗᲐᲕᲘ I

უშბის სილუეტი შიშველი სატეკანრივით წამომართულიყო ვარსკვლავებით მოკაშკაშებულ ცაზე. მთვარე ჯერ არ ჩანდა. ქუფრი მთების ორწოხებში, მდინარის აღმა, მძიმე ზუთგჩანთიანი ლადო და რიშარდი მძიმედ მიაბიჯებდნენ.

ლადო საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. ერუანტელითი აყვანილი მიუძღოდა რიშარდს. დაიწყო გამაწამებლად ნაცნობი გარემო. ბნელოდა, მაგრამ მისთვის ყველაფერი მზიან დღესავით იყო განათებული; ჩაუარეს ფოსტას, იქვე კოლექტივის კანტორის ხის შენობა, კლუბი და პატარა დუქანი იყო. გზის პირს ბებერი ალვის ხეების რიგი ჩასდევედა. ლადომ ხელი მოუსვა დაშაშრულ ტანზე, მეგობრის რომ არ მორიდებოდა, ლოყას მიახუტებდა და აკოცებდა თვითეულ მათგანს... სასადილოდან სიმღერის ხმა ისმოდა. „ამირანის ფერხულს“ მღეროდნენ ბუბუნითა და ქუხილით. ეტყობოდა, იყო მამაპაპური, აწყვეტილი ღრეობა. „იქნება თემრაზიც აქ არის“, — გაიფიქრა ლადომ. უცებ წარმოიდგინა, როგორც შეაბოტებდა სასადილოში ზურგჩანთიანად, ხელს ასწევდა და ხმამაღლა შესძახებდა: — „მშვიდობით თქვენდა, ძმებო!“ და ყველა იქ მყოფს განცვიფრებისაგან როგორ გაუფართოვდებოდა თვალები. ლადო რაშვილი? აქ?

— რიშარდ, მოდი შევიდეთ...

— რას ამბობ, ჭკ...კუაზე ხარ?

— ცოტა ხნით...

— ლადო!

ლადომ ხელი ჩაიქნია და გზა გაგრძელა. შეებრალა, ცრემლებამდე შეებრალა საკუთარი თავი... აქა-იქ მიმოფანტული საწლებიდან შუქი გამოკრთოდა. სოფელს ჯერ არ ეძინა. მალე სკოლის შენობის თეთრი სილუეტიც გაილანდა. ლადომ ეელარ მოითმინა, რიშარდისათვის აღარაფერი უთქვამს, გზიდან გადაუხვია, ეზოში შევიდა, თვითნაკეთ ორძელთან რუკზაკი მოიხსნა და შესასვლელისაკენ გაემართა. უნდოდა მერხების მომჟავო, ნაცნობი და საყვარელი სუნი ეგრძნო. კუნაპეტი სიბნელე იყო, ფეხის ხმა მკვეთრად ისმოდა კიბეებზე. ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას. აი, სამასწავლებლო... დირექტორის კაბინეტი... უცნაური იყო, მაგრამ არავითარი მტრობა არ ედო გულში დირექტორის მიმართ, არც შურისძიების სურვილი აწვალებდა. იმდენად ძვირფასი იყო მოგონებები, რომელიც ამ სკოლასთან აკავშირებდა, მოგონება თემრაზისა, მოგონება მოწაფეებისა, რომ გაბოროტებისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. მიაგნო მეცხრე კლასსაც, კარი შეაჭრიალა. მძიმე, დახუთული ჰაერი ეძგერა და ფანჯარა გამოაღო. ოთახში ღამის ცინცხალი ჰაერი, მდინარის ყრუ შხრიალი და ვარსკვლავების ლიცლიცა შუქი შემოიჭრა. ლადო იმ მერხზე დაჯდა, რომელზედაც მაწისა იჯდა ერთ დროს. თვი-

თონვე უკვირდა: როგორ ცხადად ხსომბია ყველაფერი — ვის რა ეცვა, ვინ როგორ გამოიყურებოდა... უკვირდა, თან სიამოვნებდა. უსვამდა ხელს მოწაფეებისაგან დანის პირით დაჩოჩკნილ მერხის ზედაპირს და თავისთვის იღიმებოდა... ხანჯალივით აწვდილ უშბის სილუეტს გაჰხედა. უმზერდა და ფიქრობდა, რომ ვეღარ გაძლებდა უშბის გარეშე. მდინარის ზხრიალის მოუსმენლად, უამსოლოდ, უთქმაზოდ და ქეთუს გარეშე! მთელი ამ დროის განმავლობაში ლადო გაუბობდა ქეთუზე ფიქრს, მაგრამ ახლა, როცა ვარსკვლავების ხომლი ასე საოცრად დაჰნათოდა უშბას, შეუძლებელი იყო არ ეფიქრა. შეუძლებელი იყო არ ჰყვარებოდა ეს ქალი ისეთი სიყვარულით, როგორც მხოლოდ საკუთარი გრძნობების სიძლიერითა და სიმართლით შემრული ადამიანებს უყვართ ხოლმე! რა პატარად, წვრილმანად ეჩვენებოდა სხვათა ვნებები, გაცდება და სურვილები, რომელთა გამო აქედან წასვლა მოუხდა! კარგა ხანია ყველაფერმა გადაიარა და ახლა, როგორც არასოდეს, ისე იყო დარწმუნებული საკუთარი პიროვნების სიძლიერეში. „მხოლოდ მარადიულს აქვს ღირებულება. მარადიული კი, ადამიანის სწრაფვაა — შექმნას და უყვარდეს. დანარჩენს რასაც აქვს ნამდვილი ფასი?!“ — ფიქრობდა და ურყევად სწამდა, რომ შექმნისათვის და სიყვარულისათვის იყო ამ ქვეყნად გაჩენილი. ოდნავადაც არ ეპარებოდა ეჭვი: იოლად, დაუძაბავად აიღებდნენ უშბას და მალე დაიწყებოდა სხვაგვარი ცხოვრება. არ იცოდა როგორი იქნებოდა იგი, მაგრამ გრძნობდა კი, რომ მალე, სულ მალე დაიწყებოდა. და უხაროდა, მისი ფიქრები ასეთი ცხადით და, როგორც თვითონ ეგონა, სამყაროს თვითეული ნაწილისათვის გასაგები და მისაღები რომ იყო.

არ ახსოვდა, რამდენ ხანს იმზირებოდა ფანჯრიდან: იქნებ ერთი წუთი, იქნებ მთელი საათი... გარინდებიდან რიშარდის ძახილმა გამოიყვანა. შერცხვა, რომ მიატოვა მეგობარი, ბრახაბრუხით ჩაირბინა კიბე. რიშარდი ზუთგჩანთის მოუხსნელად იჯდა მისი რუკუბაკის გვერდით. გაჭირვებით აითრია ტვირთი და უსტაყვოდ წავიდა.

როგორც კი თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ და მესტიის მიწას დაადგეს ფეხი, რიშარდი სხვა ადამიანად იქცა: მუშტივით შეიკრა, სიტყვაძვირი გახდა. წამდაუწუმ დისციპლინა ეკერა პირზე, ლადოს ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა, მაგრამ მაინც უთქმელად ემორჩილებოდა...

სოფელ დოლასუფის ბოლოს ვეძა ამოდიოდა შუშხუნა და გემრიელი. ვიღაცის მადლიან ხელს რიკულებით შემოეღობა და იქვე კონსერვის კოლოფიც დაედო. ადრე, უნდა დაგეჩოქა და ისე დაგელია. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მოუკლავს წყურვილი სკოლიდან შინისაკენ მიმავალ ლადოს ამ ვეძაზე. თუნუქის კოლოფი ავავსო, რიშარდს მიაწოდა:

— აჰა, გასინჯე.

— არ მინდა.

— გასინჯე-მეთქი! ჩემი ვეძაა!

რიშარდმა მოსვა და ნახევარზე მეტი გადააქცია. აშკარად ვერ იყო ხასიათზე. ლადომ სიამოვნებით მოიწაფა ერთი, მეორე...

— ბევრი სითხე დ...დგამძიმებს.

— რატომ ხარ უგუნებოდ?

რიშარდი არ მოელოდა ამ კითხვას.

— ძნელი გზა გ...გვიდევს წინ.

— ვნახოთ!

— უშბას არ უყვარს ხუმრობა!

ლადომ უშბას გაჰხედა. სიყვარულით ჩაიღიმა.

— განა ვეხუმრები?

„ნაშხატის“ იქით სიმინდის ყანა ოდნავ შრიალებდა. წინ მოჩანდა ბალის ქედის ფერდაზე შეფენილი სოფლის ყვითელი წერტილები. ახლა ღე-

---

თეიმურაზ მალლაფერიძე
წყურვილი

ლე უნდა გაევლოთ. ღელეზე პაწია წისქვილები ღრუტუნებდნენ. ცოტა ზევით — მუხებით დაბურული ლამარიას ეკლესია იყო... ლადოს გული საგულეს ადარ ეტეოდა, რაღაც ერთი კილომეტრი და სოფელში იქნებოდნენ.

გზაზე ლანდი წამოისვეტა. მხარზე გადებული ცელის პირი მქისედ უბრწყინავდა.

— რომელი ხარ? — დაიბრუხუნა.

— ტურისტები ვართ, ბ...ბატონო, — მიაგება რიშარდმა.

ლადომ ბრიგადირი ათმურზა შეიცნო, ტანში ჭიანჭველებმა დაურბინა.

— ამ შუადამეზე რას დადიხართ, კაცო?

— შიხრაში მ...მივდივართ, ტურბაზაში.

— შორია!

— დ...დიახ.

— ჩემთან წამოდით, დაისვენეთ. დილით წახვალთ.

ცოტაც და, ლადო ვეღარ მოითმენდა. გატრიალდა, ღელე ფეხდაფეხ გასტოპა.

— გ...გმადლობთ, ბატონო, ნუ შეწუხდებით;

— ნება თქვენია, — დაადევნა ათმურზამ, — ფრთხილად იარეთ. საშიში არაფერია, მარა მაინც...

რიშარდი ლადოს წამოეწია.

— იცნობ?

— ვიცნობ და ეგრე?

— უჰ! კიდევ კ...კარგი!

— რატომ? რატომ კიდევ კარგი?

— როგორ არ გ...გესმის, ლადო! არ შეიძლება ჩვენი გამოჩენა! დაგვწყევენ გ...გამოკითხვას — სად მიდიხართ, საიდან მ...მოდიხართო და... ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება.

ლადოს ტანჯვით, ხიხინით გაეცინა:

— შე ულმერთო, რა დროს ეგენია? უშხვანარში ვართ უკვე! გესმის? უშხვანარში ვართ!

— მერე? რას აპირებ?

— ჯერ კარავი გავშალოთ!

ლადოს თავი ჩაეღუნა, არსაით არ იყურებოდა, მაგრამ სხეულით გრძნობდა, რა ადგილებსაც იტოკავებდა. უკან, ქვის ყორეებში მოქცეული შუკა. იქვე, თემრაზის ბაღია, მერე ბოსელი და კალო. ცოტა განზე — სახლი დგას, თემრაზის სახლი! ყორეში დატანებული ღარიდან წყალი იღვრება და ზამთარ-ზაფხულ, პირდაპირ შუკაში მიედინება. სულ ფიქრობენ წყლისთვის კალაპოტის გაკრას, მაგრამ დღემდე ვერა და ვერ მოუხერხებიათ... ქვეთუს სახლი ზემოთაა, ჩამოქცეული კოშკის ძირში. იქამდე კარგა დიდი მანძილია... აი, ბიბლიოთეკაც. აქ გაიცნო ქვეთუ... ლადომ კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს. არ შეეძლო ლაპარაკი. უნდოდა სწრაფად გასცლოდენ სოფელს, გაეშალათ კარავი და მერმე თავის გზას დასდგომოდა...

— ხედავ, მაკრინე ქურდიანის სახლი, — თქვა რიშარდმა.

— ვხედავ.

— ამ სეზონში ქ...ქართველი ალპინისტები არ იქნებიან აქ.

— ჰო.

ჩაუარეს ხეებით გადაბურულ, პატარა სახლს. შუქი არსაიდან გამოკრთოდა. ეტყობოდა, მართლა არავინ იყო საქვეყნოდ ცნობილ „ალპინისტების ბუდეში“.

— ეს ჩვენთვის მ...მისწრებაა.

— რა?

— ალპინისტები რომ არ არიან.

— ჰო, ვიაროთ! ვიაროთ!

— ლადო, რა გ...გიდევს გუნებაში? ისე ჩქარობ, რომ.., — ვეღარ მოითმინა რიშარდმა.

— ვიაროთ!

დაიწყო კაჩარის სათიბები, რომელიც ტერფამდე უწევდა უშბას. ხელმარცხნივ, სოფელი მაზერი და შიხრის ველი იყო. მარჯვნივ, ტყის ქედს ცარად ასდევდა ბილიკი და სოფელ გულს გავლილ, გულის ყინვარისაკენ მიემართებოდა. სამხრეთ მწვერვალზე ამსვლელი, ამ ბილიკს უნდა დასდგომოდა.

ერთ ხანს კიდევ იარეს წამოზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილ პალაბში. ეტყობოდა, კოლექტივს მეორედ თიბვა ჯერ არ დაეწყო და ლორთქო ბალახს გვარიანად აეშვა თავი. კაჩარის სათიბი... პირველად აქ იყო ქეთუს და ჩოფეს ლაპარაკის უნებლიე შემსწრე... პირველად აქ დაეტაკა ჩოფეს... პირველად აქ გადაუსვა ქეთუს თმაზე ხელი და ალბათ აქვე იგრძნო, რომ მათი გზები აღარ გაიყრებოდა...

ვაკე გათავდა. ლადომ ზურგჩანთა მოიძრო, ღვედები შეხსნა და მუთაქასავით დაგორგოლავებული კარავი ამოიღო.

რიშარდი კიდევ ფიქრობდა სიარულს. პირველი აღმართების ავლა ახლა სჯობდა — გახურებული იყვნენ და ტვინიც ალებული ჰქონდათ. არ ეკარგებოდა რიტმის დაკარგვა. მაგრამ მიხვდა: წინააღმდეგობა ამაო იქნებოდა და თვითონაც გადაიძრო რუკჯაკის თაქმები.

ლადომ რკინის მუხლიანი ბოძკინტები ერთმანეთში ჩაარჭო, ზურგჩანთის ჯიბიდან პალოები ამოყარა, კარავს თოკები მოჭიმა და პალოებით დაამაგრა, მერმე ბოძკინტებიც შეუყენა და მალე პატარა, კოხტა ბუდრუგანა წამოიჭიმა. კარავი ვერცხლისწყალივით ათიმთიმდა ბნელში... ახლა ბუმბულის საძილე ამოათრია რუკჯაკიდან. კარავში გაპფინა და სასთუმლად ზურგჩანთა ამოუდო.

— სად გ...გეჩქარება? — შეაპარა რიშარდმა ისევ, — ჰა?

ერთმანეთის სილუეტებს ხედავდნენ მხოლოდ და ასე უფრო ადვილი იყო ლაპარაკი.

— უნდა წავიდე.

— სად?

— სოფელში უნდა გავიარო.

— ჰ...მომისმენ...

— შენ დაწექი, ნუ მომიცდი. მალე ღამბრუნდები.

— ლადო... გახსოვს ჩვენი პიროობა? ვინც სანახავი გყავს, უშბის შემდეგ...

— მახსოვს, მაგრამ...

— მოითმინე, ლადო, სჯობია.

— უნდა წავიდე! ცოტას გავიარ...უნდა წავიდე!..

— მაშინ, მეც წ...წამოვალ.

— არა!

— ხიფათს გადაეყრები, ლადო.

— ნუ გეშინია.

— მე მხოლოდ იმის მ...მეშინია, რომ განზე დავგრჩება უშბა, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა რიშარდმა.

— გათენებისას გავალთ აქედან.

— ფრთხილად, ლადო!

—ეს ღამე, ჩემი ღამე იქნება! — მიუგო ლადომ და ბნელში სწრაფად გაუჩინარდა.

ლაჰილის ფეხზე მშვილდივით მოდრეკილი მთვარე წამომჯდარიყო და ნაზად ილიმებოდა. „შენ დამიფარე, ჩემო დო..“, — ჩურჩულით უთხრა ლადომ, — „შენ დამიფარე...“

თავი II

სოფლის ძაღლები ღაღღუვით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ლადო გზაბოძალთან გაჩერდა. თუ მარჯვნივ ჩაუხვევდა, თემრაზის სახლს მიადგებოდა. მარცხნივ — აღმართი იყო, რომელიც ზემო უშხვანარში ადიოდა. — ქეთუს სახლთან. ლადო კარგა ხანს იდგა, ფიქრობდა. მერმე აღმართს დაადგა. ბნელში დაახლოებით ივარაუდა, სად იქნებოდა თემრაზის სახლი. წამით ისევ შეყოყმანდა:

„იქნებ ჯერ თემრაზთან მისვლა ჯობდა?“

„არა! არა!“

„რატომ გგონია, რომ ქეთუ თავის სახლში იქნება? ქმრიანი ქალია, ქმარი წაიყვანდა“.

„ბაბა ჯანყვათის კერას უპატრონოდ არ დაადგებდა ქეთუ“.

ფეხს აუჩქარა. ნამგალა მთვარე კარგად მომაღლებულიყო ლაჰილზე.

„ნუ მიდიხარ, ლადო“.

„მაშ რა ვქნა?“

„წამო ჩემთან, დავკ̣ედეთ, ვილაპარაკოთ“.

„თავს ვერ მოვიტყუებ, თემრაზ“.

„მაგას ვინ გეუბნება, კაცო“.

„მე თვითონ ვეუბნები საკუთარ თავს! შევკ̣ედი, აქედან რომ წავედი. შემეშინდა — მომკ̣ლავენ-მეთქი და დავლაჩრდი. ყველაზე მძიმე წუთებში მივატოვე ქეთუ. ამაზე რომ ვფიქრობ, ჩემი თავი მეზიზღება, ლამის ყელი გამოვიღადრო... არ შემიძლია უნახობა. იქნებ ახლოს არც გამიკაროს და ღირსიც ვიქნები, მაგრამ უნდა ვნახო და ვუთხრა, რასაც ვფიქრობ... ვიცი, ალბათ გვიანია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია“.

„ამისათვის ჩამოხ̣ვ̣ედი?“

„არ კმარა? თუმცა, რიშარდსა და მე სხვა საქმეცა გვაქვს“.

მხოლოდ მაშინ ამოოთქვა სული, როცა ქვის ყორეზე კატის სიმარ̣ჯვითა და სიფრთხილით შეფორთხდა და ჯანყვათისეული სახლის აივანზე შუქი გაღანდა. გონებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო, მღვრიე აზრები ერეოდა. რაღაც ზუსტი და ̣ კვეიანური უნდა მოეფიქრებინა, თორემ მერმე გვიან იქნებოდა, მაგრამ ̣ ჰქონდა რაიმეს მოსაზრების თავი? ციებიანივით, კბილს კბილზე არაკუნებდა. ყორის გასწ̣ვრივ, ̣ ̣ ̣

ჩოფე: ფრანცუზი მიმყვება, ამოიყვანს უკან. ოღონდ ნაჭღერს რამე მოუხდებოდეს და მანქანას დაეეძებ? სულაც დამტვრეულს!

უცნობი: ეშველება, აბა! ნამდვილად ეშველება, თუ არა-ნახავ!

„ბაშვი ყოფილა ავად...“ — ლადო კიდევ უფრო წყნარ ბახოდა, ლამის ბორბალს მიადო შუბლი. აქედან, თუ ოდნავ აღერებდი თავს, ცალი ნათურით განათებული აივნის კიდე ჩანდა. დაიხახა: ფიცარივით გათლილმა, ბეჭებში მოხრილმა და შოასანმა დედაკაცმა სამფეხა ჯოროკები შემოუწყო ფიჩქს.

ქეთუ: ჰე, მობრძანდით აბა.

„ღმერთო ჩემო, ეს დედაბერი ქეთუა?“

კაცები ტაბლას შემოუსხდნენ. ჩოფემ არაყი დაასხა.

ჩოფე: გაგვიმარჯოს, ბუბა.

უცნობი: ო, იცოცხლ! (გადაჰკრავს) მაინც, რაო, ქეთუ, რას ამბობენ ექიმები, ა?

ქეთუ: რა ვიცი, გაჩენის დღიდან ავადმყოფობს ეს უბედური ღმერთი ნაშობი.

უცნობი: ხოდა, რაო ექიმებმა?

ქეთუ: მესტიაშიც მყავდა, ქუთაისშიც... ყველამ ის მითხრა, საყმაწვილოა, გაუვლისო. როდისღა ნეტა? ბავშვიც დაიტანჯა და მეც.

უცნობი: აი, ზღვაზე წაიყვანთ და მორჩება.

ქეთუ: შენს პირს შაქარი, ბუბა.

ქეთუს ერთი წერტილისათვის ჰქონდა თვალი მიშტერებული და ისე ლაპარაკობდა — წყნარი, მიქანცებული ხმით. ლადოს შეეშინდა კიდეც — მე ხომ არ მიყურებსო და უნებლიეთ უკან დაიხია. „ქეთუ... ქეთუ... ასე რამ ჩამოგადნო სანთელივით... ასე რამ დაგფერფლა, გენაცვალოს ლადო?..“

ჩოფე: ამ გახურებული მუშაობის დროს კაცი სადმე წავა? სათბი—ცალკე, კარტოფილი ამოსაღები, სიმინდი მოსატეხი და რა ვიცი... მარა, ეს ბიჭი მეყოლებოდეს კარგად და აღარაფერს დაეეძებ. თანაც, ამათი მარტო გაშვება არ შეიძლება, ათასი მამაძაღლი დაეთრევა...

უცნობი: ოჯახს უპატრონოდ არ დაგიტოვებთ, ნუ გეშინია.

ქეთუ: იცოცხლე, ბუბა! ჩამოვალთ და ორმაგად გადაგიხდით.

„რატომ მოხვედი, ლადო იაშვილო? საბოლოოდ გინდოდა დარწმუნებულიყავი, რომ არ არის აქ შენი ადგილი? აჰა, დარწმუნდი და იგემე! გესმის? ოჯახი თავის დღიურ ჭირ-ვარამზე მსჯელობს, ცოლ-ქმარი ერთმანეთს მხარში უდგას და ეწევა ღვთისაგან დადგმულ უღელს. რა გინდა, რას ეჩრები მათს ცხოვრებაში? რაც იყო, ის გათავდა და აღარავის ახსოვს — შენს მეტს. ძველს აღარავინ იგონებს, ძველის მოგონება მწარე ტკივილებს წამოშლის და მისი გახსენება არავის ესაჭიროება. ქეთუს თავისი საზრუნავი აქვს, პირმშო შვილი ავად გაჰხდომია. უყურებ? ლანდად ქცეულა ქალი. ახლა მას ვერავინ ამოუდგება მხარში ისე, როგორც ჩოფე... ჩოფე“...

ამას ლადო ფიქრობდა თუ სხვა მისჯდომოდა ყურთან და ჯიუტად, ტკეპნით ჩასჩურჩულებდა ერთ და იგივეს? „დაიმსხვრა შენი ოცნებები, ლადო იაშვილო, განქარდა შენი იდეალები, ქარმა გაიყოლა, მოაშთო, მისხალიც აღარ დაგიტოვა სინათლისა... წადი, შე საცოდავო, წადი“... — ამას ლადო ფიქრობდა თუ სხვა ეჩურჩულებოდა ვიღაც?

უცნობი: ბუბაშ ლადეღ ეჩქამ, დავამთავროთ, თუ გიყვარდე.

ჩოფე: გეჭამა რამე, შე კაცო.

უცნობი: საკმარისია, მიშგუ ლადეღ სი. გაგიმარჯოთ, კეთილად გემგზავროთ. აქაურობის დარდი ნუ გექნებათ, ჭყინტს მეხედეთ.

ქეთუ: დიდი მადლობა, ბიძია.

გადაჰკრეს და ჭიქები ფიჩქზე ააჯახუნეს. კაცი წამოდგა, ქეთუს ხელი ჩამოართვა და კიბისაკენ გაალა-

ჯა. ჩოფე გასაცილებლად აედევნა. მარტო დარჩენილმა ქეთუმ შავი თავსაფარი მოიხსნა და მოკლედ შეჭრილი თმა ხელით შეივარცხნა. სადღა იყო მისი თმის ოქროსფერი ბუღლული, ნიმბივით რომ ადგა თავზე!..

„ჩემს გამო ეწამე, ქეთუ? ჩემს გამო?“

ჩოფემ ჭიშკარს ურდული გაუდო, ბერმე მანქანის უკანა ბორბლებს წიხლი ჰკრა, შეამოწმა — საბურავებს ხომ არ დაუშვიაო და კვლავ აივანზე ააბოტა.

— შვიდ საათზე გავალთ, — უთხრა ქეთუს.

— ჰო.

— თუ კარგად ვიარეთ, ოთხზე ზუგდიდში ვიქნებით, საღამოს — ოჩამჩირესაც მივაღწევთ.

— შენ უფრო იცი.

ლადო ვერ ხედავდა მათ, ლაპარაკი ესმოდა მხოლოდ.

მერმე კარმა დაიბრახუნა და სრული სიჩუმე დამყკვიდრა. სადღაც შორიდან ისმოდა ძაღლების ზანტი და გაგრძელებული ყეფა. ლადო პირქვე ეგდო კანაფიაში და ტიროდა — ბალღივით გულამოსკვნილი. რა ატირებდა? რას დასტიროდა? რა ვარამი უდუღდა გულში? ბოლოს, როგორც იქნა წამოდგა, კარტოფილები გადათქერა და სიმინდებს შეერია. მიდიოდა მოურიდებლად, დათვის ნავალივით კვალს ტოვებდა და ნატრობდა — ნეტა ვინმე გამომხედავდეს, მაგრამ ბაიბურშიც არავინ იყო. არ ეცალათ მისთვის. ყორეზე აებღოტა, შუკაში ჩახტა და მეტი ვეღარ შეიძლო: — იქვე ჩაიკეცა.

●

პროცესიას შავ ცხენზე ამხედრებული ლადოს ორეული მიუძღოდა. ცხენი ულაგმო და უუნაგრო იყო. მიდიოდა, ცირკის ცხენივით ხან ერთ ფეხს ასწევდა მაღლა, ხან მეორეს. ფლოქვებს ჭახაჭუხი გაუდიოდა რიყეზე. ორეული ამაყად იჯდა ცხენზე და ხელი, აღვირის ნაცვლად, ფაფარში ჰქონდა ჩავლებული. ცხენოსანს კუბოში ეგდო. კუბოში ნამდვილი ლადო ესვენა. კუბო მხოლოდ თემრაზს მიჰქონდა და მძიმე სუნთქვაზე ეტყობოდა, უჭირდა.

აუ, რამდენი ხალხი ესწრებოდა დაკრძალვას! მთელი რიყე შაოსნებით იყო გადათალხული.

ძაძებიანი ქეთუ თავდახრილი მიდიოდა. მკერდზე შიშველი, გამხდარი ბავშვი მიეხუტებინა. ჩოფე და მისი ძმა ვანო ვეზდენი. ჯარისკაცებივით ფეხშეწყობილი ამიჯდენენ: ერთი — ორი — სამი... სადღაც ტეროს მწვანე თვალები ელავდა.

ჩუმი ქვითინი შემოესმა ლადოს. ხელიხელ გაყრილი მაწისა და ერნა ცრემლად იღვრებოდნენ. „ცუმპა-ლამპა, ცუმა-ლამპა“ — გაიძახოდა გიჟი ტარიელა და ფარაჯის კალთებს მიაფართხუნებდა. „არ წახდე, ლადო, გული არ გაიცივო!“ — მისძახოდა გიორგი დუმბაძე. ფეხები არ ჰქონდა და ოჩოფეხებზე შემდგარი უზარმაზარ ნაბიჯებს ადგამდა. „მოკრიფე ბედნიერების ყვავილები“ — ისმოდა იაპონური სიმღერა და ცოლ-ქმარი ტატიშვილების ტანჯული სახეებიც გაკრთა სადღაც. მერე ეს სიმღერა „ზარმა“ შესცვალა. იდგნენ ცხვირამდე ფაყუჩამოფხატული, მაგარყბებიანი კაცები და შემზარავად ჰგოდებდნენ: „ვოი, ვოიდა-ჰივო, აიეი... ვოი, ვოი...“ უცებ, რას ხედავს: კუბოს ძგიდზე არხეინად ჩამომჯდარა ლავრენტი ბედიანი, ხელების ფშვნეტით იღმიჭეგა და იგრიხება.

—აი, ჭაბუკო, აი! ასე დამთავრდა შენი ცხოვრება! აგერ უშბა, რატომ არ ადიხარ? აგერ უშბა!

— აგალ!

— მკვდარი? მკვდარი ახვალ? არ გესმის, „ზარს“ გიმღერიან., ოო, ჩემო კეთილო!

ლადო წვალობს, ჭირის ოფლში იწურება. „ამ ძღოკეს მაინც არ გაგაბარებ!“

— ორეულს ასაფლავებენ! — იღრიალა და კუბოში წამოჯდა

— სწორია! — იკივლა ქეთუმ, შავი მანდილი ჩამოიგლიჯა და შიშველი, გამხდარი ბავშვი მაღლა ასწია.

— სწორია! სწორი! სწორია! — აღრიალდნენ სხვებიც — ორეულს ვასაფლავებთ! ორეულს!

საიდანღაც მამა მოვიდა — ცოცხალი, საღსალამათი. ხელი შეაშველა. ლადო წამოიმართა კუბოში, ირაოდ ისკუპა და შაგრა ცხენს გავაზე მოასტა. აღარსად იყო ორეული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

(რიშარდ ჟუბავსკის დღიური)

15 აგვისტო, 1961 წ.

კლდეებზე ცოცვის ზედმიწევნით მცოდნე უშბაზე ასვლას ვერ შეიძლებს, თუ ყინულზე და თოვლზე სიარულის ტექნიკასაც არ არის დაუფლებული; ეს თითქო ლადომაც იცის, მაგრამ მაინც ვერ ჩავაგონე, ორ დღეს კიდევ გვეკარჯიშნა. ისე ჯიუტად აიჩემა — ხვალვე გავიდეთო, იძულებული ვარ დავუთმო. თუ არ გავყევი, მარტო წავა და სადმე კისერს მოიტეხს. საკვირველად არის შეცვლილი — სდუმს, ძალით უნდა ამოგლიჯო სიტყვები. რა შეემთხვა წუხელ? რა ხიფათს გადაეყარა? არაფერი უთქვამს, მაგრამ ეგრძნობ: დიდი ტკივილი აქვს გადატანილი.

ხვალ რიჟრაჟზე გავდივართ! წინ ძალზე რთული გზაა და ჩვენ უნდა დავძლიოთ იგი. ალბათ ამას ფიქრობს ლადოც. კარავი მორენის ძირში გვიდგას. ზვეით — გულის ყინვარია.

16 აგვისტო

გულის ყინვარი გიგანტურ, გაქვავებულ ჩანჩქერს ჰგავს. მის შემდეგ თოვლიანი კულუარი იწყება. კულუარი მოხრეხებული ალმოჩნდა ასვლისათვის. სამ საათში მაზერის ქედზე გავედით, მარჯვნივ გავუხვიეთ და შევძვერით 400 მეტრიან ღარში. აქედან იწყება უშბის სამფლობელო და ამიერიდან თითქმის ყველა კლდესა და ყინულის ფერდს საკუთარი, მთამსვლელთაგან შერქმეული სახელი ჰქვია. ღარმა გაგვაოცა სივიწროვით. დაქანებაც ძლიერია. ყოველ წუთში ქვის ცვენაა მოსალოდნელი. პირველად აქ გადავეყარეთ ხიფათს. მოზრდილი ქვა საშინელი სისწრაფით გამოექანა ჩვენსკენ. ანგარიშმიუცემლად დავემხე. როცა თავი ავწიე, დავინახე ლადო ბეჭებით აჰკვრია კლდეს, ქვისაგან შეფრქვეულ თოვლს იფერთხავს და მთლად ფერწასული იღიმება...

ღარმა „მაზერის კბილებზე“ გაგვიყვანა. ფრჩხილისოდენა ადგილსაც ვერ ნახავ კარვის გასაშლელად. იძულებული ვართ ისევ კლდეს შევუტიოთ. ლადომ ზურგჩანთა მოიხსნა, თითქოს შეეხოროცა კედელს და ჯახირით დასძლია პირველი მეტრები. მერმე უფრო იოლად წავიდა საქმე. ჯერ ზურგჩანთები ავათრიეთ. შემდეგ მეც ავყევი თოკს. კლდის თხემზე მთელი მოედანი აღმოჩნდა. სასწრაფოდ დავდგით კარავი. სადილის მზადებაში ვერც კი შევნიშნეთ, როგორ წამოგვეპარა ნისლი. მალე ორ ნაბიჯზე ვეღარაფერს გაარჩევდა კაცი. სეტყვა და თოვლიც წამოჰყარა. სასიამოვნოა ასეთ დროს ცხელი საჭმელი. ჩვრეკ წვნიანს თუნუქის კათხიდან, სხეულში ნეტარების სითბო დაგიღის და გრძნობ — როგორ იწყებს ადდგენას კლდეზე დახარჯული ძალ-ღონე. მოვრჩით ჭამას, საძილეში ღრმად ჩავიფუთნეთ. ქარი შემზარავად ყმუის და მე მიხარია, მარტო რომ არ ვარ ცასა და მიწას შუა, გამოკიდული.

18 აგვისტო

მეორე დღეა ქარაშოტი მძვინვარებს. ყოველ ნახევარ საათში რიგრიგობით გავდივართ და ჩაჩუმქრულ კარავს ვბერტყავთ, რომ ახალი თოვლის სიმძიმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ წაგვიქცეოს. ლადოს წვერი წამოეზარდა, შუბლის ნაჭრილობევი ლურჯად მოუჩანს და სახეზე გატანჯული კაცის ეერი ადევს, მაგრამ თვალთაგან ისეთი ლმობიერი უშფოთველობა გამოეკრთის, როგორიც იშვიათად შემიმჩნევია მისთვის. „როდაც სრულიად ახალი იბადება ჩემში, — მითხრა მოულოდნელად, — მგონი მივწვდი, მთავარ აზრს! სხვისთვის უნდა იცხოვრო! ესაა უმაღლესი სიკეთე და მხოლოდ მაშინ იქნები უხინჯოდ ბედნიერი“. ეს აზრი წინათაც მსმენოდა მისგან. ტომრის ღილკილოები გაჩქარებით შეიხსნა, წამოჯდა: „აუჰ, რა გასაგები და ძვირფასია ცხოვრება! ეს ურაგანი... უშბა... ისიც, მე და შენ რომ აქ ვზივართ, მწვერვალს ვნატრობთ და ვითოშებით, ქვევით კი, ადამიანები მზის გულზე დაბიჯებენ... ჩვენია და ჩვენია ყველაფერი ეს!“.

ყოველი მწვერვალი, ადამიანისა არ იყოს, თავის ხასიათით გამოირჩევა. ვერავინ ავა მწვერვალზე თუ მის ხასიათს კარგად არ შეისწავლის, სანამ არ შეეთვისება და არ შეიყვარებს მას. დიდ ფიზიკურ დაკვირთვას, გაჯირვებას, ნერვიულ დაძაბვას, სიკვდილის შიშს ვერ დაძლევს ვერც ამტანობა, ვერც ტექნიკური ოსტატობა — ვერაფერი, გარდა სიყვარულისა. მთამსვლელს უნდა უყვარდეს მწვერვალი, რომელზედაც მიდის. გზა, რომლითაც მიდის. მთამსვლელი ფანატიკოსივე უნდა იყოს. არ ვიცი შეიძლება თუ არა მე და ლადო ნამდვილ მთამსვლელად ჩავითვალოთ, მაგრამ განვლილმა ორმა დღე-ღამემ დამარწმუნა, რომ უშბის მიმართ სიყვარული არ გვაკლია. და არც ფანატიზმი გვაკლია ჩვენ!

წუხელ მესიზმრე, მაია! არ ვიცი მესიზმრე თუ მომელანდე. ვითომ კრაკოვში ვიყავით. საკვირველია, ამ გაჭირვების ქამს ჩემი წინაპრების სამკვიდრო წარმომიდგა რატომღაც. ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით ვიწრო, ქვაფენილიან ქუჩებში და გოთური სტილით ნაგებ რატუშაზე რეკავდა პერნიკის დროინდელი საათი.

საოცრად მომინდა პოლონეთში ყოფნა. შენთან ერთად!

10 აგვისტო.

გამოიდარა! როგორც კი ოდნავ ინათა, მაშინვე ავიღეთ კარავი. რიერაკი ინსფრად ეფინებოდა ახალი თოვლით დაბარდნილ უშბის ორწოხებს. ეს იყო ნარინჯში გაქნილი, ღვთაებრივი რიერაკი, რომელმაც დიდებული სანახაობა გადაგვიშალა. ჩრდილო-დასავლეთით ჰყუდია ბებერი, ორთავიანი იალბუზი — თვალუწვდენი ფირნის ველებით. იმავე მხარეს: დონღუზ-ორუნი, შხელდი-თაუ და სხვა უამრავი მწვერვალი. დასავლეთითა და ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთით გაწოლილა უშბის ყინვარის ფართე დინება: — ხოხრა უშბა, შტავლერი, ცალმღი... ჩვენს ფერხთით ხეობა ჩანს, მის ზემოთ — სვანეთის ქედი. დასავლეთის მხარეზე პატარძალივით აფოფინებულა თეთნულდი. გარშემო მაყრებივით ახვევია: დიხ-თაუ, შხარა, ყოშთან-თაუ, ჯანდა, გისტოლა, ნამყამი, აილმა... ხოლო ფოლადის მუზარადიანი უშბა 800 მეტრის სიმაღლიდან დასცქერის ჩვენს ბანაკს. სწრაფად ვისაუზმეთ და დავიძარეთ. გეგმა ასეთი იყო: აგვეღო „ჰალსტუხი“ (დაქანებული თოვლ-ყინულიანი კულუარი) და შედარებით მარტივი კლდეები მის მარცხნივ — „წითელ კუთხემდე“. მზეს საშინლად დააცხუნა. გახვითქულები, როგორც იქნა, გავედით „ჰალსტუხის“ ქვედა ნაწილზე. საჭირო იყო ფერდის დასავლეთი მხარე გადაგვეესერა და გავსულიყავით კლდოვან სამხრეთ-დასავლეთ „წითელ კუთხესთან“. გადასასვლელი, „ჰალსტუხზე“ გამავალი გზის ყველაზე რთული ნაწილია. ქვა და ყინულის ზოდები სტაყვასავით ცვივა. სამშვიდობოს გასულებმა ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ შეეძლოთ, „წითელ კუთხემდე“ კი დაახლოებით ექვსი საათის სავალი დაგვრჩა. რის ვაივაგლახით იქვე მოვასწორეთ ყინული კარვისთვის. ლადოს აშკარად უჭირს

თოვლზე სიარული. მაგრამ მთელი ძალ-ღონით ცდილობს არ შეიმჩნიოს. მთლად გული ეკ ეკაცი! უნებლიეთ ეფიქრობ: ძლიერია ადამიანი! ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ დაამარცხებ!

ბეჩოდან უშბა ქისტის ნაშენებ კოშკსა ჰგავს, თეთნულდიდან — ცისფეის შეუფუძებულ შუბის წვერებს. თუკი სადმე იცნობენ კავკაციონის მთაგრეხილს, იცნობენ უშბასაც. ალბათ არ არის ჩვენს პლანეტაზე მთა-მსვლელი, უშბაზე ასვლა არ უნდოდეს. უშბაზე ფიქრობენ ყველგან: ალპებში, ჰიმალაისა და ყარაყორუმის მთებში, ანდებსა და კორდილიერებში. უშბაზე ასვლას სიამაყით დაიკვეხნიან ისინიც კი, ვისაც ფეხი დაუდგამს ევერესტსა, ანაპურნასა თუ კანჩენჯანღაზე. და აი, ჩვენ, რიშარდ ჟურავსკიმ და ლადო იაშვილმა სანახეგროდ ავიღეთ უშბა!

სურათის საქმეა ცუდად. თუ ბოლომდე ავაღწიეთ, რის იმედით დავბრუნდებით უკან, არ ვიცი. არ მინდა ამაზე ფიქრი.

20 აგვისტო

დღეს დავძლიეთ „წითელი კუთხე“. გუშინისაკენ ვეარაუდობდით და დღეს, როგორც იქნა დავძლიეთ. მოვიქანცეთ უკიდურესად; შუადღის მერე ვატყობდი, რომ ფეხის თითების მოყინვა მეწყებოდა. მაგრამ ჩამუხვლის საშუალება არ იყო. საავდრე ღრუბელი დაგტრიალებდა, ჩვენ კი „წითელი კუთხის“ პატალოებში ვიყავით გახირული. ავდარს რომ მოესწრო, გზას ვერ გავიგნებდით და აშკარა დაღუპვა მოგველოდა. საბედნიეროდ, ღრუბელმა გადიარა, მაგრამ ფეხის საქმე როგორ იქნება, არ ვიცი. ახლა ვიწრო, კლდოვან თარიზე ვართ მიყუჟებული. პალოები დავასვით და თოკებით მივებით კლდეს. წინ გვიდევს ყველაზე რთული მონაკვეთი, უზარმაზარი შეუღლი კედელი, რომელიც სულთამხუთავივით დაგვაცქერის თავზე. სწორედ ამ კედელმა შეუქმნა უშბას უძნელესი მწვერვალის სახელი. ლადო დიდ ხანს, ჩაცივებით უყურებდა ჩვენს წინ დახორხლილ, თოვლისა და ყინულის ფაჯიჯანიოსანს ენტასტიურ პირამიდებს. არაამქვეყნიური გამომეტყველება ჰქონდა. განზომლად შორს იდგა იმ სინამდვილისაგან, გარს რომ გვეხვია. ასეთ წამებში, ალბათ მართლაც შეიძლება ღმერთთან ლაპარაკი... და მაინც, ულმობელი სინამდვილე ჯიუტად გვახსენებდა თავს. ზურგჩანთებში არა მეტი, არც ნაკლები, ორი დღის საგზალი დარჩა. ფრთხილად შევაპარე ლადოს: „ხომ არ დავბრუნდეთ? ადარც სურსათი გვაქვს, ადარც ძალ-ღონე“... „მე არ მინდა ნახევარი უშბა“, — თქვა ჩუმად, — ან ყველაფერი, ან არაფერი“. შემრცხვა. „არც მე მინდა ნახევარი“. — წავლუღლუღე. ამით გათავდა საუბარი. ცხადზე ცხადია: გზა მწვერვალისაკენ მიდის! შენზე მწყდება გული, მაიკო! რა ცოტა ხანს ვიყავით ბედნიერები...

21 აგვისტო

კედელმა გვაწამა. ყველაზე რთულ 15 მეტრს სრული 4 საათი მოვუნდით. ბოლო რამდენიმე მეტრი მთლად გაუვალი ჩანს. უცებ, ლადოს ყვირილი: „თოკი! თოკი! პალოები!“ ეტყობა ვიღაც მადლიანებმა ეს კედელი აიღეს, თოკი და პალოები კი ხელუხლებლად დატოვეს. პალოები სიმემდო გამოდგა. ძალების უკანასკნელი დაჭიმვით მოვეჭიცით კლდის თავზე. ცოტას დავისვენებთ და გავუტევთ მწვერვალისაკენ, რომელიც ერთი ხელის დადებაზეა. კარავი ახლავე უნდა დავდგათ, რომ მწვერვალიდან დაბრუნებულებს ღამის სათევი გამზადებული დაგხვდეს. ასე ვმსჯელობთ ჩვენ, მაგრამ უშბა სხვანაირად ფიქრობს. ისეთი ჩრდილო-დასავლეთის გრიგალი დაგვაძგერა, კარავი სამჯერ წამოგვიმხო. ახლა კი, მგონი, საბოლოოდ გავებით ხაფანგში. ისღა დამრჩენია ვინატრო: დროზე და უწვალებლად გათავდეს ყველაფერი.

თეიმურაზ ბოლქვაძე
ჟურავლი

აზრები მებნევა, ერთმანეთს ვეღარ ვუკავშირებ. ფანქარი ძლივს მიჭირავს გათოშილ, დასივებულ ხელში, მაგრამ მაინც ვწერ. რაკიღა დღიურის წერა უაზრობად არ შემიჩნევია, ეტყობა, გულში რაღაცის იმედი ბოგინობს. მაგრამ რისი? სასწაულები არა მჯერა.

22 აგვისტო

მძორებივით ვყრივართ, ადრინდელი გრიგალი თამაში იყო ამასთან შედარებით. რამდენჯერმე ამაოდ მოვიწადინეთ კარვიდან გასვლა. ორი მეტრის გავლა დაუძლეველი პრობლემა აღმოჩნდა. ქურაში კიდევ არის საწვავი, მაგრამ მოსახარში აღარაფერია. თითო ფილა შოკოლადის ამარა ვართ.

— წასულია ჩვენი საქმე, — ამას მე ვამბობ.

— გეშინია სიკვდილისა?

— ვერ წარმომიდგენია. თან, მაია მეცოდება.

— გადავრჩებით! აი, ნახავ!

ფარანი მივანათე. შემაშინა [illegible] თვალებმა. ნეტავ რის იმედი

23 აგვისტო

ისეთი დარი გამოვიდა, თითქოს ცა ჩამოქცევას არ ლამობდა. კუს ნაბიჯით მივღოღავთ. ერთი საათის შემდეგ თოვლიანი თხემი დაიწყო — მწვერვალის ბოლო მონაკვეთი. ახალ თოვლზე სიარული ერთი-ორად გვიჭირდა. შემზარავად ჩამოწოლილ სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი ქშენა არღვევს. უკიდურესად დაძაბულები ვართ. უცებ, ლადოს არაადამიანური ღრიალი აღმოხდა, მოწყდა ადგილს. რაღაც გაუგებარს შეჰყიოდა გაცრიატებულ ზეცას. დაზაფრული, სუნთქვაშეკრული, ენაჩავარდნილი მივყვები.

მალე მწვერვალზე ვიდექით. დიდი, ცხელი მზე ამოდიოდა. ლადომ ნელა ჩაიჩოქა, მსხვილი კურცხლები დაუგორდა გაუპარსავ დაწვებზე.

„მწყურია, — თქვა ხიხინით, — ძალიან მწყურია“.

ყინული მოპოტნა...

1969 წ.

ჯანო ჯანელიძე

●

ყვავილივით გამიწოდებს ღიმილს
მწუხარ დილის ლურჯი სიზმარეთი,
შეხსნილია ვარსკვლავების ღილი
და მოუჩანს ცას ცისფერი მკერდი.

და იღვრება ფერი უთვლელ ფერთა
და ხმაურობს სადღაც ცრემლის წვეთი,
მოდის დილა მკრთალი, როგორც დედა,
და ყვავილთა გვირგვინებს წნავს შენთვის.

●

გემი გავიდა,
ჰა, ესეც ასე,
თან გაიყოლა დიდი ლოდინი
და სანაპიროს წყალივით ავსებს
კარგად ცნობილი ძველი მოტივი,
და ცისარტყელა ჰკიდია ცაზე
ჩამოტეხილი ატმის ტოტივით.

გამთრის პროლოგი

ეს მოგონება მე ისე დამრჩა,
როგორც სურათი გამოგზავნილი:
პატარა სახლთან პატარა ბაღჩა
და უნაზესი თოვლის ყვავილი.

დღეს არც სახლია და აღარც ბაღჩა...
და მხოლოდ ღრუბლის ნახევი — ქორი
ოწინარივით ირწევა ჭასთან
და თეთრად ბრწყინავს პირველი თოვლი.

●

მომწვანო ბოლი ილტვოდა ცისკენ
და იდგა დილა ფერის სოსანის,
მომწვანო ბოლი ილტვოდა ცისკენ,
ვით უსხეულო რამე ფრთოსანი.
არვინ აფრთხობდა დაღლილ წეროებს,
ჩანდა მწვერვალი შეუმოსავი,
და გარინდებულ ხის კენწეროებს
ეფინებოდა მზე სხივოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მწუხრის ვარსკვლავო, აიკეცე სინათლის კიბე,
მანდ ვერ ამოვალ —
სად ღრუბლების ფერმკრთალი თაღი
დამხობილია წვიმის მხრებზე და იზნიქება,
სად ცის სარკმელი არ ჩახჩახებს და ღმერთის თვალი
არ იმზირება გადმოსრილი უფსკრულებიდან.

მწუხრის ვარსკვლავო, აიკეცე სინათლის კიბე.
ნუ შემიტყუებ მაგ ქუფრ ღამეში.
მე ჩემს წუხილთან უნდა დავრჩე. ჩემი გზის პირას
უნდა ველოდო გათენებას.
აქ უნდა ვიდგე
გადაუხდელი ბრძოლებისგან ქანცგაწყვეტილი.

ჯ ა ვ რ ი

მალი-მალ მოდი, შავ-ნისლო,
მალი-მალ მოდექ ფრთაცივი;
საარაგვოსაკ შავლილსა
გამამადვენე მაცილი.

საითაც შარას მივყევარ,
სად გზა მიმიდის ვერანი —
იქნება იქით მიყელოს,
მაწვიოს წერამწერალი.

წუხილო, გწიხლავს ვერავინ,
შენაც მოდექი შავ-ნისლად.
კოტორი გულში მჩხვერავი,
კოტორ მამხვიე ჯავრისა,
გამამადვენე მაცილი
საარაგვოსაკ შავლილსა.

●

გამომეღვიძა: სიზმარეულ უღრანებიდან
დევნილს შემომხვდა გაჩირთული ხევების ჯოგი.

ვინ მომიტანა ნეკრის კონები?
ჯინ ვარბის უკან იმ გზით — სადაც თოვლის ფანტელმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გააფერმკრთალა ჩემი კვალი?
ნეკერის გემო
    იმ ბავშვობაში მიმახედებს, იმ ჟამის წიაღ —
ოდეს ჩიტივით უპოვარი ვეკიდე ცაზე.

ვინ მომიტანა ნეკრის კონები?
აღარ ბაკუნობს კარზე ნახირი.
არც გუთნეული მიზოზინებს კარისპირებში.
არ მიბღავიან ბაკში ხბოები...

იმ გაჩირთული ტყეებიდან გამოღწეული
ხმით ვინ აჩქამდა გამთენიას, ვინ მომელანდა?
ვინ მომიტანა ნეკრის კონები?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მე ჩემი მთვარის სენაკში ვზივარ,
ვრეკავ ზარებს და ვამსხვრევ საყურეს...
შემოდით შიგნით, ყვავილებო...
შემოდით, ქვებო...
შემოდი, ჩემი კოშკების ხავსო
და სიცოცხლისგან —
მიტოვებული სახლების შიშო...

●

გააფინეთ მანდილები!..
გაშალეთ ჩქარა...
ნათელი და ლამაზი სული
გააფინეთ ვაზის წალამზე —
სევდიანი მანდილები უსდება მამულს.
და ნათელი სულის ყვავილი,
მას საკუთარი წილი უნდა
დღისა და ღამის...
...იტირეთ ჩქარა!
ქალწულებო —
დაღვარეთ ცრემლი მშობლიურ გზებზე,
მარმარილოს საფეხურებზე
ან დაღუპული სიმღერების საფლავზე სადმე!..
...შეიშრობს ცრემლებს ალვების მწვანე ხეივანი;
მარილის მლაშე კრისტალები სიცილით დაიმსხვრევა
ფეფებში!
ადექით...
ადექით, მკვდრებო!
რად გაგიტკბათ მძლეველი მიწის სურნელება,
მისგან ძლეულებს!
თბილად წვეხართ და შარავანდედი გადგათ სიმშვიდის...
ადექით, ჩქარა!

თ ი ნ ი ბ ე ქ

იწვა თინიბექ...
მიწა თინიბექს
მჯიღით ეჭირა.
იწვა და... ცოლი მკლავზე ეწვინა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იწვა თინიბექ,
    სული უწუხდა,
იწვა და,
    როგორც შვილი უწურთნი —

ავი სტანჯავდა კაცის იღბალი,
სრულ დალეული ჰქონდა ნიღარი...

ეყარა ოფლის გუგუმ-გუგუმი,
სასმელ-საჭმელი უჩნდა ლუგუმი...

იგონა — მტერი ვერ მოიგონა,
ეღორა — თავი ვერ მოიღორა,
იგორა — მეტი ვეღარ იგორა: —

ადგა თინიბექ!
ფიქრი ნისლივით აპყვა თინიბექს...
ფერი სინისა აპყვა თინიბექს...
ცოდვა ცოლისა აპყვა თინიბექს...

იდგა და ჯავრი კბილით ეჭირა,
იდგა და ჭერი ბეჭზე ეწვინა —
როგორც ზიზღი და ავი ეჭვი რამ...

უცბად გავარდა კარში მყვირალი,
როგორც ნაკბენი და ნატყვიარი...

გაკვირვებული დარჩნენ მსუქანი —
ცოლი მისი და ვაჟი უქნარი...

— თინიბექს ავი ჰქონდა ნაღველი
და თავი თვისი ავად სამღერი...

მისთვის დიდი და მცირე სხვათათვის
თინიბექს დარდი ჰქონდა ათასი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ჭრეშალოს აქეთ, ლეჩხუმის მთებში,
კლდეები დგანან, როგორც ტაძრები,
და ჩანს სოფელი უფსკრულის თავზე —
ბუმბული, ქარით ასატაცები.

სულში მედვრება რიონის ელვა,
სულში ყვავილობს ვაზი ვენახის,
მთათა ნათელი,
ვით დედის სევდა,
ხმით მარადისით ისევ მეძახის.

ისევ მეძახის ჩემი კლდეკარი,
ჩემი მწუხარე ადგილის დედა
და ცრემლი ცხელი,
ცრემლი ნეტარი,
მოგონებებში თაფლივით წვეთავს.

●

ღმერთო, როგორ გარბიან ეს კვირა-შაბათები,
ეჰ, რა უცებ იცვლება გულის მისამართები,

ასე რისთვის მაწამე გარდასული ტკივილით,
რად დამიჭკნე ბაგეზე უცოდველი დიმილი?!

აუ, როგორ გარბიან ეს კვირა-შაბათები,
დავალ მუდამ მწყურვალი,
დავალ დამენათევი...
მოდი, სულში ამინთე სიხარულის სანთლები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ კეკელიძე

ტალღების ხმაურში

თეოფილეს ჭირისდღესავით სძულდა ხელცარიელი მობრუნება. არა და, აღარ შეეძლო. ბოლო ხანებში მაინც, მთელი ტანი ჩვარივით მოექცა, მკლავებს ვეღარ იმორჩილებდა.

ზღვა იყო თეოფილეს მიამდებელი, მაცოცხლებელი ძალა და აკი ზღვის გარეშე ვერც წარმოედგინა სიცოცხლე.

ხშირად, ძალიან ხშირად შეამჩნევდით ჭარმაგ მოხუცს, ზღვის პირას მონუსხულივით მდგარს... სახეგაბადრული, ფართო, სხივჩამდგარი თვალებით მისჩერებია მოუღლელი ტალღების დგაფუნს. ზღვაური ელამუნება მის ჭაღარას და შავი, ამაზრზენი ფიქრებით შეშფოთებულ სულს ნათელი ეფინება.

ამ წუთში თეოფილეს ისეთი გრძნობა ეუფლება, გეგონება სწორედ ამ მოთარეშე ტალღებისათვის მიებარებინოს სიჭაბუკის ყველაზე სანუკვარი წლები და ახლა ამ წლების მაცქერალი უსაზღვრო სიამოვნებით იმსჭვალება. „ნუთუ დავბერდი?“ — მისდაუნებურად გაუელვებს თავში თეოფილეს და მაშინვე ირგვლივ იყურება, ფიქრი ვინმემ ხომ არ გამიგოოს.

ამ ბოლო დროს ერთი უბედურებაც დასჩემდა, შუადამე მოაწევს თუ არა, როგორც ხელი ჰკრას ვინმემ, ისე დაფეთებული გამოიღვიძებს და წევს ასე თვალგახელილი. უამრავ ფიქრებში გახვეული. მერმე მამფურივით იწყებს ტრიალს და ამ ტრიალში თავზე ათენდება კიდეც. თეოფილემ არ იცის რა არის დაღლა. იგი მუდამ მზეს ასწრებდა ადგომას. ფეხაკრეფით, ისე რომ ცოლს არ გამოღვიძებოდა, გამაზადებდა საგზალს, ზურგჩანთაში ჩაალაგებდა და ეზოში გადიოდა. მზრუნველ თვალს მოავლებდა კარ-მიდამოს. მერე გასაშრობად გაკიდებულ ბადეს ხელდახელ დაკეცავდა და მხარზე მოიგდებდა. დინჯი, მძიმე ნაბიჯით გაუყვებოდა შუკას, რომელსაც მეთევზეთა უბნისაკენ მიჰყავდა.

იქ კი, ყურეში, ზღვაში გასასვლელად გამზადებული მოგუგუნე კატარღა ელოდა.

კატარღაზე გაბწკარული მეთევზეები მდუმარედ გაჰყურებდნენ მათკენ მომავალ, მხარბეჭიან, სახემღიმარ თეოფილეს.

— როგორ გგონია, ბიძია თეოფილე, კარგი ამინდი იქნება? — ეკითხებოდნენ ბიჭები თეოფილეს, ავიდოდა თუ არა იგი კატარღაზე.

თეოფილე მაშინვე არ გასცემდა პასუხს. უპირველესად, ყველას სათითაოდ ჩამოათვალიერებდა, მერე აუჩქარებლად ჩამოისვამდა თეთრ წვერზე ხელს, გარუჯულ სახეზე წამიერი ღიმილი გადაურბენდა და როდის-როდის იტყოდა: — ლომებთან ცუდ ამინდს რა ხელი აქვს?

„ამინდში“ მეთევზეები მუდამ თევზით გატენილ ბადეებს გულისხმობდნენ. თითქოს თეოფილეს სიტყვები კანონი ყოფილიყოს მათთვის, ისე გულდამშვიდებულები გადიოდნენ ზღვაში.

ასე შეუმჩნევლად იღეოდა წლები. თეოფილე გრძნობდა მისთვის რაღაც უჩვეულოს, მაგრამ გულს არ იტეხდა, იგი კვლავინდებურად ფუსფუსებდა ახალგაზრდებთან და სჯეროდა ხვალინდელი დღის.

— რამდენი წლის ხარ, ბიძია თეოფილე? — ხანდახან ხუმრობაში გაუტარებდნენ ბიჭები სახეზე ოფლგადაშაკდარ მოხუცს, როცა ზღვიდან სხვებთან ერთად ისიც ბადეს ექაჩებოდა ხოლმე.

თეოფილე ელდანაკრავივით მიუბრუნდებოდა ცნობისმოყვარეს და სრულიად დადინჯებით ისე, რომ რაიმე ეჭვიც კი არ შეჰპარვოდათ მის პასუხში, ჩაილაპარაკებდა:

— წლები რაში გეჭირდება? შენ სავსე ბადე ამმითრივე და გეტყვი რამდენისაც ბრძანდები!. — ყველა გულიანად ხარხარებდა. მოხუცი კი ამ დროს, ზეიმობდა, როცა მათ თვალში მისდამი ესოდენ დიდი იმედისა და პატივისცემას ამოიკითხავდა.

ამ დილითაც თეოფილე ჩვეულად, უთენია ადგა, მუჭით ამოისრისა დაწოლილები თვალები და სარკმელს მიაპყრო მზერა. მზე უკვე კარგად ამოწვერილიყო.

— ერიჰაა! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა თეოფილემ და ცალი თვალით ცოლის საწოლს გადახედა. დარეჯანს კიდევ ეძინა. თეოფილეს რატომღაც ესიამოვნა, რომ ცოლმა მაინც ვერ დაასწრო ადგომა და მისდაუნებურად ჩაეღიმა.

თავი მოიქექა, საბანი გადაიძრო და წამოიწია. უცებ წელში ისე მაგრად გაჰკრა რაღაცამ, რომ სუნთქვაშეკრული კაცი ისევ მიწვა სასთუმალზე.

„რა ჯანდაბა დამეტაკა? — გაივლო გულში და წელი ხელით მოისინჯა. ტკივილი თავს არ ანებებდა. თეოფილემ თვალი გაახელა და ცოლისკენ გაიპარა მზერა, დამშვიდდა, როცა ნახა, რომ ცოლს კვლავ უშფოთველად ეძინა. მაშასადამე ყველაფერი რიგზეა. ამ ტკივილს როგორმე გაუძლებს, ალბათ გადაიცლის, აბა რა იქნება? თეოფილეს ისევ მოისინჯა ფერდები და წამოდგომა სცადა. ჯერ თავი ასწია, მერე ხელები მიაშველა და, როგორც იქნა, საწოლზე წამოჯდა. ტკივილით აღარ სტკიოდა, თუმცა ტკივილის განმეორების შიში აჩრდილივით აჰყვა.

ფეხები მოჭრილი ტოტებივით ჩაპოჰკიდა დაბლა. წამით მკლავებს შეავლო თვალი, რამ გაღია ასე უღმერთოდ ეს დაძარღვული, ოდესღაც რკინადქცეული მკლავები. ხორცი ზედ ისე ეკიდა, თითქოს ვიღაცას ძაფით მიუბნევიაო.

— ეეჰ? — ამოიოხრა ბოლოს და ისევ ცოლს გადაავლო თვალი, — დავბერებულვართ, ქალო, მე და შენ, დავბერებულვართ!..

მერე ფლოსტებში წაჰყო გამხდარი ფეხები და ჩიცმას შეუდგა. როგორც იყო, ჩაიცვა, სარკესთან შედგა და თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა. ამ ბოლო დროს პირის პარსვას შეეშვა თეოფილე და წვერიც კარგა გვარიანად წამოეზარდა. სარკეს უკმაყოფილოდ მოცილდა, მაგიდაზე მიწოლილ ზურგჩანთას წამოავლო ხელი. ზურგჩანთა დარეჯანს უკვე გაემზადებინა... თეოფილეს უკმაყოფილებით ჩაეღიმა, ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და მიპარვით მიუახლოვდა ცოლს. ქალს მშვიდად ეძინა. თეოფილემ ნაოვლიანი თვალები შეავლო ცოლის დამჭკნარ სახეს და დაკოკრილი ხელი ნაზად გადაუსვა თავზე, მოეფერა.

ჰაი, დედასა! გუშინდელივით ახსოვს თეოფილეს დარეჯანის ყმაწვილქალობა. კეკლუცი, ყელმოღერებული გოგო სოფელში ტანის რხევით რომ ჩაივლიდა, თვალებადქცეულ ბიჭ-ბუჭებს ნერწყვი მოსდიოდათ პირზე. ყველამ იცოდა, საითაც მიკისკისებდა დარეჯანი, მაგრამ ენის მოსაქავებლად მაინც შეუბედავდნენ ორიოდე სიტყვას.

თეოფილე ეზოში გამოვიდა, ამჯერად საჩეხისაკენ არც კი გაუხედავს. რატომღაც დღეს არ ჰქონდა ბადის წაღების

სურვილი. ფრთხილად გაიარა მთელი ეზო და შუკას გაუყვა. მიდიოდა მძიმედ და აუჩქარებლად, სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. ერთგული ძაღლები თუ ფხიზლობდნენ ღობეზე მომდგარნი, თავგამეტებით უყეფდნენ დილის მყუდროების დამრღვევთ.

თეოფილე რამდენიმე ოდას რომ გასცდა, მწვანედ შეღებილ ჭიშკართან შედგა და ეზოს გადახედა. საძროხესთან თავშლიანი ქალი ფუსფუსებდა იქვე, საბძელზე, ძროხა გამოება და ხბოს უგრგრიებდა.

— მიდი, ჰო, მიდი! — დროდადრო ისმოდა ქალის ხმა.

— დილა მშვიდობისა, ანიკო!

ქალს თეოფილეს დანახვაზე თვალები აუციმციმდა. დაფაცურდა, ხბო განზე გაათრია, ბალოზე გამოაბა და წინსაფარზე ხელების წმენდით მისკენ გასწია.

— იცოცხლე, თეოფილე ბატონო!

— სადაა ანზორია?

— ეჰ, რა ვიცი, ჩემო თეოფილე? — ქალს სახე დაუმწუხრდა, — წუხელის შინ არ ყოფილა. რაც თბილისიდან ჩამოვიდა, ვეღარ ვცნობ. ამხელა კაცია და უსაქმოდ დაიარება. არც სწავლა უნდა, არც მუშაობა. დავლილე ქალი მისი დარდით; გული მაქვს გატეხილიო, ასე ამბობს!

— სულელი! — ჩაილაპარაკა თეოფილემ, — ჯერ რა უნახავს რო?

— რა ვიცი, აბა? — ქალი უფრო ახლოს, მესერს მოადგა და დაბალი ხმით დაიწყო, — ერთი სათხოვარი მაქვს შენთან თეოფილე!

— გისმენ.

— შენი ხათრი ძალიან აქვს. იქნებ როგორმე დაიყოლიო და ზღვაში გაიყვანო სამუშაოდ. გულს მაინც გადაიყოლებს პატარას!

თეოფილემ თვალები მოჭუტა და ქალის მიღმა სივრცეს გაუსწორა თვალი.

მერე როდის-როდის თქვა:

— კაი, აბა, ენახავ და მოველაპარაკები!

— შენ იცი, ჩემო თეოფილე, ღმერთია მოწყალე, ეგებმა გვეშველოს რა! მე. — თვალები მოუწყალიანდა ქალს.

თეოფილე ახლა უფრო ხალისით გაუყვა გზას. ახალგაზრდული ნაბიჯით მიდიოდა. შუკა გალია და სანაპიროსაკენ დაეშვა. ახლა უკვე გარკვევით ისმოდა ზღვის შხუილი. უცებ ზღვანდელივით რაღაცამ ისევ გაჰკრა წელში და ადგილზე გაიკავა კაცი.

„აღარ მეშვება ეს დასაღუპავი!“ — თეოფილემ რატომღაც ირგვლივ მიმოავლო თვალი, ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო. ოდნავ დამშვიდდა, როცა იმ არემარეს ვერავინ დალანდა და მხოლოდ ახლა მისცა თავს ნება, ქვაზე ჩამომჯდარიყო და სული მოეთქვა. სანუ ხელებში ჩარგო. თეოფილეს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მარჯვენა გვერდს ბასრი დანით ღადრაავენო. სიმწრის ოფლმა გამოყოინა შუბლზე.

— ვითომ რაო? — ბურტყუნებდა თეოფილე, — შენ უნდა მაჯობო, თუ როგორ არის საქმე? იქნებ არ იცნობ თეოფილეს, რა სულთამხუთავივით შემომჩნდი, რა გინდა? რას მერჩი? — ასე ებრძოლა შემოტეულ ტკივილს ხეკეტი კაცი, როცა საიდანღაც ფეხის ხმა შემოესმა. თეოფილემ ყურადღება დაძაბა და შუკას გახედა, ფეხის ხმა ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

„უნდა ავდგე! — უთხრა საკუთარ თავს, — ვინაა რა ვიცი, არ იტყვის, ამხელა კაცი რამ ჩაიცუცქაო? შესაძლებელია, არც არაფერი თქვას, მაგრამ მე მაინც უნდა ავდგე, წელში გამართული დავხვდები, ასე ჯობია!“

თეოფილემ ძალა მოიკრიბა, როგორც შეეძლო კუნთები დაძაბა და წამოდგა. ზურგჩანთას დასწვდა და გამართული, ღაღი ნაბიჯით გასწია. შეწუხებული სახე ნაძალადევმა ღიმილმა დაჰფარა. ახლა ფეხდაფეხ მისდევდა ვიღაცის ნაბიჯების ხმა. თეოფილე შედგა და უცნობს მოუხედა. პირველად ხედავდა ამ კაცს, არც იმას უცვნია თეოფილე. უხ-

მოდ ჩაუარა გვერდზე. სალამიც კი არ უთქვამს. თეოფილემ უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი და ნაბიჯი შეანელა. ტკივილმა თითქოს უკან დაიხიაო, გვერდში აღარ ჩხვლეტავდა. აღარც სული ეხუთებოდა თეოფილეს.

— ე, მასე, შე კაცო! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა თეოფილემ, — ხომ გითხარი, ვერ მაჯობებ-მეთქი?

სასადილო „იალქნიან ნავს“ რომ გაუსწორდა, იქიდან რამდენიმე ახალგაზრდა გამობრაკუნდა და თეოფილესკენ გამოსწიეს.

— სად მოასწრეს ასე უთენია? — შედგა თეოფილე და ყურება დაუწყო, — არ იციან ახალანდელმა ახალგაზრდობამ დროის ყადრი; უყურე შენ, — უცებ წამოიძახა თეოფილემ, — აგერ არაა, ამბერკიას ბიჭი, ანზორაი?

თეოფილემ გზას გადაუხვია და მათ შესახვედრად გასწია. ანზორამა შორიდანვე შენიშნა მისკენ მომავალი მოხუცი, ბიჭებს გამოეყო და ღიმილით წამოვიდა.

— გამარჯობა, ბიძია თეოფილე! — დაასწრო სალამი ბიჭმა.

— გაგიმარჯოს! — შეჰყარა წარბები თეოფილემ, — შენ რა, ლოთობა დაიწყე?

— უძილო ვარ და... — თავის გასამართლებლად ჩაილაპარაკა.

— გაჩუმდი! — შეუწყარა თეოფილე, — უძილო კი არა, მთვრალი ხარ. სად იყავი, ბიჭო, წუხელის?

— მიშიკოს დაბადების დღეზე!

— კი მარა, ამხელა ბიჭს მუშაობა აღარ გინდა? ცოტა რომ წაეშველო დედაშენს რა მოხდება?

— რავა არ მინდა, ბიძია თეოფილე, მარა სადაა?

— ცოტაა სამუშაო? შენხელობას ბიძია, მურიან ქვაბებს ვხეხდი გემზე, აბა!

— მურიანი ქვაბები ახლა სად ვეძიო?

— მე გიშოვნი საქმეს, სირცხვილია, სოფელს ნუ აალაპარაკებ. მამაშენის შვილს მაგი არ შეგფერის.

— საად? — კისერი მოიღერა ანზორამ.

— სად და ჩვენსას, არტელში. ჩვენი მეურნეობის დირექტორს ხომ იცნობ, ვალერიან შარაშიძეს?

— კი, რავა არა, მარა არ მიმიკარებს და!

— ვითომ რატომ, მამაშენის ამხანაგი, ჩემს ხელში გაიზარდა, უარს როგორ მეტყვის?

— რა ვიცი, აბა? — თავი გადააქნია ანზორამა.

— წადი ახლა, დედაშენი გელოდება. გზაზე ყურებით თვალები დაიწყდა. მაგ საქმეს მე მივხედავ. ხვალიდანვე ერთად გავალთ ზღვაში! — თეოფილემ ბიჭს თბილად მოუთათუნა მხარზე ხელი და უბიძგა, წადიო.

— თქვენთან ყველგან წამოვალ, ბიძია თეოფილე! — გაუნათდა ბიჭს სახე.

ბიჭი ჯერ ნელა მიდიოდა. მერე ფეხს აუჩქარა და სირბილით გასწია. თეოფილემ თვალი გააყოლა ბიჭს.

„უყურე შენ! — ფიქრობდა გზად მიმავალი თეოფილე, — სმა არ დამიწყო ამ ლაწირაკმა? საწყალი ამბერკია, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ხომ მოესწრებოდა ამხელა ვაჟკაცს!“

თეოფილე ამბერკიზე ათი წლით უფროსი იყო, მაგრამ ბავშობიდანვე კარგი მეგობრები იყვნენ. ამბერკი სულ ახალგაზრდა, პირტიტველა ბიჭი იყო, როცა თეოფილეს ზღვაში გაჰყვა და პირველი ნათლობა მიიღო. ის დღე იყო და ამბერკი აღარც ზღვას მოცილებია და აღარც თეოფილეს.

თეოფილე რომ დაქორწინდა, ამბერკი მის ქორწილში ჯარასავით ტრიალებდა...

მერე იყო და, ამბერკიც დაოჯახდა. მალე ვაჟიშვილიც შეეძინა და გაბედნიერდა კაცი. თეოფილეს იღბალმა შვილი არ არგუნა და მასაც ამბერკის ბიჭზე ამოსდიოდა მზე და მთვარე.

ასე ბედნიერად ცხოვრობდნენ ერთ ზღვისპირა ქალაქში, როცა ქვეყანაზ

თავს უბედურება დაატყდა. ომი დაიწყო და ყველაფერი აირია.

ჯერ თეოფილე წაიყვანეს ფრონტზე, მერე ამბერკიც მიაყოლეს. მეგობრები აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. ამბერკიმ ბერლინის მისადგომებთან დალია სული. თეოფილე კი, გამარჯვებული ღაბრუნდა შინ...

თეოფილე ტალღების ხათქვა გამოიყვანა ფიქრებიდან. მან მზრუნველად გადაავლო თვალი უზარმაზარი სხეულითა მოთახთახე ზღვას და იქვე ჩაიმუხლა. სიყვარულით ამოიღო პეშვით წყალი და ისე ჩააკქერდა, გეგონება შიგ ძვირფასი განძეული ეგულებაო. მერე წყლიანი ხელი ჩამოისვა სახეზე და ისე განაგრძო გზა.

შორიახლოს უკვე გამოჩნდა მეთევზეთა უბანი და ზღვის პირას, ფიქვნარში ჩადგმული ორსართულიანი, თეთრად შეფეთქილი შენობა. ეს შენობა იყო სწორედ მეთევზეთა არტელის კანტორა. შენობის წინ, ქვიშაზე, რამდენიმე ნავი გადმოებრტენებინათ ხელოსნებს და მათ გარშემო ფუსფუსებდნენ. ჩაქუჩების ხათქა-ხუთქი და ხერხების შხრა-შხური თეოფილემდისაც აღწევდა.

თეოფილემ ისევ ზღვას გახედა, სადაც კატარღა ეგულებოდა და გოცდა, როცა კატარღას ვერსად მოჰკრა თვალი. ვერც ახლო-მახლოს მეთევზეები დალანდა.

„რაშია საქმე? — გულში ელდასავით ეცა თეოფილეს, — ნუთუ უჩემოდ?“ — თეოფილეს უნებლიეთ ტანში გაეჟრჟოლა. ცუდმა, უსიამო წინაგრძნობამ ხასიათი წაუხდინა.

„მაშ უჩემოდ ჰა?“ — უხალისოდ განაგრძო გზა თეოფილემ.

მას უკვე აღარ ესმოდა ხელოსანთა მხიარული გამოძახილი, აღარც ზღვის ხმაური და აღარც საკუთარი ფეხის ხმა, ქვიშაზე სიარულისას რომ გამოიღებს ხოლმე. ირგვლივ თეოფილესათვის ყველაფერი გაყინულიყო და საოცარ უმოძრაობას აეტანა.

ხელოსნებმა, თეოფილე შენიშნეს თუ არა, მაშინვე საქმეს თავი მიანებეს და გაოცებული სახეებით დაუწყეს ყურება. თეოფილემ უმალვე დაიჭირა მათი ცნობისმოყვარე მზერა და აიმრიზა.

„ესენი რაღას მომჩერებიან? — უკმაყოფილოდ გაიფიქრა თეოფილემ, — პირველად მხედავენ თუ, რა დაემართათ?“

თეოფილემ ახალგაზრდული ენერგიით აათავა პატარა აღმართი და ხელოსნების წინ შედგა.

— გამარჯობათ, თქვენი! — მეხვივით გავარდა ჩამოვარდნილ სიჩუმეში მოხუცის ხმა.

— იცოცხლე, ბიძია თეოფილე! — თითქოს ერთხმად უპასუხეს ხელოსნებმა

„ეკითხო თუ არა? — ორეოფობდა მოხუცი, — თუმცა რა მაქვს საკითხავი?..“ — ჩვეულებრივად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე, შებრუნდა და შენობისაკენ დინჯად გასწია. ხელოსნებს თვალი არ მოუცილებიათ მისთვის

თეოფილე რატომღაც თვითდარწმუნებული იმით, რომ კატარღა არავითარ შემთხვევაში უიმისოდ არ გავიდოდა ზღვაში, დაიმედებული მიაბიჯებდა, თუმცა მას გულმა მაინც ვერ ძოუსვენა, კიბესთან მისულმა ელდანაკრავივით შემობრუნდა. და ხელოსანთა შორის ყველაზე ახალგაზრდას გასძახა, რომელსაც ჩაქუჩი ისევ ჯერში გაეშეშებინა და თეოფილეს დაჭყეტილი თვალუბით მისჩერებოდა.

— გივია, მოდი აქ შენ!

ბიჭმა ჯერ იქ მყოფთ გადახედა, თითქოს ეკითხებოდა წავიდე თუ არაო. მერე ჩაქუჩი ნავის ფსკერზე დაადგო და სირბილით გაეშურა მოხუცისაკენ. თეოფილემ ბიჭს ხელი გადასდო, თბილად გაუღიმა და სრულიად გულგრილი გამომეტყველებით ჰკითხა:

ნოდარ კეკელიძე
ტალღების ხმაურში

— შენ რა, კატარღას არ წაჰყოლ-ხარ?

გივი სახეზე აილეწა. განცვიფრებული შეჰყურებდა მოხუცის მოელვარე თვალებს და სიტყვა ვერ მოენახა სათქმელად.

— დღეს ხმელეთზე დამტოვეს, აქ უფრო ბევრი საქმეაო! — ცალუბად ჩაიღიმა გივიმ. წამით ორივენი სდუმდნენ, მერე როდის-როდის დასძინა ბიჭმა, — კი მარა, ბიძია თეოფილე, იცოდი კატარღა უშენოდ რომ გავიდოდა?

აქ უკვე ყოველგვარი იმედი ყინულივით დაიმსხვრა, დაილეწა. თეოფილეს ერჩივნა, ტყვია მოხვედროდა გულში, ვიდრე ამას ეტყოფნენ.

თავიდანვე გრძნობდა, განა არა გრძნობდა, რომ კატარღა კარგა ხნის გასული იყო ზღვაში, მაგრამ კიდევ შერჩენოდა სადღაც იმედის ნაპერწკალი. თურმე ყველაფერს ჰქონია დასასრული. იმედსაც კი, რომლითაც ადამიანი ხანდახან მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობს.

თეოფილე ბიჭს ისე მიაჩერდა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს ყველაფერი. მერე თავი მაღლა ასწია და ზორიახლოს მდგომ ხელოსნებს გამომცდელი თვალით გადახედა. მხოლოდ ახლა მიხვდა იგი, წეღან, ხელოსნებისაკენ რომ მიდიოდა, რატომ მისჩერებოდნენ ასე, გაოცებულები.

თეოფილე უცებ მოეშვა, მოდუნდა, გრძნობდა როგორ ელეოდა მუხლებში ძალა. ალბათ მარტო რომ ყოფილიყო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებდა ასეთ სისუსტეს და გაერთხმებოდა მიწაზე, მაგრამ ახლა? ამათ წინაშე?.. არა, მხოლოდ ახლა არა! — თეოფილე ებრძოდა საკუთარ თავს; იგი არასოდეს არავის წინაშე არ შერცხვება, თუნდაც ღმერთი იყოს!

და უცებ ქარიშხალივით შემოენთო მოხუცს შინაგანი ძალა, გამხნევებულს ენერგია შემატა და გონება დაუბრუნა.

— ცუდად ხომ არა ხარ, ბიძია თეოფილე? — შემოესმა თეოფილეს ბიჭის ხმა.

„განა რამე შემნიშნეს?“ — თეოფილემ წამით წარმოიდგინა ის საბალლო შედეგი, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ყოველგვარ დაუფიქრებელ მოქმედებას და უცებ აიყვანა ხელში საკუთარი თავი. სახეზე მხოლოდ ნაძალადევმა ღიმილმა გადაურბინა და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— საიდან დასასკვენი, ბიჭო?

— მაშ იცოდი შენი ამბავი, ბიძია თეოფილე?

—აბა, არა? — ხელი დაჰკრა მხარზე ბიჭს, — გეგონა არ ვიცოდი? ვალერიანი აქაა?

— კი, თავისთანაა.

თეოფილეს, კიბეზე რომ ფეხი ასდგა, მხოლოდ მაშინღა შემოესმა ჩაქუჩების ხათქა-ხუთქი.

„მომეშვნენ! — შეებით ამოისუნთქა თეოფილემ, — ასე არა ჯობიან? ხალხმა რად უნდა იცოდეს ჩემი გულის ბოღმა. ვინ რას მიშველის? შესაძლებელია, ზოგმა მასხარადაც ამიგდოს. თუმცა ამას არ გავიმეღვნებს. რა იცი, მაშინ ვინ რას ფიქრობს შენზე. თუნდაც პირიქით, შეგიბრალებენ უმწეო, უსუსური დედაკაცივით. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება, რომ თვალთმაქცობდნენ შენს წინაშე. ასეა, თუ გულს არ ეკიდები, ძნელია ვინმემ გაგიგოს, თანაგრძნობა გაგიწიოს.

არა და კაცი რომ სხვისი შესაბრალისი გახდება, ის რაღა კაცია?“.

თეოფილემ ხაზგასმული სიდინჯით აიარა ქვის მაღალი კიბე და ერთხანს ყივანზე, კარის წინ შედგა. როდის-როდის დაეკაკუნა. ოთახში ვიღაცა ხმამაღლა ხარხარებდა. „ვიღაცა თავდავიწყებით იცინის! — გაიფიქრა თეოფილემ, — იცინის რაღაცის გამო. ისინი კმაყოფილნი არიან დღევანდელი დღით. მე არ ვიცი ახლა, იქ ვინ ზის ან რას წარმოადგენს, მაგრამ იგი ხომ ადამიანია? ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანი. რომელსაც დღენიადაგ თან სდევს სიკვდილის აჩრდილი როგორც მე, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ყველას, საერთოდ, ადამიანებს, ამ ქვეყნად...

მაშ, რატომ გერიდება ხალხისა, თეოფილე. ისინიც ხომ შენსავით იღწვიან და განიცდიან. შენსავით უყვართ მათაც ეს ლამაზი ქვეყანა. შენ უნდა იგრძნო მათი სიანლოვე, შენ ხომ გიყვარს ადამიანები? მაშ რატომ არ ხარ მათ წინაშე გულღია, რამ შეგბოჭა ასე? აბა, შემობრუნდი, ზურგს უკან ათი წყალი თვალი როგორ შემოგჩერებია. ისინი მზად არიან, მხარში ამოგიდგნენ თუ კი საჭიროება მოითხოვს.

შენ ხომ ყველას გამრიგებელი და მოსარჩლე ხარ. იყო დრო, როცა ზღვაში შენი იმედით გადიოდა ხალხი. შენ იყავი მათი იმედის შუქურა. ესე იგი მათ სჯეროდათ შენი. ასევე უნდა იყო შენც მათ მიმართ, გჯეროდეს მათი და ისინიც გაგიტანენ. მუდამ მზად არიან შენი გულისათვის ყველაფერი ჩაიდინონ!“ — დიდხანს ესაუბრებოდა თეოფილე საკუთარ თავს. მერე მისდაუნებურად ჩაეღიმა და კარზე ხელმეორედ დააკაკუნა. თეოფილეს გარკვევით ესმოდა საკუთარი გულის ბაგბაუგი.

მოგვიანებით გაისმა ოთახიდან ყრუ, გაგუდული ხმა, — მობრძანდით!

თეოფილემ ზურგჩანთა კართან მიაყუდა და კარს ხელი ჰკრა. პარმაღზე შედგა და ოთახს თვალი მოავლო. მაგიდას, როელზეც უამრავი ქაღალდები ეყარა, მეურნეობის დირექტორი ვალერიან შარაშიძე მისჯდომოდა. მის წინ კი, ორი უცნობი ახალგაზრდა ჩამომჯდარიყო და პირდაღებულები შეჰყურებდნენ დირექტორს. როგორც ჩანდა, ერთ-ერთი მათგანი სასაცილო ამბავს ყვებოდა, სამეფეს საზეიმო განწყობილება აღბეჭდოდა სახეზე.

თეოფილეს ოთახში გამოჩენამ უმალვე შეცვალა მდგომარეობა. ვალიკო ფეზზე წამოდგა და მოწიწებით, პირზე ღიმილგადაკრულმა ჩაილაპარაკა:

— მობრძანდი, ბიძია თეოფილე! — მერე მაგიდას გამოსცდა, თეოფილეს ხელმკლავი გამოსდო და თავისკენ წაიყოლა.

„როდის იყო ასე ხელმკლავით დავყავდი ამ შეჩვენებულს?“—გაიკლო გულში თეოფილემ და ცოტა არ იყოს იუცხოვა დირექტორის ხელი. უხერხულად შეიშმუშნა; ვალიკო მიუხვდა თეოფილეს და ცივად ჩამოსცილდა.

— რა მჭირს, ბიჭო, საამისო? — ვეღარ მოითმინა თეოფილემ. სიტყვა ხუმრობაში გაატარა.

უცნობმა ყმაწვილებმა მალე დატოვეს იქაურობა.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ? — თეოფილემ წვერზე დაისვა ხელი და მაგიდისაკენ წავიდა.

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ? — თქვა ვალიკომ და ისევ მაგიდას მიუჯდა. რატომღაც ერიდებოდა ამ კაცისათვის სახეზე შეეხედა და აკანკალებულ ხელებს, თავჩახრილი, ქაღალდებში ნერვიულად აფათურებდა.

„რატომ პირდაპირ არ მიყურებ? — ფიქრობდა თეოფილე, — განა გრძნობ დანაშაულს? თუ სქელკანიანი ხარ და მაგასაც ვერ ხვდები. არ იცი, სიმართლეს რომ თვალებში უყურებენ? შეგირცხვა სინდისი ვაჟკაცს. დაგეძახა, გეთქვა ორი სიტყვა, მოგისმენდი, გაგიგებდი. ნუთუ იმდენი დამსახურება აღარ მაქვს, რომ ასე ვიგინდარასავით არ ჩამოგეცილებინე საქმეს. იქნებ გგონია, მუხლებში ჩაგივარდები? ისე არ დავკნინებულვარ, რომ შენისთანა ღლაპთან საუბოვარი გამიხდეს!“

მეურნეობის დირექტორი საოცრად გრძნობს მოხუცის გამჭოლავ მზერას. სახე უჭარხლდება.

„რატომ არაფერს იტყვის? — ფიქრები ტვინს უბურღავს მეურნეობის დირექტორს, — რატომ არ მეუბნება, რისთვისაც მოსულა. ნებისყოფა მაქვს, მაგან უნდა დაიქადნოს. კეტი კაცია. ვითომ არ იცის, კატარღა დღეს უმისოდ რომ გავიდა ზღვაში“.

იატაკზე სკამი დავარდა. ოთახში ჩამდგარი სიჩუმე უცებ გაიფხრიწა და

ვალიკოს გულზე მოეშვა. ისე ამოიხვნეშა, თითქოს კისრიდან დოლაბები ჩამოხსნესო. თეოფილე აუჩქარებლად დაიხარა, სკამი ფეხზე დააყენა და ჩამოჯდა.

— ვალერიან, შენთან საქმე მაქვს! „მაინც უნდა რომ მისაყვედუროს“ — გაიფიქრა მეურნეობის დირექტორმა.

—გისმენ, ბიძია თეოფილე.

— ამბერკიას ხომ იცნობდი, შენ?

— ამბერკიას, როგორ არა? — გამოცოცხლდა ვალიკო.

— იმის ბიჭი უნდა მომიწყო კატარღაზე.

— ანზორია? — წარბები აქაჩა მეურნეობის დირექტორმა.

— ჰო, ანზორია. ცოტა თუ არ წაიმუშავა, გაფუქსავატდება. ხელიდან წავა ბიჭი.

— კი, ბატონო, მარა! — ხელები გაალა ვალიკომ, — ვერ შესძლებს, ზღვამ, ხომ იცით, დაცდა იცის!

— ახალგაზრდაზეც ეჭვი გეპარება, ბიჭო?

— არა, მაგრამ მისგან არაფერი გამოვა, ბიძია თეოფილე!

— შენზეც ასე მეუბნებოდნენ ოდესღაც! — აენთო ბიძია თეოფილე — წამოეწია ვალიკო, — ნუ მიწყენთ, ზევით თუ ანგარიში არ გავუწიე ხალხს, ისე არფერი გამოვა. იტყვიან, ძაღლად არ ვეაგდებსო!

— ვითომ გაქვს მაგის უნარი, კაცს რომ ანგარიში გაუწიო?

— ბიძია თეოფილე! — სახე მოეღრიცა მეურნეობის დირექტორს,—დღეს ძალიან ადრე მოგვივიდა ზღვაში გასვლა და... თქვენი შეწუხება აღარ მოვინდომეთ. ხომ იცით, მოხუცს მაინც თავისებური პატივისცემა სჭირდება!

— ჰმ! კარგი პატივისცემა გაოფნია! — ოდნავ ჩაიღიმა თეოფილემ და კარი გამოაღო.

— ისე, სამმართველოში იმსჯელეს თქვენს შესახებ, ასეთი გამოცდილი კაცი ხმელეთზე უფრო დაგჭირდებაო. მე დავეთანხმე. კარგად მოგეხსენებიან, ზღვა მარნც ზღვაა და...

— რისთვის წუხდებოდი, მე ამისათვის არ მოვსულვარ შენთან!

თეოფილე გარეთ გავიდა და მეურნეობის დირექტორს, რომელიც საცოდავად მოკუნტულიყო. კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

ხელოსნები შენობის წინ, კიბესთან შეგროვილიყვნენ და ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდნენ ზურგჩანთაკიდებულ მოხუცს, რომელიც დინჯად ჩამოდიოდა საფეხურებზე.

თეოფილემ ისე ჩაიარა, მათთვის ერთხელაც არ შეუხედავს. აღარც იმათ შეუწუხებიათ კითხვებით.

— ნეტა როგორ გადაწყდა? — ვიღაცამ დაარღვია სიჩუმე.

— ეე! რა იცი, გაიგებ? — ახლა მეორემ ჩაილაპარაკა და აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ.

თეოფილე ნელი ნაბიჯით მისდეკვა სანაპიროს. ცას პირი შეეკრა და წვიმას აპირებდა. ტყვიისფერი ღრუბლები ზღვის ზედაპირამდის ჩამოძენძილიყვნენ. ზღვა ძუ მგელივით ღმუოდა და ღრტვინავდა. უზარმაზარი, მთასავით ტალღები ზათქით ეხეთქებოდნენ ნაპირს. სანაპიროზე, საიდანაც მოვარდნილი ქარაშოტი უმისამართოდ დათარეშობდა, თეოფილემ ზღვას მოუხედა და ძრწოლვით გაიფიქრა:

„ღმერთო, ნეტავ მშვიდობით დაბრუნდებოდნენ ბიჭები შინ.“

თეოფილე სასადილო „იალქნიან ნავს“ რომ დაუახლოვდა, იგრძნო, პირი გაშრობოდა და წყურვილს აუტანელმა სურვილმა სასადილოსაკენ გაახვევინა.

სასადილო ხალხით იყო სავსე. თეოფილეს გამოჩენაზე იქ მყოფნი ახმაურდნენ. მაგიდებიდან სთხოვდნენ, თითო ჭიქა დაგვლიეო. თუმცა თეოფილეს არავისთვის მიუქცევია ყურადღება, პირდაპირ დახლს მიუახლოვდა და დახლდარს ერთი ჭიქა ლუდი სთხოვა. თეოფილე ლუდს წრუპ-წრუპით სვამდა და სასადილოში მყოფ მოქეიფე-

ებს მალულად ათვალიერებდა. მხოლოდ ახლა გაარჩია ქვეყნის ნაცნობნი, რომლებიც ღიმილით შემოსჩერებოდნენ დახლთან მდგარ, წვეროსან კაცს და რატომღაც ინანა, არ უნდა შემოესულიყავიო.

— ზღვაში რატომ არა ხარ, ბიძია თეოფილე? — გამოსძახეს ერთ-ერთი მაგიდიდან.

„ახლა აღარ მოგეშვებიან! — გაიფიქრა მან, — ათასი მიზეზი უნდა მოიდო, რითიმე დაკმაყოფილო მათი ცნობისმოყვარეობა. არა და თვითონვე მოიგონებენ სალაპარაკოს. იქნებ მიხვდნენ კიდეც ზღვაში გაუსვლელობის მიზეზს? თუმცა დასამალიც არაფერი მაქვს“.

— ზღვას უდალატე, თეოფილე? — ახლა მეორე მაგიდიდან შეეხმაურნენ.

— ცოცხალი თავით ზღვას როგორ ვუღალატებ, — გაღიმება სცადა თეოფილემ, — დღეს პატარა საქმე მქონდა დაა!..

თეოფილემ ერთ მაგიდასთან უცებ ამბერიკიას ბიჭს, ანზორს მოჰკრა თვალი და პირთან მიტანილი ჭიქა ცივად დააბრუნა დახლზე: ანზორმაც, რასაკვირველია, შენიშნა თეოფილე, მაგიდიდან წამოხტა და ღიმილით გამოეშურა მისკენ.

— კიდევ აქ ხარ, ბიჭო? — დაბალი ხმით, ისე რომ სხვას არ გაეგო, უსაყვედურა ბიჭს.

—თბილისიდან მეგობრები ჩამომივიდნენ, ბიძია თეოფილე, და პატივი ხომ უნდა ვცე? — ანზორი დამნაშავესავით ლაპარაკობდა.

— პატივისცემა თუ გინდოდა, შინ ვერ მიიყვანე?

— არ ინდომეს, ზღვის პირას გვირჩევნიაო!

— დიდხანს ნუ გააგრძელებ, ხვალ დილით ზღვაში გაედევართ, მომზადება დაგჭირდება!

— ზღვაში? — ბიჭს თვალები გაუფართოვდა, — კატარღით?

— არა, შვილო, ჩემი მოტორიანი ნავით!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ჩხეჯიანი

•

ნეც მქონდა მინდვრის ქარის სიცელქე —
ცეცხლი თივაში დაუფარავი,
ჩემს სალამურზეც
ბევრჯერ იცეკვეს,
არ დავრჩენილვარ ვალში არავის!
მეც მედგა ჩემი ოქროს კარავი,
ჯიდა მზის სხივი მხრებზე ეყარა,
ვენახი, რთველი,
შიოს მარანი
და მოღაღანე ცა და ქვეყანა!
კვლავ მოჰქუხს ჩემი თეთრი მდინარე,
სიცოცხლესავით დაულეველი,
მდინარის პირას მღერის ჩინარი,
ირგვლივ გუგუნებს მწვანე ტყე-ველი...
მეც მიხმობს უშბა —
მხარბეგნადამლილი
მხნე მზეგაბუკი თეთრი სამოსით,
ქარში შრიალებს ჩემი მანდილი —
შენი მაღალი სინდის-ნამუსი.
და... მეც მაქვს ჩემი ჩუმი ტკივილი,
მლაშე ცრემლებით სავსე პეშვები,
ნაგრამ ბოლომდე მუდამ წინ ვივლი,
მზეს და სიყვარულს არ მოვეშვები!

•

ნუღარ მეძახი,
ნუღარ მიხმობ,
რა საჭირო!
რა მოხდა მერე,
თუ გაზაფხულდა
და თუ წყნეთში
ლილო-ჭრილოა...
თურმე ერთ ზამთარს
შეუძლია ბევრი წაიღოს...
ნუღარ მეძახი,
ნუღარ მიხმობ,
რა საჭირო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ი რ ი მ ზ ე

მთა მიბუსუნებს დევივით,
ჩემზე გამწყრალი თუ არი?!
— ბანს გვტყვი, სიმღერა თქვიო!
საით გამივა უარი?!

მე რა სიმღერის თავი მაქვს,
რომ მნახოთ, შეგებრალებით,
მაინც მიცინის პირიმზე,
თამარ დედოფლის თვალებით.

❀

შენ ხარ ვენახი
გაფოთლილი და მსხმოიარე!
უშენოდ მამულს რა უნდა ერქვას?!
უშენოდ მზეც ვერ
მომიშუშებს
სულის იარებს,
აი, რად ვუმზერ სამამულე რქას!

ხვალ რა მოგველის,
დიდი ხვავი თუ სიღარიბე?
გულს მწვავე კითხვა შემოგზნებია!
თავდებად დგანან
შენი წმინდა
შუბლის ღარები
და ეგ ღარები სანდო გზებია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩიხლაძე

ქართველი ინჟინერი ოთარ ჩიხლაძე 1964 წლიდან 1967 წლამდე, სხვა სპეციალისტებთან ერთად, მიელინებით იმყოფებოდა გვინეის რესპუბლიკაში, აფრიკაში უდიდესი ხიტყისდამუშავებული ქარხნის მშენებლობაზე. მშენებლობის პერიოდში ოთარ ჩიხლაძეს ხშირად უხდებოდა მოგზაურობა გვინეის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში, საშუალება ჰქონდა შეესწავლა ადგილობრივი ტომების საყოფაცხოვრებო წესები, ზნე-ჩვეულებანი. ახლოს გასცნობოდა ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის შინაარსიან ცხოვრებას.

ორი დღესასწაული

(ნამდელი ამბავი აფრიკელთა ცხოვრებიდან)

კურუმა ლანსანა ჩვეულებრივი აფრიკელი იყო. გერზეს ტომის ოცდაოთხ წლის ათლეტური აღნაგობის ვაჟკაცი ბუნებას უადრესად მშვიდი და მორჩილი ხასიათით დაეჯილდოებინა. იგი ჩემთან მუშაობდა მშენებლობაზე.

ძალზე სიამოვნებდა ხოლმე, ყოველ დილით თავის ენაზე რომ მივესალმებოდი: „იაუ! ეი კვალი?“ ისიც ღიმილით მიპასუხებდა — „იაუ! ეი კვალი, ეი კვალი!“ თან აუცილებლად დააყოლებდა: „მუსიე ოთარმა ძალიან კარგად იცის გერზეს ენა!“ თუმცა მე მაშინ მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი სიტყვები ვიცოდი.

კურუმა ლანსანა ყოველთვის ცდილობდა ჩემი გულის მოგებას. მე მყავდა მეგობარი, სახელად ერა ენაკრო. ისიც ჩემთან მუშაობდა. კურუმა ლანსანამ ეს იცოდა და ფარულად ეშინოდა კიდეც, ამიტომ ცდილობდა ჩემთან ახლო დამეგობრებას. უნდოდა, ჩემს მიერ დავალებულ საქმეში თავი გამოეჩინა. ორი კაცის საქმეს ისე სწრაფად და ლაზათიანად შეასრულებდა ხოლმე, რომ გაკვირვებას იწვევდა. კურუმა ლანსანა და ერა ენაკრო ერთიანეთს ჩემი მეშვეობით დაუახლოვდნენ და ბოლოს მეგობრებიც კი გახდნენ. ეს ჩვეულებრივი ამბავი არ გახლდათ. საქმე ისაა, რომ ისინი სხვადასხვა ტომის შვილები იყვნენ. ერა ენაკრო მანდინგის (მალენკე) ტომს ეკუთვნოდა და მისი საღოცავი ისლამი იყო. კურუმა ლანსანას ტომი გერზე (კპელე) ანიმისტური, ამ ორი ტომის დაახლოება კი ძალზე იშვიათი ამბავია.

კურუმა ლანსანას საგვარეულო ჩვენი ქალაქიდან სულ რვა კილომეტრის მანძილზე იყო დასახლებული, ჯუნგლებში მივარდნილ პატარა სოფელ დოროტაში. მე და ერა ენაკრო ისე ხშირად დავდიოდით მასთან სტუმრად, რომ სოფლის თითქმის ყველა მოსახლეს ვიცნობდით. ეს ტიპიური, ჯუნგლეებში დაბუდებული სოფელი, თავისი პატარა, აფრიკული კაზებით და მათ შორის ვიწრო ქუჩაბანდებით, მოხტუნავე შიშველი ბავშვებით, თუ კაზების წინ დინჯად ჩამომსხდარი მოხუცებთან, კერიების კვამლთათ და ადგილობრივი კერძების დამახასიათებელი სურნელით არაფრით განირჩეოდა ჯუნგლებში მივარდნილ სხვა სოფლებისაგან. ისევე, როგორც სხვაგან, აქაც ნახევდით ჯუნგლებიდან კისკისით მომავალ გერზეს ტომის ქალებს, რომლებსაც თავზე პალმის წვენით — ბანგით სავსე უშველებელი გოგრისმაგვარი ჭურჭლები ან ბანანებითა და ორანჟით სავსე თაბახები ჰქონდათ შედგმული, წელზე კი ბავშვები ჰყავდათ აკრული.

კურუმა ლანსანას შეეძლო ქალაქში პატარა კაზის ავება და იქ დასახლება, ეს ხომ მის სამშობლო ადგილთანაც გაცილებით ახლოს იქნებოდა. მაგრამ მე და ენაკრომ ვიცოდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი დოროტას სუნთქვით სუნთქავდა, მისი გრძნობა ამ პატარა სოფელზე იყო მიჯაჭვული და ბოლომდე იქ დარჩა კიდეც. გვინეის პროგრესულ ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრობა ავალდებულებდა მას თავისი მოვალეობა დოროტაში შეესრულებინა.

თითქმის წელიწადი გავიდა, რაც ლანსანამ თავისი გულისთქმა გაგვანდო. მას დოროტელი ქალიშვილი ნიალე უყვარდა. თვრამეტი წლის გოგონაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. მედამ თვალწინ ედგა, სიხმარშიც და ცხადშიც. მაგრამ ჯობია ყველაფერი თავიდან დავიწყოთ...

კვირა დილით ენაკრო და მე ჩემი სახლის ვერანდაზე ვისხდით და ყავას შეეექცეოდით. ეზოში ლანსანა შემოვიდა, ჩვეულებრივ მოგვესალმა და სავარძლები ჩაჯდა. ფინჯანი ყავა დაეფდგი და სოფლის ამბავი ვკითხე. ის ჩვეულებრივზე მოეთმენელი ჩანდა, რაც მანამდე არასოდეს შეგვიმჩნევია. თითქოს სადღაც ეჩქარებოდა. ასე რამ აგაღელვაო, ვკითხეთ. მან ყოველგვარი შესავლის გარეშე ვეთხოვა აუცილებლად წავყოლოდით დოროტაში, სადაც ღამით ჩამონაწვეთი პალმის წვენი — ბანგი ჩქონდა ჩვენთვის შენახული. ისიც გვითხა, რომ წამოსვლისას სოფლის თავმა საგანგებო მოწვევა გადმოგვცა.

ჩემთვისაც და ენაკროსთვისაც ბანგის სასმელად დოროტაში წასვლა უჩვეულო ამბავი არ იყო, მაგრამ ასეთი საგანგები მიწვევა და ლანსანას ამგვარი აღელვება ცნობისმოყვარეობას გვიღვიძებდა, ამიტომ დიდი თავპატიჟი არ დაგვწყია, წამოვდექით და ლანსანას თანხმობა განეცხადეთ.

საქმეს ის ართულებდა, რომ მანქანა ქარხანაში მქონდა დატოვებული და მისი იქიდან წამოყვანა დიდ დროს წაგვართმევდა, ამიტომ ფრაფ მომივიდა ერთი ფრანგი მეგობრის ენრი ოზიასის მანქანით მესაჯგებლა. მით უმეტეს, რომ წინა დღით ოზიასი თვითონ მთხოვდა წაეყოლოდი ჯენლებში თევზზისა და ანტილოპის ხორცის საყიდლად. ოზიასი შინ დაგვხვდა. ეს შუახანს გადაცილებული დამანი არასოდეს ღალატობდა თავის თანამამულეთთა ადათ-წესებს და მხიარული სალმითა და თათარიახანად გამართული პატარა სუფრით დაგვიხვეა სახლში, რომელიც ერთ და იმავე დროს კაბარესაც წარმოადგენდა.

ჩვენი მისვლის მიზეზი რომ შეიტყო, კმაყოფილება ვეღარ დამალა და სულ ათთოდე წუთში მზად იყო მგზავრობისათვის. ოღონდ ჯერ უნდა გადავეკარა თითო ჭიქა „პასტისი“, ურომლისოდაც იგი სახლში მისულ სტუმრის არავითარ შემთხვევაში გარეთ არ გამოუშვებდა.

მთელი ჩვენი კომპანია დიდის ამბით ჩავსხედით ოზიასის „რენოში“ და დავიძარით. საგზესთან, როგორც შედარებით კვალიფიციური მძღოლი, მე ვიჯექი.

გეზი ლიბერიის საზღვრისაკენ აეიღეთ, საითაც სოფელი დოროტა მდებარეობდა. სწრაფად ჩავუარეთ ბაკულის კაბარეს, ნზერეკორეს ჰოსპიტალს, გუბერნატორის რეზიდენციას და სულ მალე ვენეის ჯენლებში ამოყუჯვით თავი. გზაჯვარედინზე, სადაც ჯენლების პატარა ბაზარი იყო, მანქანის შეჩერება გვინდოდა, რათა დოროტელ ნაცნობებისათვის სიგარები და კოლას კაკაში გვეყიდა, მაგრამ მანქანის აკუმულატორებს არ ეენდოსბოდით და გზა შეუჩერებლივ განვაგრძეთ. რამდენიმე წუთში ჯენლებში მიმავალი პირველი კაზების ჩალით დფფარული, კონუსური სახურავებიც გამოჩნდა. კაზებს შორის ეზოებში ქვამლის სეტები ამართულიყვნენ.

უქმე დღე იყო და ამიტომ თითქმის ყველა — ღიდი თუ პატარა კაზების წინ, სახურავების წამოშვერილი ნაწილის ჩრდილში მოკალთებულიყო, ზოგი დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა, ზოგი კი პირდაპირ მიწაზე. მამაკაცებიდან ზოგი თვლიდა, ზოგი ბაასობდა. ქალები კი, როგორც ყოველთვის აფრიკაში, დაუღალავად ფუსფუსებდნენ — ნახშირის კერებთან საჭმელს ამზადებდნენ, არაშიდან ან კურკეულს ნაყავდნენ უშველებელ სანაყებში, ან სარეცხს რეცხავდნენ. ქალებს არც პატარა გოგოები ჩამორჩებოდნენ. ისინი ასევე დაუღალავად უტრიალებდნენ გაბშემო დედებს, ეხმარებოდნენ წყლის ზიდვაში ან ცეცხლის გაღვივებაში. ბიჭებები კი გამწარებული უხამუნებდნენ შაშველ ფეხს კინსერვის ცარიელ კოლოფს და ალბათ თავი პელედ ჰქონდათ წარმოდგენილი. აქ, ჯენლებშიც ხომ უკვე ბევრმა იცის „ზავი მარგალიტის“ სახელი.

კურუმა ლანსანას კაზთან მისვლამდე შეენიშნეთ, რომ მეზობელი სახლების ღია კარებიდან ცნობისმოყვარე ქალები გვითვალთვალებდნენ ხო თან ერთმანეთს რაღაცას წაულაპარაკებდნენ ხოლმე, რაც ადრე არასოდეს შემიმჩნევია.

კურუმას სახლის კართან სოფლის ჭაღარა, წვერებიანი თავკაცი შემოგვეგება, ორი ახალგაზრდა ვაჟკაცის თანხლებით. დღეს ისინი საგანგებოდ იყვნენ გამოწყობილნი. მათი გულმხიარული და ჩვეულებრივზე უფრო თავაზიანი შეგებება მოწმობდა, რომ ჩვენს მოლოდინში იყვნენ და ჩვენ ვიყავით დღეს მათი მთავარი სტუმრები.

მოიკითხეს ჩვენი ოჯახები, საქმიანობა, აინტერესებდათ ჩვენი ჯანმრთელობა, გაწწყობილება და ვინ მოსცვლის კიდევ რამდენი რამ. ეს ხომ, მათი ჩვეულების თანახმად, აუცილებელია.

ოთარ ჩიხლაძე
ორი დღესასწაული

როცა საკმაოდ დაგვღლეს ამ გამოკითხვებით, საქმეზე გადავიდნენ, რაც იმაში გამოხატებოდა, რომ გვკითხეს, სად გვესიამოვნებოდა ჩამოსხდომა და მოსაგენება, კაზში თუ გარეთ. მართალი გითხრათ, მე ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მინდოდა რაც შეიძლება მალე გამეგო ასეთი უეცარი და საგანგებო დაპატიჟების მიზეზი და ვინაიდან ქოხში უცხო თვალს მოფარებული მასპინძლები უფრო გულსაღიღნი და მოურიდებელი იქნებოდნენ, კაზში შესვლა ვარჩიე, სპბაბად კი სიცხე მოვიმიზეზე. რაც უნდა პაპანაქება იყოს, აფრიკელ კაზებში მუდამ სასიამოვნო სიგრილეა, თუმც უფანჯრობის გამო საკმაოდ ბნელა კიდეც შიგ... ჩემი კომპანიონებიც არ იყვნენ მოკლებულნი გამჭრიახობას და ამიტომ ერთხმად დამეთანხმა მხარი.

ეტყობოდა, მასპინძელიც სწორედ ამას ელოდა და ქოხში უკვე სუფრა გაეწყო. დაბალ მაგიდაზე ხის ორი უშველესები გობი იდგა, ხისავე გრძელსახელურიანი სასმისებით გარსშემოწყობილი. გობში მაჭის მსგავსად დუღდა პალმის თეთრი წყენი — ბანგი.

სავარძლებში რომ მოვკალთდით, პატარა გოგონამ მაშინვე ჩამოგვიტარა ხელის დასაბანი წყალი, რომელიც მიწის იატაკსა უმალვე შეისრუტა. ხმას არავინ იღებდა. კურუმა ლანსანამ ვიღაცას გასძახა კარებში. გარედან სოფლის თავკაცის ბოხი ხმა მოისმა. იგი ვიღაცას დაეინებით ეძახდა. მერე ქალის ხმა მოისმა. იგი თითქოს რაღაცაში ეწინააღმდეგებოდა მოხუცს. კურუმას მზერა კარისაკენ იყო მიპყრობილი და მოუთმენლად ელოდა გარეთ გამამთუელი დისკუსიის დამთავრებას. ბოლოს, როგორც იქნა, დაკიდებული ფარდა გადაიწია და ზღურბლზე მორცხვად აიტუზა მომხიბვლელი სახისა და აღნაგობის ქალშვილი. თავზე აფრიკელი წესის ხიხედვით კოხტად შეოფარა ლამაზი თავსაფარი, ტანზე კი კოკეზამდე შემოეხვია სახლში ნაქსოვი, კაზაკა ფერებით მოჭიფული ქსოვილის ნაჭერი, რომელიც ოდნავადაც არ უფარავდა ახლად აბურცულ გულმკერდს. ყელს, ყურებსა და მკლავებს ბრეყვიალა საყურეები, მძივები და სამაჯურები უმშვენებდა, რომლებიც კაზში ჩამომდგარ ბინდში ყოველ მის მოძრაობაზე ელავდა და ციმციმებდა... ქალიშვილმა გაუბედავად შემოდგა ფეხი კაზში. თავზე ხილით სავსე დიდი თაბახი ედგა, ორივე ხელით კი პატარა შამფურებზე აემული შიშხინა მწვადებით სავსე ხის ფრიალა მოჰქონდა. იგრძნობოდა, რომ ჩვენი დანაბეისას მოერიდა შიშველი მკერდის გამოჩენის. ისე შემოვიდა და გადვიწყო სუფრა, თვალები ზევით არ აუწევია. მისი გრძელი წამწმანები არც იმის საშუალებას გვაძლევდა, თვალების ფერი დაგვენახა. კურუმამ რაღაც გადაუღაპარაკა მას. გოგონამ უარის ნიშნად თავი გაიქნია, მერე სწრაფად შემოტრიალდა და კარებში გაუჩინარდა. ბოლოდ ფარდის გადაწევისას მოეკარებოდა წამით განათებულ ბის ლამაზ, გამოკვეთილ ზურგს, რომლის მსგავსს მხოლოდ აფრიკელ ქალებს შორის თუ ნახავთ.

ეს ქალიშვილი ალრე არასოდეს მენახა დოროტაში. კურუმა ლანსანას გადავხედე. იგი მიხედა და მოულოდნელად მითხრა, რომ ეს ნიალე იყო... მისი ცოლი. დიახ, ცოლი. როდის? როგორ? ჩვენ ვიცოდით მხოლოდ ის, რაც მას ალრეევე ჰქონდა ჩვენთვის განდობილი, რომ უყვარდა ერთი ქალიშვილი, სახელად ნიალე.

დიდხანს ვისხედით მაგიდასთან. დიდად ვუსაყვედურეთ კიდეც კურუმას, რომ მან „ერორწილი“ გამოგვაპარა., რომელიც თურმე რამდენიმე კვირის წინათ გადეხადა. იგი თავს იმართლებდა, ყველაფერი ეს მოულოდნელად მოხდა, საკრო სამზადისიც კი ვერ მოვასწარითო. ნიალე მის გარდა მეზობელ ვაესაც ჰყვარებოდა და კურუმას რომ არ მოესწრო სახელდახელოდ საქმის მოგვიარება, ქალიშვილი მეტოქეს მიპყავდა. მართალია, ნიალეს კურუმა მოსწონდა, მაგრამ თუ კი ის ახალვაზრდა ბიჭი იმარჯვებდა, არც იმას ეტყოდა ცოლობაზე უარს. ასე იმიტომ ხდება, რომ აფრიკაში ქალშვილის გრძნობებს მის ქორწინებაში გადამწყვეტი როლი არა აქვს.

ყოველივე ამის შემდეგ კურუმას თურმე ეუხერხულებოდა ამ ამბის გამხელა ჩვენთან. დღეისათვის კი სოფლის თავკაცს გადაეწყვეტია ჩვენი მოწვევა, რომ ასეთი ამბის აღსანიშნავად ჩვენ, კურუმას ახლო მეგობრები, მოეწერნენი არ დავრჩენილიყავით და მისი გამეგლნირება მოგვიანებით მაინც აღგვენიშნა.

ორივე გობი ბანგი უკვე დაიცალა. მწვადებიც გეაბერეთ, ხილიც. ბევრიც ვიმღერეთ. კურუმას ახალშერთული ცოლს, რასაკვირველია, დამსახურებული ხოტბა შევესხით.

როდესაც კაზიდან გამოვედით, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. საღიდაც ახლოს ტამტამს შემოპკრეს. ერთხელ, ორჯერ, სიბნელეში ძლივს გავაჩინეთ კურუმას კაზიდან ცოტა მოშორებით თავშეყრილი უამრავი ხალხი, ქალები და მამაკაცები. მათ მტკუტაცი კვარები ეჭირათ. საზეიმოდ გამოწყობილებს უშველებელი ნახევარწრე დაერტყათ, ტამტამი არაკაკადა, აგუგუნდა. მას აფრიკელი „ფლეიტებით“ და „ჰიანურები“, მერე ხალხის ხმაც ამყვა და შავად ვარინდებულ ჯუნგლებში ძველისძველი აფრიკული სიმღერები გაისმა. კურუმამ ქორწილის რიტუალის იმპორტებნენ ჩვენს საპატივცემულოდ. მოგვარდეს საგარძეები. დაქანცულობა გავრა. და მართლაც, არასოდეს არ შეიძლება შეიგრძნო დაღლილობა აფრიკელთა ღამის დღესასწაულში, სადაც ყველაფერი თავისებურად ბუნებრივი, უალრესად მშვენიერი და ფორმითა და შინაარსით შენ-

თვის ახალი, დღემდე უცნობი და საინტერესო.

ქალშვილები ცეკვავდნენ ტანის ნარნარი ბრუვით. მერე, თითქოს ელსაზში შევიდნენო, ამოძრაველ სხეულის თითქმის ყველა ნაწილი ისე ლანავდა, ისე ეშხიანად, რომ შეუძლებელი იყო თვალის მოწყვეტა. თვითეული მათგანი ცალფეზე შესამჩნევი ყოფილიყო ჩვენთვის. ასე ეიჯექით სულთანაბულნი, როცა ვიგრძენი, რომ უკანდან რაღაცა შემომხვიეს კისერზე, ხელი წვიდე და ქალის თხელი, ნაქსოვი თავსაკრავი შემრჩა თითებში. ჩემს უკან ახალგაზრდა მომღიანი ქალშვილი იდგა. იგი თვალებში ჩამშტერებოდა თავისი ბრიალა თვალებით. მან რაიმეს მოსაზრებაც არ მაცალა, ხელი მტაცა, წამომაყენა და ეიცეკვეთო, შემომთხოვა. მართალი გითხრათ, როცა შინ მარტო ვიყავი ხოლმე და ქუჩიდან მთ ფუსკაკს გავიგონებდი, ვცდილობდი თავის გასართობად მინც მეცეკვა მთუბერად. რამდენიმე ილუთიც თითქოსდა შევისწავლე, მაგრამ საჯაროდ, უცნოთა თანდასწრებით ვერასოდეს გავბედავდი ჩემი „ხელოვნების“ დემონსტრაციას და ისიც ამ ცეკვების შემქმნელ, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. დოროტა მაცხოვრებელთაგან თითქმის ნახეკინი მიცნობდა და პატივს ცემდა. ჩვენს სპპატივცემულოდ ასეთი შეხვედრა მოაწყვეს, უარის თქმა არაფრით არ შეიძლებოდა. როგორც ვიცოდი და როგორც შემეძლო, ქალიშვილს ცეკვით გავყევი. თავს მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი უხერხულად, ჩემს პატივისცემის ნიშნად ხმა მოეცეკვეთები რომ გზას დამითმობდნენ ხოლმე და ალბათ ზრდილობის ნიშნად ხმამაღალი წამოძახილებით აღტაცებას გამოხატავდნენ. ჩემი თანამეწყვილე კი მართლაც ძალზე შესანიშნავად ცეკვავდა და ამით თითქოსდა ჩემს გამხნევებას ცდილობდა. რამდენჯერ ეცადე ცეკვის შეწყვეტა, მაგრამ იგი უმალ ხეტდებოდა ამას, მაშინ ხელს ჩამავლებდა და თვალებით მოხოვდა, მოეცეკვეთოთ ჯგუფიდან არ გავსულიყავი. ბოლოს გავიგე, რომ წესის თანახმად იმ ღამეს მას მხოლოდ ჩემთან უნდა ეცეკვა, მას კი ისე სწადდა ცეკვა! მე, რაც შემეძლო, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რათა ყოველი მოძრაობა ან ილეთი ისე შემესრულებინა, როგორც ამას აფრიკელები ასრულებენ. რამდენად ვალწევდი მიზანს, ვერ გეტყვით. მე ეს დღესაც არ ვიცი. მაგრამ, როგორც მერე ერა ენაკრომ და ოზიასმა მითხრეს, ზოგი რამ მართლაც გამომდიოდა.

ცეკვის დროს ჩემმა მეწყვილემ დიდი გაჯირვებით ამიხსნა, რომ მას ოლი ერქვა. მეტი ვერაფერი გამაგებინა.

მეორე დღეს შევიტყვე, რომ იგი კერუმას ცოლის — ნიალეს და იყო. მხოლოდ ამის შემდეგ მიეხვდი, თუ რატომ ვამჩნევდი ცეკვისას მისი სახის ნაკვთებში რაღაც თითქოსდა ნაცნობს. ისიც გავიგე, თუ რატომ მაიძულა მეცეკვა მასთან ასე მოულოდნელად და მოურიდებლად.

ლანსანას თქმით, მათი ადათის მიხედვით, ცოლის და, თუ იგი ქალაშვილია, აუცილებლად თავის სიმპატიად ან, უკეთ რომ ვთქვათ, საარშიყო მეგობრად გათხოვებამდე ან დანიშვნამდე ირჩევს სიძის ახლო მეგობარს. ეს მეგობრობა არავითარ საზღვრებს არა სცილდება და არც არავითარი გრძნობების გამომხატველი არის. ეს უბრალოდ ადგილობრივ კლანში ანუ თემში შემოღებული წესია. ასეთი როლის შესრულება კი, კერუმას წყალობით, მე დამეკისრა.

ამ წესით ურთიერთის მიმართ პატივისცემაში აკტიორობას იჩენს არა ვაჟი, არამედ ქალიშვილი. ეს ლოლისათვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, ხოლო ჩემთვის კი...

ვინაიდან მე ყოველთვის პატივს ვცემდი ადგილობრივ ადათ-წესებს, და სხვანაირად არც შეიძლებოდა, იძულებული ვიყავი შემესრულებინა ეს ახალი, ჩემთვის მანამდე უცნო მოვალეობა.

მართლაც, შემდეგში, როცა სტუმრად ვეწვეოდი ხოლმე ლანსანას დროოტაში, ლოლი ყოველთვის ცდილობდა ჩემთვის განსაკუთრებული პატივი ეცა და ესიამოვნებინა.

ყოველთვის ჩინებულად მიმასპინძლდებოდა, სოკეკთესო ხილი და ახალი ბანგი ჭერდა ხოლმე ჩემთვის შემონახული. ასეთი ხაზგასმული პატივისცემა და ყურადღება ჩემს მიმართ ძალზე სიამოვნებდა ყველას, განსაკუთრებით კი თვით კერუმა ლანსანას.

მე რომ დამეგალობინა — ეცეკვა და ემღერა ჩემთვის მთელი დღე — ლოლი აუცილებლად შეასრულებდა.

ნიალე და ლოლი ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს. ამავე დროს ისინი ადგილობრივი ქალშვილებისაგან გამოირჩეოდნენ. კანის ფერიც მათ სხვანირი ჰქონდათ, ცხვირი სწორი, ტუჩებიც და ყბების მოყვანილობაც უფრო დახვეწილი. მაგრამ ყველაზე გამორჩეული ორსავე დან თვალები ჰქონდათ. დიდი, ეშხიანი, მიმზიდველი, მხიარული ნაპერწკლებით სავსე...

დაახლოებით დილის ექვსი საათი იქნებოდა, როცა დოროტადან შინ დავბრუნდით — ნზერეკორეში.

სამსახურში წასვლისათვის მოსამზადებლად დიდი დრო აღარ მრჩებოდა, აღარც დაღლილობას ვგრძნობდი და ამიტომ პირის დაბანა, ტანსაცმლის გამოცვლაც და ყავის დალევა აუჩქარებლად მოვასწარი. განვლილი ღამის შესანიშნავად ჩატარებული ზეიმი მთელი დღის განმავლობაში მედგა თვალწინ და სიზმარს

ოთარ ჩიხლაძე

ორი დღესასწაული

მომგონებდა, დიდი ხნის წინათ და ბუნდოვნად ნანახ სიზმარს.

გადიოდა დღეები. კურუმა ლანსანა თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა ჩემთან. რასაკვირველია, ერა ენაჭრიდა, როგორც ყოველთვის, ჩემთან ხვდებოდა მას. დოროტადან ნზრეკეოორეს ბაზარში მიმავალი გზა ჩემი სახლის წინ გადიოდა და ბაზრიდან დაბრუნებული ლოლიც ხშირად გამოუვლიდა ხოლმე ჩემთან მყოფ ლანსანას, თან აუცილებლად მომართვდდა ჯუნგლებიდან წამოღებულ სხვადასხვა ხილს: გენიას თუ ბანანებს, ორანგს თუ ანანასს, უფრო ხშირად კი სოფელში დამზადებულ ადგილობრივ კუსკუსს ქერძს.

მე ძალიან მეუხრხულებოდა ეს ამბავი, განსაკუთრებით, როცა ლოლი დროს იხელთებდა ხოლმე და ჩემი სახლიდან მოშორებით მდებარე ჭიდან ჩუმად მოიტანდა წყალს თავზე შედგმული ჭურჭლებით. როცა ერთხელ კატეგორიულად მოვინდომე ამის აკრძალვა, ლანსანამ ისეთი წყენა გამოთქვა, რომ იძულებული გავხდი მორჩილად მიმეღო მათი ურღვევი ადათით დადგენილი პატივისცემა. ერთი რამ კი შემეძლო, რის უფლებასაც ოთხი მხრივ ისინი ვერ წამართმევდნენ: დროდადრო ჩემი მხრიდანაც სარჭვრების მიტანა დოროტაში.

კურუმა ძალზე კმაყოფილი იყო. მას ძალიან უყვარდა ბავშვები. ბაჭია ნათესავები კი ბევრი ჰყავდა. მე მათთან მისელისას არც კი პატარა ბიუნებსა და გოგონებს ვიეიწყებდი და თითქმის ყოველთვის ჩამოვუტიგებდი ხოლმე შოკოლადებსა და სხვა ტკბილეულს.

კურუმასა და ნიალეს თავისი საკუთარი ბავშვებიც უნდოდათ და ნატრობდნენ, რაც შეიძლება მალე გასჩენოდათ შვილი.

ისინი ჭირიდებოდნენ, რომ თუ პირველი შვილი ბიჭი ეყოლებოდათ, აუცილებლად ჩემს პატივსაცემად ადგილობრივ წესებს ოდნავ დაარღვევდნენ და ჩემს სახელს დაარქმევდნენ. მაგრამ მათი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ მალე ბედმა ამ ახალგაზრდა ოჯახს ზურგი შეაქცია...

..კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ლანსანა მოულოდნელად კანკახში წასულა. მისი წასელის დღიდან თითქმის სამი თვე იყო გასული, მაგრამ კურუმას არც ერთი თანასოფელი ან ნაცნობი არ შემხვედრია, რომ მისი ამბავი ვამეკო. აღარც ლოლი გამოჩენილა. მე კი ისე ვიყავი დასაქმებული, რომ არ მქონდა დრო გავსულიყავი ჯუნგლებში და დოროტაში შემეხედნა, მით უმეტეს, კურუმას იქ არყოფნისას აბა რა მიზნით უნდა მივსულიყავი. კურუმა ლანსანას შესახებ არც ერა ენაკრომ იცოდა რაიმე. ის ხომ უჩიმოდ არასოდეს გასულა დოროტაში.

მოხდა ისე, რომ ერთ კვირა დღეს მე და ენაკრო ისევ გისხედით ჩემთან ვერანდაზე და ისევ ისე შეგეკეცოდით ყავას. ჭიშკარში მოგვიდგა ლოდნენად დოროტას თემის თავკაცის ოჯახი. დანვე სალამი გვითხრა და ჩვენთან ვერანდაზე ამოვიდა. ჩვეულებრივი მისალმების ცერემონიალი მოკითხვებით. მერე კი მოულოდნელი დაპატიჟება გადმოვვეცი თავისი მამისაგან და თან ისე სავანგებო, რომ უარი ვეღარ ვუთხრა. კურუმა ლანსანას შესახებ კვლინტოთ არ ჩამოვიდა-მეთქი. ვიფიქრე, ალბათ ჩამოსული იქნება და საზეიმო ვითარებაში უნდა ჩვენი ნახვა-მეთქი. მაგრამ დოროტელმა ეიკაცმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

დოროტასაკენ სამივე ფეხით გავეფეთქეთ გზას. ცნობისმოყვარეობა გვკლავდა. ვერ მიეხვედით, რად უნდა დასჭირებოდათ დოროტელებს ჩვენი მიპატიჟება კურუმას იქ არ ყოფნის დროს. გზაში დოროტის თავკაცის ვაჟს ბევრი ნაცნობები ხვდებოდნენ, ქალებიც და მამაკაცებიც, და იგი თითქმის ყველასთან ხანმოკლე საუბარს მართავდა, ისე რომ დოროტამდე მისვლას კარგა ხანი მოვანდომეთ. პირველი კაზის გამოჩენისთანვე თავკაცის სასლის წინ შორიდანვე შეეამჩნიეთ საზეიმოდ გამოწყობილი დოროტელები, ხანგამოშვებით საცეკვაო მუსიკის მელოდიებიც წვდებოდა ჩვენს სმენას. ჩვენი მეგზური თითქოს ახლა გამოცოცხლდა. კმაყოფილი გამომეტყველება მიიღო და მითხრა, რომ მე იმდენად დაფასებული ვარ დოროტელებისაგან, მათი სოფლის ოჯახის — გურუმას ოჯახის — უკვე ყველა ზეიმის მონაწილე ეგხდები, თან მეგობრულად ხელი მხარზე დამადო და დაუმატა — ყველა თეთრკანიანი როდი გამხდარა ღირსი ასეთი პატივისცემისაო. მეც, რასაკვირველია, ჩემი მხრიდან მეგობრული კომპლიმენტითვე ვუპასუხე და ორივემ ხელგადახვეულებმა განვაგრძეთ გზა მოზეიმე სახლამდე. მთელი ამ ხნის მანძილზე კი მაინც ვერ მიეხვედი, რასთან დაკავშირებით იყო ეს ზეიმი მოწყობილი.

მოზეიმეებს მივუახლოვდით. დაგვინახა თუ არა თავკაცმა, მაშინვე ჩვენკენ გამოეშურა, მოწიწებით მოგვესალმა თითების ტკაცუნით, მოკითხვების ცერემონიალით და შემდეგ მოკრძალებით შორიახლო დადგმულ სავარძლებსაკენ გაგვიძღვა. სავარძლების წინ დაბალ მაგიდაზე, რასაკვირველია, ახალი ბანანი შუშხუნებდა. არც ხილი აკლდა სუფრას. თავკაციც ჩვენთან ჩამოჯდა სავარძლში, ჩამოგვისხა ბანგი და გვთხოვა ცოტა დაენაყრებულიყავით. მთელი ჩემი ყურადღება მოცეკვავეებისაკენ იყო მიმართული. თვალებით ვეძებდი ნიალეს და ლოლის. ისინი იქვე უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ამდენ მოცეკვავე ახალგაზრდებში ძნელი იყო მათი პოვნა, მით უმეტეს, რომ ცეკვა კაზოან ახლოს იყო გამართული, ჩვენ კი ცოტა მოშორებით, კოლს ხის ჩრდილში ვისხედით. მე ვეღარ მოვითმინე და ვთხოვე ჩვენს

მასპინძელს, მოეცქვივეებთან ახლოს დამსხდარიყავით. მან მაშინვე მოიბოდიშა, რომ თვითვე ვერ მიხვდა ამას, და ახალგაზრდას უბრძანა ჩვენი სავარძლები და მაგიდა სასწრაფოდ კაზთან გადაეტანათ. სავარძლები კაზის კედლის ძირში დაგვიდგეს კაზში შესასვლელი კარის ახლოს, ისეთ ადგილას, რომ არც ერთი მოეცქვივე ან მომდერალი ჩვენს მზერას არ გამოუპარებოდა.

ძალიან კმაყოფილი ვიყავი და ამისათვის, რასაკვირველია, დიდი მადლობა გადავუხადეთ მასპინძელს. შემოვბრუნდნი სავარძლები ჩასაჯდომად. სახე ნაზვერად ღია კარისაკენ მქონდა მოქცეული და უნებლიეთ კაზში შეეხეზედ... მთელს სხეულში შემაკრეოლა, ტკენინდან ფეხებამდე რამდენიმე წამით დამბლამ შემბოჭა. კაზის შიგნით, იატაკზე ჭილოფი იყო დაგებული. კაზზე ჩამოკიდებული ფარდა ნახევრად იყო გადაწეული და სინათლის ვიწრო სხივი მხოლოდ ამ ჭილოფს ანათებდა. ჭილოფზე მთლად შიშველი ახალგაზრდა ქალიშვილის ცხედარი იდო. სახე — ოდნავ მომდიმარი. ოდნავ გახსნილ ბაგეში კბილები მოეჩანდა. მუცელი ოდნავ წამოზრდილი ჰქონდა. მხოლოდ ამის დანახვა შევძელი და კიდევ ორი მოხტაცი ქალისა. მიეკალტბელში ნაღვი ეიცანი. ელდანაკარავივით შემოვტრიალდი. გარშემო მოეცქვივეებს ლანდებივით ეხედავდი. მუსიკისა და ტამტამის ხმა აღარ მესმოდა. გაოგნებულმა ძლივს მოვახერხე მასპინძელთან ბოდიშის მოხდა და გამომშვიდობება. თანაც რა ენაზე ეეუბნებოდით ამას, არ მახსოვს. ეიცი მხოლოდ, რომ ერა ენაკროც გამომყვა და მეტყველების საშუალება მხოლოდ მაშინ დამიბრუნდა, როცა დოროტას კარგა მანძილით გავიცდით.

ენაკროს ქოხში არ შეუხედავს. მას არაფერი დაუნახავს, მაგრამ ნიალეს სიკვდილი კი იმ დღესვე შეუტყვია, მაგრამ ჩემთვის არ უცნობებია იმიტომ, რომ არ იცოდა როგორ იმოქმედებდა ჩემზე ეს ამბავი. მანვე მიამბო ჭზაში, რომ გერზეს ტომში დაბადებაც, ქორწილიც და სიკვდილიც, ჭირიც და ლხენაც ერთნირად ზეიმით აღინიშნებოდა. მას რომ ეთქვა ჩემთვის ტომში დაპატიჟების მიზეზი, ჩემი უარის შემთხვევაში სოფლისთვის ვაეიშველი შეიძლება მეტად ნაწყენი დარჩენილიყო.

დოროტეზმა ეაქცაცმა თავისი ადათის მიხედვით გადაწვეტა ჩემი მიწვევა. მათი ადათით ასეთი მიწვევა პატივისცემის გამოხატველია...

მას შემდეგ დოროტაში აღარასოდეს გავსულვარ. აღარც იქაური შემხვედრია ვინმე. ვერც მე და ვერც ერა ენაკრომ ვერ გავიგეთ, ნიალეს სიკვდილის მიზეზი. არც ის ეიცოდით, სად გაჰქრა კურუმა ლანსანა. ყველაფერი ეს ჩვენთვის ბინდით მოცული დარჩა. ცხადია, კურუმა ლანსანა კანანიდან აღარ დაბრუნებულა, თორემ ჩვენ აუცილებლად გვნახავდა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ვნახეთ ერთი დოროტელი, რომელმაც შემთხვევით გაგონილი გვაუწყა — „ნიალე მოწამლული იყოო". შემთხვევით? თვითმკვლელობის მიზნით? ეს აღარავინ იცოდა. ორ დღესასწაულს შორის გაიაელვა ახალგაზრდა დოროტელი ოჯახის ბედნიერებამ...

...გამოხდა ხანი. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. ხანდახან მე და ენაკრო გულთბილად მოვიგონებდით ხოლმე კურუმას და გულზე ნაღველი შემოვეაწყებოდა. ერა ენაკრო ჩემთან სამუშაოზე მასწავლა — ოსტატად ითვლებოდა და სხვა მოსწავლე ბიჭუნებთან ერთად ერთი დოროტელი პაინერიც ჰყავდა დამზმარედ — აპრანტად.

ბიჭუნა პატარა იყო და, როგორც დოროტელი მკვიდრი, ისიც კურუმა ლანსანას საგვარეულოს ეკუთვნოდა. მწვანე ყელსახვევი მუდამ კისერზე ჰქონდა მოხვეული, პირში კი აფრიკელთა ჩვეულისამებრ, „ბეჭის" ტოტი ჰქონდა გამოჩრილი კბილების საწმენდად. მისი თვალები ყოველთვის მორიდებას გამოხატავდნენ. მოჭრილ მორეზზე ვისხედით, მე, ერა ენაკრო და ეს ბიჭი. ფრანგულს დიდი გაჯიონებით ამტკვრევდა. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ბგერა დაგრეული ბოღმის გამომხატველი იყო. იმას, რასაც ჩვენ ვვიამბობდა, ეტყობოდა გულში ძლიერ იჩერებდა. კურუმა ლანსანა მისი ბიძაშვილი იყო. დიახ იყო. იყო, რადგან მეორე დღესასწაულის დაწყებისას უკვე აღარ იყო ცოცხალი. იგი „პიროს" საიდუმლო ორგანიზაციის მსხვერპლი გამხდარიყო. როგორც ბიჭუნამ გვიამბო, ეს საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც დღემდე არსებობს ტროპიკულ სავანეებსა და ნესტიან ჯუნგლებში, ყოველგვარი პროგრესული იდეების წინააღმდეგ იბრძვის. ამ ორგანიზაციის წევრთა მეშვეობით კურუმა ლანსანას მდინარე ნიგერის გადასასვლელთან კანო გადაბრუნებია და „უბედური შემთხვევის" მსხვერპლი გამხდარა. მისი დაღუპვის ამბავი ნიალესთვის მოუტანია. ნიალეს ისიც მოუხერხებია, რომ „ტალის" ქერქის ზსამიანი წვენით თავი მოუწამლავს. ამის მთხრობელი ბიჭუნა მეორე დღეს მამობილს მიჰყვადა მალაში სასწაულებლად და ალბათ, ამიტომ გაბედა მან ფარდა აეხადა დოროტას საიდუმლოებისათვის.

იგი ისწავლის, დავაყაკცდება, დაბრუნდება და ალბათ ისიც გახდება გვინეის ახალგაზრდული პროგრესული ორგანიზაციის მებრძოლი წევრი. ისეთივე თავდადებული, როგორიც მისი ბიძაშვილი კურუმა ლანსანა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდისეა

XVI

დილაადრიან ოდისევსმა და კეთილშობილმა მეღორემ ქოხში ცეცხლი დაანთეს და ჭამადი მოამზადეს. ის-ის იყო მწყემსებმა ღორის კოლტი გაირეკეს, რომ ტელემაქეც მოადგა ჭიშკარს. ძაღლები კუდის ქიცინით შემოეხვივნენ მოსულს. ფეხის ხმა რა შემოესმა, ოდისევსმა ახე მიმართა მეღორეს:

— გესმის, ევმეოს! ვიღაც შინაური გეწვიო, ერთხელაც არ დაუყეფიათ ძაღლებს.

ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ ქოხის კარებში მისი სანატრელი ძე, ტელემაქე გამოჩნდა. ადგილიდან წამოიჭრა განცვიფრებული ევმეოსი, ლაგვინი, რომელშიც წითელ ღვინოს აზავებდა, ხელიდან გაუვარდა. მეტი სიხარულისგან ელდანაცემი მოხუცი გადაეხვია ტელემაქეს; შუბლი, თვალები და ხელები დაუკოცნა. თითქოს ერთადერთი, სიბერეში შეძენილი, ათი წლის უნახავი შვილი დაუბრუნდაო, ისე გულმხურვალედ ეხვეოდა და ჰკოცნიდა თვალცრემლიანი ევმეოსი პირმშვენიერ ჭაბუკს.

— ჩემო ტკბილო ტელემაქე, ჩემო თვალისჩინო! ჩამომიხველ განა? აღარც კი მეგონა, თუ პილოსიდან მშვიდობით მობრუნებულს განახვდი. ჩემო, შვილო, გამაძღე შენი ყურებით! იშვიათად გვესტუმრები ხოლმე მწყემსებს ჩვენს ღარიბულ ქოხში. ერთთავად ქალაქში ხარ და იმ აბეზარ სასიძოებში ტრიალებ.

ტელემაქემ ასე უპასუხა კეთილშობილ მეღორეს:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

— შენს სანახავად გამოვეშურე აქეთ, ბიძაშემო! გამაგებინე, ჩემო ერთგულო, ჯერ კიდევ შინ არის დედაჩემი თუ ახალმა ქმარმა წაიყვანა უკვე? ვაითუ დაკარიელდა ოდისეევსის სარეცელი და ამლაბუდამ დაფარა!

— არა, ჩემო კარგო, შინ არის ქმრის ერთგული დედაშენი, დღენიადაგ ტირის და უძილო ღამეებს თეთრად ათენებს.

ეს უთხრა ევმოსმა და სპილენძისბუნიკიანი შუბი ჩამოართვა. ტელემაქემ ქვის ზღურბლს გადმოაბიჯა და კოხში შემოვიდა. შემოსულს ფეხზე წამოუდგა ოდისეევსი.

— იჯექ, სტუმარო! — მიმართა ტელემაქემ — ადგილს მე თვითონ მოვნახავ ამ კოხში. ჩვენი მასპინძელი არაფერს მომაკლებს.

ოდისეევსი დაჯდა. მეღორემ ყველზე ცხვრის ტყავი დაუფინა და ზედ დასვა ოდისეევსის ძვირფასი შეილი. წინ ტაბლა დაუდგა, ხახალით პური და წუხანდელი ვახშმიდან გადარჩენილი მწვადი მოართვა. მერე კათხა თაფლღვინით აუვსო და ოდისეევსის ვვერდით ჩამოჯდა. სმა-ჭამით გული რა ეჯერეს, ტელემაქემ მეღორეს ჰკითხა:

— სადაურია ეს შენი სტუმარი, ევმეოს? ვისი ხომალდით მოადგა ჩვენს ნაპირს? ფეზით ხომ ვერ მოვიდოდა ზღვითგარემოცულ ითაკაზე?

მწყემსთა წინამდგომმა უპასუხა:

— ყველაფერს გეტყვი, შვილო: კრეტელი წარჩინებული ვარო, — ასე მითხრა. მრავალი ქვეყანა მოუვლია და ბევრი უცხო ტომი უნახავს, დაიმონისგან ასეთი ხვედრი რგებია წილად. ამას წინ თესპროტების ხომალდიდან გამოქცეულა და ჩემს კოხში აფარებს თავს. ახლა შენ გაბარებ ამ კაცს, შეიპრიალე და ეპატრონე, — თავადაც ამის მახვეწარია!

მეღორემა ტელემაქემ მიუგო:

— გული მომიკალი მაგ სიტყვით, ჩემო ევმეოს! ხელმეწიფება განა სტუმრის მიღება საკუთარ სახლში? იმედი არა მაქვს ჩემი მარჯვენისა, რომ შეუროცხყოფისგან დავიცვა იგი. საბრალო დედაჩემსაც ვერ გადაუწყვეტია საბოლოოდ, — სახლს უპატრონოს და ქმრის სარეცელს უერთგულოს, რომ ხალხს ყბაში არ ჩავარდეს, თუ ცოლად გაჰყვეს რომელიმე აქაველს, ვინც ღირსებითა და ურავდის სიუხვით სხვებზე აღმატებული იქნება. შენთანვე დარჩეს ეს კაცი, ევმეოს. მე ჩემდა თავად მოსასხამსა და ქიტონს გამოვეგზავნი, ახალი კაპით შევმოსავ, ხამლებს ვაჩუქებ და ორლესულ მახვილს დავკიდებ, მერე კი იმ მხარეს გავიგზავნიმრეს, საითაც მიუწევს გული. მე შევინახავ შენთან სტუმრებელს, რომ მწყემსებს კისერზე არ დაგაწვეთ. არ მინდა სასიძოებს ჩავუგდო ხელში: თავზეხელი და ამპარტავანნი არიან, შენშინა, უკადრი სიტყვა არ აკადრონ და მასხარად არ აიგდონ. ჩემთან ვერაფერს გავაწყობ მათთან: ხომ იცი, რაც უნდა ძლიერი იყოს, მაინც უძლურია მარტოკაცი მრავალთა წინაშე!

აქ სიტყვა დასძრა მრავალეჭირნახულმა ოდისეევსმა:

— ყურს თუ მათხოვებთ, მეც ვიტყვი ერთიორ სიტყვას: გული ამიმღვრია ოდისეევსის სახლში დატრიალებულმა უკუღმართობამ. ეს მითხარ, ჯაბუკო, შენი სურეცილი თუ ვინ ვეგეს მათ ნებას თუ ღმერთების შთაგონებით მოგიძღვა ერმა? ან იქნება ძმები გაგზიდნენ და ჯირში მარტო დაგტოვეს? შენებრ ჯანღონით სავსე ჯაბუკი რომ ვიყო, კაცობას ეფიცავ, შავ დღეს გავუთენებდი მათ. იმ სახელგანთქმული ოდისეევსის შვილი, ან თავად ოდისეევსი რომ ეყოფილიყავ შინმობრუნებული, ერთიანად შეემეტრავდი ყველას! გუნდ-გუნდად რომ დამსეოდნენ მარტოხელას და დავეჯახნე, მაინც სიკვდილს ვარჩევდი ჩემსავე სახლში, ოღონდ არ მეყურებინა, თუ როგორ შეუროცხყოფენ ჩემს სახლეულსა და სტუმრებს, როგორ ჭამენ და ამარცახებენ ჩემს სარჩო-საბადებელს!

ასე უპასუხა სტუმარს გონიერმა ტელემაქემ:

— არა, უცხოელო, არც ერს მოვეძალებიგარ და არც ძმებს მივუტოვებივარ, რაკი ძმები არცა მყოლია არასოდეს. მხოლოდშობილნი ვართ ორკესიანთა ნაშიერნი. მხოლოდშობილია პაპაჩემი ლაერტე, მამაჩემიც ოდისეევსი, ერთადერთი ძეა მამამისისა და მეც დედისერთა ვარ. ოდისეევსმ მარტოდმარტო დამტოვა სახლში და ოჯახის შემაპირვებელნიც გაგვიმაგალნენ. ყველა წარჩინებული, ვინც კი გარშემო კუნძულებზე ბატონობს, — დულიჩიელნი, სამიელნი, ტყიანი ზაკინთოსის მთავარნი და თვით კლდოვანი ითაკის განმგებელნიც კი დედაჩემის ცოლად წყვანას ესწრაფიან და დღენიადაგ აჩანაგებენ მამიჩემის ქონებას. ხოლო დედაჩემს ვერ უარუყვია ეს საძულველი ქორწინება და ვერც სასიძოების უტიფრობა აულაგმავს. ისინი კი ანადგურებენ ჩემს სახლ-კარს და ალბათ მალე მეც ბოლოს მომიღებენ! მარადიული ღმერთების კალთაში ძეგს მოკვდავთა ხვედრი! შენ, ევმეოს, საჩქაროდ ქალაქს მიაშურე და დედაჩემს, პენელოპეს ახარე ჩემი მშვიდობით დაბრუნება პილოსიდან. მხოლოდ მას ამცნე ეს ამბავი, აქველთაგან არავინ შეიტყოს, ბევრი მტერი ყოფილ და ჩემს დაღუპვას განიზრახავენ.

ერთგულმა მეღორემ მიუგო:

— ამას რად მეტყვი, ჩემო ტელემაქო, ისედაც ვიცი, სიფიზზე რომ მმართებს. ახლა ეს მიბრძანე, — ლაერტესთან ხომ არ შემეკლო და შემეტყობინებინა შენი ჩამოსვლის ამბავი? დარდმა მოიქვეშა ბედშავი ლაერტე. შეილის

ჯაჭრით გულგასენილი ადრე ვენახში მინც დადიოდა და, თუ ვული გაუხალისდებოდა, მონებთან ერთად სამხრობდა კიდეც. ხოლო მას შემდეგ, რაც შენ პალოსს გავმგზავრე, პირში ლუმას ალარ იდებს, ვენახში მუშაობაზე გული იოყარა და დღეშდამ ტირის. ამბობენ, ცარიელი ქვალი და ტყავეთო.

— მებრალება ბეიშავი ლაერტე, მაგრამ რა გაეწყობა. — თქვა ტელემაქემ. — კაცის ნებაზე რომ იყოს არჩევანი, უმალ მამაჩემის დაბრუნებას ვინატრებდი. ჯნას ნუ გიმბრუდებს, ევმეოს, ამბავს რა მიეტან პენელოპეს, მაშინვე უკან გამობრუნდი. ლაერტესთან კი დედაჩემმა სასწრაფოდ გაგზავნოს მეკუმნავე ქალი.

ევმეოსმა ხამლით შეიმოსა ფეხი და ქალაქისკენ გასწია. ამას ელოდა თვალსხივოსანი ათინა: როგორც კი მეღორე ეზოს გასცილდა, ჭიშკართან მოდგა და ტანსრული, ლამაზი ქალის სახით გამოეცხადა ოდისეუსს. ტელემაქეს არაფერი დაუნახავს, რადგან ყველას არ ეცხადებიან თვალნათლივ ღმერთები. მხოლოდ ოდისეუსმა და ევმეოსის ძაღლებმა დაინახეს ქალღმერთი. დამფრთხალი ძაღლები წკავწკავით გაიძურწნენ ეზოდან. ათინამ წარბის აზიდვით მოიხმო ოდისეუსი და ასეთი სიტყვა უთხრა:

— ეჰა, მრავალნაცადო, ღვთისნსასახო ლაერტეს ძეო! კმარა თავის მალვა! დროა, გაეწიო შენს ძეს, ტელემაქეს. ერთობლივ განსაჯეთ მამა-შვილმა, როგორ მოუღოთ ბოლო სასიძოებს. ირბენენ ქალაქს გავმართეთ. მეც მალე გიჩნდები თქვენთან და ბრძოლაში შემოგეშველებიო.

ეს უთხრა ათინამ და მხარზე ოქროს კვერთხი დაჭკრა: მეყსეულად ჭაბუკური ეერით შეიმოსა ოდისეუსი, კვლავ შავგვრემანი გახდა და შავი ენერ-უღაბნით დაუშშვენდა პირი, დაღარული სახე გადაეტკიცა. ქალღმერთმა ახალთახალი ქლონი ჩააცვა და მხრებზე მოსასხამი მოახურა. ათინასაგან ფერშეცვლილი ოდისეუსი შებრუნდა ქოხში. ელდასაკავმა ტელემაქემ თვალი ვერ გაუსწორა ოდისეუსს. შეშინებულმა ეს გაიფიქრა, — ღმერთი ვინმე ხომ არ მომეკლინო.

— რამ შეგაცვალა, უცნოელო? წეღან სხვა იყავ, ახლა კი სხვაგვარი მეჩვენები! ახალი სამოსელი შეგიმოსავს და სახეზეც უცნო ფერი გადეკვ. ალბათ ცაში მობინადრე რომელიმე ღმერთთაგანი ხარ. მაშ, გულმოწყალე იყავ ჩვენდა მიმართ! სანაცვლოდ წმინდა მსხვერპლს შემოგწირავთ და ოქროს საპურეკლეს მოგიძღვნით. ჰე ღმერთო, ვინც უნდა იყო, შეგვიბრალე ჩვენ!

მრავალჭირნახულმა ოდისეუსმა მიუგო:

— ღმერთი რად ვიქნები, რით მიმამსგავსე ცის ბინადართ? მამაშენი ვარ, — ოდისეუსი, ვის გამოც ჭირის ღღე გადგას და გარეშეთა ძალადობას ითმენ.

ასე უთხრა, შვილს მოეხვია და აკოცა. ... რად წასცდა თვალებიდან ცრემლი, ... ძლივს რომ იკავებენა. მაგრამ ტელემაქეს ... დაეჯერებინა, რომ ეს კაცი მამამისი იყო:

— ვერა, ვერ დავიჯერებ შენს ოდისეუსობას! რომელიღაც ავი დაიმონი მაცთუნებს ალბათ, რათა შემდეგ უფრო მწარედ ამატინოს. როგორ შეიძლებდა მოყვდავი კაცი ნებისაებრ ფერისცვალებას? მხოლოდ ღმერთს ხელეწოდა, ჭაბუკი ბერად აქციოს და ბერიკაცი ჭაბუკად. ეს წუთია, ძონძებში გახვეული მოხუცი იყავ, ახლა კი ცის ბინადარ ღმერთებს დამსგავსებხარ!

— ო, ტელემაქე, შვილო ჩემო, ნურც დაიტედები და ნურც გაიკვირვებ, რომ შენს წინაშე მამაშენი დგას. სხვა ოდისეუსი არასოდეს დაგიბრუნდებათ. მე ვარ ის მრავალტანჯული და ჭირთამთენი კაცი, ოცი წლის ხეტიალის შემდეგ რომ მოადგა სამშობლოს ნაპრის. ნუ-მეთქი, ნუ დაგაეჭვებს, რომ წეღანდელი ბერიკაცი აწ ჭაბუკად გამოგეცხადე, — ეს ჩემი მწყალობელი ათინას საქმეა. მას ხომ ყოველივე ხელეწოდება: დაანინებულს წმინასყოფით განადიდებს, ხოლო განდიდებულს დააკნინებს.

ეს თქვა და დაჯდა ოდისეუსი. გულშეძრული ტელემაქე გადაეხვია მამას. ორთაევე ღაბაუტპით სდიოდათ ცრემლები. ისხდნენ და გულამოსკვნით ტიროდნენ ისე, როგორც ბარტყებწყავრილი ზღვის არწივი ტირის ხოლმე. მზის მიდრეკამდის იტირებდნენ გულამომჯდარნი, რომ ტელემაქეს არ ეკითხა მამისათვის:

— ვისი ხომალდით ჩამოხვედი, მამაჩემო, ითაკას? ფეხით ხომ არ მოადგებოდი ზღვითგარემოცულ კუნძულს?

მრავალჭირთამთენმა ოდისეუსმა ასე უთხრა:

— ყველაფერს მოგიყვები, შვილო. ზღვაზე გზადაკარგულთა შემწე, ნიჩბოსნობით სახელგანთქმულმა ფეაკელებმა მომიყვანეს აქ. თან დიდძალი სამოძეარი გამომაცხინეს და მძინარე გადმმსვეს მშობლიურ მიწაზე. ფორკინის მღვიმეში მაქვს გადამალული ეს საპურეკლე, — ოქრო-ვერცხლი, ბრინჯაო და ძვირფასი სამოსელი. მერე ათინას შეგრნებით მთაში ამოვედი, რომ ერთად მოვითათბიროთ, როგორ გავუსწორდეთ სასიძოებს. ახლა სათითაოდ ჩამომითვალე ისინი, მინდა ვიცოდე რა ხალხია და რამდენი არიან. გავბოჭოთ და გადავწყვეტოთ, რა ოჯობებს, ჩვენ ორნი შევეშალთ თუ სხვებსაც მოვუხმოთ დასახმარებლად.

ტელემაქემ უპასუხა:

— გაგონილი მაქვს, მამაჩემო, ომშიგან შენი სიქველე და სიმამაცე. მაგრამ მოოცებს აწ შენი ეგზომი შეუპოვრობა. ორნი რას გავხდებით სამრავალთან აღმატებულ მტერთან? არც ათნი არიან და არც ოცნი, არამედ მრავლის უმრავლესნი. მარტო დულიხიონიდან ორმოცდათორმეტი რჩეული ჭაბუკია ჩამოსული ექვსი

შინითურთ. სამედან ოცდათხა აქაველი ვაჟაკაცი, ხოლო ზაკინთოსიდან — ოცი; მათვე უდგას მხარში თორმეტი წარჩინებული ითაკელი. ყველა ამათ კიდევ ოთხი ჩვენებური კაცი ემსახურება: მანდატური მედონტი, ღვთაებრივი აედი ფემოისი და ორიც დიდოსტატი მზარეული. მარტონი თუ შეეგებმებით, ეეჭვ, ცოცხალნი გადავუთრნეთ მათ შემოტევას. უმჯობესია, მაშველს მოვუხმოთ, თუკი საიმედო ხალხი გეგულება სადმე.

ბერში მედგარმა ოდისევსმა მიუგო:

— გეტყვი და განსაჯე: განა დაგვჭირდება სხვა მშველელი, უკეთუ თავად ზეესი და ათინა ამოგვიდგებიან მხარში?

გონიერმა ტელემაქემ უპასუხა:

— ეშმაკირტს ტყავი, მამაჩემო! თუმცა კი შორეულ ზესკენელში სხედან, მათი ხელმწიფება აწორად ეფინება უკვდავთა და მოკვდავთ!

მაშინ ეს უთხრა მრავალნაკადმა ოდისევსმა ტელემაქეს:

— იცოდე, როგორც კი არესის რისხვა დატრიალდება ჩემი სასახლის დარბაზში, ტრეფიციც ადარ დააყოვნებენ და შემოგვეშველებიან. ახლა ყურადღებ, რასაც გეტყვი: უთენია ქალაქში წახვალ და სასიძოებში გაერეკი. მოგვიანებით მე და ევმეოსი ჩამოვალთ ქალაქს. შე ისევ მათხოვრის ძონძები შეცმევა. დიახლიმე: რაც უნდა შეერაცხმყოს, ფეხითაც რომ გამათრიონ დარბაზიდან ან შუბის ტარი მირტყან, ნურაფერს შეიმჩნევ, ვულისწყრომა დაიო

ე და მორიდებული სიტყვით, სასიძოებს ხელი აალბინე უმსგავს საქციელზე. თუმცა წერაატანილნი ადარ შეისმენენ შენს სიტყვას. ერთსაც გეტყვი და გულს დაიმარხე: როგორც კი ათინასგან შთაგონებულ ნიშანს მოცემ, ეედლიდან ჩამოსხენი საომარი საჭურველი და უკლებლივ ქორედში გადამალე. თუ გკითხეს, ეს რად ჰქენო, — მოკრძალებული სიტყვით დაუშოშმინე: მას შემდეგ, რაც ოდისევსი სალაშქროდ წავიდა, ჭვარტლით გიიმეარ და წახდა-თქო იარაღი. ამას გარდა, ასე შეამგონ-ებინე კრონიონმა: ვითუ შემთვრალნი ერთურთს წაეკიდოთ, იარაღზე ხელი წაგიცდეთო და ეს ნიშნობის სუფრა სისხლით არ შესვარო, რადგან გახელებული მამრის მარჯვენას მისდაუნებურად იზიდავს-თქო მახვილი. მხოლოდ ჩვენთვის დატოვებ ორ-ორ მახვილს, შუბსა და ფარს. რაც შეეხება სასიძოებს, გონებას დაუბნელებენ მათ შორით მაცქერალი ზეესი და თვალსხივოსანი ათინა.

კიდევ გეტყვი და კარგად დაიხსომე: თუკი ჩემი სისხლი გიდღეს ძარღვებში, არამც და არამც არ გაამხილო ჩემი დაბრუნების ამბავი. არც ლაერტესთან, არც მეღორე ევმეოსთან და თავად პენელოპესთანაც არ დაგიდეს სიტყვა. ჩვენ ორმა უნდა გამოვცადოთ იდუმალ მონეზი, მწყემსები და ხელშინაურნი, რომ ვიცოდეთ — ვძულვართ თუ ვუყვარვართ, შიში ქმნიან ჩვენი თუ არაფრად გვაგდებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანმა ტელემაქემ კალა შეაგება სლიტეკი ოდისეესს:

— მაღე დაინახავ, მამაჩემო, რომ სულმოკლე არ ვარ და არც გულის სიმტკიცე მაკლია! მაგრამ რას გვარგებს მინდვრებსა და ხამწყესურში ხალხის თვალთვალი? დროს ფუჭად დაკარგავთ. ამსოლაში უფრო მეტად გაგვიპარტახებენ ქონებას სასიძოები. ხელშინაური ქალების გამოცდა ადვილი საქმეა, ხოლო მწყემსებსა და მეეელეებს ზეესის წყალობით მერეც მოვუვლით!

ასე უზიარებდნენ მამა-შვილი ერთმანეთს გულისნადებს.

ამ დროს კი ხომალდი, რომელმაც ტელემაქე პილოსიდან ჩამოიყვანა, ითაკის მყუდრო ნავსადგურს მოადგა. ნიჩბოსნებმა ნაპირზე აათრიეს, აღკაზმულობა ჩამოსხნეს და მენელაოსისაგან გამოტანებული ძვირფასი ძღვენი კლიტოოსისას გაგზავნეს. ოდისეესის სახლში კი მაცნე ფერნენს, რომ პენელოპეთვის ეხარებინათ ტელემაქეს მშვიდობით დაბრუნება: ხომალდი ქალაქში გამოისტუმრა, თავად კი მწყემსებთან წავიდოო მთაში.

გზაში ერთმანეთს შეხვდნენ ერთი და იმავე ამბის მახარებელნი — ევმეოსი და ის მაცნე. სასახლეში რა შეავდნენ, ნიჩბოსანთა მაცნე მიეახლა დედოფალს და ყველას გასაგონად მოახსენა, — დაგიბრუნდაო, დედოფალო, შენი საყვარელი ძე! ერთგულმა მეღორემ კი ყურში უჩურჩულა პენელოპეს შვილის დანაბარები. შემდეგ დასტოვა სასახლის კარ-მიდამო და პირობისამებრ უკანვე, მთაში გაბრუნდა.

არ ეპრიანთ სასიძოებს ეს ამბავი, ეზოდან გავიდნენ და დაღონებულნი კარიბჭესთან დახ_ დნენ. აქ ასე მიმართა თანამდგომი ეურიმაქემ, პოლიბოსის ძემ:

— დიდად უმარჯვნია ტელემაქეს, მეგობრებო! ვინ იფიქრებდა ამ საქმეს? ხომალდი უნდა გავგზავნოთ სამეს სრტეეში ჩასაფრებულებთან. უკან გამობრუნდნენ, ნუღარ დაშრებიან ამაო ლოდინით!

სიტყვა არ დაესრულებინა ეურიმაქეს, რომ ამფინომოსმა თვალი მოპკრა ნავსადგურში შემოსულ ხომალდს. ზღვაოსნებს უკვე ჩამოეხსნათ აფრები, ხოლო ნიჩბები ხელში ეჭირათ. ამფინომოსმა სიცილით შესძახა მეგობრებს:

— თავს ნუდა შეიწუხებთ, ეს-ესაა მობრუნდნენ ჩვენები. ალბათ რომელიღაც ღმერთმა ამცნო მათ ეს ამბავი, ან იქნებ შორიახლოს ჩაუარა მათ ტელემაქეს ხომალდმა, დაედევნენ და ვეღარ მიეწევნენ.

ამ სიტყვაზე სასიძოები წამოიშალნენ და

ᲔᲛᲝᲒᲠᲘᲚᲘ
ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

ზღვის ნაპირისკენ გაემართნენ თანამზრახველთა შესაგებებლად. ხომალდი ხმელეთზე ამოათრიეს, საპუტრეები გადმოზიდეს და აღკაზმულობა ჩამოხსნეს. მერე მოედანზე მოჯარნენენ სათათბიროდ, უცნო ირაკინ გაიკარეს: არც ბერი, არც ჭაბუკი. ასე დაიწყო სიტყვა ანტონომ, ეკპეთოსოს ძემ:

— ეს რა დაგვემართა? როგორ დაგვისხლტა ხელიდან ტელემაქე? დღისით მზრავები გვეყენა მთის წვერზე, ღამ-დამბითი კი ზღაში გადგიოდით და ეოსის გამოჩენამდე ველოდით ტელემაქეს ხომალდს. აღმათ რომელიღაც დაიმონმა უგრძნეულად გაიყვანა სამშეიდობოს! ახლა იმაზე ვიფიქროთ, აქ რა ვიღონთო, რომ ხელიდან არ წაგვიფიდეს. იცოდეთ, სანამ ცოცხალია ტელემაქე, ჩვენს საქმეს გამარჯვება არ უწერია. ყმაწვილი ალარაა, ჭკუაში ჩავარდა და ზეზანი სიტყვაც მოუდის. მაშ, ვიჩქაროთ, სანამ საფიხნოზე აქაველნი არ შეგვიყარა და არ გაგვაშხლია, მისი მოკვლა რომ გვინდოდა. ისედაც ავი თვალით გვიყურებენ თვისტომნი. ეს ამბავი თუ გაგვიგეს, კუნძულიდან გაგვაქეეებენ და ვაითუ უცხოთა კარზე მოგვიხდეს ცხოვრება! მოდი, ასე ვქნათ, სადმე მთის ბილიკზე ან მინდერად დავფხვდეთ ტელემაქეს და მოვაკვლიანთ. მაინ ქონება თანაბრად გაიინაწილოთო, სახლი კი პენელოპეს და იმას მივაკუთვნოთ, ვისაც ქმრად შეერთავს დედოფალი. უკეთუ ჭკუაში არ გიჯდეს ეს რჩევა, ცოცხალი გინდათ დასტოვოთ და მამეუნი ქონებაც დაუტოვოთ, მაშინ მოვეშვათ მის სახლში ნაფიმპას, დაიეშალნეთ და ყველამ ცალ-ცალკე გამოუგზავნინოს გულისმოსაგები ურავი პენელოპეს. დაე, იმას გაჰყვეს, ვინც მეტს გაიღებს და ვისაც ბედად უწერია მისი ქმრობა.

ანტინოეს სიტყვაზე ენა ჩაუვარდათ შეკრებილთ. მაშინ წამოდგა ამფინომოსი, არეთთანი ხელმწიფის შვილი, ნისეს სახელოვანი ძე, რომელიც პოროთა და სამოგრებთ განთქმული ლულიზონინდან ჩამოსულ სასიძოებს წინამძღვარობდა. ტაბლოგნიერი სიტყვით მას ხშირად მოუგია პენელოპეს გული. ამფინომოსმა ასე გაბრქო:

— მე ჩემდა თავად ხელი ამიღია ტელემაქეს მოკვლაზე. მკრეხელობაა ბასილევსიანთ ნაშიერის მოკვლინება! ჯერ მაღალ ღმერთებს დავეკითხოთ: უკეთუ ზეკესის ნება იქნება, პირველი მე აღვმართავ ხელს და სხვებსაც წავაქეზებ ამ საქმეზე. ხოლო თუ ღმერთები დაგვშალიან, გირჩევთ, უბრალოდ არ დაღვაროთ სისხლი!

მოუწონეს ამფინომოსს სიტყვა, წამოიშალნენ და ოდისეუსის სასახლეს მიაშურეს. დარბაზში შესულნი გარანდულ საკარცხლულებზე და სკამებზე დასხდნენ.

ამ დროს პენელოპეს აზრად მოუვიდა, სანთითობოდან ჩამოსულიყო და სასიძოებისთვის დეეხედნა, რაკი მედონტს უკვე ეცნობებინა მისთვის სასიძოთა ბოროტი განზრახვა-ეროვნული ბიბლიოთეკა
რების თანხმებით გამოხნდეა იგი დარბაზში, მკვიდრად აღმართულ დედაბოძთან შედგა, პირს ოქროსფერ მოიფარა და ასე შეუწყო ანტონოს:

— გრეხვენოდეს, ანტინოე! ქვებუდანი და მეეხათი ხარ, თუმცა თავკეთეს ჭკუა-გონებანი გამორჩეული ჰგონხარ! გონი შეგშლია, თუ ტელემაქეს სიკვდილს იზრახავ. რას ემარილები ჩემს ძეს? ან იქნება გგონია, უშწეოდ მიატოვებს ზეესი თავის მავდრეტელთ? დაგავიწყდა განა, რომ ამ ჭირქვეშ შეიფარა თავი თვისტომთაგან ოტებულმა მამაშენმა? ეკპეთოსი მაშინ ტაფოსელ მეკობრეებს შეეკრა, რომლებმაც დიდად დაიზარალეს ჩვენი მოკეთე თესპროტელები. მოკვდინებას უპირებდნენ თთაკელნი მამაშენს და თქვენნი სამადგლნი იაკაოყოფა ეწადათ, მაგრამ ოდისეუსმა დაიშაშმინა გაცოფებულნი და უკანვე გაიპრუნა. შენ კი იმის სახლს ანანგაგებ, ვინც სიკვდილისგან იხსნა მამაშენი, მისი მემკვიდრის მოკვლა გინდა და მისი მეუღლის ცოლად დასმა, გონს მოდი, უბედურო, ეს სხვებიც გონს მოიყვანე!

პირგამეხებელ დედოფალს ცბიერი სიტყვა შეეგება ეერომაქე პოლიბოსის ძემ:

— იკარიოსის სახელოვანო ასულო, პენელოპე! შვილის ჯავრი ნუ გეშენება. ვიდრე ცოცხალი ვარ და მზეს ვეყურები, ძეხოიეელი ვერრას ავნებს შენს ტელემაქეს! სიტყვას გაძლევ, უმალ ჩემს ზუბლზე წამოგეგება ის კაცი, ვინც მის ხელოფოს ვაბედავს. ქალაქთა, მმუსვრელი ოდისეესი არ იყო, რომ ბაღლს მეხლებზე დამისვამდა ხოლმე და თავისი ხელით მაკმევდა და მასმევდა? ამიტომ გულით მიყვარს ტელემაქე და არც არავის მიეცემ სასიკვდილოდ. მაგრამ ვინ გაეკეეკვა ღმერთებისაგან დაწერილ სიკვდილს!

ასე აიმდგომა დედოფალს, გულში კი ავი ჰქონდა განზრახული. კალავ შუქნათელ სანთითობოს მიაშურა პენელოპემ. იქ დიდხანს სტრონოდა ქმარზე, ვიდრე თვალსიზოსანმა ათინამ ტკბილი ძილით ან დაუმძიმა ქუთუთოები.

საღამო ხანს თავის ქოხში დაბრუნდა ერთგული მეღორე. ოდისეესსა და ტელემაქეს ბურავკი დაეკლათ და ვახშამს ამზადებდნენ. ათინამ კვერთხი დაკარა და კვლავ საპყარ მოხუცად აქცია ლაერტეს ძე, რომ ეემეოსს არ ეცნო იგი და იმ წამსვე პენელოპესთან არ გაქცეულიყო სახარებად. პირველი ტელემაქე შეესიტყვა მეღორეს:

— რას მეტყვი, ეემეოს, რა ამბავია ქალაქში? რა ჰქნეს სასიძოებმა, ისევ საფარში სხედან და მე მელოდებიან, თუ სასახლეშია არიან უკვე?

ერთგულმა მეღორემ მიუგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც კი მიფიქრია ამის გაგება, ჩემო კეთილო. ერთი სული მქონდა, დანაბარები მიმეტანა დედაშენთან და სწრაფადვე უკან გამოვბრუნებულიყავ: ოღონდ, ქალაქში რომ მივდიოდი, გზად შენი ხომალდიდან გამოგზავნილ მაცნეს შევეყარე. იმან ამცნო პირველად დედოფალს შენი ჩამოსელის ამბავი. ერთ რამესაც ეეტყვი ქალაქს. რომ გამოვეცილდი და ჰერმესის გორაკს შევუყეკი, ჩემი თვალით დავინახე: ხალხითა და ფარ-შუბებით სავსე ხომალდი შემოდიოდა ჩვენს ნავსადგურში. ეიფიქრე, ისინი ხომ არ არიან-მეთქი!

ამ სიტყვაზე, ეემეოს უჩუმრად, ტელემაქემ ღიმილით გადახედა მამას. მალე მწუემსებიც დარბენდნენ და ერთობლივ შეუდგნენ ვახშმობას. ყველამ თავისი არჩიეი მიიღო. სმაკამით გული რა იჯერეს, იქვე მიწვნენ და ტკბილად მიიძინეს.

XVII

როგორც კი ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა, ტელემაქემ, ღვთისდარი ოდისევსის ძემ, მშვენიერი ხამლით შეიმოსა ფეხი, მარჯვედ მოიგდო ხელში წვერმახი შუბი და გზასადგგრამა ასე მიმართა ევმეოსს:

— მე ქალაქს მივდივარ, მიძაჩემო! დედაჩემს უნდა ეერეკნო, თორემ, ხომ იცი, სანამ არ მნახავს, თვალებს დაავსებს ტირილით. ამ საწყალობელ მოხუცს შენ გაბარებ. ქალაქში ჩაიაყვნე, თვითონ დაარჩინოს თავი მათხოვრობით: ლუკმა პურსა და ღვინოს არავინ დაუკავებს; ყველას ვერ გავწვდები, ჩემი გასაჭირიც მეყოფა. განაწყენდება და მისთვისვე იქნება უარესი. პირდაპირი სიტყვა და პირში თქმა მიყვარს.

— მე თავადაც არ მინდა ამ დარჩენა, ჩემო მწყალობელო. — მიუგო ოდისევსმა. — ჩემისთანა ბერიკაცისათვის ქალაქში ყოფნა უბრალია: მათხოვრობითაც იოლას გავალ. ამ კესერზე გაწუვარო, ვერც შენ გადგებიან და ვერც გარეთ. შენ წადი, ეს კაცი შენი ბრძანებისამებრ ჩამოშიყავსს ქალაქში. ცოტას კიდევ მივეფიცებინ ცეცხლს და ჩვენც წამოვალო, — სამოსი არ მივარგა და ღილის სუსხი ძვალრბილში მატანს.

შურისგებით გულავსილი ტელემაქე ქალაქს გაეშართა. კეთილნაგებ სასახლეს რა მიადგა, სპილენძისბუნიკიანი შუბი კარის სვეტზე მიაყუდა, ქვის ზღურბლს გადაადიჯა და სახლში შევიდა. პირველად მოხუცმა გადიამ — ეურიკლეამ დაინახა ტელემაქე. ამ დროს იგი ცხვრის ნაწს აგებდა მოჩუქურთმებულ საყარცხლურზე. გახარებული გამზრდელი ტირილით გადაეხვია თავის გაზრდილს. ოდისევსის ერთგულმა მონაქალებმა მოირბინეს. აცრემლებული მსახურები თავსა და მხრებს უკოცნიდნენ თავიანთ ახალგაზრდა პატრონს. მალე სანთიობოდან ოქროფფრიდატესა და არტემიდეს მსგავსი პენელოპეც ჩამოვიდა. თვალცრემლიანმა დედამ გულში ჩაიკრა მონატრებული შვილი და შუბლი და თვალები დაუკოცნა:

— ტელემაქე, ჩემო თვალისჩინო, პილოსში თუ მიდიიდი მამაშენის ამბის გასაგებად, რატომ არაფერი მითხარი? იმედი გადაიქურა, შვილო, შენი ნახვისა. წვრილად მომიყევი, რა შეიტყეე, რა ამბავი ჩამოიტანე იქიდან.

ტელემაქემ ტკბილი სიტყვით დაუშოშმინა დედა:

— გულს ნუღა შემიშფოთებ შენი ცრემლით, დედაჩემო, ისედაც დიდი ჭირის დღე მაქეს გამოვლილი. ახლა, შიშენკარებთან ერთად სანთიობოში ავდი, პირიდან ცრემლი მოიბანე, სამოსი გამოიცვალე და ღმერთებისათვის ჰეკატომბის შესაწირად მოემზადე, ვინძლო ზეკესა შურისგების სამმე მოგვიგვაოს. მე საფიხნოზე უნდა გავიდე, სტუმარი მყავს მოსახმობი: აქეთობისას დაგვემზადა ხომალდზე, პირეოსს ჩავაბარე, რომ ჩემს მოკითხვამდე საკადრისად გამასპინძლებოდა.

პენელოპეს აღარაფერი უთქვამს. სანთიობოს მიაშურა სიტყვის უთქმელად, პირი დაიბანა, სამოსელი გამოიცვალა და ღმერთებს ჰეკატომბის შეწირვა ალოვნეკა. მას უკან ტელემაქეც გავიდა დარბაზიდან, შუბი ხელი იპყრა და საფიხნოსაკენ გაეშართა. მარტო არ იყო: ორი ქოფაკი მოსდევდა თან. ათინას ღვთაებრივი მშვენებით შეემოსა იგი და ალტაცებული ხალხი განცვიფრებით უკვირდა ოდისევსის ვაჟიკაცს. წარჩინებულმა სასიძოებმა მოაკურცელა მოიკითხეს ტელემაქე, თუმცა გულში მტრობა ედოთ მისდამი. ტელემაქე გაეცალა მათ და მენტორს მიაშურა, რომელიც ანტიფოსს და ჰალითერსეს შუა იჯდა. ესენი ოდისევსის ძველი მეგობრები იყვნენ. გვერდით დაუჯდა მათ ტელემაქე და წვრილად უამბო თავისი მგზავრობის ამბავი. ამასობაში შუბოსნობით განძეული პირეოსიც გამოჩნდა. მას ტელემაქეს სტუმარი — თეოკლიმენე მოჰყვებოდა. ოდისევსსის ძე გულისხმიერად მიეგება სტუმრს. პირველად პირეოსმა დასძრა სიტყვა:

— ტელემაქე, საჩქაროდ გაგზავნე მონაქალები ჩემსა და მენელაოსის ბობეტელი საპურჭელ წამოაღებინე!

— რომ არ ვიცი, ჩემო პირეოსს, როგორ წაგვივა საქმე? — უპასუხა ტელემაქემ.—თუ სასიძოები მუზანათურად მომკლავენ ჩემსა სახლში და მამისეულ ქონებას მიიტაცებენ, მირჩევნია, ისევ შენ დაგრჩეს ეგ საპურჭელი. ხო-

ლო უკეთუ მე ვიძიებ შურს და ქეგამხედვართ სიკვდილს მივამთხვევ, გამარჯვებით მოხარულმა მომიტანე გამარჯვებულ მენელაოსის ძღვენი.

ეს თქვა და სასახლეში წაიყვანა თავისი სტუმარი. დარბაზში რა შევიდნენ, მოსასხამები საყარცხლულებზე გადაკიდეს და ნატიფად მოპირკეთებულ აბაზანაში ჩაედნენ. მონაქალებმა განბანეს სტუმარ-მასპინძელი, სურნელოვანი ნელსაცხებლით დაუზილეს ტანი, ახალ-ახალი ქიტონები ჩააცვეს და მსუბუქი მოსასხამები მოახურეს მხრებზე. შემდეგ დარბაზში გამოვიდნენ და საკრძალებზე დასხდნენ. მოახლემ ხელის დასაბანად ვერცხლის ტაში და წყლით სავსე მოოქროვილი სურა მოართვა სტუმარს და წმინდად გარანდული ტაბლა დაუდგა წინ. მოკრძალებულმა მეკუბეანემ პატივსაცემად სტუმართათვის განკუთვნილი მრავალფერი ჭამადით გაუწყო სუფრა. სმა-ჭამა რა მოათავეს, დედაბოძთან მჯდარმა პენელოპემ, რომელიც ძაფს ართავდა, ასე მიმართა ტელემაქეს:

— მე სანთიობში ავდივარ, შვილო... სანამ სასიძოები შემოვდიდნენ, მიამბე ბარემ, რა გაიგე ან რა ამბავი ჩამოიტანე პილოსიდან.

— გულახსნით ვეტყვი ყველაფერს, დედაჩემო. — მიუგო ტელემაქემ, — ჯერ ერისმთავარ ნესტორს ვესტუმრე პილოსში. დიდიხნის უნახავი შვილივით მიმიღო, მაგრამ ოდისეუსზე არც მკვდარზე, არც ცოცხალზე არაფერი მსმენია, მითხრა. მერე ფერხსმაღალი ეტლით, თავის უმრწემეს ძესთან ერთად, მენელაოსთან გამისტუმრა. იქ, ლაკედემონში პირველად ვიხილე დედათა შორის უტერფესი ელენე, რომლის გულისთვის ბევრი აქვავეთ და ტროელი ვაქაცი დაეცა ბრძოლის ველზე. ომშმაყივარმა მენელაოსმა გულდაგულ გამომკითხა: რაზე გარჯილხართ, რად მოგიყვანამ ლაკედემონს ვეთხარი ჩვენი გასაჭირი და დიდად შეიცხადა: ვაი, მათ — ჯაბანთ, რომ ეგზომ ლომგული კაცის სარეცლის შებღალვა მოუნდომებიათ. ეს იმასა ჰგავს, ფუტარიმცამ ძუძუშწოვარა ნეკერი ლომის ბუნაგში დაადგოს, თვითონ კი ბალახოვან მდელოზს მიაშუროს საძოვრად. რა დღე დადგება მათ, როცა ლომი თავის ბუნავს დაუბრუნდება? ასეთსავე მწარე ხვედრს განუმზადებს სასიძოებს ოდისეუსი. მაშა-ზეუსს, ათინასს და აპოლონს ვეეფერები ისეთივე ძალმორჭმეული დაუბრუნდეს თავის სახლს, როგორიც მაშინ იყო, როცა ლესბოსში ფილოლიდს შეებრძოლა და აქვეკონ სასიხარულოდ მიწაზე დასცა. შავად გაუთენდებათ სასიძოებს ქორწილის დღე! ყველაფერს წვრილად მოგიყვებით, მითხრა, იმასაც ვეტყვი სიმართლეთ, თუ რა გავიგე შუბერი, ტრანეული ზღვისკაცისაგანო. ზღვის ტრანეულ ბერიკაცს თერმეკალიბსის ენუნტლზე უნახავს ოდისეუსი. თმაშეშვენიერი ქალღმერთი სამშობლოში არ უშვებს, მრავალჭირნახულს, მას კი არც ხომალდი-ფერეხი და არც თანამგზავრები ჰყავს, რომ შინ დაბრუნდეს. ასე მიამბო ოქროსთმიანმა მენელაომ.

ტელემაქეს ნაამბობმა ვული შეუძრა პენელოპეს. მაშინ აი, რა თქვა მისანმა თეოკლიმენემ:

— ოდისეუსის ღირსეულო მეუღლეო. ნამდვილი არ სცოდნია შენს ვაჟიშვილს. აწ მე გეტყვი და ენდე ჩემს სიტყვას: ბეხისმტყორცნელ ზეუსსა და ოდისეუსის კერიის გეფიცები, რომ აქ, შშობლიურ ითაკაზეა ამ სახლის პატრონი. სადღაც ახლო-მახლო ტრიალეს და დადუპვას უმზადებს თავხედ სასიძოებს. ჯერ კიდევ პილოსში არწივის გამოჩენამ მიმანიშნა ეს ამბავი, როცა ხომალდზე ასვლას ვეპირებოდით; ტელემაქეც დამემოწმება, რომ ჭეშმარიტს ვამბობ.

ასე საუბრობდნენ დარბაზში მსხდომნი. გარეთ კი, მოტკეპნილ ეზოში. ჩვეულებისამებრ, ბაღრსა და შუბის ტყორცნაში ვარჯიშობდნენ სასიძოები. ახლოდგებოდა სამხრობის ჟამი. მწყემსებს უკვე მოედინთ ნასუქანი პირუტყვი. მაშინ მედონტმა, რომელიც გამორჩეული ჰყავდათ სასიძოებს სხვა მანდატრთაგან და ხშირად სანადიმო სუფრაზეც იახლებდნენ ხოლმე, ასე მიმართა ეზოში შეკრებილთ:

— ჭაბუკნო, გული ხომ იჯერეთ ჯიმარდობით, ახლა ნადიმისათვის მოვემზადოთ. ნუ დაგაგვიანებთ: თავისი დრო ამშვენებს ყველაფერს.

ასეც მოიქცნენ. დარბაზში შევიდნენ, მოსასხამები საკარცხლულებზე გადაკიდეს, მერე კი თხა-ცხვარი, ნასუქანი ბუტრაკები დაკლეს და ხარიც წამოაქციეს... სწორედ ამ დროს ოდისეუსი და მეღორე ევმეოსი ქალაქში წასასვლელად ემზადებოდნენ.

— სტუმარო, — უთხრა ევმეოსმა, — ნეტაკ თუ მართლა ქალაქს გირჩევნია წასვლა, როგორც ჩემმა პატრონმა გვიბრძანა წელან? აქ დარჩენილიყავ და საღორეს დასდგომოდი დარაჯად! მე ჩემდათავად დაგტოვებდი, მაგრამ მეშინია არ გამიწყრეს ტელემაქე. შენც იცი: პატრონნი გულისწყრომას ვერიდებიან მონები. ამა, ჰე, ეიჩქაროთ, არ შეგვიღამდეს, მზე ჩავა და საღამოს სუსხი მოგვისწრებს გზაზე.

— კეთილი, — დაეთანხმა ოდისეუსი, — ოღონდ წინ გამიძიე და ერთი ჯოხიც ჭიმე, რომ ცოცამი ბილიკზე ფეხი არ დამიცურდეს.

ოდისეუსმა ჯოხი გამოართვა ევმეოსს, მათხოვრის დაგლეჯილი ბუდა მხარზე გადაიკიდა და გზას დაადგნენ. მწყემსები და ძაღლები კი სახლის საყარაულოდ დარჩნენ ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლდოვანი გზა რა ჩამოთავეს, ქალაქის მისადგომთან ლეგიონის ჯალაში შეისეხეს. ჯალაში მაღალი კლდიდან კაჭკაბა, ცივი წყარო მოჩხრიალებდა. ითაკეს, ნერიტოსსა და პოლიტაროსს ქვით მოეზღუდათ წყალსატეკი და მთელ ქალაქს აქედან მიაქონდა წყალი. წყაროს თავზე საკურთხეველი მოეწყოთ ნიმფებისათვის, რათა ადგილს დედა. შეწირული მსხვერპლი მიეღო მოგზაურთაგან. ამ წყაროსთან წამოეწია ოდიესესა და ევმეოს მელანთევსა დოლოსის ძე, რომელიც ორი მწყემსი ბიჭის თანხლებით ნასეკალ ოხებს მირეკავდა სასიძოებისთვის. ესენი რა დაინახა მელანთევსმა, ლაპაღება დაეწყო გზადშეყრილებს:

— ერთი ამათ დამიხედეთ, ნაძირალა ნაძირალას არ ჰკიდებია? მართალი თუქვამთ: ფერი ფერს — მადალი ღმერთსო. სად მიეყავს, უმაქნისო მეღორეგ, ეგ წელიწუყეტია მთობოვარი, ეგ ბედოლეათი სუფრის ლაბა. დღენიდაგ მონადიმეთ სახლის კარს ეცვითა ალბათ, მაგრამ ვინ მიაშვებს მაგ მუცელღორს სტუმრის სასატკო სარეკარს? გამოხრეულ ძაღლს გადაუგდებენ და კინწისკვრით გაავდებენ კარში. მე მომე ეგ ულხინებელი, იქნება ახლადმოგებული ციანების მომკელად გამომადგეს ბაკვაში. ღოს ყლაპვით ფერდეს მინც ამოიკლებს, თუმცა საქმე მაგის ხელიდან არ გამოვა, კარიგაკარ ძუნდელი ურჩენია ალბათ და სასუფრალით მუცლის ამოყორეა. მითქვამს და აუუხდა კიდეც: ღვთაებრივი ოდისესესს სასახლეს თუ მიადგა, თავზე სკამს გადაამტვრევენ, ვვერდებს დაღლეწავენ და კისრისტეხით გაავდებენ კარში!

— წყაროთა ნაშიერნო, ზეკნის ასულნო! უკეთუ ოდისევსს ცხერები და ციანები შემოუწირავს თქვენთვის როდისმე, შეისმინეთ ჩემი ვედრება: დაე, ღმერთებმა დაიბრუნონ ჩემი პატრონი, რომ შეინახოს ამ უკეთუოს თავისი ქედმაღლობა და შური აგოს მას სასიძოთა წინაშე ლიქნისა და პატრონის ფარის განადგურებისათვის.

მელანთევსმა სიტყვა არ შეარჩინა მეღორეს:

— ენამც მოგტყდება, ბებერო ძაღლო! ერთხელაც იქნება ბომალლში ჩაგსვამ. ითაკიდან საფმე შორს გაგყიდი და კარგ საფასურსაც აკიღებ, იმედი ნურაფრისა გაქვს. ხომ დაუბნელდა დაბარუნების დღე ოდისევსს, ტელემაქესსაც ან ვერცხლის მშვილდოსანი მოუსწრაფეს სიცოცხლეს, ან სასიძოები მოუღებენ ბოლოს მამისეულ სახლში.

ეს თქვა და უკან ჩამოიტოვა გზაზე დინჯად მოარული ოდისევსი და ევმეოსი. მელანთევსი მალე მივიდა სასახლეში და სანადიმო სუფრაზე პირისპირ დაუჯდა ევრიმაქეს, რომელიც სასიძოთა შორის ყველაზე უფრო უყვარდა. მსახურებმა ხორცი და პური მოართვეს შემოსწრებულს ამასობაში ევმეოსი და ოდისევსიც მოადგნენ კარიბჭეს. დარბაზზიდან ფორმინგის ხმა შემოესმათ: ეს ფემოისი ემზადებოდა სასიძეებოდ, ოდისევსმა ხელით შეაჭერა მეღორე:

— ეს ხომ ან არის, ევმეოს, ოდისევსის დედაბელი სახლი? კეთილად გამოირჩევა სხვათაგან. პალატები ერთ რიგზეა გაწყობილი, ეზოს ქონგურებიანი ვალაკანი აკრავს, ხოლო ბჭეს ორკლიტანელი კარები უდგას: ავიმდომი ადგილად ვერ შევა შიგ. ვატყობ, ნადიმს ეპირებიან, შეიწვრის სული მცემს და ფორმინგის ხმაც მწვდება. ლხინის დასაშვებებლად რომ შეუქმნიათ ღმერთმა.

— სწორს ამბობ, ჩემო სტუმარო, გულმამხვდური კაცი ყოფილხარ! ახლა, მოდი, განვსაჯოთ, რა ვქნათ და როგორა ვქნათ. თუ გიფიდა, ჯერ შენ შედი მონადიმე სასიძოებთან, არადა მე შევალ, ცოტა ხანში კი შენ შემომყეკი. ოღონდ დიდხანს არ დაყოვნედე გარეთ, ეინმემ არ გაგლახოს, რაგე არ მოგწიოს.

— ეგ არაფერი, ჩემო კეთილო, — მიუგო მრავალჭირთამთმენმა ოდისევსმა. — ბევრჯერ გავეულახიეართ და სხვა ჭირიც ბევრი დამტეხია ზღვასა და ხმელეთზე. მომიმენი კაცი ვარ, რა ვუყო. ამასაც გავეძლეთ. მაგრამ ამ ოხერ მუცელს კი ვერაფერს მოუხერხებს კაცი: ამ წყეულისათვის არ არის, რომ ხომალდებით ზღვაში ვასულნი, უცხო ნაპირებს მოარბევენ ხოლმე?

ამ საუბარში რომ იყვნენ, იქვე მწოლიარე ძაღლმა თავი ასწია და ყურები სცქეიტა. ეს იყო ოდისევსის ძაღლი — არგუსი. თავისი წელილი გამოეკვეთა და გაეწვრთნა, მაგრამ ალიარს წასულს, ამ ძაღლით ნადირობა ვეღარ მოესწრო. წინათ არგუსი ითაკელ ჭაბუკებს დაჰყვებოდათ ირმებზე, გარეთხეებზე და კურდღლებზე სანადიროდ. ახლა კი უპატრონოდ ეგდო ჭიკართან დახვავებულ ნაკელზე, რომელიც ოდისევსის ყანების გასაპოხიერებლად გაჭრონდათ დროდადრო. გაძალტყავებულ და გაჭუეულ არგუსს ჯიბიები დასეოდა. ოდისევსის სიახლოვე რა იგრძნო, ყურები ჩამოჰყარა და კუდი გააქიცინა. ღონედაეკეულს პატრონამდე მისვლის თავიც აღარა ჰქონდა. ამის შემხედვარე ოდისევსს ცრემლი მოერია. შებრუნდა, ევმეოსს უჩურმაგ შეიმშრალა თვალი და ჰკითხა:

— სანეხვეზე რატომ გდია ეს ძაღლი, ჩემო კეთილო; ჯიშიანი ჩანს, თუმცა ძნელი საოქმელია: სანადიროდ გამოსადეგი იყო თავის დროზე, თუ სილამაზის გამო ინახავდნენ პატრონები ამ ძაღლებს მსგავსად, დღენიადაგ სანადიმო სუფრის ქვეშ რომ დასუნსულებენ.

— ეჰ, სადღა ჰყავს ამ ძაღლს პატრონი, — დანანებით უპასუხა ევმეოსმა.—შენ მაშინ გეგონა, ოდისევსი ტროაში სანამ წავიდოდა რა გე-

მი ჰკონდა, რა ფეხმარი იყო. ამ ჩვენს ტყეებში ნადირი არ გაქცევია არასდროს. ახლა უპატრონოდ ასე გდია მთელი დღე. მონებიც ხომ ეგრე უქმად ყრიან ხოლმე, როცა პატრონის ხელს ვეღარა გრძნობენ? მონობაში მყოფს ხახვარ კაცად აქცევს აკი მაღლითმგრგვინავი ზეკუნ!

ეგრე თქვა, კარი შეკლო და პირდაპირ სანდიმო დარბაზში შეგიდა ევემოსი. ხოლო ოდისევსის ძაღლს არგუსს მას შემდეგ, რაც ოცი წლის უნახავი პატრონი იცნო, შავი სიკვდილის მოირა ეწვია.

დარბაზში შესული ევემოსი პირველად ტელემაქვემ დაინახა და თავის დაქნევით ანიშნა: აქ მოდიო. ევემოსმა მიმოიხედა, იქვე მესტუმრის სკამს წამოავლო ხელი, ტელემაქეს ტაბლასთან მიდგა და პირისპირ დაუჯდა პატრონს. შემოსულს ხახალიდან პური გადაუღო, მესტუმრემ ხორცი მიართვა. მცირე ხნის შემდეგ დარბაზში სპეყარ ბერიკაცად სახეცვლილი, მთხოვრის ჯვალრმი გამოხვეული ოდისევსიც შემოვიდა. ჯოხს დაყრდნობილი ოდისევსი იფნის ზღურბლზე ჩამოჯდა და ზურგით კეიბაროსის წრთხლს მიეყრდნო. მას ყამსი შინა ხეროს წმინდად გაერანდა იგი და ზეეტად ჩაეყენებინა კედელში. ოდისევსის ძმამ ხელებში დაუხვია პური და ხორცი მეღორეს და უთხრა:

— ევემოს, სტუმარს წაუღე ეს და ურჩიე, სამოწყალოდ ჩამოუაროს სასიძოებს, მათხოვრის საქმე არ არის ადემა და რიდი.

ევემოსი მიეახლა ოდისევსს და სიტყვა-სიტყვით მოახსენა დანაბარები:

— ტელემაქემ გამოგგზავნა ეს ჭამადი, ბერიკაცო, და ასე შემოგითვალა, სამოწყალოდ ჩამოუარონ სასიძოებს, მათხოვარს ხეირს არ დააყრისონ კდემა და რიდი.

— მეუფეო ზეკუნ, მადლი და სიკეთე მიაგე ტელემაქეს და აუსრული გულის წადილი! — თქვა ოდისევსმა, ორივე ხელით ჩამოართვა ბოძებული და ფერხთით გუდაზე დაიდვა. სანამ დარბაზში ხმატკბილი ალი მღეროდა, ოდისევსი შეექცეოდა ჭამადს. მიწყდა თუ არა ალდის ხმა და მონადილენიც ახმაურდნენ, ლაერტეს ძეს ახლოს დაუდგა ათინა და შთაადონა სამოწყალოდ ჩამოეარა სასიძოები, რომ გაეგო, ვინ იყო მათ შორის სამართლიანი და ვინ უსამართლო, თუმცა ქალღმერთს უკვე სასიკეთოდ ჰყავდა ისინი განწირული.

სუფრას მარჯვნიდან დაჰყვა სამთხოვროდ ხელგაშვერილი ოდისევსი. მისი შემხედვარი ამას იფიქრებდა: მათხოვრად დაბადებულო ეს კაცი. მეინახეები ჭამადს აძლევდნენ ოდისევსს, თან გაკვირვებულნი ეკითხებოდნენ ერთმანეთს: ნეტა ვინ არის ეს კაცი, სიდან გაჩნდაო აქ. მაშინ თხის მწყემსმა მელანთეუსმა ასეთი ეტყვა უთხრა სასიძოებს:

— ყური მათხოვეთ, სწორეპოვარი დედოფლის სასიძოებო! ეს კაცი ახლახან ვნახე. მეღორე ევმეოსმა მოიყვანა სასახლეში, არ კი ვიცი ვინ არის და სადაურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამგონე ანტინოემ დატუქსა მეღორე:

— ყველას ავან-ჩავანი შენ უნდა იყო, ევმეოს? რად მოგვიყვანე ეს მათხოვარი ქალქში? სუფრის გლახეები აქაც ბევრი გვყავს. არ გენანება განა შენი პატრონის ქონება, კიდევ ერთი მუქთამჭამელი რომ დაგვესი სუფრაზე?

— შენ, ანტინოე, თუმცა კი დიდმულთავანი ხარ, ვერა სთქვი გზიანი სიტყვა, — უპასუხა ევმეოსმა. — უცხო კაცს ვინ მოიწვევს სახლში, თუ რისამე მაქნისი არ არის? ან წინასწარმეტყველი უნდა იყოს ის, ან სმენის მკურნალი, ან ხელმარჯვე ხუროო, ანდა ხმატკბილი აედი. აი, ვისი სტუმრობა ესახელებათ ქვეყნიერით. უბადრუკ მათხოვარს ვინ შეიპატიჟებს სახლში? შენ შედამ გულსასტკივი იყავ ოდისევსსის მსახურეულთა მიმართ, მეტადრე კი ჩემდამი, მაგრამ ეს დიდად არ მანაღვლებს, სანამ ამ სახლში ცოხალნი მყვანან დედუფალი პენელოპე და მისი ღვთისდარი ძე — ტელემაქე.

— იყუჩე, ევმეოს, მეტს ნურას ეტყვი! — უთხრა ტელემაქემ მეღორეს. — ასე სჩვევია ანტინოეს: თვითონ ხომ ავყიაა, სხვებსაც სალანძღავად აქეზებს.

მერე ანტინოეს მიუბრუნდა ტელემაქე:

— ისე ზრუნავ ჩემზე, თითქოს მამა ყოფილიყო ჩემი. მქნეს სიტყვით დარბაზიდან ერეკეკები სტუმარს, მაგრამ ღმერთი არ იზამს ამას! არ გიშლი, ანტინოე, გაიღე მოწყალება. ნუ მოგვრიდება ნურც დედაჩემისა და ნურც ვინმე სახლეულთაგანისა. იქნებ გულში ამას იზრახავ: რაღა სხვას ვუწყალობ, ისეე მე დამრჩეს ჩემი არჩივინო.

— ეგ რა სთქვი, ტელემაქე, დაუოკებელო მეკერძმეტყველო! — შესძახა ანტინოემ. — თავისი არჩივიდან ყველამ რომ წილი უზიარის, სამ თვეს ალარ მოეკარება სასახლეს ეს მათხოვარი.

ეგრე თქვა და მუქარით მოუღერა ოდისევსს საფეხრო სკამი, რომელზეც ნაპატივებ ფეხებს ასვენებდა ნადიმობისას.

სხვებმა პურითა და ხორცით აუესეს გუდა ოდისევსს. ზღურბლისკენ გაბრუნდა იგი, უნდოდა გულმშვიდად შექცეოდა ნაწყალობევს, მაგრამ ანტინოეს რომ ჩაუარა, შესდგა და ხელგაშვდილმა ეს უთხრა:

— მეგობარო, შენც მიწყალობე რამე. ბასილევსის მსგავსი — აქაველთა შორის უმჯობესი ჩანხარ, ამიტომ სხვებზე მეტიც უნდა მიწყალობო. სანაცვლოდ, შენს სახელს მთელს ქვეყანას მოვდებ...

— ნეტავ, რომელმა დაიმნმა მოგვიყვანა ჩვენდა ჭირად ეს მათხოვარი! — შესძახა ანტი-

ნოვმ. იქით მიდეკ, ჩემს ტაბლას არ მოეკარო, თორემ იცოდე, ისეგ შენს გამამწარებელ ეგვიპტეში ან კვიპროსზე გიკიავ თავს. თავზედი და აბეზარი ვინმე ხარ, ყველას გულს უწყალებ მათხოვრობით. იმათაც რა ენაღვლებათ, უშვრეველად გწყალობენ სხვის ქონებას.

ოდისეესი უკუდგა და უშვერი სიტყვა ჰკადრა ანტინოეს;

— ეჰა, მშვენიერ ვაჟკაცს დუხჭირი გული გკონია თურმე. შენს სახლში ალბათ ვენიტ მარილს დაამდლიდი სტუმარს, აკი სხვის სახლმი პურიც ვერ გიგიმეტებია მათხოვრისათვის, თუმცა ჭამდი უხვად ნელგანა წონ.

გულზე ცეცხლი წაეკიდა ანტინოეს, პირქუში მზერა ესროლა ოდისეესს და დაემუქრა:

— განანებ მაგ სიტყვას, თავხედო, ცოცხალი ვერ გადამრჩები! — ეს უთხრა და მარჯვენა მხარში გიეკანა სფერხო. კლდესავით დაუხდა ნასროლს ოდისეესი, არა ვნებია რა, მხოლოდ თავი გააკნია შურისგებით აღსილმა. მერე ზღურბლზე ჩამოჯდა, საჭმლით გატენილი გუდა ფერხთით დიდო და ასე მიმართა მონადიმეთ:

— მისმინეთ, სახელოვანი დედოფლის სასიძოებო. იმას ვეტყვით, რასაც გული მეუბნება: არასოფეს დაიბოდმეგა ის კაცი, ვინც დარტყმას თავისი თეთრმატელიანი ცხვრების ან ხარავანის დასანარჩუნებლად იწვნევს, ანტინოეს კი ამ წყეულ, კაცთა დამღუპველი კუჭის გამო მესროლა საფეხრო. უკეთუ ერინიები და ღმერთები სწყალობენ გლახაკებს და უპოვრებს, ქორწილამდე არ ასცდება სიკვდილი ანტინოეს!

— შენთვის იყავ მანდ, ან თვალიდან დამეკარგე, თორემ მაგ უხიაგი სიტყვისათვის ფეხით გაგათრევენ კარში ჭაბუკნი და მიწაზე ხოხვით დაგელოტება თავპირი. — შემოუბრუნა ანტინოეს.

ანტინოეს სიტყვამ გულზე მოიყვანა სასიძოები. ისე თქვეს:

— უშვერი სიქმე იკადრე, ანტინოე. ვაი შენ, თუ ეს ბერიკაცი მათხოვრად მოგლენილი ღმერთია. შენც კარგად იცი, ღმერთები უცხოელთ და ყარიბთ მიეშსგავსებიან ყამითი-ყამად და სოფელ-სოფელ მოარულნი გამოსცდიან ხოლმე კაცთ, რომ გულისხმაპყონ, ვინ გულზაკეია და ვინ გულმდაბალი.

არად ჩაადგა ანტინოეს თანამზრახველთა სიტყვა, ხოლო ტელემაქეს გული აუდუდდა სიმწარისაგან, მაგრამ ცრემლი არ გადმოუგდია. შურისგებით აღსილს ხმაც არ ამოუღია, თავი გაკნია მხოლოდ. დარბაზზედან ხმაური რა შემოესმა, შიმუნვართა შორის მჯდარ პენელოპეს გულიდან ამმოხდა: მშვილდოსან აპოლონს ისარსმაც გაუვმირიხარ, ანტინოე!

— თუ ჩვენს ნატვრას ახდომა უწერია, — მიუგო ევრინომემ, — ეოსის ამოსელას ვერ მოესწრება ვერც ერთი.

— გადი, — უთხრა პენელოპემ — ყველანი ჭირის დღესავით მძულან, რადგან ბოროტად ქეეგამხედავარი არიან, მაგრამ ანტინოე სიკეთილვით მძაგს. ეიღაც ყარიბი შემოხიზნულ; ჩვენსა, უპოვრობას შეუბრალებია და მოწყალება უთხოვია. ყველას რაღაც მიუცია ბედშავისათვის, ანტინოეს კი მხარში საფერხო სკამი დაურტყამს მისთვის.

ასე ელაპარაკებოდა სანთიობოში პენელოპე მონაქალებს, დარბაზში კი თავის ჭამდეს შეექცეოდა ოდისეესი. მერე ევმოსი მოიხმო დედოფალმა და უბრძანა:

— წადი, ჩემო კეთილო, და ის ყარიბი მოიყვანე, ვინძლო რაიმე მამცნოს ჩემი სვეუბედური მეუღლისა. ნავალი კაცი ჩანს, იქნება შეჰყრია კიდეც სადმე ოდისეესს.

— ღრიანცელით იკლებენ იქაურობას, თორემ შავრ ბეერ გულისგასახარ ამბავს მოგიყვებოდა ის უცხოელი, — უპასუხა კეთილშობილმა მეღორემ. — ხომალდიდან გამოსული პირველად მე მომადგა და სამი ღამე ჩემს ქოხში გაათია. გათენებამდე მიამბობდა ხოლმე მის თავს გარდამხდარ ფათერაკებს, მაგრამ ბოლომდე არ გაუსრულებია საუმეული. როგორც ჭირთაუკუმყრელ ღვთაებრივ ავდს უსმენენ ხოლმე მონუსხული მოკვდავნი და კვლავ ცმენა სწადიათ, მოკადოებული მეც ისე ეუსმენდი და ვერ ვძღებოდი მისი ნაამბობით. ასე მითხრა: კრეტაზე, მინოსიანთ სამეფლებელში ბეეკერენ მწვეველო ოდისეესი. იქიდან გადმოხვეწილ; მრავალჭირნახული. მეფიცებოდა: ცოცხალია ოდისეესი, თესპროტელთა ნაყოფიერ ქვეყანაშია და სულ მალე დიდძალი ქონებით ითაკის ნაპირებს მოადგებიო.

— აქ მიხმე ყარიბი, თავად მიამბოს ყოველივე! სასიძოებმა როგორც უნდა ისე ატარონ დრო, სანაღვლო რა ჭირთ, მათ დოვლათს ხომ შინაურთა გარდა სხვა არაკინა ჭამს? აკი მთელი დღე აქა სხედან და სამადაგნელს გვინადგურებენ: ცხვარ-ძროხას კლავენ და ჩვენს პურ-ღვინოს შეექცევიან. უწყალოდ გვითხრეს ჩენ ყველფერს, რადგან ოდისეესისთანა კაცი არ პატრონობს სახლს. ოჰ, ნეტა მალე დაბრუნდებოდეს, რომ ტელემაქესთან ერთად შურა ითოს მოძალადეებზე.

ის იყო სათქმელი მოასრულა დედოფალმა, რომ ტელემაქეს ცხვრის დაკვეინებამ მთელი სასახლე შეაზანზარა. გაეცინა პენელოპეს და ფრთინინ სიტყვით გიეხვეწრა ევმოსს:

— საჩქაროდ მომკვარე აქ ის უცხოელი, ხომ ხედავ, ტელემაქეს დაკვეიკებამ დასტური დაცა ჩემს სიტყვებს. უეჭველია, სიკვდილი არ ასცდებთან სასიძოებს და ვერც სიკვდილ გაეკ-

ცვლიან ვერასგზით. წადი და ასე უთხარ იმ ყარიბს, უკეთუ გულმართლად მოიმბობს ყოველივე, ახალთახალ ქიტონსა და ძვირფას მოსასხამს ვაჩუქებ.

ევმეოსმა ფიცხლად მიუბრუნინა ოდისევსს დედოფლის დანაბარები:

— ჩვენი დედუფალი გიხმობს სანთიოობოში, ჩემო კეთილო, თავისა ქმრის ამბავი უნდა გამოგკითხოს. თუ ყველაფერს პირახსნით ეტყვი, ახალთახალ ქიტონსა და ძვირფას მოსასხამს გიბოძებს, კუჭსაც გემრზე გაიძღობ, არაფერი მოგაკლდება ამ სახლში.

ასე უპასუხა მეღორეს მრავალჭირნახულმა ოდისევსმა:

— ყველაფერს წვრილად მოვახსენებ ოკეროსის სახელოვან ასულს. კარგად ვიცნობდი მის მეუღლეს, ბევრი ჭირი გადაგვიტანია ერთად. ოღონდ ეგ არი, ვერაგი სასიძოებისა მეშინია, მათი უსამართლობა ხომ რვალის ცასამდე სწვდება. აკი შენი თვალით ნახე: იმ კაცმა ტყუილ-უბრალოდ მესროლა სკამი, მაგრამ არაკინ გამომსარჩლებია, არც ტელემაქე და არც სახლეულთაგანი ვინმე. ამიტომ მზის ჩასვლამდე ვერ ვეახლები დედოფალს, ცოტა უნდა დაითმინოს, მერე კი გულმშვიდად მოვუყვები ყველაფერს. ოღონდ ახლოს დამსვამს ცეცხლთან, არა მაცვია რა და შემიკვდება, გინა პირველად შენ არ გთხოვე მოსასხამი მიწყალობე-მეთქი?

სანთიოობოს ზღურბლზე მომდგარ მეღორეს კითხვა მიაკეთა პენელოპემ:

— უცხოელი სადღაა, ევმეოს, რატომ არ მომიყვანე? სასიძოებისა ხომ არ ეშინია, ან ვინმესი ხომ არ ერიდება? ყარიბს არად არგებს კედმა და რიდი!

— გონიერი კაცის შესაფერი სიტყვა დამბარა შენთან, — უპასუხა ევმეოსმა :— თავგასულ სასიძოებს უფრთხის, მიტომ არ წამომყვა ახლა. ასე შემოგითვალა: მზის ჩასვლამდე დაითმინოსო. შენთვისაც უმჯობესია, დედოფალო. მასთან პირისპირ დარჩენილი გულდაგულ გამოკკითხავ ყოველივეს.

— გზიანი სიტყვა თუქვამს მაგ ყარიბს, — დასძინა პენელოპემ. — ქეეყნერთა შორის სასიძოებზე უფრო ქვებუდანი და გლისპი ხალხი არსად მეგულება!

მეღორემ კვლავ დარბაზს მიაშურა, ტელემაქეს მიეახლა და ყურში უჩურჩულა:

— ჩემო კარგო, ახლა წვადა და ჩვენს საბადებელს — ღორების კოლტს მივხედავ, შენ კი სახლზე იზრუნე. თავს გაუფრთხილდი, არაფერი მოგწიონ ამ მუხანთაგმა: მტერმორეული ვართ, ზევსიმეა დალუბავს მათ!

— ზევსი მაღალია! — უპასუხა ტელემაქემ. — ივაზშმე და ისე წადი. ღილაღღიან კი საკლავი მორეკე, დანარჩენ საქმეს, ღმერთების შეწევნით, მე მიეხედავ.

ტელემაქეს სიტყვისაებრ ტაბლას მეუფე ევმეოსი. სმა-ჭამით გული რა იკვნა, ღორების კოლტს დასაწყემსავად მთას მიაშურეს. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სავახშოდ! გადანახული თხის შიგნეული რომ გვიდევს ცეცხლზე, მოდი, იქიდან უკეთესი არჩიგი დავუთმოთ იმას, ვინც ამ მუშტიკრივში გიიმარჯვებს. დიე, გამარჯვებულმა ღღენიადაგ ჩვენთან ერთად იქიფოს, სხვა მთხოვარს ნუღა მოვუშვებთ ჩვენს სუფრაზე!

ანტინოეს სიტყვა მოუწონეს, მრავალნაცადმა ოდისევსმა კი ასე მიმართა შემოკრებილთ:

— დარბაისელნო, როგორ შევება გაუპატიურებული ბერიკაცი ჯანიან ჭაბუკს? მაგრამ ეს ოხერი მუცელი არ მაყენებს და სხვა ვა ზრა მაქვს, თუმცა მაგრები მომხდება, უნდა გავუძლო. ოღონდ ერთსა გთხოვთ: ფიცით უნდა შემომფიცოთ, რომ ირისს არ გამოესარჩლებით და ჩემზე არ აღმპრათავთ ძლიერ ხელს.

სასიძოებმა შეჰფიცეს. ფიცი რა მოამთავრეს ტელემაქეს წმიდა ძალამ ასე მიმართა ოდისევსს:

— ყარიბო, უკეთუ გული გეჯრის, შეები და აქედან გაამეგე ეს კაცი. ნუ გეშინია: მრავალს უმრავლესთან მოუხდება შერკინება იმას, ვინც ხელს გაბლუნს. აქ მე ვარ მასპინძელი და კეთილშობილი ბასილევსები — ანტინოე და ეგრიმაქეც მე დამიჭერენ მხარს.

სიტყვა მოუწონეს ტელემაქეს. ოდისევსმა კი გადიძრო მოსასხამი, დაკონკილი ჯვალოთი დაიფარა სარცხენელი. ათინა მიეახლა ითაკელთა მწყემსს და ახოგრნა და ძალმოსილება შემატა მის სხეულს. განცვიფრებული უქცერდნენ სასიძოები ოდისევსის ჩამოსხმულ ბარძაყებს, ძლიერ მხარებსა და დაკუნთულ მკლავებს. ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ირისი გზნირად აღარ ივარგებს, სიკვდილს ვერ გადურჩება, ხედავ, რა ღონე ჰქონია დაფარული ძონძებში ბერიკაცსო?

ოდისევსის შემხედვარე ირისს ძარღვში შაში ჩაუდგა. მსახურებმა ძალით შემოარტყეს ქამარი და წინ გაიგდეს. დადგილებულ მთხოვარს ხორცი უცახცახებდა ტანზე. ანტინოეს გაკიცხა ირისი:

— მიწამ უნდა გიყოს პირი, შე ბაკაია! თავი ცოცალი რად გინდა, თუ ამ ძაბუნი ბერიკაცისა გგშინია. ანალა ერთს გეტყვი და იცოდე, შეგებრსოლება: თუ გაკოგა ამ ყარიბმა, შავქვინტიანი ხომალდით ხმელეთზე გაგზავნი გულმხეკ ეზეტოსთან. ის მოგიელის: ცხვრის, ეუერებსა და სარცხენელის დგაკრის და ძალლებს მოუგდებს საჭმელად.

ამ სიტყვებზე კიდევ უფრო აკანკალდა ირისი. ძარღვდაშნებული მთხოვარი შუა წრეში გამოადგა. ორივემ ღმრთი ხელი. ჭირში მედგარი ოდისევსი ჯოუმანობდა: ერთი მაგარი დარტყმით გავაცხებინო სული თუ გამოზომილად შემოვარა მუშტი, რომ მხოლოდ წოიქცესო? ბოლოს ისევ მოზომილი დარტყმა ირჩია, რომ გარს მოჯარულ ხალხს ეჭვი არ აღიქროდა და არ ეცნოთ იგი. ირისმა მარჯვენა მხარში დასცხო მუშტი ოდისევსს, ხოლო მან ყურიმალზე ისეთი ლეწა შემოქნილი მარჯვენა და ყბა მოუნგრია ირისს სისხლი წასკდა პირიდან. ღრიალით მიწაზე დანარცხებული მთხოვარი ფეხებს ულოინდ ააცასვებდა და სიმწრით აკრაჭუნებდა კბილებს. ხელშემართული სასიძოები გულიანად ხარხარებდნენ. ოდისევსმა ფეხში ჩაავლო ხელი დამარცხებულს, ეზოში გაათრია და გლეჯანთან მიაგდო. მერე ხელში ჯოხი მიიჭრა და ჭიკა დარიგა:

— ახლა აქ იჯექი, რეგვენო, და ძაღლი და ღორი მოიგერეგ! ღღეის ამას იქით ნუღა იფიქრებ ყარიბთა და მთხოვართა ფფროსობას, რომ ეარეს ჭირი არ გადაეყაროთ!

ეს უთხრა, თავისი დაგლეჯილი გუდა კალავ მხარზე მოიგდო და ზღურბლზე ჩამოჯდა. დარბაზში შებრუნებული სასიძოები სიცილ-ხარხარით ულოცავდნენ ოდისევსს გამარჯვებას:

— ზეგსმა და უკვდავმა ღმერთებმა აგისრულონ გულისსანატვრა, უეხოელო, ამ გათავხედებულ მთხოვარის წნაწელის ხალისი რომ დაუკარგე. აწი მოკვდავთა დამლუპველ ეზეტოსთან გაგეზავნით, — ის მოუკლის მაგ გლახაკს.

ოდისევსს კეთილ ენიშნა ეს სიტყვები. ანტინოეს ქონითა და კუეშმაჭით დატენილი ფაშვი მიაწოდა, ხოლო ამფინომოსმა ხახალიდან ორი პური გადმოუღო, ოქროს თასი ღვინით შეუვსო და მისი სადღეგრძელო დალია:

— გაგიმარჯოს ბიძაჯი

მა შენსაკ სახლში დგებრტენონ, რომ თავის ჭერქვეშ დაბრუნებულ სახლის პატრონს აქ არ შეეფეთო. ვეტე, უსისხლოდ ჩაიაოოს ამ საქმემ!

ეს თქვა ოდისეესმა, ზედაშე დაუდგარა ღმერთებს, თავადაც შესვა და ამფინომოსს დაუბრუნა ოქროს თასი. დიდებულმა და თავჩაქნილრულმა ამფინომოსმა თავის სავარძელს მიაშურა. ცული აეს უგრანნბდა, მაგრამ ბედისწერას ვერაც ის გაეცურნა: ათინამ ტელემაქეს შუბის წვერზე წამოაგო ოგიე.

მას ეკამსა შინა თვალსხვიოსანმა ათინამ პენელოპეს შთაადინა დარბაზში ჩამოსულიყო, რომ უფრო მეტად მოეხიბლა სასიძეები, ხოლო ქმრისა და შვილის თვალში მეტი პატივისცემა და სიყვარული მოეხვეჭა. პენელოპემ ნაძალადევი ღიმილით ჩაუღაპარაკა თავის მკლუშნაკეს:

— ჩემო ეურინომე, თუმცა თვალის დასანაზად მეზარება სასიძეები, დარბაზში ჩასვლა მომვნება. მინდა ვეურჩიო ტელემაქეს, ცულით არ მიეხდოს იმ ლორფებს: პირში ეფერებიან ჩემს ძეს, ზურგს უკან კი ძირს უთხრიან.

— ეს კარგად მოიფერე, ჩემო შვილო, — უპასუხა ეურინომემ, — ნურაფერს დაუშალავ, სათქმელი უთხარი შენს ძეს. ოღონდ მანამდე ტანი განიბანე, პირზე ნელსაცებელი ეაისეი, ცრემლდაღარული ნუ ეჩვენები ხალხს. აკი ავისოოლეს ღმერთებმა ცულისწადილი: ვაკაც შვილს მოესწრანო.

— ნუ მეტყვი მაგას, ჩემო ერთგულო ეურინომე, — მიუგო პენელოპემ, — აღარც ტანის დაბანას მეხალისება და აღარც საცხებლის წასმა. ღმერთებმა დაიკენეს ჩემი სილამაზე მას შემდეგ, რაც ოდისეესი ღრმამუცლიანი ბოძალდი ბოეეშზეარა ტროას. წადი, ავტონოესა და ბიპოოდამიას დამიძახე, უთხარი დარბაზში მეახლონ, კაცებთან მარტო ჩასვლა მერცხვინება.

ეურინომემ იმწამსვე გადასცა დედოფლის ბრძანება ბიმუნვარებს.

ახლა სხვა რამ იზრახა თვალსხვიოსანმა ათინამ. მან ტკბილი ძილი მოჰკვარა იკარიოსის სახელოვან ასულს. ეროპაშად მოეშვა პენელოპე, სახსრები მოეფლნენ და იქვე, სელზე მიეძინა. მაშინ ათინამ აქაველ სასიძოთა გასაშშაგებლად შშვენება გაუთესეცა პენელოპეს, ამბროზიული საცხებელი სცხო სახეზე, ის საცხებელი, რომელსაც ქარიტებთან საფერხულოდ გამზადებული ტერფაგგირგვინანი აფროდიტე ისვამდა ხოლმე. ქალღმერთმა მადალი და ტანსრული გახადა დედოფალი, განამშვენა და მის ტანს ეროილა სპილოს ძელის ფერი მისცა. ესე პკო და გაუნირარდა თვალსხვიოსანი ქალღმერთი.

მალე პენელოპესთან ხმაურით შემოცვივდნენ თეთრმკლავება შემეზარები და გაღვიძეს დედოფალი. თვალები მოიფშვნიტა პენელოპემ და წყნარად თქვა:

— რა ტკბილად მეძინა მე სეედიესეეს ტკბილ ასეთივე სიკვდილი მარგუნოს უმანკოებ-ტემიდემ, რომ ჩემს საყვარელ მეუღლეზე, აქაველთა შორის ამ უმჯობეს კაცზე, დარდი აღარ ვიტანჯო.

ეს თქვა და განმშვენებული, ზემო სართულიდან მაღალი კიბით დაეშვა მონადმე სასიძოებთან. პირს ოქროირიდ მოიფარა და ოსტატურად მიიუქცთრიმებელ დედაბოძთან შედგა ღედათა შორის უტტრფესი. ენებმან გული აღესინო და მუხლები მოედნენ სასიძოებს. თვითეული მთვანნი ნატრობდა გაეზიარებინა პენელოპეს სარეცელი. პენელოპემ გაკკილა შვილი:

— რა მოგდის ტელემაქე, სულ მთლად დაგიკარგავს გულის ნება! ბალღობისას მეტ ჭკუას იჩენდი! მოწიფფული ვაქაკაი ხარ, კაცმა რომ შეგხედოს, სახელოვან მამის შვილად მიგიჩნევს. შენ კი რას სჩადი? რა უბედურება ტრიალებს ჩვენს სახლში, რომ ფუწკანარ ბერიკაცს უპატიოდ ეპყრობიან? იცოდე, ,ირეგვილს სჯამ და ოდისეესმაგან გაიკიეგნები!

— დედაჩემო, ღირსი ვარ შენი გულისწყრომისა. — მიუგო ტელემაქემ, —ბალეი აღარა ვარ და თუმცა ამ ქეეყნის ავკარგიც მესმის, ნებისაებრ ვერ ვიქცევი. რადგან მარტო ვარ და შემწე არავინა მყავს; ამთ კი, ამ ავისმზარაგველებს, ჭკეიდან გადავყავარ. მაგრამ საწადელი მაინც ვერ ისრულეს: უცხოელმა დაჯანნა მათი ფალავანი. ეჰა, ზეუსო, ათინაე და ამპოლონ! ნეტამც დღესვე მანახა სასიძოები ისე ნაცემ-ნაგვემნი და წყლთმოწყვეტილნი, როგორც ადერ, ეს ოიგებმორღვეული მთუხოვარი ედია . ვალავანთან, მთვრალივით რომ ჩაუკინდრავს თავი და შინ წასელის ღონე აღარა აქეს.

ეურინომემ ასეთი რამ უთხრა პენელოპეს:

— იკარიოსის სახელოვანო ასულო! იაზოს არგოსში ყველას რომ ეხლეე, უფრო მეტი სასიძო მოაშურებდა ამ ეზოს, რადგან აქაველ დიაცთა შორის დიახაც უტტრფესი და უკონიერესი ხარ.

— ო, ეერიმაქე, ღმერთებმა წამიღეს სიტტრფე და ღირსება მას შემდეგ, რაც არგოსელებს ილიოშნში წაჰყვა ჩემი ღვთისდარი მეუღლე. ქმარი რომ ყვერდში მედგეს, მშვენება და დიდება ასწრალდ შემემატებოდა. აწ კი გული ნაღველით მეწუტრება. ვაი, რომ ათასი ეერი დამატეხა თავზე ავმა დაიმრნმა. ზაესელისას, მამეულ მიწას რა სტოვებდა, მკლავში ჩამკიდა ხელი ოდისეესმა და ასე მითხრა: დედაკაცო, იცოდე, რვალისსაბარკელნან აქაველთაგან ბევრი ეეღარ დაბრუნდება უკან. განთქმული შუბოსან-მოისარნი არიან ტროელები, სათბარ ეტლებზე ამხედრებულნი ფიცხლად იბრძვიან და ბრძოლის ბედსაც ხომ ეგა სწყვეტს. არაკინ უწყოს, რა მიწერია: შინ დაბრუნება თუ ილიონის ყედლებთან სიკვდილი. ამიტომ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბარე სახლ-კარსა და საბადებელს. უბატონო ჩემს დედ-მამას, ზრუნვა არ მოაკლო და უზემობა არ დაატყო. ხოლო როცა ჩვენი შეიტა დაფაქაცდება, იმ კაცს წაჰყეფი ცოლად, ვინც შენს გულს ეთნეკვა. და აჰა, მისი სტყვისაგან ახდა ყოველი. ზეკის განგებით, უკვე ახლოდებება ჩემთვის საძუღელი ქორწინების ღამე. მაგრამ გულს უფრო ის მიკლავს, რომ ძველი წესი დაივიწყეს ახლანდელმა სასიძემ. ჩემმობას, მდიდარი და კეთილშობილი ქალის სთხოვად ერთმანეთში მოცილე სასიძეზეს უზეი საბოძვარი მოჰკონდათ სასძღოსათვის, ხოლო ქალის მოყვრებისათვის თავად მოჰყავდათ სანადიმოდ დასაკლავი ცხვარ-ძროხა. სხვის საქონელს ხელს როგორ ახლებდნენ!

ეამა ოდისეუსს, მისი სიბრძნისი მეუღლე ძღვენის გამოსატყეუბლად თვალს რომ უხვევდა სასიძოებს. მაგრი სიტყვა დასძარა ანტინოემ ევპეითოსის ძემ:

— ალარიოსის დიდგონიერო ასულო! ამაეულთაგან მოძღვნილ საბოძვარზე უარს ეი იტყვი: ლმაზი არ არის ნაჩუქარის უკან გაბრუნება. ჩვენ კი მანამდე არ გავბრუნდებით ,სანამ ამაეულთა შორის უმჯობესს საქმროდ არ აირჩევ.

ანტინოეს სიტყვა მოეწონეს და კვერი დაუკრეს სასიძოებმა. საჩქაროდ აფრინეს სახლეაში მანდატურები საჩუქრების მოსატანად. მანდატურმა ანტინოეს მშვენიერად მოქარგული ბრეგი ბალ ოთხანა, რომელსაც თორმეტი ოქროს დუგმი ესხა. ევრიმაქეს ოქროს უნატფეს ძეწკვეზე ასხმული ზზისებრ მოელვარე ქარვის მძივები მოუტანა მანდატურმა. ევრიტამანტს ორმა მსახურმა საყურეები მოართვა, თვითეული სამი მოკიაფე თვალით დაშვენებული. ხელშეფე პოლეტორის ძეს პისანდრეს კი განსაცვიფრებელი ყელსაკიდი მოუტანა მსახურმა. სხვებსაც ძვირფას-ძვირფასი სამკაულები მოართვეს მანდატურებმა. დედთა შორის უტერფეზმა ჰენელოპეს სანთიბოს მიაშვრა კვლავ, მას უკან მიჰყვებოდა მდიდრული სამოვარით ხელდამშვენებული ორი შიმეზანი.

შეიმაშამდე როკეასა და სიმღერას განგრძობდნენ სასიძოები, იშვებდნენ, სანამ დარბაზში მზუხრი არ ჩამოწვა. მაშინ დარბაზში სამი მაშალა დადგა. ზედ ხის ხმელი ნაკბრები დაყარეს და დღეიანნი კვარის ნაფოტები შემოუწყეს. მონაქალებმა რიგრიგობით ანთეს მაშალები.

— თქვენ გეუბნებით, დაკარგული ბასილეესის მსახურნო. — მიმართა ოდისეესმა დარბაზში მოფუსფუსე დიაცებს, — თუ გზდიათ, თქვენს დედოფალთან წადით და გულიდან დარი გადაუყარეთ, სანთიბოში ბეჭ-სახეხელს მიეხეხდით ან მატყეი ნეჩეთ. მაშალების დარი ეე გეკნებან, მონადიმეებს მე გავუნათებ. ვინდაც დილამდე დარჩნენ, რული არ მომეკიდება. ღამისტეხს მიჩვეული ვარ!

შემაშალე ქალებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და სიცილი ატეხეს, დოლიოსის ასულმა, ლოყეებაღაფაფალა მელანთომ კი უშვერი სიტყვა აკადრა ოდისეესს. მელანთო შვილივით ჰყავდა გაზრდილი ჰენელოპეს, თავზე ეკლებოდა, ყველაფერს უსრულებდა, მაგრამ უმადური მონაქალი არაფერად აგდებდა სვეკამშურავნულ დედოფალს. ეს ურცხვი დიაცი ევრიმაქეს ყვარობდა. მელანთომ გალანძღა ოდისეესი:

— ჭკუაზე ხომ არ გადაცდი, უცხოელო? რას ჩმახავ, რას მიედ-მოედები? სამეკიდლოში. ან სალაყბოში უნდა ეგდო, დარბაისელ ხალხთან შენ რა გესაქმება? ღეინო შეგიჯდა ალბათ, რიდი დაგიკარგავს და ენად გაკრეფილხარ. ის ხომ არ გიბარია მაწანწალა ირიონი რომ დაყაბნე? ჭკვანაღა იყავი, შენი ჭკობიე გამოჩნდება და იცოდე, ცხვირპირმიმტვრეულს კარში გისვრის!

კუეტი მზერა ესროლა ოდისეესმა გათავხედებულ მონაქალს:

— რას მიყეფ, შე ძაღლთაპირო! ენა დაიმოკლე, თორემ ტელემაქეს ეეტყვი და შენს თავს ასო-ასო ავაკეწეინებს!

დარბაზიდან კისრისტეხით გაეცვივდნენ მონაქალები. შიშისაგან მუხლები უკანკალებდათ. ფიქრობდნენ: ვაი თუ აგვისრულოსო დანაყენები ეუცხოელმა. ოდისეესი მაშალებთან დადგა, ვითომ ცეცხლის ყურის საგდებლად, თავის საფიქრალზე კი ფიქრობდა, გულდაგულ წონიდა, რა ექნა შემდგომ.

ხოლო ათინამ, მეტი რისხვით რომ აღეკვა ოდისეესი, კიდევ უფრო გაახელა და გაათავხედა სასიძოები. ევრიმაქემ მთლად აიშვა თავი:

— ერთ რამეს ეეტყვით, სახელოანი დედოფლის სასიძოენო, ყური დამიგდეთ! ღმერთების ნებით ზომ არ არის ეს კაცი მოსული ოდისეესის სახლში? მაშალასავით უბრწყინავს მოტკლებილი თავი, და მე მგონი, ეს უფრო ანათებს ამ დარბაზს!

ევრიმაქეს ამ სიტვებზე გულიანად ახარხარდნენ სასიძოენი. ახლა ქალთადამაქეცეარ ოდისეესს მოუბრაწეა ევრიმაქე:

— კარგ გასამრჯელოს მოგცემ, მოჯამაგირედ დამიდექი, უცხოელო! შორს, მინდორში იმუშაკ, ძალებს ჩამიყრი და ყორეს გამიკეთებ. სასმელ-საჭმელი თავზე საყრელად გექნება. სამოსელს მოგცემ და ხამლესაც გაჩექეტ. მაგრამ გამოვა შენი ხელიდან საქმე? კარდაკარ ძუნქული გირჩევნია ალბათ და ნასუფრალით მუცლის ამოყორვა!

ასე მიუგო მრავალნაკადმა ოდისეესმა ევრიმაქეს:

— ეჰ, ევრიმაქე, გაზაფხულის ნაბუნიობისას, ერთმანეთს რომ შეგვეჯიბრა თიბვაში, უ-

---

ᲐᲓᲘᲡᲔᲣᲡᲘ
ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეულ-უკმეული, საღამომდე მთისხელა ზვინებს დაგიდგამდი! ქცევა მიწა რომ მოგვახნევინა ქედფიცხელი, ლომფერა ხარებით, მაშინ ნახავდი ვინ უფრო ღრმად გიიტანდა ურანტს! კრონინომსა დღესვე რომ ბრძოლად აღგიჭოს, — ხელი ფარ-შუბი მომეცა და თავს მუზარადი დამეხურა, — მეენახავეთა შორის მნახავდი მკლავშემართულს და მუცელ-ღორობას არ დაბეჭამებდი. მედიდური და ტკმეხი ვინმე ხარ! ახალი-უხლუბები თავი დიდად მოგაქვს, მაგრამ ოდისევსი თუ დაბრუნდა, უმალ გაქცევაზე იფიქრებს და ეს ფართე კარიბეკე ვიწროდ მოგიჩენებს!

— არ შეგარჩენ ამ თავხელობას, შე უბადოდ! — შესძახა გაფფურებულმა ეკრიმაქემ.— შიში არაფერისა გაქვს და ამ დარბაისელ ხალხსაც არაფრად აგდებ! ღვინო ხომ არ აგიკრავდა თავში, ან იქნება იმიტომ გახვედი თავს, რომ ის მაწაწყალი იროსი დაჯახნე?

ეკრიმაქემ იქვე, სკამს დასტაცა ხელი და გამეტებით ესროლა ოდისევსს. ოდისევსმა მოაწერო, დულიხიელი ამფინომოსის მუხლებთან წაიხარა და სკამი მარჯვენაზე მოხვდა მწდეს. მან სიმწარისაგან შეჰკივირა, ლაგვინს ხელი უშვა და პირქვე დაეცა.

ჩამობნელებულ დარბაზში ერთბაშად აჩოჩქოლდნენ სასიძოები. ერთმანეთს წყარომით ეუბნებოდნენ:

— ნეტავ, ფეხი მოსტეხოდა ამ უცნოელს და აქ არ მოსულიყო! თავზე წამოგვაჯდა და ლამის ჩაგვიშლოს ნადიმი! მაგის გამო ატყდა ეს აყალ-მაყალი!

ბოლოს გონიერმა ტელემაქემ მიმართა შეკრებილთა:

— რამ გაგახელათ, დარბაისელნო? ღვინო ხომ არ მოგერიათ? ან იქნება, რომელიღაც ღმერთმა დაგიბნელათ გონება, თავს რომ ვერ იოკებთ! გეყოთ ღვინის სმა! სახლიდან არ გასტუმრეთ, მაგრამ გიჯობთ, შინ წახვიდეთ და მოისვენონთ!

ეს თქვა და მათ კბილით დიაკმეს ტუჩები. დიდად გაიოცეს ტელემაქეს გაბედული ნათქვამი. მაშინ ამფინომოსმა ასე ურჩია სასიძოებს:

— მოყმენო, დაიცხრეთ გულისწყრომა! გზაანი სიტყვა ვვითხოა ტელემაქემ. ნერც ამ უცხოელს ეაკადრებთ ნურაფერს და ნურც ხელშინაურებს. მოდი, მწდეს შეეგებეშინონთ თასები, ღმერთები ეახსენოთ და შინ წავიდეთ დასაძინებელად. ოდისევსის სახლში სტუმრებულ ყარიბს კი ტელემაქემ მიჰხედოს!

სიტყვა მოუწონეს ამფინომოსს. მისმა მანდატურმა, დულიხიელმა მულიოსმა, ყველს საფთიოოოდ ჩამოუტოვა ღვინით სავსე თასები. ნეტარ ღმერთებს ზედაშე დაუღვარეს და თავადაც შესვეს. სუფრის წესი რა ეღასრულეს, წამოშალნენ და თავ-თავიანთ სახლებს მიმართეს.

დარბაზში დარჩენილი ოდისევსი ნადგომით ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზში დარჩა და ათინას თანადგომით სიკვდილს უმზადდება სასიძოს.

მაღე სანთიობოდან არტემიდესა და ოქროფოროდიტს დარი პენელოპე ჩამოვიდა. კერიასთან, იქ, სადაც ჩვეულებისამებრ იჯდა ხოლმე დედოფალი, სპილოს ძვლითა და ვერცხლით მოჭედილი, ცხერის ნატით დაფენილი საკარხელული დაუდგეს. ეს საკარცხლული ხურო იკმალოსის ნახელავი იყო.

თეთრმკლავება მოახლეებმა პური შემოიტანეს, ტაბლები დადგეს და ზედ დიდებულთა საფერი ოქროს თასები დააწყეს. ცეცხლი გაჩხრიკეს და შეშა შეუკეთეს, რომ დარბაზში მყოფთ სითბო და სინათლე არ მოჰკლებოდათ.

დარბაზში რა შენიშნა ოდისევსი, კვლავ უშვერი სიტყვით მიადგა მას ურცხვი მელანთოს:

— რას დაბორიალობ ამ სახლში, რას ეუთვალთვალებ ამ მსახურ ქალებს! შუეცელი ხომ გაიძეე, ახლა თავიდან მოგვწყდი, გულს ნუ გვიწყალებ, თორემ თავში მოგხვდა ეს მუგუზელი!

კუზში მზერა ესროლა მელანთოს ოდისევსმა:

— რას გადამეკიდე, შე უკუღმართო! მერე რა, რომ ძონძები მაცვია და კარდაკარ დაყრნწლად ლუქმაპურისთვის! რა ვუყო, ასეთ ღლეში ჩამაგდო ბედმა! ერთ დროს მეც შეძლებული და ბედნიერი კაცი ვიყავი. ჩემს კარზე სამათხოვროდ მოსულთისთვის ლუქმაპური არაა. ეროდეს დამიკავებია. ბევრი მონა მესცა და სხვა საქონელიც ბევრი მქონდა, რის გამოც დიდად შეიარაღება ხოლმე და გულნებიერად ცხოვრობს კაცი. მაგრამ კრონიონმა წამართვა ყოველივე. შენც, დედაკაცო, ეგეშინდეს ღვთის რისხვისა! ზევსმა არ წაგიღოს ეგ სილამაზე, რითაც მხვედალთა შორის გამოირჩევი. ვაი შენს დღეს, თუ შემოგწყრა დედოფალი ან ოდისევსი თუ დაბრუნდა! ჯერ ხომ არ გადაწურულა იმედი! ხოლო თუ ცოცხალი აღარაა ამ სახლის პატრონი, აპოლონის წყალობით დავაკაკაცებულ ტელემაქეს იცოდე, მონაქალების უმსგავსი სალმე არ გამოეპარება!

ამის გაგონებაზე წყრომით მიუბრუნდა მელანთოს პენელოპე:

— რამდენს ბედავ, შე ძაღლის ლეკვო! არ გამომპარავი შენი უზნეობა და, იცოდე, თავხედობისთვის საკადრისი მოგეზღვება! განა არ მითქვამს, ამ ყარიბს მინდა გამოვკითხო_მეთქი დაკარგული მეუღლის ამბავი!

ახლა ეკრინომეს უბრძანა პენელოპემ:

— სტუმარს სკამი მიართეი, ეკრინომე, და ზედ ნატი დაუფინე. მინდა საყვარელი მეუღლის ამბავი გამოვკითხო.

ეკრინომემ უმალ მოიტანა კარგად გარანდული სკამი და ზედ ცხერის ნატი დაადინა. პენელოპემ სკამზე მიიწვია მრავალჭირნახული ოდისევსი და ჰკითხა:

— ჯერ ეს მითხარი, ჩემო სტუმარო, ვინ ხარ და სადაური ხარ, სად გიდგას მშობლიური ქალაქი და ვინ არიან შენი მამაპაპანი?

მრავალნაცადმა ოდისევსმა შეუგო:

— დედაკაცო, ვერავინ ტყეყის შენს ბუკს ამ უკიდეგანო ქვეყანაზე. ცას სწვდება შენი დიდება, თითქოს უკვდავთა შესაგანი ხელმწიფე იყვე, ხელმწიფე, რომელიც სიმართლით განაგებს ლეგრსა და მრავალრიცხოვან ხალხს. ასეთ ხელმწიფეს წიადიანი დედამიწა უხვად ალმოუცენებს ქერსა და ხორბალს, წვენსავსე ნაყოფებით დახუნძლული ხეები უდგას, საძოვრებზე პოხილი ცხვრის ფარა დაუდის, ხოლო მლაშე ზღვაში თევზი არ ელევა. მის ხელში განცხრომითა და შვებით ცხოვრობს ხალხი... სხვა რამე მკითხე, სამშობლოსა და სახლეულს ნუ მომაგონებ, თორემ კიბრნი შემომაწვება და მრავალტანჯული მწარედ იტირიდები. სხვის სახლში ტირილი კი არ ეგების! გამეცინავენ შენი მონაქალები: ღვინო დაულევია და გული ასჩუყებია ბერიკაცსო.

პენელოპემ ასე უპასუხა ოდისევსს:

— ჰე, უცხოელო, ღმერთებმა წამიღეს ღირსება და სიტურფე მას შემდეგ, რაც ჩემი ღვინისდარი მეუღლე არგოსელები წაპყვა ილიონში. ეჰარი გვერდში რომ მედგას, მწვენებდა და კიდდა ასწილად შემეტებოდა. აწ კი გული ნაღველით მეწურება. ვაი, რომ ათასი ჭირი დამატეხა თავს ავმა დაიონმა. ყველანი, ვინც კი გარეშემო კუნძულებს პატრონობენ, — დულიხიელნი, სამიელნი, ტყიანი ზაკინთოსის განმგებელნი, თვით კლდოვანი ითაკის წარჩინებულნიც კი ჩემს ცოლად წყვანასს ესწრაფიან და სამადგელს გვიჩანგაბენ. ამიტომ მახვეწრათა და სტუმართა თავი აღარ მაქვს, ვეღარც მანდატურებისთვის მიმიხედავს, რომ წესისამებრ უმსახურონ ხალხს. მხოლოდ ოდისევსზე ფიქრით მეწურება გული. სასიძოები ქორწილს მაჩქარებდნენ, მე კი ასეთი ხრიკი მოვიგონე: ქეთილმა დიმონმა შთამბარნა უგრძესი და უნატფესი ქსელი მომექსოვა. მაშინ ასე მივმართე სასიძოებს: ჭაბუკნო, თუმცა ამ ქვეყნად აღარაა ოდისევსი, ქორწილს ჯერხნობით ნუ გავმართავთ_მეთქი, ვიდრე გმირ ლაერტეს თეთრ ტუდრასს არ მოვუქსოვ იმ დღისთვის, როცა დამდუბველი მოიროცნი სამეფოსი ძილით დაძინებენ. არ მინდა გამეკეტონ აქაველმა დიაცებმა, — უსუდარიდ როგორ უწესესო ეს დაულთანი კაცი. ასე ვუთხარი და ისინიც დაეწინენ ჩემს სიტყვას. დღისით ვბეჭავდი ამ დიუსრულებელ ქსელს, რათა ღამით მაშნალებს შუქზე მათ უზრუნველად დამერღვია. ასე ვატყუებდი მთელი ექამი წელიწადი, ვიდრე ძალლუმადურმა ჩემმა მხვეალებმა არ გამამხილეს და სასიძოები არ დამაყენეს თავზე. მაშინ კი სხვა გზა აღარ

ჰქონდა: უნდა დამესრულებინა ქსოვა. ასე რომ ჩემდა უნებურად მოვქსოვე ეს სუდარა. ახლა ვერსად გავექცევი ქორწილის დღეს. აკი მთაწლებიც მაიძულებენ, შესაფერი საქმარო ამოვიარჩიო! გარდა ამისა, **ტელეშაქს** აცოფებს მამისეული ქონება! ვაპარტახებს; უკვე დავდაკაცდა და, ზეკისს წყალობით, ხელეწიფება სახლკარის პატრონობა. შენ კი, ყარობო, უნდა მითხრა, ვინ ხარ და საიდან ხარ, — ძველთაძველ თქმულებისამებრ მეხისაგან და კლდისაგან ხომ არ იქნები ნაშობი?

ასეთი სიტყვა მიეგო პენელოპეს მრავალნაცადმა ოდისეესმა:

— ლარტეს ძის, ოდისეესის კეთილშობილო შეუღლეგ! რაკიდა ჩემი ასაკაო-დასავალის გაგება მოინდომე გიტყვი, თუმცა გარდასულ ჭირთა მოგონება ჭმუნვას უთანკეცებს ჩემებრ საშობლოდან მოშორებულ და დედამიწის ზურგზე უცხო ტომთა შორის უგზო-უკელოდ მოხეტიალე ყარიბს; მაშ, მომისმინე, წვრილად გიამბოს ყოველივეს. გაგგონეს კრეტა, ზღვით გარეშოცული, დიდსაყოფიერი, მშვენიერი კუნძული. ოთხმოცდათთ ქალაქი დგას ამ კუნძულზე, ხალხმრავალი. სხვადასხვა ტომი ირევა აქ: ნამდვილ-კრეტელნი, აქაველნი, კიდონელნი, სამ თემად გაყოფილი დორიელები და პელაზგების უძველესი ტომი. კრეტელთა უმთავრეს ქალაქში, ვნოსოსში, ბასილევსად იჯდა სახელოვანი ქმეული მინოსი. რომელიც ცხრა წელიწადში ერთხელ პირისპირ ეთათბირებდა ხოლმე ზეუსს. ამ მინოსის ძე იყო მამაჩემი, დიდსულოვანი დეკალიონი. ორნი ძმანი ვიყავით: მე და იდომენეფსი, რომელიც მშვილდსახიანი ხომალდთან ატრიდის წაპყეა ილიონში. მე ეიონს მეძახიან, უმაწვილესი ვიყავ და ამიტომაც სალაშქროდ არ წამიტანეს. სწორედ იქ, კრეტაზე, ვნახე ოდისეესი. ტროას მიმავალი ქარბორბალამ აშორა მალეკების კონცხს და ელეთიას ზღვიდესთან, ამნისის ძნელადმისადგომ ყურეს შეიფარა ხომალდი. ქალაქს შემოვიდა თუ არა, უმალ თავისი ძველი მეგობარი იდომენეფსი მოიკითხა. მაგრამ იდომენეფსი, ჩემი უფროსი ძმა, ათი-თორმეტი დღის წასული იყო ტროას. შინ მიეიპატეკე ოდისეესი და გულუხვად გაუკმასპინძლდი, რაკი სახლი დოელათით მქონდა სავსე. ამას გარდა ქეშეშერდომთ მოვაატანინე პური. წითელი ღვინო და საკლავი, რომ ზღვისაგან განაწამებთ გულნებიერად მოელხინათ. თორმეტი დღე ჩემთან სტუმრობდნენ რვალისსაბარკულიანი აქაველნი. მძვინვარე ბორეასი ბობოქრობდა და კაცს არამცთუ ზღვაზე, ხმელეთზეც არ დაედგომებოდა. ალბათ რომელიღაც ავმა დაიმონმა ალძრა ეს ქარაშოტი. მეცამეტედ რა გამონათია ეოსმა, ქარი ჩაცხა და აქაველნიც გზას დაადგნენ....

სიმპრილეს შემსგავსებული კიდევ ბევრი ცრუ ამბავი მოიგონა ოდისეესმა. უსმენდნა პენელოპე და მდუღარება ეფრქვეოდა თვალთაგან. რა გორც მთათა მწვეარვალებზე სუსხნიანნ კონისაგან შეფეთნენ თოვლს ვაადნობს ხოლმე მზეტვალე ზარშაკი და წამოსული ლანქერი წყალუხვ მდინარეებად დასდინდება ფერდობებს, ისე სდიოდა პენელოპეს ნატიფ ლაწვებზე ცრემლების ღვარი. სიბრალულმა შესძრა ოდისეესი, მაგრამ წარბი არ შეუხრია, გაქვავებულ თვალებში. დამალა ცრემლი. ტირილით გული რა მოიოხა, პენელოპეს ჩაეძია სტუმარს:

— უკეთუ სახლში უმასპინძლე ოდისეესსა და მის თანამგზავრებს, ისიც გეეოდინება, რა ემოსა ჩემს ქმარს, როგორ გამოიყურებოდა ან ვინ ახლდა აქაველთაგან?

— დედაკაცო, ძნელია ამის გახსენება! — მიუგო ოდისეესმა. — ბარე ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი სახლიდან გავისტუმრე ლარტეს ძეირფსნებეული ძე. მაინც გეტყვი, თუ რამ გამახსენდა. ასე მახსოვს, — ორეული, ძოწისფერი მოსასხამი ეხურა ოქროსბალთიანი. ზედ უცხო რამ იყო ამოქარგული: მგელს თათებით ჩაებღაჯა მორთოლვარე ნეკერი, რომელიც მისი ბრეკელებიდან დასხლტომას ჰლიმობდა. ყველას აცეიფრებდა ეს ნაქარგი, ისე ცოცხლად ჩანნენენ ოქრომკედიით გამოყვანილი ზღვიები. მოსასხამის ქვეშ ქიტონი ეცვა ოდისეესს, ხახეს ფფრიალვიით ნაზი და მზესავით მბრწყინავი. დიაცებს თვალი რჩებოდათ ზედ. არ ვიცი, სახლიდან წამოპყეა ეს სამოსელი თუ გზაში უსახსოვრა ვინმემ, რადგან გაგონილი მაქვს, — აქაველთა შორის სწორუპოვარს ბევრი მეგობრები ყავდა. თავად მე ბრინჯაოს სატევარი, ორეული ძოწისფერი მოსასხამი და ვრცელი ქიტონი ვაჩუქე და კეთილად აღკაზმული ხომალდით გავისტუმრე ილიონს. ისიც მახსოვს, რომ ერთი მასზე უხნესი მანდატური ახლდა, მრგვალეტვინანი, თმასუქუქა და შავგვრემანი. ეერანატი ერქვა ამ მანდატურს. სხვა თანამგზავრთა შორის გამორჩეულად ეფასებდა მას ოდისეესი, რადგან მისი ხვაშიადის გამგები და ერთგული კაცი იყო.

ეენაურა პენელოპეს ყარიბის ნათქვამი, გული ჩაწყდა და მწარედ ატირდა. ცრემლისგრით გული რა მოიოხა, ასე უპასუხა ოდისეესს:

— წინათ თუ მხოლოდ მებრალებოდი, უცხოელო, ამიერიდან ქვირფას და სასურველ სტუმრად მეგულები! იცოდე, ის მოსასხამი, შენ რომ გაიხსენე, მე თავად გამოვუტანე სანთიოროდან და ის ოქროს ბალთაც მე დავუმაგრე ზედ. ვიი-მე, რომ მაგ მოსასხამის პატრონი ვეღარასოდეს დამიბრუნდება! უბედურ ფეხზე წავიდა ჩემი ქმარი იმ დასაკეკვე ილიონში!

— ოდისეესის ქვირფსნებელო მეუღლეგ!— მიუგო ოდისეესმა. — მშვენებას ნუ იტკნინ და ცრორილით ნუ იკლავ თავს. თუმცა როგორ გაგამტყუნო: რომელი ცოლი არ დაიტირებს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დაკარგულ ქმარს, ვისაც სიყვარულით შეერთო და შვილები შესძინა? შენი მეუღლე ხომ უკვდავთა შესაგვანი მამრი იყო! მოეშვი ტირილს, ყური მიგდე, ყოველივეს დაუფარავად გეტყვი: გაგონილი მაქვს, თესპროტელთა ნაოფიერ ქვეყანას არისო შეზიზღული ოდისეესი, მალე დაბრუნდებაო და დიდძალ ნადავლს ჩამოიტანსო. თრინაციის კუნძულიდან გამომგზავრებულს, ღვინისფერ ზღვაში დაღუპეია ბომალდიც და თანამგზავრებიც. ზეესსაგან მიეგოთ ამ ბედკრულთ ეს ხვედრი, რადგან ჰელიოსის წმიდა ძროხები შეუჭამეს. ხომალდის ხერხემალს ოქროქფეული მზოლიდ ოდისეესი გაურეყავს კრონიონს ღმერთების ნათესავ ფეაკელთა მიწაზე. სადაც მას ღვთისაგანი პატივი მიაგეს და ოურაცხელი საჩუქარი უძღვნეს. ფეაკელებს თავად უნდოდათ ოდისეესს სამშობლოში წამოყვანა და, ვინ იცის, იქნება აქ ყოფილიყო უკვე, რომ უცხო ქვეყანათა მოგლა და დაკარგული ალფის ანაზღაურება არ განეზრახა. ამ ქვეყნად მოკვდავთა შორის ყველაზე უკეთ ოდისეესმა იცის, სად და როგორ ნახოს სარგებელი! თავად თესპროტელთა ბასილევსი მეფიკეცხოდა ნადიმპიისას, ზედაშეს რიცა უფლრიდა უკვდავ ღმერთებს, — გამზადებული მყავსო ოდისეესის გასასტუმრებლად ხომალდი და ნიჩბოსნები. მაგრამ ვერ შეეხეთ მის სტუმარს: ბასილევსმა უწინარეს მე გამიტუმრა ოქროყაოვან ფალიჩინაში. მანვე მაჩვენა ოდისეესის მონახვეჭი საჭურჭლე. ეს ქონება მეათე მუხლამდე ეყოფოდა ერთ საგარეულს. თვითონ ოდისეესი ღიდოლნაში წასულიყო, რომ ღვთაებრივი მეხისაგან ზეკესის ბრეკა მოესმინა: როგორ დაბრუნებულიყო დიდი ხნის უნახავ სამშობლოში, — ცხადლივ თუ იდუმალ. ასე რომ, დამიჯერე, ოცახლოა შენი მეუღლე და მალე დაგიბრუნდება. ღმერთთა შორის, უზესთაეს ზეესს და ოდისეესს კერას გეფიცები, ისე ახდება ყველაფერი, როგორც გაუწყე! ამ მთვარის დალეკვამდე გამოჩნდება იგი!

— ნეტაც ახდებოდეს ეს ნთქვამი, — უეცზოველო, — ეუპასუხა პენელოპემ. — ახლობელივით შეგიტკბობდი ამ სახლში და ჩემგან ღიოლათით ავსებული უზეფნიერეს ყაცად შეირაცხებოდი! მაგრამ გული მიგიძღნობს, რომ არც ოდისეესი დაბრუნდება და ვერც შენ გაგამგზავრებენ სამშობლოში. აწ აღარ პატრონობს ამ სახლს ოდისეესის ბადალი კაცი, რომ მასპინძლობის წესისამებრ სტუმრის მიღება — გასტუმრებაც შეესძლოს... ჰეი, ქალებო, ფეხი დაბანეთ სტუმარს, ლოგინი გაუშალეთ და სქელი საბანი წაუხურეთ. დაე, ოქროს-ტახტოვანი ეოსის გამოჩენამდე თბილად ეძინოს. ხოლო დილაადრიან განმანთეთ და ნელსაცხებლით დაუზელეთ ტანი, რომ სანადიმო დარბაზში ტელემაქეს გვერდით პეერობად დაჯდეს. ნერვინ იფიქრებს მის წუენინებას. ჩემი სტუმრის შეურაცხმყოფელს ამ სახლში აღარ დავაყენებ, რაც არ უნდა გულფიცხობდეს იგი. უცხოელო, როგორ შემრაცხავდი შენ, უგონიერესად და უსათნოესად, უკეთუ წვრილისა და ჩამოძოძილის დაგსვამდი სანადიმო სუფრაზე? მოალეა, მოალე ეს წუთიოსფელ! ფულქვასა და სასტიკს სიცოცხლეშივე სწყველიან კაცნი, ხოლო მკვდარს აუგად ახსენებენ. ქველისა და კეთილი კაცის საქმეს კი მთელს ქვეყანას მოჰფენენ ხოლმე ყარიბები და ქვეყნიერნიც მადლით ახსენებენ მათ.

— ეჰე, ოდისეესის ძვირფასნენებელო მეუღლეო! — მიუგო ოდისეესმა. — მას შემდეგ, რაც კრეტას თოლიანინ მწვერვალები თვალთაგან მიმეფარა, თბილი ლოგინი აღარ მახარებს... ბევრი ღამე გამიტეხია ოქროსტახტოვანი ეოსის მოლოდინში მდაბიორთა სარეცელზე და ახლაც ასე მოვწევები ჯადმე. არც შენს ახალგაზრდა მოახლეებს დავაბანინებ ფეხს. იქნებ ვინმე ჩემებრ ჭირგამოვლილი მოხუცი დედაკაცი გყავდს, — იმან დამბანოს ფეხი.

პენელოპემ სიტყვა მოუწონა ოდისეესს:

— კეთილო სტუმარო! ჩემს სახლში წვეულ უცხოელთაგან შენებრ გულისხმიერი და სიტყვამოუმეცდარი კაცი ჯერ არ შემხვედრია. ყოველივეს რიგიანად ბრძანებ. ერთი სათნო დედაბერი გეყავს სახლში, ჩემი სვეუბედური მეუღლის ამქვეყნი და გამზრდელი. თუმცაღა ძალონენ ადარ ერჩის, ის დაგბანს ფეხს. აბა, ჩემო ევრიკლეა, მიმიხედე სტუმარს, შენი პატრონის კბილია იგი. ეინ იცის, იქნებ ოდისეესსაც მსავით დაუუნია ხელ-ფეხი, რადგან დუხჭირი ცხოვრება უდრეოდ აბერებს კაცს.

ამის გაგონებაზე ცრემლი წასკდა ევრიკლეას, თვალებზე ხელი აიფარა და გულამოსნენილმა ამოიოხრა:

— ვაი, ჩემო შვილო, აწ ხომ ვერაფერში გამოადგები! ყველაზე მეტად შენ რად მოგიძღვა ზეესმა? განა შენ არ სწირავდი მეხისმტყორცნელს მსუქან ბარკლესსა და უშრეველ ჰეკატომბას, რომ სეინაად მიგეღწია სიბერემდის და სახლიანად აღგეზარდა მზოლოდშობილი ძე? აწ მოკრილი გაქეს გზა სამშობლოსაკენ! ალბათ სადმე, უცხო ქვეყნად, ვინმე ბასილევსის სახლში შეხიზნულს, შენც ამ ყარიბივით დაგინინან ურცხეი და უმადური მონაქალები! კარგი ჰქენ, უცხოელო. რომ ამაო არ დანებე ფეხის დაბანა. მე კი სიხარულით დავემორჩილები ჩემს დედოფალს, მის გულსაც მოვიგებ და შენს მადლსაც მოვიხსამ. განათე მებრალები მარტო? იმ უცხოელთაგან, ვისაც კი ოდესმე თავი შეუფარებია ამ ჭერქეეშ, იერით, ხმითა და ფეხებით მხოლოდ შენ ერთი მაგონებ ოდისეესს.

ცბიერმა ოდისეესმა მიუგო:

ჰომეროსი
ოდესეა

—მჭიერი თვალი გქონია, დედაბერო! ვისაც კი ერთხელ ეუნახივართ მე და ოდისევსი, დიდად ბეგანანო ერთმანეთს, ასე უთქვამთ.

ეკრიალეამ სტუმრის ფეხსაბანი ტაში დაუდგადა, წყალი გაუნესა. კერიასთან მჯდომი ოდისევსი სკამზე შეტრიალდა, ცეცხლს ზურგი შეაქცია, — ეშინოდა, ძველი ნაჭრილობები არ შეემჩნია გადიას და უდროოდ არ გაცხადებულიყო სამმე...

პარნასის მთებში, ავტოლიკესთან სტუმრობისას თეთრეშვიანმა ტახმა დაუშავა ოდისევსს ფეხი. პაპამისი ავტოლიკე მთელს იმ მხარეში განოქმული ქურდი და ცრუმფიცარი იყო. ეს ნიჭი პერმეას მოემადლებინა მისთვის, რადგან დიდალი ცხვარი და ოხა ჰყავდა შეწირული მსხვერპლად. ამის გამო მუდამ სწყალობდა მას არგუსის მკვლელი. ერთხელ, ფიცხეელკლდოვან ითაკაში სტუმრებულ ავტოლიკეს სადილის შემდეგ ვაჟიანობა ახარა ეკრიალეამ და მისი ასულის ახლდშობილი ძე ჩაუგორა მუხლებში: აბა, ავტოლიკე, „შენთვის ეგზომ სანატრელი შვილიშვილი! დე, შენგან შერქმეულ სახელს ატარებდესო!

ავტოლიკემ ასე მიმართა. სიძესა და ახლადმოლოგინებულ ქალიშვილს:

— აი, რას გეტყვით: ამ ქვეყნად ბევრზე ვარ გულმწყრალად, და აქაც გულმოსული მოვედი. ამიტომ თქვენს ვაჟს ოდისევსი ერქვას, — „გულმწყრალი“. რა დავაყაკცდება, ჩემთან გამოგზავნეთ დედულეთში. სახლში ღიდაალი საგანძური მაქვს; თავის წილს მიეცემ და გულმხიარულს გამოვისტუმრებ უკან.

გამოხდა ხანი და ბაბუები ოდისევსი პაპამისს ეწვია, რათა აღიმქმელი წილი შინ წამოეღო. პაპა და დედის ძმანი გულღიად შეეგებნენ სტუმრებულს. დიდედა ამფითვამ ტული ჩაიარა და ორთავე თვალი დაუკოცნა სანატრელ შვილიშვილს. ავტოლიკემ ვაჟებს უბრძანა, სანადიმო სამზადისს შესდგომოდნენ. მთა ხუთი წლის ხარი წამოაქციეს, „ვაატყვევეს, აფეშხეს და შამფურებზე წამოადგეს. მწვადები მეინახეებს ჩამოურიგეს. მზის ჩასვლამდე ნებიერად ილხენდნენ მონადიმენი. ყველას თანაბარი არჩივი ხედა წილად, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. როცა მზე მიდრკა და სიღამე ჩამოწვა, დასაძინებლად წავიდნენ, რომ ღამის მადლი შესწეოდათ.

როცა ახლადშობილმა ეოსმა ვარდისფრად ირიერაკა, დედის ძმანი და დისწული სანადიროდ წავიდნენ, თან ძაღლები გაირეკეს. პარნასის დაბურულ მთაში ქარიან ხეობას აუყვნენ და ხმირი ჯაგნარით დაფარულ ბალაში გავიდნენ. ამ დროს ოყეანის უფსკრულიდან ამოხდა მზე და მთის მწვერვალებს შუქი მოაფინა. მეძებრებმა გეში აიღეს და წინ გავარდნენ. მონადირენი მიპყვებიან ძაღლებს. ოდისევსს გრძელრრდილანი შუბი ჰჭონდა მოღერებული. იქვე, ჯაგნარში ვეეებერთელა ტახი იყო შეფარებული, იქ ვერც ქარი აბანდა, ვერც მზის სხივებს ეკარებოდნენ ვერც წვიმის ნიალვარი. მონადირეთა ალმური ვერ ეზიარა მოისმა, ჯაგარაშლილი ტახი ადგილიდან დაიძრა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა გაავებული. ოდისევსი პირველი მიეპყრა ტახს და შუბი მოუქნია; მაგრამ ტახმა დაასწრო და ეშვი ბარკალში ამჯეარა. ოდისევსმა ფიცხლად ჩასცა შუბი მარჯვენა ბეჭში და ცულამდე გაუტარა. მბზინვარე ბრინჯაო. ერთი დაიღრუნა ტახმა და უსულოდ დაეცა ძირს.

დედის ძმანი შემოეხვივნენ ოდისევსს. შეუღლიცეს და ინ წამსავე შეუწყვა სისხლისდენა, მერე ჭრილობა შეუხვიეს და სახეკროდ სახლში წაიყვანეს. იქ მოუარეს ოდისევსს, — უფრომლეს და განკურნეს. შემდეგ კი მხიარულებმა მხიარული სახლეაცი დიდის ჩუქებით გაისტუმრეს ითაკაში. მამამ ლაერტეს და დედაბატონმა წერილად გამოაკითხეს ამ ფათერაკის ამბავი შვილს და მანაც წერილად უამბო, როგორ დაუშავა ფეხი პარნასის მთაზე თეთრეშვიანმა ტახმა.

სწორედ ამ ნაჭრილობეზე მოუხედა ხელი ეკრიალეას. იმწამსვე იცნო მოხუცმა ,გადიამ თავისი გაზრდილი, გაოგნებულმა ხელი უშვა ფეხს. ოდისევსს ტაშტის პირზე დაეცურდა ფეხი, სპილენძის ტაშტი წარიალეთ აყრიადდა და წყალი დაიღვარა .სიხარულმა და ნაღველმა ერთბაშად მოუწურა გული ეკრიალეას. ხმა ჩაუწყდა და თვალები ცრემლით აეკსო. ნიკაპზე ხელი მოუსვა ოდისევსს და ხმაათრთოლებულმა კკითხა:

— შენა ხარ, დია? მანამდე როგორ ვერ გიცანი, .სანამ ხელი არ შეგაეკვ ტანზე?

პენელოპესკენ წაიხარა ეკრიალეა, უნდოდა ეხარებინა, — აკა გაეკეს საყვარელი ქმარიო. მაგრამ პენელოპეს არაფერი შეუმჩნეკია, ათინან ცხვაგნით მოუმართა საფიქრალი. ოდისევსმა დედაბერს პირზე დაადარა მარჯვენა, მარცხენით თავისკენ მიიზიდა და უჩურჩულა:

— რას მიშვრები, გადია! ოცი წლის უნახავი დაგიბრუნდი და ახლა გინდა დამდუმო? განა შენი ძუძუთი არა ვარ გაზრდილი? ღვთის შთაგონებით რაღაი მიცანი, ახლა გაჩუქდი, არავინ შეიტყოს ჩემი აქ ჩამოსვლა! თორემ ციოდე, თუ ღმერთმმა სასიძოებზე გამამარკვევინეს, ამ ორგულ მონაკალებს რა ამოვეძუკავ. შენც არ დაგინდობ, თუმცა კი ჩემი გამზრდელი ხარ!

— ეს რა მითხარი! — შეიცხადა ეკრიალეამ. — არ იცი განა ჩემი პირმტკიცობის ამბავი? ქვასავით დამუნჯებულს კაცისშვილი სიტყვას ვერ წამომაცდენინებს. ერთს კი გეტყვი: სასიძოებს რომ გაუსწორდები, მაშინ გამცნობ, მსახურ ქალთაგან ვინ არის შენი ერთგული და ვინ არა!

— ამისთვის ნუ გაიოჯები, ჩემმ! — უპა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუნა ოდისეუსმა. — მე თვითონ მოვუელი ჩვენს მონაკლებს. შენ იყურე, ბატონო ნუ დასძრავ, — საქმე კი ღვთის შეწევნით მოგვარდება!

ეერიეკოსმა ხელახლა გაანალა წყალი. ფეხი რა დაბანა პატრონს და ნელსაცხებლით დაუზილა, ოდისეუსმა ნაჭრილობეზეზე ჯეალო წაიფარა და სკამი კედლე ცეცხლთან მიიდგა.

ცეცხლთან მიფიცხებულს ისევ გამოელაპარაკა პენელოპე:

— ყარიბო, მალე ძილის დრო მოვა და ყველას, გულდამძიმებულსაც და უზრუნველსაც, ერთნაირად მოუსვენებს ტკბილი ძილი. მე კი განუზომელი ჭირი მომისართა ღამრონმა. ღღისით მაინც ვიქარგებ დარდს: ხან მონაკლებს მოვხედავ, ხან კი ხელ-საქმით შევიქცევ ხოლმე თავს და გამუდმებული ტრირითო გულს ვიოხებ. მაგრამ ღამით, როცა ყველას სძინავს, ოული არ მეკიდება სარეცელში მწოლარეს და განუქარავებელი დარდი მაჯოალუნსაავით მაწვება გულზე. როგორც ადრეულ გაზაფხულზე ოტომიავალ ხეს შეფარებული იადონი, პანდარეოსის ხმატკბილი ასული, ბლოვობს ხოლმე იტლოსს, ზეთოსთან გაგენილ თავის ერთადერთ შვილს, რომელიც საკუთარი უგუნურების გამო შეშფოთდა, და გარეშეთო დერის თავის მრავალხმიან, ნაოვლიან საგალობელს, — ასე მოსთქვამს ჩემი გულიც და საგულეში ვეღარ ეტევა: არ ვიცი, რა ვქნა, დავრჩე შვილთან ამ ჭირმაღალი სახლის დედად, ვუპატრონო სახლ-კარსა და სახლეულს, ვუერთგულო ქმრის სარეცელს, რომ ხალხს ყბაში არ ჩავდარდე, თუ ცოლად წავყვე იმ ფარჩინებულ აქაველს, რომელიც ღირსებითა და ურავდინ სხვებს აღემატება. ჩემი ძე, ვიდრე გონებაუშეარნილი ყმაწვილი იყო, სახლიდან არ მიშვებდა, გაუთოვებას მიშლიდა. ახლა კი, რა დავაღწიეთ და გონება მოიცა, ალერ მაკავებს, რაკი ზედავს, რომ ჩემს გამო ჩანაგდება მისი სამკვიდრებელი. ახლა ჩემს წუხანდელ სიზმარს მოგიყვები და ამიხსენი რას მოასწავებს: ჩემი ოცი ბატე გოს შემოხვეოდა და წყალში დამბალ მარცვალს კენკავდა. ბულს მიხარებდა ეთი ყურება. მაგრამ ანაზდად მთიდან ნისკარტაოუმა ვეება არწიები მოფრინდა, თავს დააცხრა ბატებს, კისრები დაუწყიტა, აქეთ-იქით მიპყარ-მოპყარა და ანაზდადვე გაფრინდა. გულამოსკვნილი ეტროოდი სიზმარში. შემომხვეოდნენ თმამშვენიერი ჰქაველი ქალები და ამოოდ მანუგეშებდნენ. ამ დროს ისევ მოფრინდა არწივი. სახლის ერდოზე შემოჯდა და ეაცემრივი ხმით შემესმინეოდა:

— სახელგანთქმული იყარიოსის ასულო! ცხადის ხილვაა ეს სიზმარი: ბატები შენი სასძოფობია, მე კი — არწივად გამოცხადებული ოდისეუსი, შენი სანატრელი მეუღლე, მალე დავბრუნდები და მწარე სიკვდილს მოვუტანთ მათ!

ეს მითხრა და გამომეღვიძა კიდეც. მიმოვიხედე: ჩემი ბატები წრინწინდებერად გობს დახვეოდნენ და მარცვალს კენკავდნენენ.

— სხვაგვარად არც აიხსნება შენი სიზმარი. — მიუგო ოდისეუსმა. — ისე ახდება, როგორც შენმა მეუღლემ გაუწყო სიზმარში. სასიძოები დაილუპვებიან, ეერც ერთი ვერ აცდება მწარე სიკვდილს.

ამ სიტყვაზე ასე უპასუხა გონიერმა პენელოპემ:

— ეჰ, ყარიბო, ფუჭი რამაა მაინც სიზმარი. განა ყოველთვის აუხდება ნაზმანები ადამიანს? ორი კარიდან გვეელნენიან სიზმრები: ერთი რქისაა, მეორე — სპილოსძვლისა. სპილოსძვლის კარით მოვლენილი სიზმრები კაცთა მომაცთუნებელია, ხოლო რქის კარით მოვლენილი — სიმართლის მაუწყებელი. ნახავ და ახდება კიდეც. მაგრამ ვაი, რომ ფუჭია ჩემი სიზმარი, ყარიბო. რქის კარიდან არ მომვლენია იგი! ვერა, ვერ გავიხარებთ მე და ჩემი ძე ტელემაქე! ახლ ერთ რასმე გაგიმხელ, მინდა შენც იცოდე: ხვალ საძღველი ღილა გამითენდება, ხვალ უნდა დავტოვო სამფადამდე ოდისეუსის სახლი. მაგრამ მანამდე ასეთ ასპარეზობაში მინდა გამოვცადო სასიძოები: თორმეტ ორპარა, გრძელტარიან ჩუგლეგს ჩაამწკრივებდა ხოლმე ამ ეზოში ოდისეუსი. მერე შორს ვამდგარი ღონივრად მოზიდავდა მშვილდს და ცულის ნამგალა პირებს შორის გაავძერნდა ხოლმე ისარს, დაე, ყველა სასიძომ სცადოს ხვალ ბედი! ასპარეზობაში გამარჯვებულს ცოლად გავყვება და დავაგდებ ამ კეთილნაგებ, დოვლათით სავსე სახლს, სადაც ჩემი ყმაწვილქალობა გამიტარებია. ეს სახლი ალბათ სიზმარშიც მომაგონებდა!

— ოდისეუსის ძვირფასენებელო მეუღლეო! — მიუგო ოდისეუსმა. — ნუ დააყოვნებ ასპარეზობას! იცოდე, ვიდრე ისინი ოდისეუსის მშვილდს მოზიდავენ, მისი პატრონი უკვე აქ იქნება!

— შენთან ტკბილ საუბარში რული არ მომეკიდება თვალზე, ჩემო კეთილო სტუმარო! მაგრამ უძილობაც არ ეგების. ამ ქვეყნად ღმერთმმა ყველაფერს თავისი წესი და რიგი განუჩინეს. წვალულ ახლა და ცრემლით დალტობილ სარეცელს მივაკითხავ, სადაც დღენიადაგ ვტირი და ვმუხთარე, რაც რომ ჩემი ბედფრული მეუღლე ილიონს გაეგზავნა. შენ კი აქ, დარბაზში სადმე ან ძირს გააშლევენენ ქვეშაგები, ანდა საწოლი დაადგმევენენ.

ეს უთხრა და შემუნვარებთან ერთად სანთოობოს მიაშურა პენელოპემ. იქ დიდხანს სტიროდა, სანამ თვალსიციოსანმა ათინამ წამშეაბი ტკბილი ძილით არ დაუმძინა.

ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲘ
ᲝᲓᲘᲡᲔᲐ

ოდისევსმა წინკარში ხარის გამოუქნელი ტყავი დიგო, ზედ სასიძოების მიერ დაკლული ცხვრის ტყავფუტრები დაადინა და დაწვა. ევრინომემ თბილი მოსასხამი წაიხურა სტუმარს. მაგრამ ძილი არ ეკარებოდა სასიძოებზე გულაღრენილ ოდისეევსს. ის იყო დაწვა, რომ დარბაზიდან სიცილ-კისკისით გამოცვივდნენ ღამღამობით მათთან მრეშოას მიჩვეული მონა-ქალები. სული ყელში მოებჯინა ოდისეევსს, არ იცოდა რა ექნა: ახლავე გადეფეთა სუფეველი, თუ უკანასკნელად დაეცალა მათთვის კოკოებთან ხეტრტეცი. როგორც ლეკვების პატრონი ძუ ქოფაკი აუყეფდება ხოლმე ახლო მომდგარ უცხო კაცს, ისე აუყეფდა გული მონათა უმსგავსი საქციელით გაცოფებულ ოდისეევსს. გულში დარტყა ჭიღი ოდისეევსმა:

— დაოკდი გულო, უარესი ჭირიც დაგითმენია! განა შენმა სიმედგრემ არ გვიხსნა გამოქვაბულში მოწეენული დალუპვისაგან, როცა გულმზეცმა ციკლოპმა ერთგული მეგობრები შეგიჭამა?

ასე იზრახა და გული საგულეს ჩაუდგა, მაგრამ ვერ მოისეენა მაინც. შამფურივით ტრიალდა მთელი ღამე, ფიქრობდა: ერთმა როგორ დავძლიო მრავალნო. მაშინ ციდან დაეშვა ათინა, დედაკაცის სახით გამოცხადებული თავთით დაუდგა და შეეესიტყვა:

— რატომ ვერ ისეენებ, ბედკრულო? განა შენი სათაყვანებელი მეუღლისა და საამაყო შვილის მახლობლად არ წეეხარ შენსავე სახლში?

— ეუშმარტს ბრძანებ, — ჰკადრა ოდისეევსმა, — მაგრამ საგონებელში ვარ: მარტოკაცი როგორ გავუსწორდე მოზღვავებულ მტერს? ისიც მადარდებს: სად გავიქცე ითაკელთა რისხვას, როცა ზეესისა და შენი შეწეევნით ერთიანად შევმესარეგ სასიძოებს? მირჩევ, როგორ მოვიქცე. ჩემი მწყალობელო!

ფარისმპყრობელის ასეთმა გაამხნევეა ოდისეევსი:

— მაგას რად ამბობ, სულმოკლე კაცო! უბრალო მოკვდესაც მიენდობა ხოლმე ჭირში ჩავარდნილი კაცი, მე კი ქალღმერთი ვარ, — მარადღე შენი თანამდეკი და თანამდგომი. გულახსნით გეტყვი: მტრის რომოცდათმა რაზმეულმა ალყაშიც რომ მოგვიქციოს, ჩემი შემწეობით მაინც გაიმარჯვებ და მათ ხვასტაკად წამოლალავ. მაშ, შეეიდაკი იყავ, ღამეს თეთრად ნუ გაითენებ, ხვალ კი ყველაფერი კეთილად მოგიგვარდება.

ეს თქვა და კვლავ ოლიმპოს მიაშურა ქალღმერთმა. გულდაწყლული ჩამოეხსნა ოდისეეუსს, სახსრები მოუდუნდა და ტკბილმა ძილმა დაუმძიმა ქუთუთოები.

ამასობაში გაეღვიძა პენელოპეს. რბილ საწოლეცელზე წამოჭაჯარმა დიდხანს ღვარა ცრემლი. ტირილით გული რა მოიოხა, ედგა ... [illegible] ეუტურფესმა ასე შეჰლაღად ირტემიდეს:

— ჰოი, ირტემიდე, ზეესის ასულო! ნეტაკ ისრით განმიწოსო გული და დამხსნა ამ წუთისოფელ, ანდა პანდარეეესის ასულების მსგავსად, ქარბორბალამ აღმიტაცოს ჰაერში და ოკეანის უფსკრულებში დამნთქას! საბრალო გოგოებს აკი ღმერთებმა დაუხოცეს მშობლები და ობლად შეენილები აფროდიტემ გამოზარდა ყველითა, თაფლითა და ტკბილი ღვინით. რა მოიწყინენ, ჰერამ მოჰმადლა მათ მშვენება და ჭკუა, ირტემიდემ ტანსრულობა, ხოლო ათინამ ხელსაქმის ნიჭი. მაშინ აფროდიტემ მადალ ოლიმპოს მიაშურა, რათა მეხისმტყორცნელისათვის ეთხოვა მათი ბედნიერად დაქორწინება; მაგრამ შინ მარტო დარჩენილნი პარპიებმა გაიტაცეს და შემზარავ ერინიებს მიჰგვარეს მოწინებად. ნეტაკ მეც ოგივე ხვედრი მარგუნონ ოლიმპოელმა ღმერთებმა, არა-და თმამშვენიერმა ირტემიდემ განმგმიროს მსუბუქი ისრით, რომ შავეთში მაინც შევეყარო ოდისეევს!.. შავეთში მიყოს ყოფნა, სამზეოში მასზე უდარესი კაცის ცოლობას! ო, ქალღმერთო, ან კი როგორ გავუძლო ამდენ ჭირს, უკეთუ დღე — ტირილით გულმოოხებულს, ღამე — ტკბილი ძილი ცოტა ხნით მაინე კი უკუმყრის მჭმუნვარებასს? მე კი, მე — ბედშავს, დიმონი ავ სიზმრებს მასიზრებს ყოველ ღამე. წყდანაე ჩემს გვერდში მწოლიარე ოდისეევი მესიზმრა. ისეთივე იყო, ილიონის ომ ვაცილებდი სალაშქროდ, და გული სიხარულით ამოძგერდა, მეგონა, ცხადში ვხედავ-მეთქი, მაგრამ ვაგლახ, სიზმარი ყოფილა თურმე!

ასე ეაჯეზოდა ირტემიდეს თვალცრემლიანი პენელოპე და ამ ვედრებაში შემოათენდა. მტირალი მეუღლის ხმა ძილ-ღვიძილში ჩაესმა ოდისეევსს: ეგების მიცნო პენელოპემ, ჩამოვიდა და თავზე მადგასო, გიფფერა და თვალები მოიფშვნეტა. მერე ადგა, ტყავფუტრები სკამზე გადაეწყო, ხარის ტყავი კარში გაიტანა, ხელები აღაპყრო და გულმხურვალედ შეეევედრა ზეესს:

— მეხთამტეხელო! უკეთუ ზღვასა და ხმელზე ამდენხანის ხეტიალის შემდეგ ჩემი სამშობლოში დაბრუნება ინება, წყალობა ჰყავ და ბარემ ამ სახლში მოვიძიოთაგან ვინმეს ჩემთვის სასიკეთო სიტყვაე ათქმევინე, ხოლო გარეთ შენი ღვთაებრივი ნიში განმიცხადე!

შეისმინა ღრუბელთმეუფემ ოდისეევსის ვედრება და მეყსეულად გრგვინვით შეძრა ცარგალი. სიხარულმა შეუძრა გული მრავალტანჯულ ოდისეევსს და იმავე წამს, მოხუცი დედაბრის ღაღადიც შემოესმა... ეს დედაკაცი იმ თორმეტ მონაქალთაგანი იყო, პუერსა და ქერს რომ ფქვავდნენ ოდისეევსის სახლში. ყველას დაეფქვა თავისი წილი და ნებივრად ეძინათ ახლა. მხო-

ლოდ ეს ერთი, ბეჩავი დედაბერი ვერ მორეოდა საქმეს და დილამდე ეჯდა ხელსაფქვავს. ცოს ჰეკა რა შემოესმა, ეს აღმობდა დამაშვრალს:

— ეჰა, ზეკესო, კაცთა და ღმერთთა მბრძანებელთო, როგორ დაიგრგვინე ამ უღრუბლო ცაზე? ალბათ რომელიმე მოკვდავს ვანუცხადე შენი ღვთაებრივი ნიში. მაშ, ჩემი ვედრებაც შეისმინე, მეუფეო: უკანასკნელად ანადიმე ამ სახლში ნასიძეები! მკლავები დამაწყდა მაგათთვის ბურის ფქვაში გულშეღონებულს. დაე, უკანასკნელი იყოს მათი დღევანდელი ნადიმი!

კეთილად ენიშნა ოდისევსს დედაკაცის სიტყვებიდა და ზეკესის ქუხილიც. იფრშნეა: შურს ვიძიებო ნასიძოებზე. ამსოლაში მსახური ქალებიც გამოლაადნენ დარბაზში და კერაში ცეცხლი გააჩაღეს. ღვთის დარი მამრი — ტელემაქეც წამოდგა საწოლიდან, ნატიფი ფეხები შეიმოსა, მახვილი მხარიდეკილ გადაიკიდა, ხელთ შუბი იპყრა და დარბაზს მოაშურა. ზღუბელს რა გადაადიგა, ეს ჰკოთხა ეერიკლეას:

— საყვარელო ბედია, საკადრისი პატივი ეცით ზუზელი სტუმარს? წესისამებრ აჰამეთ და მოასვენეთ, თუ უპატრონოდ გდია სადმე? დედაჩემი თუმცაღა გონიერი ქალია, ზოგჯერ ულიარსზე და უფვანზე იცის ხოლმე გადაყოლა, ღირსეულს კი უპატივოდ გისტუმრებს.

— ნუ ინებეს მაგის თქმასა, ბრალს ნუ დასდებ უბრალოს! — უპასუხა ეერიკლეამ.—ეკრასთან იჯდა ღამე შენი სტუმარი, ნებისაებრ ბამდა და სვამდა, მერე კი, როცა მოსვენება მოინება, დედაშენმა გაამზეკინა მისთვის ლოგინი, მაგრამ საცოდავმა, როგორც უპატრონო ყარიბებს სჩვეეიათ ხოლმე, რბილ ქვეშაგებელში დაწოლა არ მოინდომა. ხარის ტყავი დაიგო და წინკარში დაწვა. მოსასხამი თავად ეერინომემ წაახურა.

ეამა ეს ამბავი ტელემაქეს, ხელშებიანი დარბაზიდან გავიდა და რვალისსაბარკულიან აქაველთანაც, საფიხნოსკენ ვასწია: მარტო არ იყო, ორი უზარმაზარი ქოფაკი მისდევდა უკან. ხოლო ბეესენორიანთა ოს

ასულმა ეერიკლეამ მონაქალები დაასაქმა: წყალი მოასხურეთ და გამოპგბეეთ დარბაზი, ძოწისფერი ორხოვები დაადგინეთ საკარცხლუღებზე, ტახლები ფორიანი ღრუბლით დარეცხეთ, ორძირიანი ბაორძენები ღ ოქროს თასები დააკრიალეთო.

— ჰეი, თქვენ, — ვასძახა ეერიკლეამ მონაქალებს, — წყაროზე წადით და წყალი მოიტანეთ! საცაა მოვლენ სასიძოები. ხომ იცით, დღეს საღვთო დღეა!

ოცი ქალი წყალზე წავიდა, დანარჩენები სახლში დატრიალდნენ. ბალე სასიძოების მსახური ბიეეიბაც მოვიდნენ და მარკვეულ დაპპეს შეშა. ცოტა ხანში ეემეოსიც გამოჩნდა, კოლაში გამორჩეული სამი ნასუკალი ბურვაკი შემორეკა და ეზოში ბალახზე მიუშვა. მერე ოდისევსს მიეახლა და გულიანად. მოიკითხა:

— რასა იქმ, ჩემო კეთილო? ნეტავ თუ ისევ უდგიერად გეპყრობიან აქაველები?

— ღმერთმეც მიუზღავთ სამაგიეროს! — უპასუხა ოდისევსმა. — აკლებული აქვთ მთელი სახლი მაგ ურცხვებს, არც სტუმარს დაგიდევენ და აღარც მასპინძელს!

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ორი მწყემსის თანხლებითი, ეზოში მელანთევსმა. შემოაბიჯა, ორივში გამორჩეული თხები წინკართან დაბა და ლიზღობა დაეწყო იქვე მდგარ ოდისევსს:

— კიდევ აქა ხარ, შე ბედოვლათო? მათხოვრობით კიდევ თავს აბეზრებ ამ პატიოსან ხალხს? რაღა ამ სახლს მოადევ, სხვადანაცა ყქვთ ნუფრა გაშლილი აქაკეულებს! თუმცა რას გამორჩენი, მათხოვრობის შნოც არ მოეშვებია შენთვის ღმერთებს. იქით დამეკარგე, სანამ ეს მუშტი არ მოგხვედრია!

მეუქარის ნიშნად თავი დაკქნა ოდისევსმა, მაგრამ შურისგებით აღესილს ხმა არ გაუცია მელანთევსისათვის... მეცრე ხანი რა გამოხდა, ახლა ფილოტოისი შემოვიდა ეზოში, უშობელი და თხები მოუდგნა მონადიმეთ და იქვე, წინკართან დაადა (ფილოტოისმა პირუტყვი დაკარაგებელი ხომალდით მოასხა, რითაც ჩვეულებრივ, კენძულებზე ჩამოპყავდათ ხოლმე ხვასტაგი). მერე მეღორეს მიეახლა და ჰკითხა:

— სადაურია ეს კაცი, ევმეოს, რას ამბობს, რა გვარისა ვარო? ეობქვები კი იცვა, მაგრამ ალრთი კვერთხისმპყრობელ ბასილევსსა ჰგავს: ღმერთები არას დაგიდევენ ბასილევსობას, ერთნაირად ჩაგდებენ ხოლმე ჭირის დღეში ჩინებულსა და უჩინოს!

ეს თქვა, ხელის აწევით მიესალმა ოდისევსს და ფრთანარი სიტყვა უთხრა:

— გამარჯობა, ძია-კაცო! ჭირის მნახველი კაცი ჩანხარ, აწი მაინც გაგახარონ ღმერთებმა! ეჰე, ზეკესო, რა ვეფხრა შენს სამართალს: შენვე არ დაარჩენ აკი, შენგანვე სიცოცხლემომადლებულს! უცხოელო, დაგინახე თუ არა, ჩემი სვედავსილი ბასილევსი მომაგონდა, — ოფლმა დამასხა და ცრემლი მომერია, ვიფიქრე: ვინ იცის, იქნება ისიც ასე ჩამოძოძნილი დადის-მეთქი, თუკი ცოცხალია და კიდევ უპვრეტს მზის ნათელს. მაგრამ თუ მკვდარია და შაავთის ნისლი ბურავს, ვაი, მაშინ ჩემს თავს! ზეუს ყმაწვილკაცობაში კეფაღენილ მზარეს განა მან არ განმაწესა მწყემსთა წინამდგომად? ახლა ერთი-ორად ვუმრავლე ნახირი: ამდენი ფართუშებლიანი ხარ-ძროხა ახლო-მახლო ბეერს არ დაუდის, მაგრამ რად მინდა? გულსეუწადინოთ მომყავს ნაპატიეები საკონელი აქ და ამ უცხო ხალხს ვაპმეკ. არად აკდებენ ალინი ჩემი პატრონის ვაეს და ღმერთების რისხვისაკ არ ეშინოათ. წილი უნდათ იყარონ მის

ქონებაზე, რაკი შინ არ ეგულებამთ ძღვემბოლი-ი ოდისეუსი. ეჰ, რომ იცოდე რა ცეცხლი ტროიელებს ჩემს გულში? დავაგდებდი აქაუოობას, ძროხას გავირეკავდი და რომელიმე მორჭმული ბასილევს დავუდგებოდი მუკუმსად, მაგრამ რა ეუფო ტელემაქეს? ეგეც არ იყოს, ჯერ არ გადამწურვია იმედი: ვინ იცის, ეგეც დაბრუნდეს ოდისეუსი და სახლიდან დაიფინრნის სასიძეები!

— გულმოდმხვდარი კაცი არ უნდა იყო, მწუკმსო, — მიუგო ოდისეუსმა, — მეკეთო შენი ნაუბარი და ამიტომ გეტყვი, თუ დამიჯერა: მეხთამტეხელ ზეუს, სტუმრისთვის დადგმულ ტაბლასა და ოდისეუსის კერიას ვფიცავ, მანამდე მოვა ოდისეუსი, სანამ აქედან ფეხს გაადგამ და შენი თვალით დაინახავ, როგორ ამოხცავს მის სახლში გაშნაურებულ სასიძეებს.

— კარნინამა ანდანინოს შენი სიტყვა, — შესძახა მეძძოხეს. — მაშინ ნახავდი ჩემი მკლავის ძალასა და ჩემს გულოვნებას!

ეს თქვა; მერე ევმეოსიც შეეკვეთა ოლიმპოელებს ოდისეუსის დაბრუნებისთვის... ასე უბნობდნენ სანმი. ამ დროს კი სასიძეები სიკვდილს უმზადებდნენ ტელემაქეს. უეცრად, შეკრებილთა მხარმარცხნივ, მაღლითმობოინე არწივი გამოჩნდა, ფლანეუბნი ატრეფი ეპყრა. ამ ფენიმოსი მიებრუნდა თანამზრახველთ:

— არაფერი გამოგვივა ამ საქმიდან, მოეკვეთ ტელემაქეს! სჯობს დარბაზს მივმართოთ და ნადიმად დავსხდეთ!

სასიძეებმა კვერი დაუკრეს ამფენიმოსს და ყველანი ოდისეუსის სახლისაკენ დაიძრნენ. დარბაზში შეეფდნენ, მოსასხამები საკარკლეულებზე გადაკიდეს და ნადიმის სამზადისს შეუდგნენ: თხები და ღორები დაკლეს, უშობელიც წამოაქციეს. ბორცი შეწვეს, ლაგვინებში ღვინო გაეხავეს და შიგნეული დაინაწილეს. ეემეოსმა სასმენები ჩამოარიგა, ფილოტიოსმა ლამაზად მოწნეული ხახალით პური შემოტანა, მელანთეუსმა ღვინო ჩამოასხა და პურობაც დაიწყო.

ტელემაქემ ოდისეუსისათვის ქვის ზღურბლთან დაადგმევინა მომცრო ტაბლა და უბრალო ჯორკო, მერე შიგნეული უწილადა, ოქროს თასი ღვინით შეუესო და ყველას გასაგონათ ასეთი სიტყვა უთხრა:

— აქ მო, ყარიბო! ნებისაებრ სვი და ჭამე. ნურაფრის გეშინია. შენს თავს არავის დავაჩაგრინებ! ფუნდუკში არავის ეკრნოს თავი, ოდისეუსის ბუქმაღალი სასახლეა აქ და მისი პატრონი დღეს მე ვარ! თქვენ კი სასიძეებო, თავი დაიოკეთ, რომ ჩხუბი და აყალმაყალი არ ატყდეს სუფრაზე!

ეს თქვა და მათ კბილით დაიკბიმეს ტუჩები. დიდად გაიოცეს ტელემაქეს გაბედული ნათქვამი. მაშინ სიტყვა დასძრა ანტინოემ ევპეითოსის ძემ:

— ტელემაქეს ნებას უნდა დაეყვეთ, ამაღელნო! ფუუმად არ გვექადის, ალბათ ზეციერ ნიონმა გაუმაძრა გული. ეს რომ არა, ბოდიშ მეტყველს ხმას ჩავაწყვეტინებდით თავისსავე სახლში!

ეთიკი, მაგრამ ყური მოუყოფა ანტინოეს სიტყვას ტელემაქემ...

ქალაქში მანდატურები წმინდა ჰეკატომბას უძღვებოდნენ ეკეეს. ბზრიალმიანი აქავლები ამოლონის ჩრდილოეთ ჭალაში შეყრილიყვნენ და მსხვერპლს სწირავდნენ შექნაიულ ღმერთს. აქ კი, დარბაზში, სასიძეობმა წილობებად დაჯრეს საღვთო წვადი. ტელემაქეს ბრძანებისამებრ მსახურებმა ოდისეუსსაც მიართვეს მეინახეთა სწორი არჩიენი. მაშინ ათინამ, მეტი რისხვით რომ ალეკსო ოდისეუსისათვის გული, კიდევ უფრო გაახელა და გაათავხედა სასიძეები. იყო მათ შორის ერთი ავეკა და გულღვარძლიანი ვინმე, სახელად ქთესიპე. ეუნძულო სამეზე მამამის დიდძალი ქონება ჰქონდა მოხვეშილი და მამისეული სიმდიდრით მოქადალდ ქთესიპეს გულით ეწადა პენელოპეს ქმრობა. ადგა იგი და ასე მიმართა მეინახეებს:

— სიტყვა მთქმევინეთ, ჯაბუკებო! ეხედავ, ეს ყარიბიც ჩვენს სწორ არჩიენს შეექცევა სუფრაზე. სხვაგვარი მასპინძლობა არც ეკადრებოდა ამ სახლის პატრონს! მასთან სტუმრებულმა აკი ყველამ უნდა მიიღოს თავისი წილი? ჩემგნით, მეც მინდა ვებოძო რამე ეუცხოელს, რომ თავის ნებისაებრ ან მეკისე მოიმადლიეროს ან სხვა ვინმე მსახურთა-განი, ვინც მას ემსახურება ღვთაებრივი ოდისეუსის სახლში.

ეს თქვა, ფეშხუმზე ხარის ბარკალს დასწვდა და გამეტებით ესროლა ოდისეუსს. მან ფიცხლად დაუხვა თავი და ბარკალი კედელს მოხვდა. მწარედ ჩაეცინა ოდისეუსს. გაგულისებულმა ტელემაქემ კი გარკვლა თავხედი სამეული:

— ბედი შენი, ქთესიპე, რომ ყარიბმა აიცდინე ნასროლი, თორემ ამოლონს გეფიცები, არ აგცდებოდა ჩემი ნასროლი შუბი და მამაშენი ქორწილის ნაცვლად ქელეხს გადაგიხდიდა ითაკაში! ყველამ იცოდეს, თავის ნებაზე არავის ვამარაშებს აქ! ბალი ალარა ვარ, ქვეყნის ავიც მესმის და კარგიც. იმის თუ ვითმენ, რომ საქონელს მოხოცავთ და ჩემს პურ-ღვინოზე სხედხართ, სხვა გზა არა მაქვს და ამიტომ: ერთი ვერ მოგარეკვით სმარავლით ალმატებულთ. ჩემი მოკვლა თუ გწადიათ, არას დაეკქეს, მომკალით. თავი ცოცხალი რად მინდა, თუ ამ ეერკვეზ ჩემს სტუმროსა და ხელმინაურთ უსატიოდ მოეპყრობიან.

მონადიმეებმა ხმა გაკმიდეს. კარგა ხანს ასე

ისხდნენ გაყუჩებული, სანამ აგელოსმა, დამასტორის ძმ ამ დასძრა სიტყვა:

— მოგვბერო, ნუთუ იკადრებს ტელემაქეს შეპასუხებას, მართალს ამბობს იგი. მოიშვით ამ უცხო ყარიბს და ოდისევსის სახლეულთანგანაც ნურაკის შეურაცხყოფთ. მე კი ჩემდა თავად, ორიოდ სიტყვის ვეტყვი ტელემაქესა და დედამისს, იქნებ ვბრიანოთ ჩემი რჩევა. სანამ ოდისევსის შინმბრძენები იმედი კიდევ გქონდათ, არაფერი გვეთქმოდა, მის სახლში რომ გვაკავებდით, თუმცა კი სკოდა, წინანდებურადვე ოდისევსს ეპატრონა ამ სახლისათვის. ისი მაქნისია ახლა ლოდინი, აკი შინდაბრუნება აღარ უწერია ოდისევსს. მაშ, ადი სახლობობს ტელემაქე და დაიყოლიე დედაშენი იმას გაპყვეს ცოლად, ვინც ღირსებითა და ფრადით ყველაზე მეტად ეთნევა. შენ კი უფფოთველად ეპატრონე მამაშენის სამადებელს, ნებისაებრ სვი და ჭამე.

— ზეკსია და მმაჩემის ტკივილებს გეფიცები, აგელოს, სულერთია, მკედარია თუ ცოცხალი იგი, მე არათუ ეუშლი, იმ კაცზე გათხოვებას ეურჩეს დედაჩემს, ვინც მის ეთნევა და ყველაზე დიდ ფრადს გადაუხდის. ღმერთმა ნუ ქნას, ძალით გავაძევო დედაჩემი სახლიდან.

ეს თქვა ტელემაქემ და აოინამ გონება დაუბნელა სასიძოებს: დაუოკებელი ხარხარი ეუვარდათ, თითქოს სხვისი ყბებით იცინიანო. სისხლიან ხარკს ხარბად გლეჯდნენ კბილებით, თვალებში ცრემლი მოსწოლოდათ: გულ უგრძნობდათ საშინელ ხვედრს. მაშინ წამოდგა ღვთისდარი თეოკლიმენე და შესძახა მეინახეთ:

— ბედშავნო, ეს რა დაგმართნიათ. ჰადესის შავი ნისლი გეხვევათ პირზე, ხელმხარსა და მუხლებზე. აწვე მესმის თქვენი საწყალობელი მოთქმა და ცხარე ცრემლით დამდუღრულ თქვენს სახეს ვხედავ. სისხლით შესვრილია ამ დიდშენი სახლის კედლები და ჭერხო. წინკარსა და კარიბჭეს ფარფატით აწყდებიან შავეთში ჩასახდომად გაწირულია თქვენი ჩრდილები. მზე ჩაჭრა ცარგალზე და ავბედითმა წყდიადმა მოიცვა აქეურობი.

მონადიმეებმა სიცილი დააყარეს თეოკლიმენეს, ხოლო ევრიმაქემ ასეთი სიტყვა უთხრა თანამეინახეებს:

— ნეტა რას ჩმახავს ეს უცხოელი, გონითი ხომ არ გადავარდნილა? კარში გაიყვანეთ, ჭაბუკნო, დღის სინათლე დაანახეთ ამ დამთბეველს, ხომ ხედავთ, დარბაზში დღე ეშავეთება!

— მე თვითონ გავალ, ევრიმაქე, — უპასუხა თეოკლიმენემ, — გამყოლები არა მჭირდება. ღვთის მადლით გონზე ვარ, თვალს და ყურს არ მაკლია და მუხლიც მიჭრის. აქ მაინც არ დავრჩები, ველი მეუბნება, რომ სიკვდილი უწერია ყველას, ვინც ამ სახლში უკადრისად ეპარება სტუმრებს.

ეს თქვა თეოკლიმენემ, დარბაზიდან გავიდა და თავის ველია მასპინძელს პირეოსს მიაშურა. სასიძოებმა კი, ტელემაქე რომ გაუხელებინთ, ერთმანეთს თვალი უყვეს და მისი სტუმრების თრევას მოპყვნენ. ერთმა თავხედმა ჭაბუკმა ასეთი რამ უთხრა:

— ეჰ, ტელემაქე, ცუდსტუმრიანო, ეს რა ხალხი დაგიდის სახლში? ვინა გდია ეს მშიერმწყურვალი მათხოვარი, უბადო და უმაქნისი, ტაეილ-უბრალოდ რომ ამძიმებს დედამიწას? ან ის ვიღაა, წინასწარმეტყველება რომ მოგვინდომა აქ? დამიჯერე; ხომალდზე დასხი ეგ ხალხი და სიცილიაში უკარი თავი, არ იზარალებ, კარგ ფასს აიღებ.

ტელემაქემ ყური მოუყარეა მათ ლიზღობას. ველისყური ოდისევსისაკენ ჰქონდა, — მამის ნიშნის ელოდებოდა, რომ დაეწყოთ სასიძოთა მუსვრა. იკარიოსის გონიერი ასული კი ამ დროს დარბაზის უკანა ყურეში შშვენიერ საკარცხლულზე ჯდა და ყველაფერს ისმენდა.

ხოლო სასიძოები იშეებდნენ და იხარებდნენ. კიდევ ბრავლად დაკლეს პირუტყვი სანადიმოა სუფრისათვის. ის არ უწყოდენ ბედშავმა — უმსგავსო საქმის საზღაურად თუ რა სისხლიან სერობას უმზადებდა მათ თვალსხივოსანი ქალღმერთი და ძალგულოვანი მამრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველბერძნულიდან თარგმნის
ზურაბ კიკნაძემ, თაყაზ ჩხეიძელმა

გაგრძელება იქნება

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ

საქართველოს მშრომელთა ხანგრძლივი და გმირული ბრძოლა თავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

სვანეთის მძიმე სოციალურ-ეკონომიური პირობები, ბუნებრივია, მოსახლეობას უბიძგებდა ცარიზმისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ საბრძოლველად. XX საუკუნის დამდეგიდან სვანები აქტიურად ჩაებნენ გამათავისუფლებელ მოძრაობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ გამაბჯნეველი და ძლიერი ბიძგი მისცა მთიან-გაბაპირა რაიონებს. მათ შორის სვანეთსაც. სვანეთის მშრომელთა ცხოვრებაში დაიწყო კულტურისა და ეკონომიური ცხოვრების აყვავების ახალი, საბჭოური ერა.

რევოლუციამდე სვანეთი მეტად ცუდი გზებით უკავშირდებოდა საქართველოს ბარის რაიონებს. სვანეთის მთებში დაფარული სიმდიდრე, მისი ოქროს მარაგი, რკინის, სუტრმის, დარიშხანისა და სხვ. საბადოები მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ სამრეწველო მნიშვნელობას, ვიდრე ეს რაიონი სამრეწველო ცენტრებს საავტომობილო გზით არ დაუკავშირდებოდა. უგზოობის გამო შეუძლებელი იყო ტურიზმის განვითარება და კურორტების მშენებლობა. გზების გარეშე არც სვანეთის სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარება შეიძლებოდა.

ფ. მახარაძე 1925 წელს წერდა: „ყველა ღონისძიებათა სათავეში დაყენებული უნდა იქნეს გზატკეცილის გაყვანა ზემო სვანეთში, — სვანეთში გზატკეცილის გაყვანა სასარგებლო იქნება არა მარტო სვანებისათვის, ის სასარგებლო იქნება მთელი რესპუბლიკისათვის".[1]

1925 წელს ზემო სვანეთის მაზრაღმასკომის დადგენილებით, ჯვარი-მესტიის საცალფეხო გზაზე მგზავრებისათვის აშენდა ღამის გასათევი სახლები თოთაწში, ხაიშში, ჯორკვალში, დიზში და ლახამულაში.

1927 წელს სვანეთის ბილიკის გაფართოებაზე მუშაობდნენ სამხედრო მოსამსახურეები. მათთან ერთად ხალისით მონაწილეობდა ზემო სვანეთის მოსახლეობაც. წლის ბოლოს ჯვარიდან მესტიამდე გაყვანილ იქნა სასაპალნე ცხენის გზა და ტელეგრაფის ხაზი.

ძველი ბილიკის აღდგენა და სასაპალნე გზის კეთილმოწყობა გზის პრობლემას ვერ წყვეტდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა საავტომობილო გზის შშენებლობა. ჯერ კი-

---

1. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, სვანეთი, გვ. 54.

დეკ 1925 წელს გაზეთი „მეშა“ იუწყებოდა: „გზების გაყვანა, კულტურული მეშაობის გაჩაღება და ხალხში განათლების შეტანა, აი პირველი რიგის საკითხები. ამ საკითხების გადაწყვეტის და განხორციელებისაკენაა მიპყრობილი საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება ამჟამად“.

საკავშირო მთავრობამ სათანადო სახსრები დაუშვა ჯვარი-მესტიის საავტომობილო მგზავრტალის მშენებლობისათვის.

მშენებლობა 1929 წელს დაიწყო. სვანეთის მოსახლეობამ 1936 წლის 7 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში აღნიშნა რაიონის ცენტრამდე — მესტიამდე საავტომობილო გზის დამთავრება და პირველი საბჭოთა ავტომანქანის შესვლა.

საავტომობილო გზის დამთავრებამდე სვანეთი საჰაერო გზით დაუკავშირდა საქართველოს ბარს და ჩრდილო კავკასიას. 1934 წლის 18 აგვისტოს „კომუნისტის“ კორესპონდენტი მეთოხეულებს აცნობდა: „დღეს დილით ზემო სვანეთს პირველად ეწვია კავკასიონის უღელტეხილზე ყაბარდო-ბალკარეთიდან გადმოფრენილი თვითმფრინავი, რომელიც ახლავს იალბუზზე ასაფრენად წამოსულ საარმიო ალპინისტის მონაწილეებს. თვითმფრინავმა რამდენჯერმე შემოუარა მესტიის მიდამოებს, გადმოადო მისასალმებელი ბარათი და კვლავ უკან დაბრუნდა. თვითმფრინავის გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია მოსახლეობაში. გადმოგდებული ბარათის წაკითხვისას აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავს მართავს ამხ. გლაზი, რომელიც ხელმეორედ გადმოფრინდება სვანეთში 21 აგვისტოს. ამ დროისათვის სვანეთის მშრომელები ამზადებენ დასაშვებ მოედანს“[2].

მართლაც, 21 აგვისტოს სვანეთის ჩრდილო კავკასიიდან კვლავ ეწვია თვითმფრინავი. მფრინავმა ლაპაინმა და ბორტმექანიკოსმა მაზუტმა თვითმფრინავი მოხერხებულად დასვეს მესტიის მახლობლად სახელდახელოდ მოწყობილ მოედანზე.

საჰაერო ტრასის გახსნა მოკლე ვადაში ვერ მოესწრო. მესტიის აეროფორმის აგება, მართალია. 1934 წელსვე დამთავრდა, მაგრამ რეგულარული მიმოსვლა ქუთაისი-ცაგერი, მესტიის საჰაერო ხაზზე 1935 წლის აგვისტოში დაიწყო. პირველი რეისი მფრინავმა შ. ჭანკოტაძემ განახორციელა, ამის შემდეგ დაიწყო ქუთაისი-მესტიას შორის თვითმფრინავის რეგულარული მიმოსვლა, თუმცა ესეც დამოკიდებული იყო ამინდზე.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე კავშირგაბმულობის მოწესრიგებას. 1924 წელს გაიხსნა ფოსტის გაყოფილებები მესტიასა და ხაიში, კავშირგაბმულობის საგენტოები კი — ბეჩოსა და ლახამულაში. 1925 წელს ზუგდიდ-მესტიას შორის გაყვანილი იქნა ერთფენიანი სატელეფონო ხაზი, 1926 წელს კი დამატებით მეორე ხაზიც გაიხსნა.

1928-1932 წლებში ზემო სვანეთში 50 რადიოწერტილი ითვლებოდა.

მეფის მთავრობა, როგორც ცნობილია, ხალხში სწავლა-განათლების შეტანისათვის სრულიად არ ზრუნავდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით სვანეთი ჩამორჩენილიყო. 1887 წლისათვის ზემო სვანეთის 9,5 ათასი მცხოვრებიდან წერა-კითხვის მცოდნე იყო 67 კაცი (0,67%). 1890 წელს ზემო სვანეთში მხოლოდ ერთი ერთკლასიანი სასწავლებელი არსებობდა. 1913 წლისათვის ზემო სვანეთის 14 დაწყებით სკოლაში 200 მოსწავლე ირიცხებოდა. სწავლა-განათლების საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო დაყენებული ქვემო სვანეთში, რევოლუციის წინ იქ მხოლოდ სამი დაწყებითი სკოლა იყო. სკოლები მოსწავლეებს ბევრს არაფერს აძლევდა. სკოლის კურსდამთავრებულნი ღებულობდნენ სწავლის გაგრძელების უფლებას, მაგრამ მხოლოდ ერთიუელები ახერხებდნენ სვანეთიდან ქალაქად წასვლას და სწავლის გაგრძელებას.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება — განმტკიცებისთანავე დიდი ყურადღება მიექცა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პრობლემას, სკოლების ქსელის გაფართოებას. უკვე 1925 წლისათვის ზემო სვანეთის სკოლების რიცხვი 20-მდე გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვმა 893-ს მიაღწია. მკვეთრი გარდატეხა ეოხდა 1930—1931 წლებში, სკოლების ქსელი იმდენად გაფართოვდა, რომ მათ მოიცვეს სასკოლო ასაკის ბავშვთა 80%.

1931-32 სასწავლო წლისათვის ნავარაუდევი იყო პირველი საფეხურის სკოლების 36-მდე

---

2 გაზ. „კომუნისტი“, 1934, 20 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდა, სადაც უნდა ესწავლა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს.

ამავე პერიოდში გარკვეული ნაბიჯი გადადიდგა შეიდწლიანი განათლების დანერგვის საქმეში. გიიხსნა რამდენიმე შეიდწლიანი სკოლა. მოეწყო აგრეთვე პროფესიული სკოლები (ტრა-კერვის სამი სკოლა), სადაც სწავლობდა 150 გოგონა. ამას გარდა, სვანეთში გაჩნდა რეგიოლეციამდე სრულიად უცნობი ტიპები სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის ორგანიზაციებისა. დაარსდა პოლიტიკური განათლების სკოლები, სიბაშვილო ბაღები. უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის ჩამოყალიბდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები.

თანდათან იზრდებოდა სიბიუჯეტო ასიგნებანი სახალხო განათლებისა და კულტურული დაწესებულებისათვის. 1923-24 წ. წ. სკოლებზე დაიხარჯა 13 252 მანეთი. 1928-29 სასწავლო წელს — 95 587 მანეთი. 1930-31 სასწავლო წელს პირველი საფეხურის სკოლებზე დაიხარჯა 176 996 მანეთი, კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლებზე — 106 647 მანეთი, პროფსკოლებზე — (სამეურნაოო) 9554 მანეთი. ბიბლიოთეკა-ქოხსამკითხველოებზე —4828 მანეთი, წითელ კუთხეებზე —3457 მანეთი. მუზეუმზე — 2346 მანეთი, სიბაშვო ბაღებზე — 11822 მანეთი, სულ 316 906 მანეთი. სვანეთის პედაგოგიური ტექნიკუმის დაფინანსება ხდებოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და იგი 64 000 მანეთს შეადგენდა.[3]

მასწავლებელთა უმრავლესობა საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსული იყვნენ, მართალია, ისინი ორმაგ ხელფასს იღებდნენ, მაგრამ ცხოვრებისა და შრომის ძნელი პირობების გამო, დენადობა მათ შორის საგრძნობ მასშტაბს აღწევდა. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი კადრების აღზრდას. სვანი ახალგაზრდები გაგზავნილ იქნენ უმაღლეს სასწავლებლებში, 1930 წელს ზემო სვანეთში გიიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, სადაც ჩაირიცხა 30 მოსწავლე. ტექნიკუმი ამზადებდა მასწავლებლებს დაწყებითი სკოლებისათვის.

1932 წელი ზემო სვანეთში — ბეჩოში გიიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელმაც 1938 წლამდე იარსება და გარკვეული როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების საქმეში.

სვანეთიდან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მიდიოდნენ უმაღლესი განათლების მისაღებად. 1936 წლისათვის მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 180-მდე სვანი ახალგაზრდა. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მშობლიურ კუთხეს უბრუნდებოდა და თავისი წვლილი შეჰქონდა რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

1940 წლისათვის ზემო სვანეთში მოქმედებდა 43 დაწყებითი, 14 არასრული, 4 საშუალო სკოლა და 2 პედსასწავლებელი, სადაც 3480 მოსწავლე ირიცხებოდა. პედპერსონალის ოთხმოცდაცხრა პროცენტს ადგილობრივი კადრები შეადგენდა.

სახალხო განათლების დარგში დიდი მიღწევები ჰქონდა ქვემო სვანეთის რაიონსაც. თანდათან დართოდებოდა სკოლების ქსელი. 1933 წლის პირველი სექტემბრისათვის რაიონში მოქმედებდა სკოლამდელი აღზრდის 4 დაწყებულება, 23 პირველი, 3 მეორე და 1 მესამე საფეხურის სკოლა, სადაც 1500 მოსწავლე ირიცხებოდა.

ქვემო სვანეთი კარგა ხანს ლეჩხუთის მაზრაში შედიოდა. ლეჩხუთის სამაზრო აღმასკომი საკმაო ყურადღებას ვერ აქცევდა ქვემო სვანეთის მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმეს. აქ აიგო მხოლოდ ერთი შენობა ოთხწლიანი სკოლისათვის. ქვემო სვანეთის ცალკე რაიონად გამოყოფის შემდეგაც დარჩა გარკვეული ნაკლოვანებანი. 1933 წელს რაიონში არსებული 31 სკოლიდან საკუთარი შენობა ჰქონდა 12 სკოლას. სხვა სკოლები კი მოთავსებული იყო დაქირავებულ სახლებში. გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, 1933 წლისათვის ქვემო სვანეთში თითქმის მთლიანად გატარდა საყოველთაო დაწყებითი სწავლება. ლეჩხუთის პოლიტექნიკუმი ათწლედი უბრუნველყოფილ იქნა შენობით. სოფელ ლაშხეთში დაიწყო შენობათა აგება შეიდწლიანი და საშუალო სკოლებისათვის.

ყველა დაბრკოლება მომდევნო წლებშიც ვერ იქნა დაძლეული. ძნელ პირობებში მიმდინარეობდა მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ამის უმთავრესი მიზეზი სკოლების მატერიალური ბაზის უქონლობა იყო. 1934 წელს კაპიტალური მშენებლობისა და რემონტისათვის ქვემო სვანეთის სკოლებს გამოეყოთ 40 ათასი მანეთი. შეძენილ იქნა სკოლებისათვის საჭირო ინვენტარი (მაგიდები, მერხები, გაჯრინები და სხვ.) დაიწყო 3 სასკოლო შენობის აგება. მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა სკოლების მშენებლობაში, შეგროვდა შემოწირულება 100 ათასი მანეთის ოდენობით. განათლების განყოფილების გამგემ ვ. ონნანმა მიმართა საქართველოს სსრ ფინსახკომს, განსახკომსა და სხვ. სახელმწიფო და კულტ-საგანმანათლებლო ორგანოებს თხოვდა, მეტი დახმარება აღმოჩენილ ქვემო სვანეთის რაიონის მოსახლეობისათვის სწავლა-განათლების სათანადო დონეზე დაყენების საქმეში.

სკოლების ქსელის არნახული მასშტაბით გაფართოებამ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლი-

[3] „სობოლი", ზემო სვანეთი. რუს. ენა, 1933. 33. 96.

კეიდაცია, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გამრავლება, თვითმქმედი კოლეკტივების შექმნა, თეატრებისა და კლუბების დაარსება და სხვ. იმის მაჩვენებელი იყო, რომ ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში სკანეთში კულტურული რევოლუციაა განხორციელდა.

XIX საუკუნის 90-ან წლებში სკანეთზე ერთი ექიმი და ორიოდე ფერშალი იყო მიმაგრებული. არ იყო საავადმყოფოები, ამბულატორიები, ფფთიაქები, მედიკამენტები და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველ დღეებიდანვე მთავრობამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და ამბულატორიების ქსელის შექმნისათვის.

დიდი სამამული ომის დამთავრებიდან დღემდე კოლოსალური გარდაქმნები განხორციელდა ჩვენი რესპუბლიკის, მათ შორის მისი მთლიანი რაიონების სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში: მძლავრად განვითარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე, შეიქმნა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაზე გადასვლის წანამძღვრები.

ყველა ეს დიდი გარდაქმნები მკაფიოდ აისახა სკანეთის ცხოვრებაშიც. ლენტეხისა და მესტიის რაიონების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას კვლავაც სათავეში უდგანან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ სკკ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მშობლიური პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად ლენტეხისა და მესტიის რაიონების მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს საკოლმეურნეო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში.

სკანეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და მრავალდარგოვან მეურნეობის მოწყობას რამდენჯერმე აფერხებს მაღალმთიანი რაიონების შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები: სახნავი და სათბი მიწების ნაკლებობა, სოფლად საძოვრების დიდი მასივების სიშორე, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების სიმკაცრე, ამინდის ძლიერი მერყეობა, ხანგრძლივი ზამთარი.

ზემოაღნიშნული დამაბრკოლებელი ფაქტორების მიუხედავად, გამრჯე ელეხობის მუყაითი შრომის შედეგად სკანეთის სოფლის მეურნეობამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ომის შემდგომ პერიოდში, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ განვითარების ფართო გზა გაუხსნა სოფლის მეურნეობის ისეთ წამყვან დარგებს, როგორიცაა მეცხოველეობა, მემინდვრეობა და მებაღეობა. კოლმეურნეობები ეკონომიურად გაძლიერდა, ორგანიზაციულად განმტკიცდა. ისინი რამდენადაც შესაძლებელია მაღალმთიან რაიონებში, სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკით — ტრაქტორებით, ავტომანქანებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით.

დიდი მეშუბაობა ჩატარდა საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი მაპაროფილებელი დარგის — მეცხოველეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად. მეცხოველეობის დარგობრივმა სპეციალიზაციამ განაპირობა მემინდვრეობის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლა, რაც სიმინდისა და კარტოფილის ნათესი ფართობისა და, რაც მთავარია, მოსავლიანობის გადიდებაში გამოიხატა. სერიოზული ღონისძიებები გატარდა კოლმეურნეობის წამყვანი კადრების შესარჩევად და აღსაზრდელად. უფრო კონკრეტული გახდა კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა — დახმარება, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დიდად შეუწყო ხელი კვალიფიციური სპეციალისტების რიცხვის გაზრდამ და ინიციატივიანმა საქმიანობამ.

ამჟამად კოლმეურნეობების მეცხოველეობის თითქმის ყველა ფერმაში დასაქმებულია საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც დიდი ინტერესით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს. უკანასკნელ წლებში სკანეთში საგრძნობლად გფფართოდა კავშირგამბმელობის ქსელი. ამჟამად მესტიის ფოსტის მეშუკეები ყოველდღიურად აგზავნიან, იღებენ და დანიშნულებისამებრ ამარებენ შშრომელებს უამრავ კორესპონდენციასა და ამანათს. ამ საქმეში ფოსტის მეშუკების დიდ დახმარებას უწევს ტექნიკა. წინა-ომდეგ შემთხვევაში, ისეთ დიდ ტერიტორიაზე გაშლილ რაიონში, როგორიც სკანეთია, ძნელი იქნებოდა განუწყვეტლივ მზარდი საფოსტო მომსახურება.

საფოსტო გაცვლის თანამედროვე მასშტაბი, პერიოდულ გამოცემათა გავრცელება და დანიშნულებისამებრ მისი ჩაბარება, მკაფიო სურათია ამისა, თუ რამდენად ამაღლდა რაიონის მოსახლეობის კულტურისა და განათლების დონე.

სკანეთში საბჭოთა წლებში პირველად ჩაისახა და თანდათან გფფართოდა კავშირგამბმელობის ისეთი საშუალებები, როგორიცაა: ტელეგრაფი, სატელეფონო და რადიოქსელი. რადიომაწყვეტლობა, ტელეხედვის ქსელი, რაც ჯერჯერობით მხოლოდ ლენტეხის რაიონში გვაქვს, ხოლო მესტიის რაიონში 1972 წლის დამდეგს ჩადგება მწყობრში.

ალექსანდრე ჩარკვიანი
საბჭოთა ფლეგმი განახლებული სკანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პეროიდში სვანეთის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, მათი მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის არაჩვეულებრივი ამაღლება ყველაზე მკაფიოდ ფაბა-სოფლების განაშენიანების მაგალითზე წარმოგვიდგება.

სვანეთში უკლებლივ ყველა ოჯახმა აიშენა კეთილმოწყობილი ორსართულიანი ოდები. ქეელი და ახალი ყოფის მკვეთრი თვისებრივი განსხვავება მთელი სიცხადით ვლინდება იმ კონტრასტით, რომელსაც ქეელი, კოშკიანი სვანური სახლებისა და თანამედროვე კეთილმოწყობილი კაპიტალური სახლების თანაარსებობა ქმნის.

სვანეთის ყველა სოფელი დაამშვენა ახალმა სასკოლო შენობებმა, კულტურის სახლებმა, კლუბებმა, სამკურნალოებმა, მაღაზიებმა, საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციულმა, სპორტულმა და ლენინური ნაგებობებმა, ელადგურებმა და სხვ., რაც მრავლად აშენდა და მომავალშიც აშენდება.

ლენტეხის რაიონის მშრომელებს მომსახურებას უწევენ 51 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება: სარაიონო ბიბლიოთეკა, სარაიონო და სასოფლო. კულტურის სახლები, ოცდაექვსი სასოფლო და სამი საკლუბო ბიბლიოთეკა, ოთხი სამეთხველო, თერთმეტი სასოფლო კლუბი, მოძრავი ბიბლიოთეკა და ავტოკლუბი. ამ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფართოდება და უმჯობესდება. ლენტეხის რაიონის ცენტრში შენდება და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 400-ადგილიანი ტიპიური კულტურის სახლისა და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის შენობები. მომდინარეობს მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობათა რეკონსტრუქცია. რაიონის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი 160 000 ეგზემპლარს შეადგენს.

ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება დაკომპლექტებულია უმაღლესი და საშეალო საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებით.

ჩვენს რესპუბლიკაში დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს ლენტეხის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც 1951 წლიდან სათავეში უდგას სახელმოხვეჭილი ხელოვანი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯოკი მეშვეელიანი.

ანსამბლში მონაწილეობდნენ რაიონის წარმოება-დაწესებულებათა მუშაკები და კოლმეურნეები.

მესტიის რაიონში ამჟამად 56 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა: 27 სასოფლო ბიბლიოთეკა, 16 სასოფლო კლუბი, 3 სამკურნალო, 3 კულტურის სახლი, სარაიონო ბიბლიოთეკა, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკა, მოძრავი ბიბლიოთეკა, მუსიკალური სკოლა, ოთხწლიანი სამხატვრო სკოლა, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სასწავლებელი, ორთვიანდადგენის მუზეუმი, რომელიც სამეცნიერო განყოფილება ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ძეგლების მდიდარი კოლექციებით.

რაიონის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი 119 ათას ეგზემპლარს შეადგენს.

დიდი სახელი მოიხვეჭა მესტიის სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პლატონ დადვანი.

საბჭოთა წყობილების დიდი სიკეთე მთელი სიცხადით გამოვლინდა სვანეთის მოსახლეობის სამეფოცინო მომსახურების განუხრელ გაუმჯობესებაში: ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი გაფართოვდა და შეიქმნა მაღალკვალიფიციური კადრებით, სამკურნალო დაწესებულებათა გამტარუნარიანობა გაიზარდა.

საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხე, სვანეთი, ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია ამიერკავკასიაში. თვალწარმტაცი ბუნება, განთქმული ისტორიული ძეგლები უფრო და უფრო მეტი მასწავლიან იზიდავს მრავალ საბჭოთა და უცხოელ ტურისტს. ტურიზმის შემდგომი განვითარება სვანეთის დიდ პერსპექტივებს უქმნის და შორს აღარ არის ის დრო, როცა ეს კუთხე საბჭოთა ქვეყნის უდიდეს ტურისტულ ცენტრად იქცევა.

სვანეთში ძლიერ განვითარებულია მთამსვლელობა — „ზამაცთა სპორტი“ — კავკასიონის ქედზე განლაგებული მწვერვალების დასაპყრობად აქტიური მოძრაობა დაიწყო XIX-L-ის მეორე ნახევარში, ხოლო ალპინიზმის ნამდვილი სახე ამ საქმეშ მიიღო რევოლუციის შემდგომ პერიოდში. კავკასიონის ქედის მწვერვალებზე ასვლა, როგორც რევოლუციამდე, ასევე რევოლუციის შემდეგ არ მომდარა ისე, მესტიისა და ლენტეხის მთამსვლელებს რომ არ მიეღოთ აქტიური და გადამწყვეტი მონაწილეობა.

ასეთია ძალზე მოულოდ განახლებული სვანეთის ყოფა, მისი კიდევ უფრო მეტი ზრდისა და განვითარების პერსპექტივები.

რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით, ლენტეხისა და მესტიის მშრომელები კიდევ უფრო ახალ სიმაღლეებს აიღებენ მეცხრე ხუთწლედში თავიანთი დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიური დონის ამაღლებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი კენჭოშვილი

ირონიულ-პოეტური ვარიაციები

ყოველი „ეპოქის სტილი“, პოეტური სისტემა გარკვეული დროის შემდეგ ამოწურავს ვარიაციის შესაძლებლობებს. ისტორიული გამოცდილება და კულტურის ახალი შინაარსი ბადებს ახალ სიტყვებს, ახალი აღნაგობის ლექსს, პოეტურობის ახლებურ გაგებას.

დროს დაგვაცილა ჩვენი საუკუნის ქართული ლექსის ისტორიულ საფუძვლებს და ახალი სინამდვილე თავის შესატყვის პოეტურ ფორმას ქმნის.

გალაკტიონ ტაბიძემ, მისმა თანამედროვეებმა და მომდევნო თაობებმა შექმნეს, სხვადასხვა მიმართულებითა და სიღრმით სრულჰყვეს გარკვეული პოეტური სისტემა.

გალაკტიონმა პოეზიის უპირველესი ობიექტი — ენა დახვეწა როგორც სირთულის (სასუბრო ენისაგან უკიდურესი დაშორების, მაგრამ მისი ბუნებრიობის შენარჩუნების) და ასევე სასადავის (სასუბრო ენის ბუნებრიობასთან უკიდურესი მიახლოების, მაგრამ პოეტურობის შენარჩუნების) მიმართულებით. დარჩა ამ პოეტური ტრადიციის გამოყენების ბოლო შესაძლებლობანი. ასეთი ვითარების შეგნებამ აოქმეკენა თავის დროზე ბოდლერს, ჰიუგოს თაობის მოღვაწეობის შემდეგ: „ჩვენს ცნობილ პოეტებს დაუტაცნიათ და დაუსაკუთრებიათ პოეზიის საუკეთესო ადგილმამულები. ისღა დამრჩენია, სხვაგან ვეცადო ბედი“. ასეთი ალტერნატივის წინაშე დგას დღეს ქართველი პოეტი. ამით აიხსნება, რომ ჩვენს თვალწინ ჩნდება ახალი სატრადიციო ღირებულების დამამკვიდრებელი პოეტები, ნაწარმოებები, ნიშნანთვისებანი...

ცხადია, ეს სიახლე ძველ საფუძველს ვერ დაემყარება, მაგრამ ვერც მის გაუთვალისწინებლად წაეალთ წინ.

„ჯერ კიდევ თბილია საფლავები წინა თაობის“ (რეზო ამაშუკელი). დღეს ქართველი პოეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უახლოესი პოეტური წარსულისადმი დამოკიდებულების საკითხი (დამოკიდებულება მთელი წარსულისადმი ყოველთვის მნიშვნელოვანი საკითხია).

ზოგჯერ უახლოესი წარსულის დიდი პოეტი ახალ პოეტებს უფრო იმას ასწავლის, რაც აღარაა საკეთებელი, ვიდრე იმას, თუ რაა საკეთებელი. ასეთია ხოლმე ერთ-ერთი დიდი გაკეთილი უახლოესი ტრადიციისა. ამ „უფრო“-სა და „ვიდრე“-ს ხარისხი ეროვნული პოეზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირია. უახლოეს წარსულთან ტრადიციის სრულმყოფ და დამაგვირგვინებელ პოეტებს უფრო მეტდრო კაენარი აქვთ, ვიდრე ახალი გზის დამწყებნი.

სათქმელის მკაცრი ლოგიზირება რომ მოვახდინოთ სიცხადისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ახალი პოეტური სტადიის ეამი სხვაგვარ მოთხოვნილებებს უყენებს ტრადიციის დამხვეულ და დამაგვირგვინებელ პოეტებს, და მეორეგვარს — ახალი პოეტური ფორმის შემქმნელებს.

ხშირად ახალი პოეტური გზის დამწყებნი „ტრადიციულ“ ან თუნდაც „კონსერვატულ“ პოეტებზე უკეთესი შემოქმედნი ჰგონიათ. ასეთი „თვალსაზრისი“ უსაფუძვლოა, ვინაიდან პოეტი შეიძლება იყოს „ძველი“ და დიდი, და შეიძლება იყოს „ახალი“ და არ იყოს დიდი. პირიქითაც ხდება. ცხადია, პოეტის სიძველე — სიახლე განსაზღვრას მის მიმართებას თანადროულობისა და პოეტური პროცესებისადმი, მაგრამ არას მეტყველებს მისი ხელოვნების ხარისხზე. ტრადიციის დაწყებაში ბარათაშვილს ჰყვეავძე უსწრებს, პუშკინს — ფერაქაენი, ბაირონს — სოუთი, ბლოკს — ბრიუსოვი, გალაკტიონს — გრიშაშვილი...

შეცდომა იქნებოდა პოეზიის „გალაკტიო-

ნის ხაზის“, ასე ვთქვათ, ფემინისტური (ქალური) პლანში გამსაზღვეული პოეტი ანა კალანდაძე მიგვიჩნია „ავანგარდისტად“; მაგრამ ამით არ განისაზღვრება მისი პოეზიის დონე. „და იაგნენი ტიროდა თმაში...“, „რატომ შეეხე შენ ჩემს კოცესსაბნელს, რატომ შეეხე...“ ...„განა ეს სტრიქონი არ ღირს მთელ პოემად?“... (გალაკტიონი).

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან პოეტის თვისებურება, „სიახლე-სიძველე“ და მისი მხატვრული სიფაფაზე.

პოეტური სიახლის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მისი ახსოლუტური მხატვრული ხარისხით. ედგარ პო არ არის პოეზიის ტატანი, მაგრამ მის მიერ აღმოჩენილმა მხატვრულმა პრინციპმა დასაბამი მისცა ისეთ მძლავრ პოეტურ და კულტურულ მიმდინარეობას, როგორიც იყო სიმბოლიზმი; მისი ესთეტიკური პრინციპი იყო ის ემბრიონი, ფრომლისოდაც წარმოუდგენელია ბოდლერი, რიმბო, ვერლენი და პოლ ვალერი, ბლოკი და ადრინდელი გალაკტიონი...

ახალი პოეტური ხელოვნური კონსტრუქციის პირველი კონტურები საფუძველს ამზადებენ კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული სიახლისა და ხარისხისათვის.

ისიც ხდება, რომ ზოგი ფორმალური სიახლე, რაც ზოგჯერ ვნებს კიდეც ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებას, შემწედ ეელინება პოეტურ პროცესს, აადვილებს ახალი ფორმისა და ახალი შინაარსის გამოკვეთასა და მათ ერთიერთმისადაგებას.

დღევანდელი ქართული ლექსის საერთო მდგომარეობის მიმართ მ ე ტ-ნ ა კ ლ ე ბ ი სიზუსტით შეიძლება გავავი

�sაციით, არამედ თითქოს ეკამათება კიდეც გამეფებულ პოეტურ ხმას თუ ხმათა ერთობლიობას. ეს ბუნებრივიეა: ყოველი ახალი სტილი თავისებური კამათია უკვე არსებულთან, განსაკუთრებით უახლოეს ნაწილთან. მ. მაჭავარიანის პოეზიაში დიდად, ხშირად კი გადამწყვეტი, სიცილის როლი. არსებობად ირონიას და პაროდიას ემყარება მისი ლექსების რაკი „ჩვენებურები“ და „დიალოგები წვიმაში“. ერთ ინტერვიუში მათმა ავტორმა განაცხადა კიდეც: „ირონიული ტონალობა საშუალებას იძლევა ისტორიული თუ თანამედროვე თემატიკის დამუშავებისას გამოამეღავნო ჩვენი საუკუნისათვის შესაფერისი მხატვრული პოზიცია და თავი დაალწიო სამწუხაროდ ჩვენს პოეზიაში დღეს საკმაოდ მოჭარბებულ მანერულობას, სენტიმენტალობასა და მყვინალა პატრიოტზმს“.

მ. მაჭავარიანი თავისებურად ამეღავნებს სასაუბრო და პოეტურ ენათა შორის ახლებური სხვაობის წესის დამყარებისკენ სწრაფვას; თითქოს აუქმებს ამ სხვაობის შემქმნელ ნიშნებს. იგი მეტაფორიზმის მინიმუმის ზღვით მიღის, რაც წმინდად „პოეტური“ ლექსის თავისებური ირონიზირებაა.

არსებული ორი მკვეთრად საპირისპირო სტილისაგან, იგი ხშირად ერთ მთლანს კი არ ირჩევს, არამედ მიმართავს ე. წ. „სტილთა შერევის სტილს“ (ე. აუერბახი), რასაც ლექსში „მიწურტყლი XIX საუკუნისა“ ირონიული ფუნქცია აქვს: „თავადი (კოწია თავაზიანობს — კარტფილის არ მიირთმევთ, ქალბატონო აგრაფინა?!. კოწია — არწივი ბახტრიონის, აგრაფინა ვარდი შირაზის...“ ლექსში არის ორგორც ყოფითი, ენინმბითი სტილის,ისევე საზეიმო სტილის ატრიბუტები. მაღალი სტილი კოწიასა და აგრაფინას მიმართ ირონიულ ყღერადობას იძენს, ვინაიდან ირონიას ყღებულობთ ყოველთვის, როცა ისეთი ტონით გადმოცემთ აზრს, რომელიც ამ უკანასკნელს არ შეეფერება (ა. ბერგსონი, „სიცილი“). უფრო ფარულია ირონია ამ ლექსის ფინალში: „საფლავზე ამოდის ია...“, და სხვ.

სარკაზმამდე მისული ირონია აქტუალურ შინაარსს, „არაპოეტურ“ თემას და ისეთ „პროზაიზმებს“ ნერგავს ლექსში „სხდომა“, როგორიცაა „ეს რა ენაზე!“, „გვეწინათ შენიშნული ალმათ...“ და სხვ. ყოველივე ეს პოეტურ და სასაუბრო ენას შორის სხვაობის წესის ახლებური გადაწყვეტილების გამოვლინებაა, კერძოდ, პოეზიის ხელახალი სწრაფვა სასაუბრო ენის ბუნებრიობის მოპოვებისაკენ.

შეიძლება ეინმემ თქვას, პოეზიას საკმაოდ მანერული პოეტური ენის ეკოიენტია ახსოვსო, მაგრამ მაშინ მათი წარმომქმნელი კულტურული შინაარსიც მანერული ყოფილა და ეს მანერულობა იყო ის საზოგადოების ბუნებრიობა და უშუალობა.

როცა მ. მაჭავარიანი ერთ ახალ ლექსში ამბობს — „რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა, მამეულო ჩემო, გიღნინს! — რომელიც ... მეფე ერყეე მე ვარ! ანდა რომელი მსაჯულმა მისი“, ეს — ისტორიული მასალისადმი „შენ ჩემობითი“, ინტიმური, „ანტი-მგოსნური“ დამოკიდებულების გამოვლინებაც არის, რომელიც გათვისუფლებულია „პოეტური პოზისაგან“. იგივე შეიძლება თქვას პოეტ „ვახტანგის“ ასეთ დასაწყისზე: „მოგეხსენებათ, რა ძნელია პოემის წერა...“

მ. მაჭავარიანის ბევრი ლექსი იმპერსონალურია: სხვადასხვა პირში დიალოგს მართავენ, გამოთქვამენ სხვადასხვა აზრს, პოეტი კი დუმს და არ ერევა მათ საუბარში, არ გამოდის მსაჯულის, უმაღლესი ინსტანციის როლში. ეს არამიეკერძოებლობის, დაუინტერესებლობის თამაში, ირონიის უემმაკესი ფორმა; ასეთივე არის ზოგ ლექსში სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა ჩამოთვლის ფუნქცია (მაგალითად, — „ანდუყაფარო, ლაპარტო...“ და სხვ.), როცა პოეტი მშრალი სტატისტიკოსის სახეს იღებს, მაგრამ სინამდვილეში კი მიმართავს მრავალ ისტორიულ და ლიტერატურულ ილუზიას (მინიშნებას), წნავს ერთმანეთში ძველ და ახალ პოეტიკას... ლექსი „ინდი-მინდინ“ სხვადასხვა ეპოქის სტილია და თვალსაზრისთა „სტილთა აღრეცის“ სტილ ემყარება. ამედი უნდა ვიქმნიოთ, რომ მ. მაჭავარიანის პოეზია კიდეკვ უფრო საინტერესოდ განვითარდება.

ირაკლი აბაშიძის ლექსები „სული მდევარი“ და „სული დამცველი“ შინაარსითაც და ნაწილობრივ კომპოზიციურადაც დრამატიზირებულ აღსარების წარმოადგენს, — პოეტი ირონიულ, „ეშმაკური“ საუბარს მართავს თავის მეორე „მე“-სთან, — რასაც ვერ ვიტყვით მონოლოგური წყობის ლექსებზე „პალეტინა, პალეტინა...“ ლექსში „სული მდევარი“ პოეტის მიერ დასმული კითხვები („იყო საჭირო? იყო საჭირო? სული მდევარო, სული აჩრდილო, რად არ ასევნებს მგოსნის გონებას ამ საფერალით ეგ ხმა ვაბმული, ხმა გამკიცხავი...“), ეს გამკიცხავი ხმა საკუთარი მეორე „მე“-სადმი არის მიმართული, რომლისგანაც პასუხის შესაძლებლობაა ნავარაუდევი, მაგრამ ეს უკანასკნელი დასმულ კითხვებს იწვევს, ხოლო თვითონ სდუმს და არ სურს გამოთქვას „ხმა ან დასტური, ან ხმა უარის“. ამ პასუხის შესაძლებლობას იმდენად გრძნობს პირველი „მე“, რომ, როგორც ეს კამათისას ხდება, რამდენჯერმე იმეორებს კითხვა „იყო საჭირო?“ და სხვ.

ლექსი „სული მდევარი“ შინაარსით აგრეთვე დიალოგია. აქ ერთმანეთს უპირისპირდება თვითგანკიცხეა და თვითგამართლება; ამათ-

ირაკლი კეკენოშვილი
ირონიულ-პოეტური ვარიაციები

გან პირველი ასეთ კითხვებს სვამს: „მაშ, ვერ აშჩნევდი? მაშ, ვერ წვდებოდი? მაშ, ვერ ხედავდი? მაშ, ვერ ატყობდი? მშვიდად დგებოდი, მშვიდად წვებოდი? შენ იხაროდი, შენ ამაყობდი? მაშ, არ დაჭიოლხარ იქვის მახვილით, არ დაღვრემილხარ შენს ტკბილ წამებშნ?.. კითხვის ნიშნებით არ დაგჩხეულია რწმენა სანუკვარ ჭეშმარიტების?“ მეორე ხმა პირველის ზეგავლენითა ავებული. იმეორებს მის სიტყვებს, კამათობს, ყოველნირად ცდილობს დაიძერინოს თავი „კითხვის ნიშნებისაგან“. იშვიათად თვის „ნუ, ნუ, სდეგ ფიქრებს დავიწყებულებს, დღეს იმ ხმებს, ძველ ხმებს ნუ აყურადებ, ნუ არხეკ გულზე ძველ ნაწიბურებს, ნუ ეძებ თვალში წაწლილ სურათებს“), თვალს ხუჭავს ეშვნე, ცდილობს ეშვი არარსებულად და რწმენა არსებულად დასახოს („შენ არსებობდი, შენ არ ცდებოდი, შენ არ ანგრევდი, შენ არ აწყობდი... შენ ვერ აშჩნევდი... შენ ვერ წვდებოდი... შენ ვერ ხედავდი... შენ ვერ ატყობდი...“). ხოლო ირონიასთან გვაქვს საქმე ყოველთვის, როცა არარსებულზე ვლაპარაკობთ, როგორც არსებულზე (ა. ბერგსონი).

რამდენიმე სტილისტური ნაკადი თანაარსებობს მუჰამან ლებანიძის პოეზიაში. „...სადღაც — კიპლინგი! სადღაც ბერნსი!..“ მისთვის ბუნებრივია სენტიმენტალობაც (ალბი გაგებით) და მინორული პათეტიკაც, ჯანსაღი იუმორიც და ბალადური საწყისიც... ახლა ქართული პოეზიის ეროვნული გზა, სოციალური დანიშნულების გზა დიდად მოითხოვს მდგომარეობის არსის გაფართოებას, როგორც ზოგადი იდეების, ისე ყოველდღიური რეალობის, ხშირად „უხეშნ“ გამოელინების ფართოდ გამოყენებას პოეზიის მასალად: პოეტს ყველა სფეროს „ალქმიკოსობა“ მართებს. პოეზიის თვალსაზრისით თანაბრად სანტერესოა მ. ლებანიძის რეიდი ანისის ომზე, „პირველყოფილი თემური წყობილების თამაში“ („ვთამაშობ ნადირობას“), „მთვრალი პოეტების კარნავალზე“ მოწაწილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული და მრავალმხრივია. — აქ შინაარსი, სათქმელი, ჩანაფიქრი გატარებულია ისეთი ნარისახოვანი მასალის პერიპეტიებში, როგორიცაა სპბას არაკის გალეშილი სახე და ფერიდენელი ქართველის ლეგენა, პოეტის მონოლოგები და დიალოგი გონებასთან. დაგვიანებულ ეშეზავთან და თანადროული ეტ(ეიოლური საკითხების პრიდაპარი განსჯა; გამოუნებელია ეროტესკის კონსტრუქციული პრინციპი. საგულისხმოა ისიც, რომ სპბას არაკი, ჩასმული ამ ნაწარმოებში, ირონიული შეფერილობისაა და სარკასტულია პოეტისეული შეგონება: „გაუმაძღარზე მოგახსენეთ ესე არაკი“.

„რწმენის ედელის“ მასალის, მასაკეის, თეშათა ნარფერთვნება, „სიპრელე“. პოეტის დიალოგი ჭითხველთან და „გონებასთან“, ანუ „საკუთარ მეორე „მე“-სთან, არის ლირიული, ეპიური თუ ტრაგიკული მთლიანობის დაშლის გამოელინება, და თვით ტრადიციული პოემის ჟანრული ესთეტიკის თავისებური ირონიზირება. სწორედ ეს სტილისტური სვლა, პოემის ჟანრული სიწმინდის ასეთი დარღვევა ანუ ეპის ამ ნაწარმოებს მთავარ თავისებურებას, ცოცხალ ქმედითობას.

პოემის ნორმატული სქემის დარღვევა ავტორს საშუალებას აძლევს შეინარჩენოს კრიტიკული პოზიცია. პოეტი ვეფსუტრება არა მარტოკა, არამედ მისი პოზიცია, მორალიტესებურ, დანაშეკვრებული „პოეტსა“ და „გონებას“ შორის; პოეტი სათქმელს სხვა მოსაუბრეთა პირითაც ვადმოგვეცემს (ვეფსის ხმანი ნუგეშისა, ფერეიდნელი ქართველისა, ჩვენი თანამედროვისა და სხვ). ამ ხმათა, ამ სათქმელთა ურთიერთშეხვედრის არეში მდებარეობს ნაწარმოების დედაზარი. დაძაბულად, ხან შინორეულად, ხან ოპტიმისნად, ხან პოლემიკურად მეღერ ხმათა შორის ძმაფერი დიალოგი გამართული. საუბრის საგანია ისტორიული მოშენტის მიმართ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ეროვნული საზრისის განსჯა. „გონება“ ეკითხება პოეტს: „პოეტო, ნუთუ მორჩა. გათავდა, გათავდა შენი ჩხუბი ავდართან?.. ვინც სამტროდ ვლესდა და ვინც ვნაოლადა, ვისაც უყვარდი და სულს გატანდა. ისიც გათავდა? მორჩა, გათავდა? მაშ თუ არ არის მისი ხსენება, იწუება სევდა და დასვენება?“ ამ კითხვას გონებისას, ანუ თავის თავში აღმოჩენილი მეორისას, პოეტი ასე მიუგებს: „რა დამასვენებს, ბეჩაო, სულში მჭირს სამი ინარა... იმ პირველს არაგვი ჰქვია, მეორეს არა ჰქვია რა, მესამე დაგუბებული ჭაობი არის მთლიანად...“ დიალოგი მაინც არ წყდება. მას აგრძელებს „დაგვიანებული მეზობარი“, რომელიც ითავსებს რწმენასა და იქვს, დემონურ და ანგელოსურ საწყისთ: „მაგას ნუ იტყვი, მგოსანო, სულში დაბრალი სამყერა, ბოლომდე ელი მოსავალს, მოუსავლობაც არ მჭირა. აკიდოსავით ჭკიდია მცხეთაში ჩემი მარკვენა, რისთვისა მომაპრეს? სიტყვა ვთქვი, სიმპრალთ გადასარნაე... წასული სკობს ეროვნული ბიბლიოთეკა
წამაყალისა, მოდგა სკობია ქველისა... ამალლდება და აღსდგება ტიალი ჭერი ერისა“.

ამ დიალოგსა თუ ტრაგედიაში დრო, ისტორია ბერობთის, კრიზისული ჭრილშია დანახული. პოეტი ამძაფრებს იმ აზრს, რომ კითხვაზე მცდარი პასუხის გაცემა, იმის შეუცნობობა, თუ ჟამი რას ითხოვს, თუ რანი ვართ და რანი უნდა ეიყოთ, სულიერ და ფიზიკურ დღუმეას უდრის: — „გაუძლებ? — ყოჩაღ, ვერა? თუ ვერა, გათავდა, მორჩა. ვენახს ჰგავს, არა? არა, ანწლია, პუტის მაგიერად ქვას მოგაწყვიანან, არა გაქეს ბერი? გაუძლებ? — ყოჩაღ. ვერა? თუ ვერა, გათავდა, მორჩა“.

„რწმენის ედელში“ არის მრავალი ალუზია, ღია თუ ფარული კამათი მიმდინარე მოვლენებთან, თვალსაზრისებთან: „ვერ შემრეყოს ვერავინ რწმენა და შენი ძილი ვერ დამაჯეროს“, და სხვ. სპბას არაკიც ამ თავისებურ ირონიულ-სარკასტული ელერადობისაა. ეპიური თხრობის არსთან შეთამაშებისა და გაზუმრების იერი დაკავაეს სტრიქონებს — „კი, ვირკინია, კი, ვირკინია, მართლა არსებობს სანტა-კლაუსი“, მათი მოულოდნელობითა და თავისებური ალეგიზმით.

ტარიელ ჭანტერია საინტერესო პოეტური ძიებების პოეტია, იგი ხშირად ცდილობს გაიმარჯვოს იქ, სადაც ზოგს დამარცხების ეშინია. მის ლექსი „ავეიტაო. სიცხე. ფიქრი“ ავტორის მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციაზე მიუთითებს. მისი მთავარი წარმტყბანი და გამორჩეული სახის გამოკვეთა დაუკავშირდა ეეოლეკიას წერის „სერიოზული“ მანერისაგან სიცილისაკენ. ამას მეტყველებს მისი ბოლოდროინდელი ლექსების სათაურებიც კი: „ირონიული პარალელი“, „მოვსპოთ განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის (ირონიული)“, „მეოთხე — ირონიული ბალადა“, „გზაზე (ირონიული)“, „ეწერე ხუთობაზ“ და სხვ. მისი ლექსების მთავარი (და არა ერთ-ერთი) ნიშანია ირონია და გროტესკი, რაც საშუალებას აძლევს პოეტს ისახოს მოვლენათა ფართო არე, სპეციფიურად მიგვანიშნოს მაღალ იდეალზე.

„სენტიმენტალური“ ლექსისაგან განსხვავებით, ირონიული ლექსი ძალიან ხშირად უფრო მკაცრია, რადგან ხშირად ისახავს მიზნად დე-ილუზიაციას, ანუ, როგორც პოლ ვალერი ამბობს, ვეთანავისუფლებს ილუზიებისაგან. ასეთია ტ. ჭანტერიის ლექსი „სიყვარული“: „როგორც რკინა, როგორც ალუმინი — ბუნებაში არც სიყვარული მოიძებნება წვინდა სახით. მასაც მუდამ ახლავს მინარევი:

ირაკლი კენჭოშვილი
ირონიულ-პოეტური ვარიაციები

ანუ ეკვი, ანუ უნდობლობა „ანუ შიში, ანუ სინანული, ხოლო ზოგჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, სიძულვილიც კი...“

აქ გავიხსენოთ ო. უაილდის „რედინგის ციხის“ ბალადა. გალაკტიონის „ედგარი მესამედ“ — შეუჯარებულთა შორის საშინელი მესამის აღმოჩენა და ჰემინგუეის სანტიაგოს ბრძოლა დიდ თევზთან — თავის „ღვიძლ ძმასთან“ და „სისხლ-ხორცთან“...

პოეზიის ეროვნული და სოციალური ფუნქციის შესრულებისათვის ბრძოლა სხვადასხვა თვალსაზრისებთან, ცხოვრების წესის სხვადასხვა გააზრებათა შეფასებას ნიშნავს. ტ. ჭანტურიას პოემაში „თქვლეფის მოყვარული“ („ნინიკი მესამე — კვან ბერიკა“) ხოტბას ასხამს თავის ქვენა „ზნეობას“; მისი „არხეინი“ კილო, მედიდურობის მიუხედავად, განპირობებულია „თქვლეფის ფილოსოფიაზე“ საპირისპირო თვალსაზრისის გათვალისწინებით; ეს კილო გამქიცხავ სიცილს იწვევს, რადგან ყოველგვარი ბინძური საქმიანობის შეუფერებელ კილოზე თხრობა ირონიის ან პაროდიის ხერხია: „ჩვენ ვართ ღორები. გვიყვარს ლაფარო, ტალახი, წვიერ, მოთხვრილი ვარცლი. ჩვენ ვართ ღორები და სალაფავის თქვლეფს ერთმანეთს არასდროს ვაცლით. ...მე ჩემი გოჯი ჭამაში მჯობდა, მე კიდევ ჩემს გოჯს ჭამაში ეკუბდი. გვიყვარს მეზობლის ღობეში ძვრომა...“ და სხვ.

პოეტური აზრის კომიკურ ყალიბში მოქცევა პოეტის გარესამყაროსთან კავშირის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ტ. ჭანტურიას კომიზმზე დამყარებული ლექსების მიზანი როდი არის ცხოვრების ირონიული გაუცხოვება, როცა სამყარო განიცდება აბსურდულ „ხუმრობად“ ადამიანის მიმართ. მისი ლექსების კომიკური ფორმა მორალისტურ, ჰუმანისტურ იდეას შეიცავს: ასეთია ფარული ირონიის, „ანტი-პოეტური“, „ანტი რომანტიკული“ თემის ფუნქცია ლექსში „დაკვირვება ბაღლინჯოზე“: „ბაღლინჯო ხშირად ჩგონიათ ჩქედარი, მაგრამ იშოვის თუ არა სისხლს — გამოკოცლდება, გაიტეკნება, გაუშოდება, გაღაღადდება მაშინვე, როცა სისხლს იშოვის და დანაყრდება. ბაღლინჯო ხშირად სულ ტყუილად ჩგონიათ მკედარი“. ეს ლექსი ემყარება იმ ძველსვე, რომ პოეზია სხვადასხვა ფორმის დაფიქრებია ცხოვრებაზე.

სიტყვიერი და სასაუბრო ენისადმი ახალი მიმართების ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა ტ. ჭანტურიას პოემაში „ღიმილ-ბერიკა“ გამოხატულებას პოულობს იმ მხრივ, რომ ფართოდ არის გამოყენებული როგორც სალიტერატურო ენა, ასევე — დიალექტიზმები, როგორც პოეტიზმები, როგორც მონოლოგური, ასევე დიალოგური და ტრიალოგური თხრობა. პოემის ერთი ნაწყვეტში დასძენი საკითხი — „ღალატის გამოსარკვევად“ — ირგვლივ თავმოყრილია სხვადასხვა ადამიანთა თვალსაზრისი: კვან-ბერიკას თავისი ცოლის გამოსაცდელად „ხალბიანსა, მითომ უცხოსა, მითომ სხვა“ ეგონა ვინი დედაკაცი დაუშვირებია და გამქცეულ წასულა! ფეფელა რომ შინ მიბრუნებულა, მითომც არაფერიაო, სულ ღიღინ-ღიღინით ურეკია ჯამ-ჭურჭელი. მითომც არა მომხდარა რაო, ქა! ირმის ნახტომზე ქმარი შინ მისულა. მჯდარა ბუხართან და თურქე ელოდებაიან, მეტყვის თუ არა თავის შერცხვენასაო! აბა, მეტყვის თუ არაო! შენ როგორა ფიქრობ, ქალო ქეთი, ეტყოდა?!... — თუ არ ეტყოდა, მოღალატე იქნებოდა! — მითომ რათაო, მისი კაცი არ იყო, რა? — გგ სულ ერთია, მაინც მოღალატე იქნებოდა, — თუკი ეტყოდა? — მაშინ, — არა, — მჯერდა, შენ როგორ ფიქრობ, ეტყოდა? — რავი, ქა!“ აქ თვითონ პოეტის „მე“ არ ჩანს: პოეტს არ სურს მოახდინოს რომელმე თვალსაზრისის აბსოლუტიზაცია და მაინ სიმრავლესა და სუბიექტურობაში ამკვიდრებს სიცილნარევ პოეტიზმს.

ტ. ჭანტურიას გაბედულება ფორმის სფეროში (ზოგის აზრით, ჭარბიც კი), აშკარა უნდობლობა სტერეოტიპული სახეებისადმი მოწმობს იმ ეტაპზე, რომ ადამიანებმა ვერ ამოიცნეს ეს ეტაპი, ანუ ეს ეტაპი ადამიანებმა ვერ ამოიცნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა და ანალიტიკური სტილის ოსტატია. მისთვის დამახასიათებელია მდიტაციური საწყისი, ფართო განზოგადებანი. იგი თამამად არღვევს პოეზის „ეანრული ესთეტიკას“, რითაც უახლოვდება გროტესკულ სტილს. იგი არ მისდევს ლირიკული თუ ეპიური მთლიანობის პრინციპს და უკავშირებს ერთმანეთს სპარისპირო საწყისებს, სხვადასხვა დროის მასალას, „პოეტურ“ და „პროზაულ“ სიტყვებს, მითსა და ისტორიას. პოემაში „თიხის სამი ფირფიტა“ გამოლიანებულია გილგამეშის მითოსი და თანამედროვე მასალა, ნატურალისტური დეტალები და პოეტური სენტენციები. შორეულისა და ახლოსელის, წარსულისა და თანამედროვეობის დაკავშირებასა და მათზე პარალელურად სუბპარში ჩაშარხულია ისტორიაში მუდმივად მოქმედი უარყოფის კანონის განცდაც, რაც თავის თავში ირონიას შეიცავს.

ო. ჭილაძის პოეზიაში გმირის ბიოგრაფია, სიუჟეტი, თითქოს ხელიდან სსლტება, თვითგამოხატვა, დროისა და ადგილის ერთთანობის პრინციპი თითქმის აღოგიზმს აღწევს, ვინაიდან პოეტის მიზანია არა მხოლოდ კონკრეტული მოვლენა, არამედ მოკლენაა ჩვენება „ზედროიული სქემით“ (ო. მანი). ასეთ შინაარსს იღებს პოეზის კონტექსტში ამგვარი მსჯელობანი: „ნუთუ ეერასდროს ვერ მოერევა და ვერ განდევნის ბორტს კეთილი. თუ სიკეთეა სულის საწყისი, ვიღას ჰპრდება ამდენი სიხსლი... ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია, მაგრამ აქამდე ვერ უპოვია საბრალოს თავი, და გადის მისი მოკლე ცხოვრება შურში, მტრობაში და სიძულვილში...“

ო. ჭილაძისათვის მთავარია ადამიანის ზედროისა და მისი წელობის პრობლემა, რომლის განსაკისის ფართოდ მიმართავს დროის საკითხს. ეს ბუნებრივიეცა, რადგან „ადამიანის რაობის საკითხი მეიდროდ არის დაკავშირებული დროის რაობის გაგზრებასთან. საკუთარი „მე“-ობის შეცნობას დაკარგული დროის ძიებამდე მივყავართ“ (ჰ. მეიერჰოფი, „დრო ლიტერატურაში“). ო. ჭილაძისათვის ისტორიაში, დროის მარშში მთავარია პერმანენტული. ეპოქათა გადაგნული სხვაობათა მიღმა იგი უფრო საგულისხმო იგიგეთას ამჩნევს: „რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე, ბეერჯერ მომხდარა დიდი ხნის წინათ“, „ხვალ, შეიძლება, განსაზღვეს ისვე, რაც დღეს საოცრად ძველი ეაევ“ („თიხის სამი ფირფიტა“). „სიყვარულის პოემაში“ თხრობას ეერდიკასა და ორფეოსის ამბისა დროდადრო ცვლის თანამედროვე ამბები. ეს ისტორიის გროტესკულ-ირონიული ეკვეტა», რომელიც აღმოაჩენს, რომ ორფეოსის — „დიდი ეჩნაბის ლანი“ დღესაც ჩვენს შორის (ეოცხლობს და დადის“. თანამედროვე ქალაქში ორტემიდი „შემოდის, იგი „ფოთლებში მალავს მავთულხლართებზე დახვეულ ძეძეს... ბოლო ამური ეკლავ დასაჯითხად მოპკავთ ჯალათებს და მისი თრთოლვით სავსე ბარათებს ეუწოებენ ცხვირწინ...“

ისტორიის ირონიის განცდა დამახასიათებელია თანამედროვე ლიტერატურისათვის. ისტორიის ასეთი აღქმა სხვადასხვა ფორმებს ღებულობს მ. მაჭავარიანის („ეახტანგი“), გ. გეგეჭკორის („სეზამ, გაიღე“ და „მზიანი დღე“), ი. კეტანიშვილის („მწვანე აფრები“) ნაწარმოებებში. ისტორიული პროცესის შესახებ ენგელსი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ისტორია სულ უფრო ირონიული ხდება.

ენგელსი წერს: «Люди хвалившиеся тем, что сделали революцию, всегда убеждались на другой день, что они не знали, что делали, — что сделанная революция совсем не похожа на ту, которую они хотели сделать. Это то, что Гегель называл иронией истории, той иронией, которой избегали не многие исторические деятели». (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч , т. 36, стр. 263); «Что значит крохи нашего остроумия по сравнению с гигантским юмором, который прокладывает себе путь в историческом развитии» (К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXIX, стр. 83).

მძაფრი ლირიზმი, დიდი ეთიკური პათოსი, გეღწრფელობა და უშუალობა, ნთელი და სადა სტილი — ასეთია ზოთა ნიშნანიძის პოეზიის თავკერი თვისებები. იგი ტრადიციის გამგრძელებელი უფროა, ვიდრე ახალი გზის მაძიებელი. მისი ლექსების სიახლე უშუალო წარსული პოეტური სკოლის განვითარებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე მისდამი რეაქციის გამოვლინებას. ამ თვისებამ მისი სტიქონები — „ფუძის ანგელოსო, ჭერის ანგელოსო, კალთა დაგელოცოს, ფრთები დაგელოცოს, დიდი მეუფეროვნა, დიდი იმედება ისევ გიიმეტე როგორც იმეტებდი... მუდამ გამოთენე დილა დილეთთი...“ — ზედმეტადაც კი მიიმბაგვსა ნაცნობ მუსიკას: „მზეო თიბათვის, მზეო თიბათვის, ლოცვად მუხლმოყრილი ვრაალს შევდრები. იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები!.. დილა გაუთენეს ისევ ცეერადან...“

შ. ნიშნანიძის ფილოსოფიური ლექსი „სიჩუმე“ პოეტური შედევრია, რომელშიც პოეტი, გალაკტიონისა და მისი წინამორბედთა კვალად, დღიურ პროზასა და ციური ეფემერებს შორის კონტრასტს უპირისპირებს „მესამე სამყაროს“. სულიერ დისკომფორტს, ეერძოდ, დუმილის სიბრძნეს: „...მიდდა სიჩუმე, სიჩუმე

ირაკლი კეკენაშვილი
ირონიულ-კოტეტური ვარიაციები

სრული, სიჩუმე არა მოშვებული ლულის, — სიჩუმე, როგორც დიდი სიკეთე, დიდი სიმშვიდე და სიმყუდროვე... ო, ცაო, ცაო, ნუ დაიშურავ, საზრდოდ მომეცი დიდი სიჩუმე — სიჩუმე ჭკვიტის, ფიქრის, ამოხსნის, სიჩუმე შექმნის და მოლოდინის...“ ეს ლექსი განსაკუთრებულად მოწმობს, როგორენ დიდ პოტენციის მქონეა მისი ავტორი.

ძვირფასია ნიშნაინიის სულიერი კრთომა და მისი პოეტური პათოსი: „რად უნდა მშურდეს მე, დღეს პირშუოს, ქეელთა წარმართთა თუ ქრისტიანთა?.. სკობია ისევ ღვთის შიში მქონდეს, ვიდრე უღმერთო ადამიანთა“.

შ. ნიშნიანიძის პოემის „აქლეკვსის ქუსლი და ფარი“ ნაწყვეტები ახლებურად აკლენენ ავტორის ნიჭს, მაგრამ თან მოწმობენ, რომ ტრადიციული პოემის შესაძლებლობები თანამედროვე მასალებისადმი ერთთან შეზიდულია.

შ. ნიშნიანიძის პოეტურ „მეჩ“-ში მოცემულია ანტი-„მგოსნური“, დეკადენტიაციით, ირონიული პათოსით ალბეკდილი ლექსის შესაძლებლობებიც. „მეგობრობის ფილოსოფიის“ ირონიული განსაკა მისი შემდეგი ლექსი: „როგორაკი შევიძენდი ერთ მეგობარს, მაშინვე ეკარგავდი რამდენიმეს. არ მეყო ჭკუა და ეშმაკობა და ყველა ოიგრიგაგდ გამეერიდა... ცოტა შეეძინე, ბევრი დაკარგე. აი, მეგობრობის მთელი ავ-კარგი.“

ეიმედოვნებ, რომ შ. ნიშნიანიძის ლექსების ერეკელი კრებული „მზე შენს ტარზე“ არა განვლილი პოეტური გზის თავისებური შეჯამებაა, არამედ ახალი გზის მომასწავებელიც.

ე. კეტანიშვილის ლექსებში მკეეთრად არის გამოკვეთილი მორალური პრობლემატიკა, რომელსაც არსებითად ექვემდებარება ნატურალისტური თუ ხდეითი საწყისის ასახვაც. ეს კარგად ჩანს ლირიკული პოემის „მწვანე ფრენის“ შემდეგ სტრიქონებში. „ეუდამ მიკერდა და ახლაც მიკერს ქვეს ოგორო ბუროვეს ბალახი მწვანე, რატომ იდგამენ ეკლიან ვეერგვინს ერთნი და მშვიდად არიან სხვანი“. „მწვანე ფრენებში“ აშკარად ოგრძნობა პოეტური რაციონალიზმი, ოგრძნობა პოეტს სათქმელი და მიზანი; აქ დასმეულია ადამიანის მოღაწეობის ბედის პრობლემა, რაც დაკავშირებულია დროის შეცნობასთან. ეს ისეთი საკითხია, როცა უპირველესი მიზანია არა ემოციები, არა „გულის ანუყება“, ოიამედ ის, რომ მეტაფორიული, ემოციური ხატი ავტორის სათქმელის, რაციონალური საწყისის პოეტურ გაგებას უნდა წარმოადგენდეს. ამ გზას თანმიმდევრულად მისდევს ე. კეტანიშვილი. „მწვანე ფრენის“ ერთ თავში — „დრო ვერას აკლებს“ — გამიჯნულია დრო ქრონოლოგიური, რაოდენობრივი და დრო განცდილი, თვისობრივი. პოეტი მიმართავს „დრო — მეინარეს“ ტრადიციულ სიმბოლოს: „დრო ოგრაგნება, — უზარმაზარი ლურჯი მეინარე... მარადისობის არ წუდება ხაზი — ან ეცალება მეინარეს ფერი. თითქოს ეარეკ ფაზერის, მიცურავს ნელა და ატიეტეეეს ბენეტ ხლებს, ვერცხლისფერ ანგელს; ყველაფერს, ყველას ნთქავს და არყოფნის ბურუსში ახვევს“, პოეტმა წარმოადგენს ერთ მთლიან დაკვირვებას დროის პოზიტურ და ნეგატურ მხარეებზე.

მწარე ირონია გასდევს ხაზად ე. კეტანიშვილის ლექსს „დონ კიხოტის მონოლოგი“, რომელშიც დონ კიხოტური სიბრიყვის ამოლოგია გამართულებული ამ საწყისის ორაზროვანებით, მასში ღრმად ჩამარხული სპარისისერო შინაარსით: იგი ითავსებს უმაღლეს სიბრძნესაც, რის წყალობითაც სიბრიყვის ქება, გაბგენულად კომიკური ფესტი, ინსკვალება ტრაგიზმამდი მისული სედეთი: „არ მსურს ეიცოდე — ინა ხდება ირგვლივ, არ მინდა ქვეყნის ხმაური მღლიდეს, თავს არ ეემდური და ეცხოვრობ ასე, ვიქნები ასე, ენაოვლობ ალარას, ჯერ კიდევ მშვენის და ძეირად ფასობს, სიბრიყვე ჩემი, ჩემს გასახარად... ნუ შემიკოდეს ნურვინ, ავიტან, არ მეშინია ტანჯვის და გვემის; არ მიმპოვეეს, ვიცი, წამითაც, — ყველგან დამიცავს სიბრიყვე ჩემი“.

ლექსში „რაინდი საკომისიო მაღაზიის ვიტრინაში“, ვიტრინაში „გაუქმებული საათის გვერდით“ დგას რაინდი; ამაოდ ფხიზლობს მისი ბრინჯაოს დაშნა — მისგან „ეამოსარჩლებას არავინ ითხოვს“; ეს დაცემაა რაინდისა, კომიკური სიტუაციაში ჩავარდნილი, მაგრამ იქვე ისევ მაღლდება იგი: „და თუ ოდესმე ჭეშენოს დანებდით, ის გაღღეკრძალებთ მაღალი ჭილთ“... „ასწეკეს მარჯვენას ხმელს და ძარღვანს, რომ ქვის კიბიდან გაჭრეს ჩვენება, რომ ეეროსოდეს ვერ დაარღვიოს თქვენი სიშვიდე და განსვენება“. ე. კეტანიშვილის პოეტური ძიებები ბევრ საინტერესოს გვპირდება.

მორის ფოცხიშვილის ზოგი ლექსის სიავკარგე ტრადიციულ ფორგლებშია მოქცეული. ზოგისაც — ამ ფარგლებს გარეთ. ზოგ ლექსში შეიმჩნევა სწრაფვა „ინტიმაოსნერი“ ლექსისადმი; ასეთია „გამოთხოვება“, რომელშიც მოკალაკეობრივი პათოსი სარკასტულ კილოზე ყოფრს; ეი, ამ ლექსის ფინალი: „რა თავში იხლი რაინდობას, დიდებას, სანჩო. რამდენიც გინდა, იმდენი ხორაგი, სარჩო. უნდა დაგშორდე. დონ-კიხოტი ვის რად სჭირდა! შენ ერთიც კარგად გაუძღვები ამ სოფელს, სანჩო“ ლექსში „კომედიანტის ბალადა“ პოეტი უპირისპირდება იმ კომედიური ვითარებას, რომ ადამიანი თუ ადამიანთა ერთობლიობა. მისთვის, შეუფერებელ სამქმეს განაგებს; ნიღაბს ამოფარებული ადამიანი ისე შეჩვეულა ნიღაბს, რომ იგი თავისი ნამდვილი სახე ჰგონია და „მაშინ „ძველ ცისრნი ჯდება ვიღაც დებილი და ბრძენ დიოგენს ესსახიერებს“. პოეტი საგნებს თავის

შესაფერის სახელს არქმევს და კითხულობს: „როდის დასრულდება, როდის დასრულდება. როდის დასრულდება ეს კომედია“.პოეტი კი არ „მღერის“, არამედ გროტესკულ სერთის ქმნის. აჰნნეკეს, რომ „უშმა ქალეკობს“ და სვამს კითხვას: „რომ შეიძლებოდეს სცენაზე ერთად კომედიანტების შეკრება, — ბევრი დარჩებოდა დარბაზში, ნეტა?!“ ლექსში „ლაზარეროს გამბატი“ ცხოვრების სცენა ჯამბაზია ამპარეზად ჩანს. სინამდვილის გროტესკული ჩატი კრიზისულ წერტილამდეა მიყვანილი, როცა აღმოჩნდება, რომ „ირის უთუოდ რაღაც მსგავსება ამ ჯადოქარსა და ამ ჯადოქარს შორის. ჩვენ რომ ვთამაშობთ ყოველთვის, ყველგან“. მსგავსი კომედიური განწყობილებებია ლექსებში „პარადოქსი № 1“, „მომთვინიერებელი“. „ავსტრალიური კაკადუ“, რომელშიც პოეტი გვიჩვენებს „თუთიყუშთა“ ადამიანების „ფილოსოფიას“. ეფექრობთ, რომ მ. ფოცხიშვილის ლექსებში კიდევ უფრო გაიზრდება „ანტიმგოსნური“ სტილის ხვედრითი წონა.

ორიოდე წელია, რაც ყურადღება მიიპყრო ბესიკ ხარანაულმა. მას აქვს რამდენიმე ძლიერი ლექსი და ბრწყინვალე სტრიქონები. მის ლექსში არის ფარული ირონია, სწრაფვა უხილავის გაცხადებისაკენ, რაც არ მომდინარეობს პოეტური პოზისაგან. მის ლექსებს ახასიათებს პოეზიის სფერის ფართო გაგება; ზოგჯერ მისი ლექსი საკმაოდ ახლოსაა პროზის ზღვართან და სწორედ ამ სახეფასთო ზონაში ამკვიდრებს პოეტურ ეფექტს. მისი რამდენიმე ლექსი ირონიის დახვეწილ ფორმას ემყარება. ბარმონიული სურათის ჭვრეტას ირონიის პოზიციიდან წარმოადგენს მისი ლექსის შემდეგი ნაწყვეტი: „ერთი შეხედე: შენი ცოლი და დედაშენი მტრებივით დამსხდარან, ერთმანეთის წრიალ ფეხსაცმელებს მისჩერებიან, ერთი შეხედე: საგნებს შორისაც, რომლებთანაც შენ ცხოვრობდი, ბარმონია დამყარებულა. და ეს იმიტომ! რომ შენ წუეხარ შუა ოთახში ჩაცდარი!“ ეროლექსში პოეტი აკვირდება თავის სულიერ მშფოთვარებას. აჰნნეკეს, რომ სული გამოხმობას ამირებს სხეულის ყველა ეუფუტანიდან, სულიერი ჰარმონია დარღვეულია. მისი ადგილი იქნება შეიძლება კიდეც, მაგრამ აქ ფიქსირებულია საშინელი მეფისტოფელური სიცილი: „ხალო ის, ვისაც შეუქლია ყველაფრის დაშოშმინება ქუჩის კუთხეში დგას და ხითხითებს, დასცინის ჩვენს მოუთმენლობას“. წინსელის საბოლოო მიზნისაკენ სწრაფვის მოტივთა თავისებურ ირონიულ ანალიზს წარმოადგენს შემდეგი ფილოსოფიური ლირიკის ჟანრული ლექსი: „არა იმიტომ ვამბობ მე „წინ“, რომ იქ რაღაც აღმოვაჩინე, არამედ, ღმერთო, მეშინია უკან მიხედვის, რადგანაც იქ, იმ წარსულში, იმ თეთრ გორაზე, თრთოლვით დაფარულ ჯაგებს შორის, დამსხდარან ისინი; მელა — ლეკვებიანი, ყველმოხატული, და მგელი, მგელი, მოშლოდინე, როგორც ისარი“. ლექსები „მედამ, ყოველთვის“, „ფრაგმენტი“ და „დღევანდელ დღეს“ კომიკური ტერფთის მეტად ფარულ ფორმებს ემყარება, მათი გაშიფრვა გარკვეულ ძქემატიზმს გამოიწვევდა.

უ. ბ. ეიტსმა პოსტ-სიმბოლისტური თაობის მიზანი ასე განსაზღვრა: „ჩვენ გვსურდა გავთავისუფლებულიყვნი არა მხოლოდ რიტორიზმისა, არამედ პოეტური კილოსაგანაც“. ასეთი იყო მიზანი გვიანდელი გალაკტიონისაც. ამ „დე-პოეტიზაციის“ ამოცანას ახორციელებს, დღევანდელი ქართული ლექსიც, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა განვიხილოთ ცრუ რომანტიკულობას, ანუ „ზეშთაგონების პოზას“ და პოეტური „ბახელების“ სიჭარბეს. ეს არის მარადიული და ყოველდღიური პრობლემატიკისადმი მეტი მიახლოებისა და ეპოქის სტილის, მოპოვების გზა. ზოგის აზრით (მაგ. ამერიკელ კრიტიკოსი ბერნს სლოუტი), „პოეტიზმის“ დაძლევის მიზანია „სულის ტრადიციული თაყვანისცემის შეცვლა გონების თაყვანისცემით“. მაგრამ არა! იცვლება მხოლოდ გზა სულის თაყვანისცემისა.

ენგბამ — ინტელექტუალური პროზა (როცა გულისხმობენ ჯოისს, თ. მანს, ა. ჟიდს, პესეს და სხვ.) გარკვეული აღიარება მოიპოვა; უფრო ეტვის თვალით უყურებენ ინტელექტუალური პოეზიის ენგბას. ეს ეტვი, შეიძლება, გამართლებულიც იყოს. პოეზიის მიმართ იქნება უფრო გამართლებულია, თუ დავადგენთ რისკენ არის ორიენტირებული ამა თუ იმ ტიპის ლექსი — გულისა თუ გონებისაკენ, თუმცა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პირობითი, კრიტიკოსის სამუშაო ხერხია, რამდენადმე ზედმეტად ლოგიზირებული და სქემატირეა კი, მაგრამ ზოგჯერ მაინც საჭირო. ინტიკური კომიკური ლექსის მიმოხილვისას კ. კრაუზე წერს: „ანტიკური იუმორის უკვდავი ნიმუშების მიმოხილვისას საჭიროა აღნიშნოს, რომ ყოველ ნიმუშში გონიერება და ზუსტი დაკვირვება უფრო გამოსჭვივის, ვიდრე გული“ („ანტიკური იუმორი“). ჩვენი აზრით, იგივე თავისებურება ჭარბად შეიმჩნევა დღევანდელ ქართულ ლექსში და, როგორც ჩანს, ეს მისი პერსპექტიული გზაა.

რომანტიკული ტრანსის დაძლევის ნიშნით აღბეჭდილი ლექსები ამჩადებენ ქართული ლექსის უახლოეს მომავალს. ზეშთაგონების მანერით არა ერთი დიდი პოეტური ნაწარმოები შექმნილა, მაგრამ დგება ამ მანერაზე ხელის-

ირაკლი კეკენოვლელი
ირონიულ-პოეტური ვარიაციები

აღების დრო შედარებით ფორმალური მანერისაგან უფრო სადა, პირდაპირი, მაგრამ რთული თქმისაკენ, პოეტის ორიენტაცია მკითხველის არა იმდენად (ან არა უპირველესად) გულისაკენ, რამდენადაც გონიერებისაკენ — ასეთია ჩვენი საუკუნის პოეტური ხელოვნების მთავარი გეზი, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება პოეტურ დიქციაში არის ირონიული, ცინიკური, „მეცნიერული“ ტონალობა.

ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს თითქოს ანტირომანტიზმს და ნეოკლასიციზმს ვქადაგებთ. თვით თანამედროვე ხელოვნების ირონიულობის გაგებაშიც ჩვენ თ. მანნთან და ბრეჭტთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ორტეგა-იგასეტთან. ჩვენ, უბრალოდ, ხაზს ეუსვამთ ცრუ-რომანტიზმს, სენტიმენტალობის, ტრადიციის დოგმად ქცევის საშიშროებას, პოეზიის სფეროს გაფართოებისა და ახალი პოეტური ხელოვნებისა და ტრადიციის დამკვიდრების აუცილებლობას.

სხვა პოეტური ეპოქების მსგავსად, დღევანდელმა ქართულმა ლექსმაც ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ფაქტს, რომ გარკვეული პოეტური ტრადიცია ან მისი გარკვეული ნიშნები უნდა დამთავრდეს იქ, სადაც მათი შემდგომი განვითარება შეუძლებელია. პოეზიას არ შეუძლია რელიგიასავით მიიჩნიოს, რომ მას ხელთ აქვს ჭეშმარიტების გამოთქმის ან სინამდვილის ასახვის მყარი და უცვლელი კანონიკური სისტემა. უნდა გვახსოვდეს, რომ პოეზია უფრო მეტია, ვიდრე პოეტურობა და ექსტაზი.

ჩვენი დღეების ქართული ლექსი ისევე უნდა იყოს აღბეჭდილი თანამედროვეობის დღით, როგორც წარსულის დიდი პოეზია აზროვნებდა თავის ეპოქის კულტურის შინაარსის შესატყვისი ფორმებით.

მე მეჩვენება, რომ ჩვენს პოეტურ ასპარეზზე მგოსნისა და ტრიბუნის გვერდით ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს არლეკინიც, რომლის ეულში ათასნაირი გრძნობა ირევა, მაგრამ ის მაინც იღიმის, რადგანაც სწამს, რომ ჭეშმარიტება სიცილშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ღორთქიფანიძე

საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს*

გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის პირველი წიგნი[1].

საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის გამოცემა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში. ეს უნდა იყოს ჩვენი ეროვნული ისტორიის ცალკეული ეპოქებისა და უმთავრესი პრობლემებისადმი მიძღვნილი ნარკვევები, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული ხალხის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური ისტორია და კულტურა. აქ უნდა შეჯამდეს საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის უმთავრესი შედეგები და დაისახოს ახალი პერსპექტივები შემდგომი, კიდევ უფრო ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

„ნარკვევების" I ტომში წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. ჩვენი ისტორიის ამ ფერეული ეტაპის ამსახველი წიგნი ავტორთა კოლექტივის შემოქმედების ნაყოფია და ეს სრულიად ბუნებრივია: მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე მხოლოდ ერთი ავტორი ვერ იტვირთავს ასეთი რთული ამოცანის შესრულებას. ამიტომ ვერც მე გავბედავ მთელი წიგნის შეფასებას და მხოლოდ იმ ზოგიერთი საკითხის შესახებ მოგახსენებთ ჩემს შთაბეჭდილებას, რომელშიც ჩემი მეცნიერული ინტერესების გამო უფრო ჩაზედული ვარ. ესაა წიგნის XV თავი — „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა" (ავტორი —საქართველოს მეც. აკად. წეფერ-კორესპონდენტი პროფ. ა. ფფაქიძე), რომლის მოცულობაც საკმაოდ სოლიდური ოდენობისაა (გვ. 661-783).

1. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, **რომ განსახილველი** წიგნის ეს **ნაწილი** ინსტიტუტში ახალი არ შეიცავს და ხშირ შემთხვევაში **სიტყვასიტყვით** გამეორებაა იმისა, რაც ამ ათიოდე წლის წინათ გამოქვეყნა პროფ. ა. ფფაქიძემ თავის სადოქტორო დისერტაციაში[2] (და ნაწილობრივ უფრო ადრე „საქართველოს არქეოლოგიის" სახელმძღვანელოში), მაგრამ დასახელებულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, ე. ი. ქართლის სამეფოს (იბერიის) კულტურა და ისიც უპირატესად მცხეთის მაგალითზე. ამჯერად კი წიგნში მთლიანად ძველი საქართველოს (ე. ი. აგრეთვე კოლხეთის) კულტურა უნდა ყოფილიყო დახასიათებული. სამწუხაროდ, სწორედ ძველი კოლხეთის უაღრესად თავისთავადი და მრავალმხრივ საინტერესო კულტურული მემკვიდრეობა, დღეს **რომ საკმაოდ** მკაფიოდაა წარმოჩენილი არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით, ამ წიგნში წარმოდგენილია ძალიან მკრთალად (საქმეს ვერ შველის მხოლოდ დასახელება ეგეოგრაფიული პუნქტებისა: ბანძა, ჩხორაწყუ, ბორი.

---

* ითქვა საქართველოს მეც. აკად. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ა. წ. 27 მაისს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" V და I ტომების საჯარო განხილვისას.

1 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1970.

2 იხ. ა. ფფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I. თბილისი. 1963.

კლდეეთი[3] და ა. შ.), ამასთან დამძიმებულია შეცდომებით, ისევე როგორც ის ნაწილებიც, რომელიც ადმოსავლეთ საქართველოს შეეხება. ამიტომაც ვერაა ჯეროვან და დამაკმაყოფილებელ დონეზე გადაჭრილი განსახილველი წყვნის ძირითადი ამოცანა: ერთიანან ასპექტში განხილვა ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის კულტურული განვითარებისა. ხოლო ის რაკაა, განხილულია საკმაოდ უსისტემოდ და ცალეული ნაწილები მეტწილად ხელოვნურად შეკოწიწებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითისათვის საკმარისია დაკახსენოთ თ. XV, §2 (გვ. 683 და შემდ): „სამართა ტაბები და დაკრძალეის წესები ანტიკური ხანის საქართველოში“. არსებითად სამართთა ყველა ტიპი მცხეთის არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვითაა განსაზღვრული (შდრ. გვ. 683 და „ქალაქები“... გვ. 85). ამასთან ძვ. წ. V-IV სს კოლხეთისათვის დამახასიათებელ სამართთა ზოგიერთი სახეობაც კი (მაგ. ხის სარკოფაგები) არაა ცალკე გამოყოფილი და ისინი მცხეთის მაგალითზე ადრე შემოუვლია ბელ სქემასთანაა მიტმასნებული. იხ. გვ. 685: „...ვაწმი 1961 და 1969 წ.წ. **ვათხრილი სამარხები** (როგორც ადრე შემთხვევით აღმოჩენილი არა ერთი სხვა), გარკვეული პირობით შეიძლება ორმოსამარხად მივიჩნიოთ“. მაგრამ ვერც ერთი არქეოლოგი ვერავითარი პირობით ამ სამარხებს (ისევე, როგორც ითხვისში აღმოჩენილებს) „ორმოსამარხებად“ **ვერ მიიჩნევს** იმიტომ, რომ აქ საქმე გვაქვს ხის სარკოფაგებთან, რომლებიც კლდოვან დედაქანში ნაკვეთ ბუდეშია ჩადგმული და ზემოდან ქვაყრილითაა დფარული. საერთოდ კი უნდა თქვეს, რომ დასავეთი საქართველოდან მხოლოდ ვანი და ბრილია დასახელებული და სიტყვაც არაა თქმული ისეთი საინტერესო სამაროვნების შესახებ, როგორიცაა: ითხვისის, სოხუმის მთისა და გუად-იხუს, ქობულეთფიქშენარის, ძეგრის და სხვ. ნაკლია ისიც, რომ სამარხთა ტიპების და დაკრძალვის წესების დახასიათება არ პასუხობს კვლევის თანამედროვე დონეს. აქ მხოლოდ დასახელებულია სამარხის სახეობა და ჩამოთვლილია ინვენტარი ისე, რომ სამარხთა ცალეული ტიპების გეოგრაფიული გავრცელების არეალიც კი არაა ყოველთვის აღნიშნული. ამიტომაც მეთხეველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამარხის ესა თუ ის სახეობა (ვთქვათ, კრამიტსამარხი ან ქვევრსამარხი და სხვ.) თანაბრადაა დამახასიათებელი მთელი საქართველოსათვის.

[3] ეს ორი უკანასკნელად დასახელებული პუნქტიც (ბორი, კლდეეთი) სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ახ. წ. პირველ საუკუნეებში ქართლის სამეფოს ადმინისტრაციულ ცენტრებადაა მიჩნეული — შდრ. „ნარკვევები“ I, გვ. 527-528 (იქვე დასახ. ლიტ.).

2. განსახილველი წიგნის ჩვენთვის ამ[illegible] საინტერესო ნაწილში (თ. XV) ზოგიერ[illegible] თხვევაში უფუფუნებელია ნივთიერი კულტურის ძეგლთა გაანალიზება **ისტორიულ-ეთნოლოგიური** პრინციპი. ასე, მაგალითად, მოსალოდნელი იყო, ნივთიერი კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მეთუნეობა, ოქრომჭედლობა და ა. შ. წიგნში დახასიათებული იქნებოდა ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოების მიხედვით (თუნდაც ჩვენს არქეოლოგიურ ლიტერატურაში შემუშავებული პეიოდიზაციის მიხედვით: I — ძვ. წ. VI-IV სს ანუ ე. წ. ადრეანტიკური ხანა; II — ძვ. წ. III-I სს — ელინისტური პეიოდი და ა. შ.) და მით ნაჩვენები იქნებოდა თვითეული პეიოდისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-ტიპოლოგიური ნიშნები და მათი განვითარება ანტიკურ პეიოდში. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ავიღოთ თუნდაც თ. XV, § 8 (გვ. 746-755): „მეთუნეობა, ქვითხეროობა, ოქრომჭედლობა და მხატვრული ხელოსნობის სხვა დარგები“. თავდაპირველად მეთუნეობაზეა საუბარი (გვ. 746-749). დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ თითქოს „ამ დროის (სახელდობრ? — ო. ლ.) საოჯახო თიხის ჭურჭელი მკაფიოდ გაირჩევა წინა ხანის (? — ო. ლ.) ნაწარმოებისაგან მოყვანილობით, მრავალსახეობისა და სილამაზის შეზღუდვით“. ამის შემდეგ აღწერილია ე. წ. ალაზნის ველის კერამიკა (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.). მაგრამ ეს კერამიკა ხომ სრულიადაც არ არის ტიპიური ანტიკური ხანის საქართველოს მეთუნეობისათვის? საკითხავია, რა დაშავა ძვ. წ. VI-IV სს. ბრწყინვალე შავპრიალა კოლხურმა კერამიკამ, რომელიც უაღრესად მრავალფეროვანია (ქვევრები და დერგები, ნაირსახოვანი სასმისები, ჯამები და თეფშები, ყურმილიანი დოქები, ბიკონუსური ჭურჭელი და ა. შ.) და მდიდრულადაა მოდამშილი (მრავალფეროვანი გეომეტრიული ორნამენტი, ცხოველთა და ფანტასტიკურ არსებათა ნატეფრი გამოსახულებანი — კოლხური ბრინჯაოს ცულების მორთულობას რომ იმეორებს[4]. ამ კერამიკამ თავისი კოლხური ელეი და თავისთავადობა ძვ. წ. VI-IV სს შეინარჩუნა, ბერძნელთ სამყაროსთან ურთიერთობის ხანაში, აქტიურ მეტოქეობას უწევდა საყოველთაოდ აღიარებულ ბერძნულ კერამიკას და

[4] ეს კერამიკა კარგა ხანია ცნობილია და გამოქვეყნებულია მრავალგზის: Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, გვ. 91 და შემდეგ. **ალ. ჯაფარიძე**, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953, გვ. 69-72, ტაბ. XIV; **ა. ჯაბიძე**, მასალები აღმ. შავიზღვისპირეთის ქალაქების ისტორიისათვის, „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, IV, თბილისი, 1965, გვ. 71-76; სურ. 1-3, ტაბ. II-III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით შეადგენდა ეგსპორტის საგანს, რაც დასტურდება კოლხური კერამიკის ხშირი აღმოჩენებით ჩრდილო შავიზღვისპირეთში... და ამის შესახებ არაფერია თქმული წიგნის იმ ნაწილში, რომელშეც ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა და კერამიკა, მეთუნეობა უნდა იყოს წარმოჩენილი! ასევე არაფერია თქმული იმავდროული აღმოსავლური ქართული თიხის ჭიჭარ-ჭლის შესახებ, თრიალეთის სამაროვნებმა რომ შემოგვინახა.5 ასევე მივეწყვებული ელინისტური ხანის კოლხეთის და იბერიის კერამიკა ვანის ნაქალაქარისა, მცხეთისა და დაბლაგომის ქვევრსამარხების შესწავლით კარგი ხანი რომაა გამომზეურებული. სიტყვაც არ არის თქმული. ადგილობრივ მოხატულ კერამიკაზე, ელინისტური ხანიდან რომაა მრავლად დადასტურებული ვანის, უფლისციხის,7 ხოლო უკანასკნელ წლებში სამადლის ნამოსახლარის გათხრებისას. და ეს მაშინ, როდესაც, ვიმეორებ, ვრცელი მსჯელობაა რატომდაც ალაზნის ველის კერამიკის შესახებ, რომელიც არც ტიპიერია და ამასთან მხოლოდ პირველი საუკუნისთვისაა დამახასიათებელი და ისიც ერთი გარკვეული გეოგრაფიული რაიონისათვის (აღსანიშნავია, რომ წიგნში ანტიკური ხანის კერამიკის სიალუსტრაციოდაც მხოლოდ ალაზნის ველის კერამიკაა მოტანილი: იხ. გვ. 460, 464).

3. წიგნის განსახილველი ნაწილის არსებითი ნაკლია ისიც, რომ ნივთიერი კულტურის ძეგლები არა თუ ისტორიულ-ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით არ არის განხილული, არამედ **მხატვრულ-კულტურული** თვალსაზრისითაც ყოველთვის სწორად არაა შეფასებული. მხატვრული ხელოსნობის დარგების დახასიათებისას გვხვდება მხოლოდ დეკლარაციული განცხადებები: გვ. 750 — „აღნიშნულია ოქროს ნივთების სიმრავლე და შემდეგ, რომ, „...ესაა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის გორასამარხთა კულტურის პოლიქრომიული ტრადიციის თავისებური გამოძახილი ანტიკურ ხელოსნობაში, როდესაც ქართულმა ოქრომჭედლობამ და საერთოდ, მხატვრულმა ხელოვნებამ, მაგალითალი, განიცადა ე. წ. აქემენიდური წარჩინებული ელინისტურ-რომაული ხელოვნების ძლერი გავლენა, მაგრამ თავი შემოინახა როგორც მკვიდრ ნიადაგზე ორგანულად განვითარებულმა და დახვეწულმა, ქართული მხატვრული ხელოსნობის ძველი ტრადიციების შესაბამისმა ხელოვნებამ“. სამწუხაროდ, წიგნში მოტანილი არაა კონკრეტული მასალა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებების სალუსტრაციოდ: არაა მეტ-ნაკლებად ჯეროვნად დახასიათებული ქართული ოქრომჭედლობის (და საერთოდ მხატვრული ხელოსნობის) არც ერთი ნიმუში, არაა ნაჩვენები მხატვრულ-ტიპოლოგიური ნიშნები, განვითარების ხაზი და ა. შ. შესაბამისად არც ისაა ნათქვამი, სახელდობრ, რა მიაჩნია ავტორს „აქემენიდური წრის და ელინისტურ-რომაული ხელოვნების ძლერი გავლენის“ მაუწყებლად. სამწუხ ვერ შეელის ვერც 750-ე გვერდზე დასახელებული ლიტერატურა და ვერც ოქრომჭედლობის ტექნიკური ხერხების ჩამოთვლა. დამახასიათებელია მსჯელობა 686-ე გვერდზე (იხ. აგრეთვე გვ. 781) ვანის ოქროს სამკაულების შესახებ: „საერთო ირიონ ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნივთები ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეკუთვნება და ძვ. წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება“. მაგრამ მე არ მესმის, რატომ აკუთვნებს ავტორი საერთო ირიონ ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნივთებს ე წ. „აქემენიდური ხელოვნების წრეს“, თუმც თითქოს არ გამორიცხავს ადგილობრივ დამზადების შესაძლებლობას, ზოგიერთი ნივთისას მაინც (შდრ გვ. 686, და 781). ასე შეგვაქვს გვეკარაუდნა იმ შემთხვევაში, ასეთი ნივთები რომ გვხვდებოდეს მაინც ე. წ. აქემენიდური სამყაროს ვრცელ ტერიტორიაზე. მაგრამ სამე ისაა, რომ 1969 წ. გაუხსნელ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის 1600 მეტი ნიმუშიდან არც ერთი არაა „აქემენიდური ირონსა“, ხოლო 1961 წ. აღმოჩენილი სამარხის ათასზე მეტი ოქროს ნივთიდან „აქემენიდური ირონსაა“ მხოლოდ ზურგშეზნექილი სამაჯურები და ომფალოსიანი თასი. მაგრამ ცნობილია, რომ ანალოგიური ნივთები (სტილისტურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით), ამ დროს ფართოდაა გავრცელებული როგორც მთელ წინა აზიასა და კავკასიაში, ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ვანის მდიდრულ სამარხებში ნაპოვნი ნივთები ხასიათდება მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით და სრულიად აშკარად ადგილობრივი მხატვრული ხელოსნობ-

---

5 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, გვ. 20-50, შდრ. ა. ფეკიძე, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, „საქართველოს არქეოლოგია“, თბილისი, 1959, გვ. 269, 271.

6 Б. А. Куфтин, Материалы... II, გვ. 63 და შემდ. ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის. მსკა, II, გვ. 140 და შემდ. ნ. ხ ო ზ ო ბ ა ს ა ა, რ. ფ ო ფ ო ლ ი ა, ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არქ. გათხრები ვანში, „საბჭოთა ხელოვნება, 1968, №1, გვ. 39.

7 ფ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, უფლისციხე I, თბილისი, 1964, გვ. 57, ტაბ. XXXI-XXXII 6, 10.

ოთარ ლორთქიფანიძე
საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს

ის ნაყოფია. ოქრის სამკაულთა (დიადემები, „სხივანა“ და ჭვირულურთულიანი საყურეები, მძივსაკიდები ადგილობრივ. ე. ი. კოლხურ წარმმოადლობას მოწმობს. პირველ რიგში **მხატვრული ფორმის ორიგინალობა, რომელიც მეტწილად მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი.**[8] ზოგ შემთხვევაში გენეტიკურ უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) წინამორბედი ბრინჯაოს ხანის კულტურის ძეგლებს და, როგორც წესი, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ.[9] მაშ როგორღა, **რა საფუძველზე** უნდა მივაკუთვნოთ ისინი „აქემენიდური ხელოვნების წრეს“ და ისიც „ერთი შეხედვით“ (გვ. 781)[10].

[8] Н. В. Хоштария, Арх. раскопки в Вани, „კავკასიურ-ახლოადმოსავლური კრებული II, თბ. 1962. გვ. 70 და შემდ. უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი, „ვანის ნაქალაქარი“, კრებულში „ვანი I“, თბილისი, 1971, გვ. 10 და შემდ.

9 ეს ჩვენ აღნიშნული გვაქვს ვანის 1969 წლის აღმოჩენებისადმი მიძღვნილ საგაზეთო წერილშიც (გაზ. „კომუნისტი“, 1969 წ. 16/X), რომელიც დამოწმებულია 781-ე გვერდზე და ზოგიერთი დებულება გამეორებულია 782-ე გვერდზე. მაგრამ იქვე კვლავ ხაზგასმითაა აღნიშნული: „ასეთია ვანის ადრეანტიკური ხანის ოქრომჭედლობის ძეგლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც **ერთი შეხედვით,** თითქოს საზოგადოდ აქემენიდურ იერს ატარებს, მაგრამ ძალიან საყურადღებო ადგილობრივ ელემენტებს შეიცავს“... ხოლო იქვე, (გვ. 781), რამდენიმე სტრიქონის შემდეგ აღნიშნულია: „...ასე მაღალმხატვრულ ნივთთა თუნდაც მოზღვავებას არ შეეძლო გაგვესა არ მოეხდინა ოქრომჭედლობის შემდგომ განვითარებაზე“. ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო, დაუსაბუთებელი მოსაზრებებია გამოთქმული ვანის ოქრომჭედლობის ძეგლების შესახებ. განა ბუნებრივი არ იყო მათი ღრმად მეცნიერულ შესწავლამდე თავი შეგეკავებინა „ერთი შეხედვით“ (ან საერთოდ შეუხედავად) შექმნილი შთაბეჭდილებების ფართოდ გამოქვეყნებისაგან? ეს მით უფრო გიგეგმარია, რომ პროფ. ა. ფფაქიძე ხშირად დუმილით უელის გვერდს მისივე ხელმძღვანელობით აღმოჩენილ ძეგლებს, მაგალითად ვერცხლის თასს, რომელიც დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინაა ბაგრნოში აღმოჩენილი და მშვენიერი ფოტოებია სარეცენზიო წიგნში გამოქვეყნებული (გვ. 656), მაგრამ ისე, რომ ერთი სიტყვითაც არაა აღწერილიც კი (არც ა. ფფაქიძის აღრინდელ სხვა ნაშრომებში ეს ძალზე საინტერესო ძეგლი მხატვრულ-სტილისტური და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით შესწავლილი არაა).

10 არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პროფ. ა. ფფაქიძემ ძველი კოლხური კულტების ეს

ELIBRARY.GEORGIAN.COM

რაკი სიტყვამ მოიტანა, მინდა ვთქვა აქემენიდური ხელოვნების ატრიბუციულ ინტერპრეტაციაზე: „აქემენიდური ხელოვნების წრის“ ფორმებს ქმნიდნენ ე. წ. აქემენიდური სამყაროს ხელოსნები, მათ შორის ალბათ (?! ო. ლ.) კავკასიელები და, კერძოდ, ძველი ქართველი ოქროჩამწედელნი“ (გვ. 687). ეს შეიძლებოდა გვემტკიცებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „აქემენიდური ხელოვნების წრის“ ძეგლებს შორის შევძლებდით „კავკასიელთა და კერძოდ, ძველ ქართველ ოქროჩამწედელთა“ ნახელავის გამოცნობას. მაგრამ სამწუხაროა, რომ შეხედულება აქემენიდურ ხელოვნებაზე როგორც რაღაც კონკრეტ, მერყეტულ კულტურაზე, დღეს უკვე საკმაოდ მოძველებულია. უახლეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (რ. გირშმანი, ედ. პორადა, ჯ. კ

�იენი და სხვ.) კარგა ხანია აღიარებულია, რომ აქემენიდურ ხელოვნებას აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილი და თავისებურებანი. თავისი წამოშობით და შინაგანი არსით იგი ირანულია. კიდევ მეტი, სუზიანა და პერსეპოლისის წარწერების აღმოჩენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ თვით ირანელები ხელმძღვანელობდნენ ყველა უცხოელი ოსტატების (ირონელების, მიდიელების, ლიდიელების და სხვ)[11] მხატვრულ სამუშაოებს და მჭკიცედ იცავდნენ ხელოვნებაში ეროვნულ ტრადიციებს, სათავეს რომ მესოპოტამურ ხელოვნებაში იღებს. სულ სხვაა ამ დროის აქემენიდური ირანის უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა კულტურა და ხელოვნება. აქ საკმაოდ ჭრელი სურათია. პროვინციების მოსახლეობის კულტურამ ხშირ შემთხვევაში შეინარჩუნა თავისი სახე, მაგრამ ზოგან მიიღო ირანული ელფერი. ამიტომ დღეს სპეციალისტები ლაპარაკობენ საკუთრივ „აქემენიდურ ხელოვნებაზე“ ან კიდევ „ბერძნულ-სპარსულ“ თუ „აღმ-

შესანიშნავი და ჩვენი საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილი ძეგლები მათი აღმოჩენისთანავე უცხოურად გამოაცხადა ისე, რომ ისინი ჯერ საკუთარი თვალით ნანახიც კი არ ჰქონდა! (იხ. მისი ინტერვიუ გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“, 1969 წ, № 213 (4967): значительная часть обнаруженных в захоронениях предметов привозная. Эти изделия изготовлены не в Грузии и не грузинскими мастерами...» (აღსანიშნავია, რომ იმავე ინტერვიუში კიდევ 27 ფაქტობრივი შეცდომაა დაშვებული).

11 უნდა შევნიშნოთ, რომ არც ამ წარწერებში და არც ბერსეპოლისის ცნობილ რელიეფებზე, რომლებზედაც აქემენიდთა ირანის ქვეშევრდომი და მოხარკე ხალხები არიან წარმოდგენილი, ქართველთა ტომები არ იხსენიებიან.

ოსავლურ-ბერძნული" ან „ლიდიური" თუ „ლიკიური" ხელოვნების შესახებ და ამ ტერმინებში გარკვეულ შინაარსს დებენ (ამიტომაა სამწუხარო, რომ განსახილველი წიგნიდან ჩვენ სხვა ენაზე ველაპარაკებით თანამედროვე მეცნიერებას). როგორც ცნობილია, ამ დროს კოლხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი არსაოდეს არ შედიოდა აქემენიდიური ირანის შემადგენლობაში და არც მისი პროვინცია ყოფილა. ძვ. წ. V-VI საუკუნეებში კოლხური კულტურისა და ხელოვნების სიდიადე სწორედ ისაა, რომ მან ამ დროს, აქემენიდურ სამყაოსთან და ძველ ბერძნულ ცივილიზაციასთან ურთიერთობის ხანაში შეინარჩუნა თავისი სახე, დგალობრივ ნიადაგზე გადაამუშავა იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელებული მხატვრული ფორმები და ორგანულად დაუკავშირა საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ საკუთარ ტრადიციებს. ამის შედეგად შეიქმნა მეტად თავისებური და განუმეორებელი მხატვრული სტილი, რომელიც არც აქემენიდურია, არც „აღმოსავლურ-ბერძნული" და ა. შ. არამედ **კოლხური** და თავს იჩენს როგორც ოქრომეჯდლობაში, ასევე მეთუნეობასა და ნივთიერი კულტურის სხვა ძეგლებში... და სწორედ ამან ვერ პოვა ჯერ-ოვანი ასახვა განსახილველ წიგნში.

4. საგანგებად უნდა შეეჩერებულ დათარიღების საკითხებზე. წინასწარ კი უნდა ალვნიშნო, რომ ამ თვალსაზრისითაც ვერ დგას განსახილველ წიგნში ანტიკური ხანის კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაწილები საანალიზო დონეზე (ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, იგი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას). ეს პირველ რიგში ეხება ხეროთმოძღვრული ძეგლების ე. წ. არმაზციხე I-ისა და ამ რიგის ნაგებობათა დათარიღებას.

უკვე კარგა ხანია ჩვენს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლებისათვის დამკვიდრებული თვით პროფ. ა. აფაქიძის შემოთავაზებული თარიღი — ძვ. წ. IV-III სს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც პროფ. ა. აფაქიძეს და არც სხვა ვინმეს ამ დათარიღების ყოველმხრივი დასაბუთება არ მოუციათ. არმაზციხე I-ის დათარიღება რაღაც ერთხელ და სამუდამოდ ალიარებულ ჭეშმარიტებად ითვლება და მას უკვე მესამე თუ მეოთხე წელია ვიმეორებთ **ყველა** უკლებლად. მაგრამ რა მონაცემზეა დაფუძნებული ეს უალრესად დიდმნიშვნელოვანი დასკვნა? როგორც ცნობილია, არმაზციხის (ბაგინეთის) გათხრების (1943-1948 წწ) დოკუმენტური ანგარიში დღემდე გამოქვეყნებული არაა და ამიტომ ვერაფერს ვიტყვით ნაგებობებსა და შეასტყვისი კულტურული ფენების სტრატიგრაფიის შესახებ (ე. ი. დათარიღების უმთავრეს საფუძველზე!). პროფ. ა. აფაქიძის სხვა ნაშრომებში კი ჩვენ ამგვარი დათარიღების რაიმე რეალური საფუძველი ვერ ვნახეთ.[12] ჩვეულებრივ, მითითებულია მშენებლობის ტექნიკა, კერამიკა. კლდეში ნაკეთი ბუდეებში ჩასმული ქვათლილებიან საძირკველზე ამოყვანილი ალიზა კედლები. მაგრამ ეს სამშენებლო წესი ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოს მაწა-წყალზე გავრცელებული უფრო გვიან ხანაშიც, კერძოდ, ძვ. წ. III-I სს (ანანი ნაქალაქარი ამის მშვენრმტყველი დადასტურება). ასევე, ბაგინეთის სეტტებიანი დარბაზის ანალოგიად დასახელებულია ტელ-ჰალაფისა და კარმირ-ბლურის ზოგიერთი ნაგებობანი.[13] მაგრამ დასახელებულ ძეგლებს შორის მხოლოდ ისაა საერთო, რომ იქაც და აქაც სვეტებიანი ნაგებობებია. ასეთი შედარებისას კი პირველ რიგში არქიტექტურული ფორმების ანალიზი იყო საჭირო, რაც არსად არაა ჩატარებული. მაშინ, როდესაც სწორედ არქიტექტურული დეტალები (კაპიტელი, სვეტის ძირი და სხვა) ისევე, როგორც იქვე ნაპოვნნი ძვ. წ. III-I სს პართული მოწუქურთმეობული ფირფიტა და სხვ. ამ ძეგლს უფრო ელინისტური ხანის ნაგებობებთან აახლოებს[14].

განსახილველ წიგნში არმაზციხე I კიდევ უფრო დაძველებულია და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები ახლა უკვე ძვ. წ. VI-III საუკუნეებითა განსაზღვრული (იხ. გვ. 714-715): „...ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობის აღრინდელ (უძველეს) საფეხურზე ქვათლილთა საძირკველზე ამოყვანილი ალიზ-აგურის ზოდეგალაშენები, კოშკები და ბურჯები უშენებიათ. ეს არის ერთადერთი სახე სასიმაგრო ნაგებობებისა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. III საუკუნემდე... იმის გამო, რომ ყველაზე აღრე აღნერილი ხერხით და წესებით ნაშენი ხეროთმოძღვრული ძეგლები მცხეთაში, სახელდობრ, არმაზციხეში იყო აღმოჩენილი, გათხრილი და შესწავლილი, მას არმაზციხე I-ს უწოდებენ. ე. ი. არმაზციხე I გულისხმობს ძვ. წ. VI-III საუკუნეების კლდეში ჩასმულ ქვათლილთა საძირკველზე ამოყვანილ უდიდესამ, მაგრამ უწყვეტებით ერთმანეთთან გადაბმულ ქვათლილთა წყობას, რომლის ზედა ნაწილს ალიზ-აგური

---

12 შდრ. მაგ. ა. აფაქიძე, ქალაქები... გვ. 25 (სსა მითითებული სარეცენზიო წიგნის 715-ე გვერდზე არმაზციხე I-ის დათარიღების საკითხებთან დაკავშირებით)

13 დაწერ. შდრ. ა. აფაქიძე, ქალაქები... გვ. 21 და შემდ. გვ. 27-28.

14 შდრ. Всеобщая история архитектуры, I, Москва, 1969, გვ. 287.

კედელი შედგენს. არმაზიცხე I გულისხმობს არა მარტო მშენებლობის ხელოვნების გარკვეულ წესს, არამედ გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთსაც. ესაა ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო მშენებლობის ადრინდელი საფეხური — ძვ. წ. VI-III საუკუნეები"

არმაზიცხე I-ის რიგის ძეგლების ძვ. წ. VI-III სს დათარიღება დაფუძნებულია ძირითადად იმ ფაქტზე, რომ არმაზიცხე II-ის ნაგებობანი, ანუ საქალაქო I-ისათვის დამახასიათებელი ე. წ. მშრალი წყობისაგან განსხვავებით, დუღაბითაა ნაშენი. პროფ. ა. აფაკიძის მტკიცებით კი თურმე „ძვ. წ. III საუკუნიდან საქართველოს საქალაქო ხუროთმოძღვრებაში დიდი გარდატეხა ჩანს. ერცელდება ქვიყირი, რომელიც ამიერიდან დამახასიათებელია საქალაქო მშენებლობისათვის საერთოდ" (გვ. 716). მაგრამ ეს საიდანღა ეიცით? (არას ვამბობ, რომ მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ქვიყირის, როგორც კედლის წყობაში დამაკაკშირებელი, მადუღაბებული ხსნარის გამოყენება ახ. წ. I საუკუნეებიდან ივარაუდება). თურმე საამისო მითითება „ქართული ცხოვრებაში" შემონახული: ლეონტი მროველი მეფე არდამის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ არდამმა მოზღუდა მცხეთა ქვიყირით და „აქამომდე არა იყო ქართველსა შინა საქმე ქვიყირისა". ეი ამ ცნობის საუკუკეზეზე ძვ. წ. III საუკუნე პროფ. ა. აფაკიძემ მიიჩნია „საქართველოს საქალაქო ხუროთმოძღვრებაში დიდი გარდატეხის ხანად" (გვ. 716)[15]. რამდენად მართებული-ა ამგვარი მონაცემებით ასეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა, ეს სხვა საკითხია (შეგახსენებთ, რომ დუღაბის გამოყენება საშენებლო მასალად, მინისეული ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ტექნიკურ პროგრესად კაცობრობის ისტორიაში). ახლა მხოლოდ ისაა ჯერ გასარკვევი, რამდენად ლოგიკური ასეთი დასკვნა? სახელდობრ კი, — რატომაა ეს ყოველისშემძლე არდამი ძვ. წ. III საუკუნის მოღვაწე?

ლეონტი მროველის ცნობათა მიხედვით, არდამი (სპარსთა მეფის ერისთავი ქართლში, „შვილი ნებროთის ნათესავთა") ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის (ძვ. წ. III ს 70-ინა წლები) და ალექსანდრე მაკედონელის წინა ხანის მოღვაწეა და მამასადამე, უკვე ამ ნიშნითაც კი არ შეიძლება მისი სამშენებლო მოღვაწეობის ძვ. წ. III საუკუნით დათარიღება, თუკი ასე უცილობელ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ ლეონტი მროველის ცნობას. კიდევ მეტ, თუ ლეონტი მროველის ცნობებს დაკუჯერებთ, არდამი ძვ. წ. III საუკუნეზე სულ ოცტა, რამდენიმე საუკუნით ადრე მაინც ცხოვრობდა, ყოველ შემთხვევაში ნაბუქოდონოსორ მეფის მიერ იერუსალიმის აღებამდე (ე. ი. 597-586 წ.წ.), კიდევ გაცილებით ადრე (იხ. „ქართლის ცხოვრება", I, გვ. 13 და შემდ.).

ახლა საკითხავია, მაშ რატომ ძვ. წ. VII და კიდევ უფრო ადრინდელი ხანით კი ათარიღებს ა. აფაკიძე ქართლში დუღაბით მშენებლობას, მით უფრო, რომ თურმე „თავის დროზე მატიანეს ამ ცნობის გამო საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა თიმოფრაზ ბატონიშვილმა. თიმოფრაზის მიხედვით, დუღაბი არდამმა დისაც სცოდნიათ და გამოუყენებიათ კიდეც". (მაგრამ, რატომ არ ვიკითხავთ. თიმოფრაზ ბატონიშვილს საიდან უნდა ცოდნოდა ეს?)... ასე თუ გვაყვებით პროფ. ა. აფაკიძის მსჯელობას, არმაზიცხე I და მისი რიგის ძეგლები ძვ. წ. X-VII საუკუნეებით მაინც უნდა დავათარიღოთ, თუ კიდევ უფრო ადრინდელი ხანით არა! ეფიქრობთ, სატყვის გაგრძელება ალარ ღირს: საკმაოდ თვალსაჩინოა ამგვარი მტკიცების არსებიერზოლობა, და. რომ დღევანდელი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის სრულიად შეუფერებელ არგუმენტაციაზეა დამყარებული ძველი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქრონოლოგია. აქვე მიმდა შეგნიშნო, რომ ძველ ქართულ სისტორიონ წყაროებში მართლაცაა შემონახული ძალიან საინტერესო და ანგარიშასაწევი ცნობები, რომელთაგან ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების დათარიღებისას გარკვეა-

---

15 შდრ. გვ. 717: „უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებენ ქვიყირის, ღუღაბის, ე. ი. კირის ხსნარის ფართოდ გამოყენებას უკვე ძვ. წ. III საუკუნეში, დამოუკიდებლად იმისა, არდამს მიეწერება თუ არა დამსახურება ამ სიახლეში. ამავე დროს ეს არის ანტიკური ხანის საქართველოში საქალაქო მშენებლობის ახალი საფეხური, რომელიც კარგად შეიმჩნევა არა მარტო ქალაქებსა და ციხე-ქალაქებში, რომლებმაც პირველი საფეხურის დამახასიათებელი ძეგლები შემოგვინახეს, არამედ სხვადასხვა და **ძალიან მკაფიოდაც** (! ო. ლ.)". თუ ამ მსჯელობას გავყვებით, გამოდის, რომ ვანში გვქონია ჩვენ „არმაზიცხე II-ის" რიგის ძეგლებიც (ასე უწოდებს პროფ. ა. აფაკიძე კირის ხსნარზე ნაწყობ ნაგებობებს). სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი ვანში არაა: აქ ყველა კედელი ან მშრალადაა ნაწყობი (ზოგჯერ რკინის სამაგრების გამოყენებით) ან თიხის ხსნარზე. კირხსნარი კი მართლაც გვხვდება ვანში ძვ. წ. II-I სს-ში, მაგრამ კედლის წყობაში კი არა, არამედ იატაკის დასაგებად. ამ თვალსაზრისით კირიანი ხსნარის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო ელინისტურ ხანში (და უფრო ადრეც) და მას არაფერი აქვს საერთო კედლების მშენებლობაში დუღაბის გამოყენებასთან (შდრ. «Эллинистическая техника», сборник статей, М.-Л., 1948, გვ. 46, 116).

ული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ. ასე მაგ., განა ყურადსაღები არა, „ქართლის მოქცევის“ თანახმად არმაზციხის მშენებლობას იწყებს მეფე ფარნავაზი (ძვ. წ. III ს-ის 70-იანი წლების შემდეგ) და ამთავრებენ თითქოს მირიან I და მისი მემკვიდრეები, ე. ი. ძვ. წ. II და I სს დასაწყისის მოღვაწეები. სწორედ ესაა (ძვ. წ. III ს. მეორე ნახევარი — ძვ. წ. I ს.) არმაზციხე I-ის საფდეისოდ ყველაზე უფრო მისაღები ´თარიღი, რომელსაც სხვა არა ერთი მონაცემი მოწმობს, ხოლო მისი ძვ. წ. VI-III საუკუნეებით დათარიღება მეტად სამწუხარო გაუგებრობაა და იგი, რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს უკუდგებული.

საქალაქო მშენებლობის აღრინდელი საფეხურის ძეგლებს შორის დასახელებული უფლისციხის კლდეში ნაკვეთი სათავსოების ერთი ნაწილი, რომელიც სრულიად სამართლიანად „განსაკუთრებული სახის ხუროთმოძღვრულ ჯგუფად“ (ე. ი. მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხე I-ის რიგის ძეგლებისაგან განსხვავებულად) არის მიჩნეული (გვ. 715). ამავე დროს გაზიარებულია მოსაზრება ამ ძეგლების ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში დათარიღების შესახებ და დამოწმებულია დ. ხახუტაიშვილის ნაშრომი („უფლისციხე I“, გვ. 60-62). მაგრამ, ჩემი აზრით, დამოწმებულ ნაშრომში უფლისციხის ზოგიერთი კომპლექსის (ე. წ. აღრინდელი ნაწილის) დათარიღება დამაჯერებელი ვერაა და ამიტომ არც აგრე უყოყმანოდაა გასაზიარებელი. საქმე ისაა, რომ ეს დათარიღება დაფუძნებულია ე. წ. „მიუვალი გამოქვაბულების“ იატაკზე ნაპოვნ თითქოსდა ძვ. წ. VI-IV სს-ის კერამიკის ფრაგმენტებზე. მე მქონდა შესაძლებლობა მენახა ეს ფრაგმენტები (თვით დ. ხახუტაიშვილის თავაზიანი დახმარებითა და წინადადებით) და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ოთხად-ოთხი მცირე ზომის ნატეხიდან სამის რამდენადმე მიახლოებით დათარიღებაც კი არ შეიძლება. არც ერთი მათგანი პროფილირებული არაა და მხოლოდ და მხოლოდ კეცის მიხედვით დათარიღება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან სარისკოა (თუ უხერხული მაინც არა!). ხოლო რაც შეეხება მეორე ფრაგმენტს — „ღია მოწითალო ფერის თხელკედლიან ჭურჭელს რომ ეკუთვნის“ და „დამზადებული სუფთად გაცრილი, კარგად დამუშავებული თიხისაგან და ზედაპირი გაპრიალებული აქვს“, — იგი სრულიად აშკარად ეკუთვნის აღრე საშუალო საუკუნეების ერ ტიპის დოქებს, ახ. წ. IV-VI და შემდგომ საუკუნეებში რომაა ფართოდ გავრცელებული. ახლა კი იმის ზაზგასმით აღნიშვნა მინდა, რომ ყოველად დაუშვებელია ამგვარი არასაიმედო მონაცემებით ასეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა და მათი უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნევა. მაგრამ როგორც არ უნდა გადაწყდეს უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების დათარიღების საკითხი, ვიმეორებ, ისინი სამართლიანადაა მიჩნეულნი „განსაკუთრებული სახის ხუროთმოძღვრულ ჯგუფად“, ე. ი. მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხე პირველი რიგის ძეგლებისაგან განსხვავებულად და მაშასადამ, ვერც სასეთ შემთხვევაში გამოდგება არმაზციხე I-ის რიგის ძეგლების ძვ. წ. VI-III სს დათარიღების რამდენადმე სერიოზულ არგუმენტად. მეორე მხრივ, სარეცენზიო ნაშრომის 715-ე გვერდზე მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხე I-ის, ე. ი. ძვ. წ. VI-III სს-ის ძეგლებს შორის უფლისციხე მაინცაა დასახელებული. იქნებ აქ იგულისხმება (თუმც აღნიშნული არაა) უფლისციხის შიდა ქალაქის უძველესი სასიმაგრო კედლები, რომელნიც მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით (კლდეში ნაკვეთ ბუდეებში კიბისებურად ჩასმული ქვათლილები და მასზე ამოყვანილი ალიზის კედელი) მართლაც ჰგავს არმაზციხე I-ს. მაგრამ უფლისციხის ამ კედელს ხომ დ. ხახუტაიშვილი (ა. აფაქიძის ქრონოლოგიიზე დაფუძნებით) ძვ. წ. IV-III სს ათარიღებს[16] (სხვა საკითხია, რამდენად სწორედ)[17]. ასე, რომ არც ამ შემთხვევაში გამოდგება უფლისციხე ძვ. წ. VI-III საუკუნეებით არმაზციხე I-ის დათარიღების მოწმობად.

ასევე არმაზციხე I-ის და, მაშასადამ, თითქოსდა VI-III სს-ის ძეგლებს შორის დასახელებული ვანიც (გვ. 714). მართლაც, აქ ბევრი რამაა საერთო: ისეთივე სამშენებლო წესები, ქვათლილები და არქიტექტურული დეტალები (ბაზები, კაპიტელი, წნული ჩუქურთმა), ზოგიერთი შენობის გეგმა, ერთნაირი ზომის ალიზ-აგურები და ა. შ. მაგრამ ვანის ნაქალაქი ხომ კარგადაა სტრატიფიცირებული და მისი უმთავრესი ნაგებობანი (არმაზციხე I-ის ანალოგიური) ხომ ძვ. წ. III-I სს განეკუთვნება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ნაგებობათა საძირკვლების ღონეზე დაპლაა ფიქსირებული ძვ. წ. IV ს მეორე ნახევრით დათა-

---

16 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე I. გვ. 59.

17 ყურადღებას იქცევს, რომ აღნიშნული სასიმაგრო კედლის გათხრისას ელინისტური ხანის ფენაში ნაპოვნია წითელლაქიანი კერამიკის (შეეულკიდანი თეორეკეიანი ღანგრის) ფრაგმენტები, რომელნიც ძვ. წ. II ს-ის მეორე ნახევარსა და I ს-ის პირველ ნახევარს განეკუთვნებიან (შდრ. დ. ხახუტაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57)

ოთარ ლორთქიფანიძე
საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს

რიღებული სამარხები)[18], მაშ როგორღა არმაზციხე I ან მასთან ერთად ვინის ნაქალაქარიც ძვ. წ. VI-III საუკუნეებისა?!

სამწუხაროდ, არქეოლოგიურ (ე. ი. ამ შემთხვევაში ნივთიერი კულტურის ძეგლთა) არასწორი დათარიღების და რაც განსაკუთრებითაა თვალში საცემი — დათარიღების მცდარი და მეტწილად უსაფუძვლო კრიტერიუმის არა ერთი შემთხვევაა განსახილველი წიგნის ამ ნაწილში. აი რამდენიმე კონკრეტული მაგალითი:

გვ. 697, ბაგინეთის აკლდამის დათარიღება — „...სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ჯურჭლის ნატეხები, ოქროს კილტაები, ნახევრად ძვირფასი თვლები, მათი ოქროს ბუდეები და ოქრომკეთილი ნაწყვეტები ახ. წ. I-III სს მიეკუთვნება. ძვ.წ. და ახ. წ. პირველ საუკუნეებზე მიუთითებს მშვენებლობის ტექნიკაც, კერძოდ, რკინის სამაგრების გამოყენება. ბაგინეთის რკინის სამაგრები ძვ. წ. და ახ. წ. მიჯნას უნდა დაკუთხოდეთ (უნდა შეენიშნოთ, რომ რკინის სამაგრებით დათარიღებაც სამწუხაროა გაუგებრობაა და ამაში ადვილად დაეარწმუნებით მომდევნო ფრაზიდანაც — ო. ლ.). უფრო ჩვენგან გადმოწეული ეს დრო, თუ გავითვალისწინებთ რკინის სამაგრებს ბაგინეთის სარკოფაგზე (ახ. წ. 150-160 წწ), ბერსუმა პიტიახშის სამარხზე (ახ. წ. III ს.) და ანმაზისხვის მეხუთე სამარხზე (დაახლოებით II-III საუკუნეები). ამ გზით (! ო. ლ.) **თითქოს** იჩვეოდა, რომ ბაგინეთის აკლდამის შეწვნის თარიღად I-II ს. (sic — ო. ლ.) უნდა ვივარაუდოთ“ — როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია! მაგრამ მაინც უნდა შეენიშნოთ, რომ იქვე ავტორის მიერ ბაგინეთის აკლდამის ანალოგიად დასახელებული ერთადერთი ძეგლი (შეიძლებოდა კი ათეულობით უფრო ზუსტი ანალოგიის დასახელება) აკრეთვე III-ს თარიღდება და მაინც ყველგან ა. ალაქიძე ბაგინეთის აკლდამას ახ. წ. I-II სს ათარიღებს.

ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ ზეშოთ მოტანილ ამონაწერში დასახელებულია ბაგინეთის სარკოფაგი, რომელიც თურმე ახ. წ. 150-160 წწ თარიღდება. მე არ ვიცი, ვინ და როგორ დათარიღია ასე ზუსტად ეს სამარხი, II ს შუა ხანებით, მაშინ როდესაც აქვე ნათქვამია მარგ. ლორთქიფანიძის მიერ განსაზღვრული და სამეფოდად დათარიღებული ახ. წ. III-ს გლიპტიკური ნიმუშები (2 კამეა და ერთი გემა) და რაც საკვანძებოდაა აღსანიშნავი — მედალიონი, რომის იმპერატორის სეპტიმი სევერის პორტრეტული გამოსახულებით (193-211 წწ)[19].

სამწუხაროდ, ეს ორივე მეტად მნიშვნელოვანი სამარხი, რომლებიც უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა რაც აღმოჩენილია, დღევდე არაა ჯეროვნად და სრულად გამოქვეყნებული. ისე რომ დღეს სპეციალისტებს უმძიმთ მათ შესახებ ფართოდ მსჯელობა, ხოლო ლიტერატურაში კი ჩქარღრღაა მცდარი დებულებები.

დათარიღების მეთოდების სალოსტრაციოდ ნიშანდობლივია მსჯელობა ავრეთვე სოხუმის სტელის შესახებ — გვ. 725: აქ აღწერილია სამფიგურიანი კომპოზიცია (თუმც ისე, რომ მისი სიმბოლური შინაარსისა და დანიშნულების შესახებ არაფერია თქმული) და აღნიშნულია: „...ასეთი რელიეფური კომპოზიცია საფლავის ქვებზე საკმაოდ გავრცელებული იყო ბერძნულ სამყაროში ძვ. წ. V ს ბოლოს და ბუნებრივია, სოხუმის მარმარილოს სტელასაც ამ ხანას მიაკუთვნებენ“. ამ პატარა წინადადებაში რამდენიმე უზუსტობაა. ჯერ ერთი: სოხუმის სტელის ანალოგიური კომპოზიცია, ავტორს რომ V ს. ბოლოსათვის „საკმაოდ გავრცელებულად“ მიაჩნია, ცნობილი იყო მხოლოდ ძვ. წ. IV საუკუნისათვის (ე. წ. თრასაკლეას და არქესტრატეს საფლავის ქვები). ხოლო სოხუმის რელიეფი დღემდე ცნობილ სამფიგურიან ბერძნულ სტელათა შორის ჯერჯერობით ერთადერთია, რომელიც ძვ. წ. V ს. თარიღდება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ კომპოზიციის მიხედვით ძვ. წ. V-IV სს ბერძნული სტელების დათარიღება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება: დათარიღება ხდება სტელების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და გამოსახულებათა მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს საფუძველზე!

ახალი მონაცემების შუქზე, ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია ქვევრსამარხების ქრონოლოგიაც. 691-ე გვერდზე ქვევრსამარხების დასავლეთ საქართველოში გაჩენის თარიღად ვდგ. ვ. VI-V სს-ია მიჩნეული და, აქედან გამომდინარე, მთელი მსჯელობაცა აგებული. ამ ტრადიციულ თარიღს (ბ. კუფტინისა და ნ. ხოშტარიას მიერ 30-იან წლებში წინასწარი ვარაუდის სახით გამოთქმულს) უყოყმანოდ ვიზია-

---

18 ამიტომაა, რომ ვანის ძველი ქალაქის ქვის ზოგიერთი ნაგებობის (მაგ. კარიბეს არკიტექტურული კომპლექსი) აგების თარიღად ჩვენ ძვ. წ. IV-III სს მიჯნის ვვარაუდოთ (მასთან ძვ. წ. IV ს-ის დასასრული უნდა იყოს terminus post quem non. ქალაქის ყაჯვეშასა და ქვეთ ფართო მშენებლობის ხანა კი ძვ. წ. III-II სს-ია. ამ ხანას ეკუთვნის ე. წ. მრგვალი ტაძარი, ცენტრალური ტერასის სასამაგრო კედელი და კოშკები და სხვ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს კლოდოვან დედაქანში ამოკვეთილ ბუდეებში ჩასმულ ქვათლილებთან და მასზე ამოყვანილ ალიზ-ადუ-რის კედლებთან).

19 მარგ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბილისი, 1961, გვ. 41-45.

რებდით თითქმის ყველა (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც), მაგრამ სათანადო აღქეოლოგიური მასალების გაცნობის შედეგად უკვე 1968 წ. ჩვენ (ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „ალინაზმი და კოლხეთი“) გამოთქვით მოსაზრება, რომ ქვევრსამარხები, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV-III სს-ებიდან უნდა გრცელდებოდეს და იგი ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში მესხთა ტომების საკოლონიზაციო მოძრაობას დაუკავშირეთ.

ვანის 1961 წელს აღმოჩენილ მდიდრულ სამარხს ა. აფაქიძე ნინო ხოშტარიას უაღრესად წინასწარული ვარაუდის საფუძველზე ყველგან ძვ. წ. VI-V სს ათარიღებს (იხ. გვ. 686), ხოლო 739-ე გვერდზე ცდილობს დამტკიცებთ აღგუმენტიც კი მოიტანოს, კერძოდ, აღნიშნავს ამ სამარხში ფინიკიური მინის ჯურჭლების აღმოჩენის ფეიზ საქართველოში ნელსაცხებლების გავრცელებასთან დაკავშირებით და მოულოდნელად დასძენს: „...ახლა მნიშვნელოვანია შეინიშნოს, რომ ფინიკიური ჭიქა მხარს უჭერს ვანის 1961 წლის მდიდრული სამარხის ძვ. წ. VI-V სს დათარიღებას“. მაგრამ ავტორს არ მოაქვს არც ერთი არგუმენტი ამ ჯურჭლების VI-V სს დათარიღების სასარგებლოდ. მაშინ, როდესაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ათეულობით კომპლექსები, როდესაც ვანის სამარხის მსგავსი მინის ჯურჭლები (განსაკუთრებით ამფორისკები) გვხვდება ავრეთვე და უფრო ხშირად ძვ. IV სამარხებში. ვანის 1961 წ მდიდრული სამარხის IV ს. პირველი ნახევრით დათარიღების სასარგებლოდ მიუთითებს ავრეთვე სხვა ინვენტარიც (ცერამოდ, სამაყურეგი)20.

ერთი ხელის მოსმითაა იქვე, იმავე გვერდზე დათარიღებული წინწყაროს მდიდრული სამარხი: „არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის კარგა ხანია ყურადღებას იქცევს თრიალეთის ძვ. წ. VI-V სს მაღალი, წვრილი და რელიეფური, თითქოს ნაძერწ-სამკაულიანი სანელსაცხებლე და ალგეთის იმავდროული მინის ფიალა, რომელიც ახალთორული ვერცხლის პინაკებითაი ღრმა უბეებით არის მორთული...“ მაგრამ იქვე, ორიოდე სტრიქონის შემდეგ წერია: „...ალგეთური ფიალის დამზადების ადგილიც ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ მსგავსი ჭურჭლის აღმოჩენა კრეტაზე მარიანაში ძვ. წ. IV ს სამარხეულ მასალასთან ერთად არაერთხელ არის აღნიშნული“. მსჯელობის აპკარა ალოგიკურობას რომ თავი დავანებოთო, იმის ხომ მაინც უნდოდა განმარტება, რომ თუ ანალოგიური თასი სხვგიან IV ს სამარხში გვხვდება, ალეგთური რატომაა მაინცდამაინც ძვ. წ. VI-V სს. ზემო მოტანილ ამონაწერში ბევრი სხვა უზუსტობაცაა. ჯერ ერთი, მარიანა კრეტაზე კი არა, კვიპროსზეა, ხოლო მსგავსი თასი მართლაცაა ნაპოვნი კრეტაზე, ოღონდ ცნობრა. მეორე კიდევ ისაა, რომ დღეს, XXს 70-იან წლებში ძალიან უხვადაა ამ ერთადერთი და დიდი ხნის წინანდელი, 30-იანი წლების პუბლიკაციაზე მითითება (იხ. №2 სქოლიო 740-ე გვერდზე)21. დღეს ხომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ალგეთის ტიპის ფიალების აღმოჩენის უკვე 12 შემთხვევაა ფიქსირებული, ისინი აღნუსხულია პ. ფოსინგის (1937 წ) ა. სალდერის (1963 წ) და სულ ახლახან გამოქვეყნებულ ა. გალანინას ნაშრომებში.

დამახასიათებელია ავრეთვე მსჯელობა უფლისციხის თეატრის შესახებ — გვ. 775: „უფლისციხის თეატრს ეხ. ნ. II-III საუკუნეებს მიაკუთვნებენ, თუმც იმასაც აღნიშნავენ, რომ დეტალების უმრავლესობა წინ უსწრებს რომის მხატვრულ გემოვნებას და ელინისტურ (ე. ი. ძვ. წ. III-I სს — ო. ლ.) ტრადიციებთან არის დაკავშირებული. ასეთ დასკვნას თითქოს (? — ო. ლ.) მხარს უჭერს და თანაც ადრეანტიკური (ე. ი. ძვ. წ. VI-IV სს ო. ლ.) ხანას მიუთითებს არქეოლოგიური კვლევის შედეგებიც“. საკითხავია, რა დასკვნა უნდა გამოიტანოს მკითხველმა უფლისციხის თეატრის თარიღის შესახებ?

ასე თავისუფლად, უფლებას მივცემთ თავს ვთქვა, ნებისმიერად, ყოველგვარი ზუსტი მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე ვანიხილეაა ისტორიული კვლევა-ძიების ისეთი დიდმნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა ქრონოლოგია! ახლა თუ გავიხსენებთ ზემოთქმულს იმის შესახებ, რომ მხატვრული კულტურის ძეგლები ნაშრომში ნახსენებია მხატვრულ-სტილისტური ანალიზის გარეშე და მა-

---

20 უნდა შეენიშნო, რომ ამ სამარხის ზოგადად ძვ. წ. VI-V სს-ით დათარიღებას აღრე ჩვენც ეიზიარებდით (იხ. „ანტიკური სამყარო და ალეთი კოლხეთი“ გვ. 45), მაგრამ შემდეგ სპეციალური შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ სამარხეულ ინვენტარში ძვ. წ. V ს-ის ზოგიერთ ნივთთან ერთად არის ისეთებიც, რომელნიც ძვ. წ. V სს. დასასრულსა და უფრო კი ძვ. წ. IV ს-ის პირველ ნახევარში არიან ფართოდ გავრცელებული („ვანი I“, გვ. 9).

21 დამოწმებულია ე. ჯერსტედის ნაშრომი, თუმც პირველწყაროზე ეს ერთადერთი მითითებაც, როგორც ჩანს, ბ. კუფტინის წიგნიდანაა ამოღებული და ისიც შეცდომით!

ოთარ ლორთქიფანიძე
საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს

სთან ზნირ შემთხვევაში წარმომავლობის თვალსაზრისით მცდარი ისტორიულ-კულტურული შეფასებით, შეგიძლიათ თვითონვე დასკვნათ, თუ რა ღირსებასა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის კულტურის დახასიათება, განსახილველი წიგნის XV თავში რომაა წარმოდგენილი.

5. მხოლოდ ზემოთ მოტანილი შენიშვნებით არ ამოიწურება წიგნის XV თავის შეფასება. მრავლად გვხვდება მძიმე ფაქტობრივი, ზოგჯერ საკმაოდ უხერხული ასეთი მაღალი მარკით გამოსული წიგნისათვის, შეცდომები, ხოლო თითქმის თვითეულ გვერდზე—რიმე უზუსტობა. ყველას ჩამოთვლა ახლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მე მხოლოდ რამდენიმეს აღვნიშნავ.

გვ. 725: სოხუმის ბერძნული სტელის შესახებ საუბრის შემდეგ აღნიშნულია: „ანტიკური ხელოვნების ნიმუშებით მხოლოდ დიოსკურია არ გამოირჩეოდა. ფლავიუს არიანე გადმოგვცემს, რომ ქალაქ ფაზისში შესასვლელთან ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება მდგარა. არიანე ფაზისელ ფასიანეს (sic! ო. ლ.) ქანდაკებას ფიდიასის ცნობილ ნახელავს ადარებს, ათენის მეტროონში რომ იდგა". აქ, რბილად რომ ვთქვათ, 3 უზუსტობა მაინცაა: ა) რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ არიანეს მიერ აღწერილი ქანდაკებაც სოხუმის სტელის მსგავსად ანტიკური, ე. ი. ბერძნული ან რომაული ქანდაკების ნიმუშია? (შდრ. გვ. 726). განა უფრო ბუნებრივი არ იყო ასოციაცია ვენის ნაქალაქართან, სადაც აგრეთვე ქალაქის შესასვლელთან ღმერთული ყოფილა ფფარული ღმერთქალის ქანდაკება. რაც უჩვეულოა ბერძნულ-ელინისტური ქალაქებისათვის და ადგილობრივი სპეციფიკური მოვლენა ჩანს. ბ) რას ნიშნავს „ფაზისელი ფასიანე" ავტორის მიერ ორგზის ხაზგასმით დასახელებული? ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მას „ფასიანე" საკუთარ სახელად მიაჩნია და ჰგონია, რომ „ფაზისელი ფასიანეს" მსგავსად შეიძლება არსებობდეს „ქუთაისელი ფასიანე" და ა. შ.? თუ ასეა (და სხვა დასკვნის გამოტანა აქ შეუძლებელია), ესეც ძალიან სამწუხარო გაუგებრობაა. „ფასიანე" ნიშნავს სხვა არაფერს, თუ არა „ფასისელი" ან „ფასისური", ხოლო არიანესთან ნახსენები „ფასიანე თეოს" არის ფასისელი ან ფასისის ღმერთქალი. ეს შესაწიშნავად აქვს განმარტებული თ. ყაუხჩიშვილს, და აქ სხვა ზრი არ შეიძლება არსებობდეს.22 გ) არიანე მართლაც ამბობს, რომ ფაზისელი ღმერთ-ქალის ქანდაკება წაადგა ფიდიასის იმ ქნდაკებას, რომელიც ათენის მეტროონში დგასო. მაგრამ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მეტროონში იდგა არა ფიდიასის, არამედ ფეიდიასის ნახელავი (სპეციალურად ეფიშვნა, რომ ეს ჯერ კიდევ აქ მკვლევრებმა მაქსიმე ბერძნიშვილმა შენიშნა ამ ოცდათოთოდ წლის წინ23). პროფ. ა. ფფაქიძეს ეს შეიძლება არ ცოდნოდა, მაგრამ მან არა თუ უბრალოდ გიამეორა, არამედ კიდევ უფრო გაადრმავა არიანეს შეცდომა და ფფარიანტოსის ამ ქანდაკებას „ფიდიასის **ცნობილი** ნახელავი" უწოდა. თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერი, ჩაეხედოთ მე-9 პარაგრაფს ქსოვეის კულტურას რომ შეეხება ძვ. წ. V-IV ათასწლეულებიდან და საკმარისია შეეხედოთ 761-ე გვერდზე, სადაც ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვრის მოშენებაზეა ერეკული საუბარი: „როგორც ირკვევა, ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვარი კოლხებში ცნობილი იყო და გავრცელებულიც ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებშიც მაინც. უნდა ვიფიქროთ, რომ მეცხვარეობის ხანგრძლივმა ტრადიციამ, ყოველ შემთხვევაში, ადრებრინჯაოს ხანიდან მაინც (ე. ი. ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ო. ლ.) ქართველი მეცხვარე საკმაოდ ადრე მიიყვანა ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვრის გამოყვანამდე. ამიტომ ვარაუდობენ მეცხოველეობის ამ დარგის ისტორიის სპეციალისტები, რომ ბერძნებმა, რომელთაც ჰქონდათ სარწმენო ცნობები კოლხური ძეიოფსის მატყლის შესახებ, მოაწყეს ლაშქრობა მატყლის წასალებად კოლხეთიდან საბერძნეთში, ან რაც უფრო მოსალოდნელია, ნაზმატყლიანი ცხვრების წასასხამად ლეგენდარული ქეეყნიდან საბერძნეთში". კვლავ თავი დავანებოთ წმინდა მეცნიერულ მხარეს, კერძოდ იმას, რომ ასე მარტივადაა გადაწყვეტილი ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვრის არსებობა ძვ. წ. II ათასწლეულის კოლხეთში (რაც, რბილად რომ ვთქვათ, საერთოდ საეჭვოდაა მიჩნეული ასე შორეული ხანისათვის მსოფლიო მასშტაბითაც კი), რომ სპეციალურ ლიტერატურაში ძალზე აკუმტყიურად უფურეგნენ ბერძენთა ორგანიზებული მოგზაურობის შესაძლებლობას ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებამდე შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და უკეთეს შემთხვევაში ვარაუდობენ, რომ ბერძენ-აქაველთა მოგზაურობანი მიკენურ ხანაში ძალზე შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ე. ი. იმ საკითხებს, რომელიც დგას „ნამდვილ" მეცნიერებაში არგონავტიკის უძველეს და ადრინდელ ვერსიებთან დაკავშირებით. მაგრამ ყოველგვარ ჰიპოთეზას (თუნდაც ძალიან გულუბრყვილოს) ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც საფუძველი და ეი მინდა ვიკითხო, რა საფუძველი აქვს ვარაუდს, რომ „ბერძნებმა" რომელთაც ჰქონდათ სარწმენო ცნობები კოლხური ძეი-

22 იხ. ვ.ფფაქიძე „ადმოსავლური ფილოლოგია", I, თბილისი, 1969, გვ. 195-196.

23 მ. ბ ერ ძ ნ შ ვ ი ლ ი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბილისი, 1969, გვ. 139.

ფასი მატყლის შესახებ (? — ო. ლ.) **მოაწყეს ლაშქრობა მატყლის წასალებად** კოლეგიიდან საბერძნეთში ან რაც უფრო მოსალოდნელია (?! — ო. ლ.) **ნაშბატყლიანი ცხვრების წასასხმად ლეგენდარული (? ო. ლ.) ქვეყნიდან საბერძნეთში**". ნეთუ ამ ვარაუდის საფუძველია მხოლოდ ის, რომ ოქროს საწმისი, რომელისთვისაც მოეწყო არგონავტთა ლაშქრობა, წარმოადგენდა ცხვრის ტყავს? მაგრამ ეს ხომ იმ ბერძენი ცხვრის ტყავი იყო, რომელმაც, მითის თანახმად, ფრიქსე კოლხეთში ჩამოიფრინა?! ან ასეთ მონაცემებზეა დაფუძნებული ვრცელი მსჯელობა 761-ე და შემდეგ გვერდებზე, რომლის ამ წარმოდგენა მე უხერხულადაც კი მმარწმნა. მაგრამ არ შემიძლია არ მოვიხსენიო ამ პარაგრაფის შესაფერი დასკვნითი სტრიქონები (გვ. 764-765): „ქსოველის მაღალ კულტურას და ფაქიზ ქსოველთან შემოსვას გვიმტკიცებენ ძვირფას ქვებზე ნაკვეთი გამოსახულებანი. ნაზი, თხელი და რბილი ქსოველი ადვილად დამორჩილებია საკმაოდ ხშირ დანაოვებას და დაპყოლია ნაძერწ ფიგურას ან მის ცალკეულ ნაწილს. როგორც ჩანს, თავისი სიმსუბუქით გამორჩეულა საზაფხულოსაზეიმო სამოსი სოხუმელი წარჩინებულისა (მითითებულია სოხუმის სტელა — ო. ლ.)" და ა. შ. მაგრამ სოხუმის სტელა ხომ ბერძნული ხელოვნების ძეგლია და ამ წარმოდგენილ კანონიკური პერსონაჟებიც (ა. აფაქიძე, რომ სოხუმელ წარჩინებულს უწოდებს) ხომ წმინდა ბერძნულ ტანისამოსს (უსახელო ატიკური ბეჭლოსი, ქიტონი) ატარებენ ისევე, როგორც ასეულობით ბერძნული ხელოვნების ძეგლებზე! სამწუხაროდ, მსგავსი დასკვნები გვხვდება XV თავის სხვა ნაწილებშიც: გვ. 777 — თეატროლოგ სანახობათა გავრცელების არგუმენტად მოტანილია ვაზში ნაპოვნი მინის მძივაკიდები, რომლებიც თითქოს თეატრალური ნიღბების იმიტაციას წარმოადგენენ. მაგრამ ისინი ხომ სირიის სახელოსნოების ნაწარმია!

გვ. 779: მუსიკალური საკრავების გავრცელებაზეა ვრცელი საუბარი და ერთ-ერთ არგუმენტად სრული სერიოზულობითა და მსჯელობით ნახსენებია 1951 წელს მცხეთის აკლდამაში ნაპოვნი „ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება: „მომდერალ-დამკვრელი" — მუსაკოგე ჯაბეკისა", რომელსაც ა. აფაქიძე „მცხეთელ მუსიკოსს" უწოდებს. ანტიკური იკონოგრაფიის ელემენტარული ცოდნა იყო საჭირო, რომ ამ ძველი ელინური ღვთაების პანის გამოსახულება გამოგვეცნო (დამახასიათებელი წვეტიანი ყურებით) და მისთვის **„მცხეთელი მუსიკოსი"** არ გვეწოდებინა **(არას ვამბობ,** რომ ანალოგიური სტელის და აგრეთვე დანშნული ბის ქანდაკებანი კარგადაა ცნობილი ახ. წ. პირველი საუკუნის რომისა და მისი დასავლური პროვინციების არქეოლოგიურ ძეგლთა შორის). თუ მსგავსი შეცდომების მიზეზების ახსნა კიდევ შეიძლება, სამაგიეროდ ჩვენთვის მაინც გაუგებარია ის რიგი შეცდომებისა, რომელსაც ახლა ვახსენებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 723: „ვაზში ძვ. წ. III საუკუნის ქვაფენილი ქუჩა გაითხარა 1966 წელს. ახლად **აღმოჩენილი** ქვაფენილი, როგორც ჩანს, შიდა ციხის კარიბჭიდან გორასამლოცველოს თავზე მდგარი ტაძრისაკენ მიემართებოდა". ისევ (და მერამდენედ?!) სამწუხაროა გაუგებრობა! არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, რომ ეს ქვაფენილი კარიბჭის ტაძრის მისასვლელს წარმოადგენს მხოლოდ და მისი სიგრძე 18 მეტრია. მაშინ, როდესაც კარიბჭიდან გორა-სამლოცველამდე 200 მეტრი მანძილა და რაც მთავარია, არავითარი ქვაფენილის ფრაგმენტიც კი არ ჩანს და რელიეფსა და ძველი ქალაქის დაგეგმარების პრინციპების მიხედვით არცაა მოსალოდნელი. კიდევ უფრო საოცარია მომდევნო მსჯელობა: „ეტყობა ვანის შიდაციხეს ორგვარი ქვაფენილი უნდა ჰქონოდა: ერთი ჩვეულებრივი, კარგად შერჩეული, თანაბარი ზომის რიყის ქვებით ნაწყობი... მეორე ხერხი ქვაფენილით დფარვისა უფრო რთული და მას შეიძლება მოკირწყვლა ეწოდოს, რადგან წინასწარ დავაკეტეთ ფართობზე, როგორც ჩანს, ფუღაბით აწყობდნენ რიყის ქვებს". არ ვიცი, იყო თუ არა ელინისტურ ხანაში სადმე წესად დუღაბზე ნაწყობი რიყის ქვაფენილი, მაგრამ ის კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ არაფერი ამის მსგავსი ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი არაა!

სხვა რიგის შეცდომებიც მრავლადაა წიგნის სარეცენზიო ნაწილში წარმოდგენილი. არაა ეიტყვით იმაზე, რომ 678-ე გვერდზე მითრა გვიანანტიკურ ხანაში (ე. ი. ახ. წ. პირველ საუკუნეში) სასანელთა ღვთაებადაა გამოცხადებული (ალბათ უნდა იყოს **პართიის**), ან კიდევ ტერმინთა აღრეკაზე (მაგ. გვ. 726 ნახმარია ტერმინი „თეთრფიგურიანი კერამიკა", უნდა იყოს კი წითელფიგურიანი), ან კიდევ იმაზე, რომ ზოგჯერ ბრინჯაოს ნივთი ვერცხლისად არის მიჩნეული, (გვ. 705), ხოლო ოქრო-ვერცხლისა — რკინისად (გვ. 686). კიდევ მეტი! ზოგჯერ ისეთი ნივთის სახელწოდებაც კი არაა სწორად დასახელებული, რომლის საფუძველზეც მთელი თეორიაა აგებული. ასე, მაგალითად, ერთის მხრივ, მზის კულტის, ხოლო, მეორეს მხრივ, ქანდაკების არსებობის მოწმობად დასახელებული „ახალგორისა და ვანის ოქროს წყვილ-წყვილ ცხენთა ქანდაკებები" (გვ. 679), რომელთაც (უკვე საკუთრივ ვანისას) — „ოქროს ცხენების ქანდაკოვან გამოსახულებებსაც" უწოდებს (გვ.726). მაგრამ ჯერ ერთი

რომ, ესაა ღრუ საკიდები, რომლებიც ცალცალვე გამოუქიდიათ ფირფიტებისგანაა შეერთებული და მაინცდამაინც ქანდაკოვანი გამოსახულების ნიმუშად ვერ ჩაითვლება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ვანის საკიდები ცხენების გამოსახულება კი არა, ითხთვალა ეტლზე მდგარი ცხენისნაგებისაა!. ისინი მართლაც შეიძლება დაეუკავშიროთ მზის ღვთაებას, მაგრამ არა როგორც მითრას ატრიბუტი, როგორც ეს პროფ. ა. ალკანიეს ჰგონია (თუნდაც იმიტომ, რომ აქ ცხენი კი არა, მზედრებია გამოსახული!), არამედ შემდეგნაირად: კარგადაა ცნობილი, რომ ძველ ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული მითოლოგიური წარმოდგენები დიდი ქალღვერთისა და მისი მზედრების შესახებ. ასეთი კულტი დადასტურებულია სკვითურ-სარმატულ სამყაროში ძვ. წ. IV-III საუკუნეებისათვის, ხოლო ახ. წ. პირველი საუკუნეებისათვის ლუნის სანაპიროებზე — შეზიაში, დაკიას და პანონიაში. შემოსახელია, აგრეთვე კიდევ უფრო გვიანდელ სლავურ ხელოვნებაში.24 სანინტერესოა აღინიშნოს, რომ ძალიან ხშირად სამკაულებზე დიდი ქალღმერთის ნაცვლად წარმოდგენილია მზის დისკოს გამოსახულება. ვანის და ახალგორის სამკაულებიც ვარდულით — მზის სიმბოლოთია დაგვრგვნებული, ხოლო ვანის საყურის ერთი ერთი ცხენის გავაზე ცეკანთი გამოყვანილია სვასტიკა (ე. ი. აგრეთვე მზის სიმბოლოა!)

6. საკმაოდ ხშირად შეეხვედნი ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობას (ასე, მაგალითად, 739-ე გვერდზე მინის ადგილობრივი წარმოება ახ. წ. III-IV სს ივარაუდება, ხოლო 744-ე გვერდზე — I საუკუნიდან) და მის საფუძველზე გამოტანილ სათუო დასკვნებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მსჯელობა წერილობითი წყაროების ცნობებზეა დაფუძნებული. დამახასიათებელია მსჯელობა 745-ე გვერდზე: ფინეიფერი სანელსაცხებლებისა და აგრეთვე ნელსაცხებლით სავსე ამფორისაკენ აღმოჩენენი მიჩნეულია იმის მოწმობად, რომ „შემოტანის საგანს პირველ ხანებში ნელსაცხებელი წარმოადგენდა". რატომ? იქნებ პირიქით — ადგილობრივ დამზადებული ნელსაცხებლებისათვის ხმარობდნენ იმპორტულ მინის ჭურჭელს? მეორე მხრივ, იქვე — „წმინდა ნინოს ცხოვრების" ცნობა, რომ სეფექალმა შრომაწამ დაბანა ნინოს ხელი და „სცხო ზეთი" მიჩნეულია ნელსაცხებლის ადგილობრივ კეთების მოწმობად — მაგრამ იქნებ შრომაწამ ნინოს იმპორტული „სცხო ზეთი"?

საერთოდ, უნდა შეენიშნოთ, რომ წიგნის ეს ნაწილი ძალიან გადატვირთულია გვიანდელი წყაროებიდან ხშირად უადგილოდ მოტანილი ციტატებით. მაშინ, როდესაც აკრ. ფალავანდიშვილ და უსახურაძეა წარმოდგენილი ნივთიერი ძეგლები — კულტურის ისტორიის უმთავრესი წყარო.

7. განსახილველი წიგნის ამ ნაწილში ვეხვდები, აგრეთვე, კოლეგიური ეთიკის ელემენტარული ნორმების დარღვევის შემთხვევებიც. თითქმის ყველა გვერდზე ავტორი მიუთითებს თავის ნაშრომზე („ქალაქები"...). მაგრამ საყოველთაოდაა აღიარებული, რომ საკუთარი (თუ ნებისმიერი სხვა) ნაშრომი უნდა დავიმოწმოთ მხოლოდ მაშინ, თუ განსახილველი საკითხი იქცა ერეკილ განხილული და მეცნიერულად არგუმენტირებული. სქოლიოებში მითითებების შედარებამ კი დამარწმუნა, რომ ავტორი ხშირ შემთხვევაში ზუსტად იმასვე იმეორებს, რასაც დამოწმებულ ნაშრომში. ამას კიდევ შეეფუებოდა იმედგაცრუებული მკითხველი, რომ უგულველყოფილი არ იყოს მთელი წყება თანამედროვე ქართველი მეცნიერების ნაშრომებისა25. ასე. მაგალითად, გვ. 741 საუბარია მინის მრავალწახნაგა სპეციფიკაციებზე და პროფ. მ. მაქსიმოვას ნაშრომთან ერთად დამოწმებულია ა. აფაქიძის წიგნი, რომელშიც ფაქტიურად მ. მაქსიმოვას მოსაზრებაა გამეორებული, მაგრამ არაა დასახელებული ეგზიტაკის ქართველი სპეციალისტის მარგ. ლორთქიფანიძის სპეციალური გამოკვლევა ამავე საკითხზე, რომელიც უახლესი აღმოჩენების საფუძველზეა დაწერილი,26 ასევე უგულველყოფილია ივანე ავტორი 706, 754, და 755-ე გვერდებზე. პროფ. მ. მაქსიმოვას მეეწერება ვანის, სოხუმის, საქეკუთრის და ენიწყაროს მდიდრულ ამპარხებში მოპოვებული სპეციფიკაციის დათარიღება (გვ. 754), მაშინ, როდესაც უახლესი და ყოველმხრივი გამოკვლევა ამ ძეგლებისა ეკუთვნის მარგ. ლორ-

---

24 Б. А. Рыбаков, Древние элементы в русском народном творчестве, «Советская этнография», 1948, № I, გვ. 90 და შემდ.

25 განხილვისას „ნარკვევების" ზოგიერთი ავტორი აღნიშნავდა, რომ წიგნი გამომცემლობას 1966 წლის ბოლოს გადაეცა და ამიტომაც მას შემდეგ გამოსული სპეციალური ლიტერატურა მასში ვერ აისახაო. თუმც წიგნს ბოლოში ასეთს მითითება: „გადაეცა წარმოებას 16/II-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/X-70" და მასთან ზოგიერთ გვერდებზე 1967-1969 წლების ვითარებაცაა ასახული (გვ. 677, 685, 690, 760, 767, 780), ჩვენ მაინც ვითვალისწინებთ ზემოაღნიშნულს და აღარ ვუსაყვედურებთ უკანასკნელ წლებში გამოსული სპეციალური ნარკვევების მოუხსენებლობას.

26 მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გვიანანდელი ხანის მცირეაზიული სპეციფიკაციის იმერული პირები, საქართველოს მეც. აკად. სახ. მეცნ. განყოფილების „მოამბე", 1963, № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენანძეს[27] ისევე, როგორც მრავალფეროვანი მასალიან დასაბუთება გლეტტიკური ძეგლების ადგილობრივ დამზადებისა (რა თქმა უნდა, პროფ. მ. მაქსიმოვას ღვაწლისა და დასახურების სათანადოდ აღნიშნა-დამოწმებით)[28].

გვ. 709 — ქსნეროფონტის „ანაბაზისი" დამოწმებულია: 1951 წ. რუსული გამოცემის მიხედვით და არაა რატომღაც მითითებული საგანგებო ქართული გამოცემა, რომელიც თ. მიქელაძს ეკუთვნის[29].

გვ. 711 — კოლხური სახლის შესახებ ვიტრუვიუსის ცნობის განხილვისას მითითებული არაა ვ. გაგოშიძისა და თ. ჩიქოვანის სპეციალური გამოკვლევები[30].

გვ. 728: არმაზისხევის ვერცლის თასებთან დაკავშირებით უგულებელყოფილია აგრეთვე ე. მაჩაბელის სპეციალური გამოკვლევები („საბჭოთა ხელოვნება", 1962 № 4; „მაცნე", 1962, № 3).

გვ. 782. საირხის არქიტექტურული დეტალი სვეტისთავადაა მიჩნეული, მაგრამ არაა დამოწმებული გ. ლეკვაკის საგანგებო ნაშრომი[31] (მით უფრო, რომ სხვები მას სვეტის ბაზად განხილავდნენ).

ასევეა შენიშვნები ფიძილებოდა გამოგვეთქვა 723, 726, 729, 743, 758, 759 და სხვა გვერდების მიმართ. ამ რიგის ხარვეზებზე უყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ „ნარკვევებში" ქართული საისტორიო მეცნიერების დღეანდელი დონე უნდა იყოს წარმოდგენილი, ამიტომაც ზოგიერთი ნაშრომის მოუსწავლელობა, რბილად რომ ვთქვა, უცნაურად გამოიყურება.

ვფიქრობ, საკმარისია (თუმც შენიშვნები ბოლომდე ვერ ამოვწურე): **საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს.** აკი წინასიტყვაობაში ნათქვამია: „...ნარკვევების" გამოცემა გამართლებული იქნება, თუ ავტორები მის ფურცლებზე არ დაუშვებენ მეცნიერულად აშკარა (? — ო. ლ.) შეუსაბამოს და დღეანდელი დონის შესაფერისად გაამუქებენ საქართველოს ისტორიის საკითხებს" (გვ. 14).

თითქოს შეიძლებოდა აქ წერტილის დასმა და დანარჩენს პირუთნელი მკითხველი განსჯიდა, მაგრამ სჯობს სათქმელი ბოლომდე ითქვას. თუ დღეს თავს უფლება მიეცი ასე საჯაროდ, განსასჯელად გამოიტანოს სარეცენზიო წიგნის (უფრო სწორად, მისი ერთი ნაწილის) ავ-კარგი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნი საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურისათვის სარეკორდო ტირაჟითაა გამოსული (20 000!), ამასთან წინასწარი ხელმოწერით გაყიდულია. ისიკაა პირველ რიგში გასათვალისწინებელი, რომ ჩვენი საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენს საისტორიო ლიტერატურისადმი და კარგა ხანია მოუთმენლად ელის საქართველოს ისტორიის მრავალტომეულს. აკი ამ გამოცემის წინასიტყვაობაშიაცა აღნიშნული: „წინამდებარე გამოცემას უდიდესი როლი აკისრია აგრეთვე საკუთარი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის სანდო, ჩვენი ცოდნის დღეანდელი დონის შესაფერისი მასალის მიწოდების თვალსაზრისით" (გვ. 14).

ჩემს შენიშვნებში საქმე რომელიმე დიდი პრობლემის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას კი არ ეხება (სამწუხაროდ, წიგნის სარეცენზიო ნაწილი ასეთ შესაძლებლობას არც იძლევა), არამედ აშკარა შეცდომებს, რომელიც ახლავე უნდა იქნეს ფიქსირებული, ვიდრე ღრმად დამძვიდრებენ[6] ადგილს და ამასთან არა მარტო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ საზოგადოების ფართო წრეებში (სხვას რომ თავი დავანებოთ, ალბათ ამ წიგნით მოემზადებიან მოსწავლეები, სტუდენტები და სხვ.)

ისიკაა საკითხავი, თუ რატომ ახლავს ასეთი მძიმე ხარვეზები ასე მაღალი დანიშნულების წიგნს, რომელიც თურმე „მოწონებულია და რეკომენდირებულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ".

უპირველესი მიზეზი ისაა, რომ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, წიგნი წინასწარ არ იქნა სპეციალისტების მიერ განხილული. შეგახსენებთ, რომ მხოლოდ წინასწარ განხილვას შემდეგ გამოიცა თავის დროზე „საქართველოს ისტორია" (1946 წ.) ს. ჯანაშიას რედაქციით და ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის თანაავტორობით, შემდეგ 1958 წელს ნ. ბერძენიშვილის რედაქციით და ა. შ.

წიგნის სარეცენზიო ნაწილის ზოგიერთი

---

27 მარგ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, 111 გვ. 39 და შემდ.

28 მარგ. ლორთქიფანიძე, საქართველოს... :, გვ. 4; II, გვ. 28; III, 9-10

29 თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი". თბილისი, 1967 (ეს ნაშრომი „ნარკვევების" I ტომის გამოსაცემად მომზადებისას რომ უკვე გამოსული იყო, ჩანს იქიდან, რომ დასახელებულია წყაროების მიმოხილვისას — გვ. 42)

30 B. C. Гагошидзе, Древнейшие типы жилых домов Западной и Восточной Грузии, „მაცნე", 1965, № 1.

31 იხ. ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", 1962. № 2. გვ. 49-51.

ოთარ ლორთქიფანიძე

საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს

ხარვეზი (განსაკუთრებით ქრონოლოგიისა და ისტორიულ-კულტურული საკითხები) განაპირობა იმისაც, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში ძალზე შესუსტდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დისკუსიები საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე. კიდევ მეტი! დასამალი არაა, რომ ზოგიერთი ავტორი მისი დებულების მეცნიერულ კრიტიკას რაღაც პირადი მტრობისა და ფიზიკური განადგურების სურვილის გამოვლენად მიიჩნევს. ამის გამო, რომ წლების მანძილზე მკვიდრდება მცდარი დებულებები, რომელთა გადასინჯვა ახალი მეცნიერული აღმოჩენების საფუძველზეც არ ხდება. საკამათო არაა, რომ მხოლოდ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, ყოველი ახალი დებულების პირუთვნელი შეფასებაა ყოველი მეცნიერების შემდგომი განვითარების ნამდვილი საწინდარი.

„ნარკვევების“ პირველმა ტომმა ცხადყო აგრეთვე ხარვეზები ქართული არქეოლოგიის განვითარებაში (წიგნის უდიდესი ნაწილი არქეოლოგიურ მასალაზეა დაფუძნებული). თვალნათლივ გამოჩნდა, რომ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენების შესაბამისად არ ხდება მათი დროული მეცნიერული პუბლიკაცია. ჯერ კიდევ კარადებშია გამოკეტილი ათეული წლების წინ მოპოვებული უმარტივესი არქეოლოგიური მასალა, რასაკვირველ, პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა აქვთ. ზოგიერთი არქეოლოგი მასალის დოკუმენტური ანგარიშის გამოქვეყნებლად ავრცელებს თავის სუბიექტურ შეხედულებებს, რის შედეგად, ზოგჯერ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება მცდარი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი დებულებები. მათი უარყოფა კი ენერგიის დიდ დაძაბვასთანაა დაკავშირებული.

წლების მანძილზე არქეოლოგიური მასალების გამოუქვეყნებლობა დიდ ზიანს აყენებს, აფერხებს მეცნიერების განვითარებას. სწორედ არქეოლოგიური მასალების გამოუქვეყნებლობა და გათხრების არაეგმიერი ორგანიზაციაა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ ქართული არქეოლოგია დღეს რამდენადმე ჩამორჩება როგორც კვლევის ახალი მეთოდების გამოყენებით, ასევე კვლევის პრობლემატიკის თვალსაზრისითაც. თუ ამ მხრივ მაინც „ნარკვევების“ I ტომი მოსაბრუნი გახდება ქართული არქეოლოგიის განვითარებაში, მაშინ მისი ამ სახითაც გამოცემა იქნებ გამართლებული იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲘᲡᲐ ᲔᲡᲢᲘᲛᲘᲐᲜᲘ

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲠᲓᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲙᲝᲛᲞᲚᲝᲛᲝᲜᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲐᲚ-ᲐᲓᲐᲜᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲠᲓᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲗᲐᲛᲘᲡᲜᲘᲗ, ᲙᲘᲠᲘᲜᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲬᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ ᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲙᲝᲛᲞᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ ᲒᲕᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲒᲘᲞᲢᲔᲡᲨᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲗᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ III ᲡᲐᲣᲣᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲢᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲠᲐᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲜᲣᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. XI-XII ᲡᲐᲣᲣᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲔᲒᲘᲞᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲗ ᲨᲔᲐᲯᲕᲬᲠᲝᲗᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲫᲘᲒᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ XVIII ᲡᲐᲣᲣᲜᲔᲑᲘᲓᲐ, ᲐᲛᲘᲗᲐᲛᲐᲒ ᲙᲝᲛᲞᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲚᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲧᲝᲤᲢᲝ ᲔᲜᲐ ᲔᲒᲘᲞᲢᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ-ᲙᲝᲠᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ.

ᲙᲝᲛᲞᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, ᲗᲐᲕ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲝᲗ ᲧᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲨᲔᲘᲡᲬᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ. ᲙᲝᲛᲞᲝᲚᲝᲛᲝᲜᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ 10 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲖᲐᲜᲬᲣᲠᲝᲜᲚᲘᲗ ᲛᲘᲘᲜᲘᲨᲜᲐ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲔᲒᲘᲞᲢᲔᲡᲨᲘ, ᲜᲐᲒ ᲰᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲛᲝᲑᲚᲐᲓ, ᲐᲚ-ᲛᲝᲩᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲣᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲯᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲐᲨᲨ

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲞᲝᲚ ᲠᲝᲑᲡᲝᲜᲗᲐᲡ

ᲞᲘᲥᲢᲚᲑᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲚᲔᲣᲠᲒᲗᲐ ᲛᲫᲘᲛᲘ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ — „ᲠᲘᲩᲘᲡ ᲥᲚᲐᲕᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲚᲘᲪᲘᲓ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ, ᲐᲛᲘᲗᲐᲛᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲠᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲣᲚᲠᲘᲛᲔᲚᲘᲡ — ᲞᲝᲚ ᲠᲝᲑᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲚᲘᲐ, ᲞᲝᲚ ᲠᲝᲑᲡᲝᲜᲘ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ, ᲙᲐᲜᲜᲘᲗᲘᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲫᲒᲝᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲨᲝᲠᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲒᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲛᲒᲠᲐᲕᲚᲘᲗ ᲚᲘᲪᲘᲓ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲗᲐᲠᲘᲯᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲪᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲚᲘ ᲗᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗᲐᲜ.

ᲒᲣᲚᲑᲐᲠᲔᲗᲘ

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ...

„ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲣᲚᲘᲡ“, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ — „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲝᲠᲤᲔᲣᲡᲘ“, ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ — „ᲒᲕᲘᲠᲜᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ-71“, „ᲡᲝᲒᲘᲗᲘᲡ ᲛᲣᲖᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲣᲚᲘᲡ“ — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲧᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲤᲐᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲙᲘ ᲡᲝᲤᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲮᲘᲮᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ — „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ“. ᲐᲮᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲛᲨᲣᲚᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲫᲘᲠᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲫᲘᲠᲔᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲐᲮᲐᲕᲡ.

ᲔᲠᲐᲡᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲘᲓ ᲙᲝᲠᲔᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲒᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲚᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲐᲕᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲐᲠᲣᲤᲘᲡ ᲐᲠ-ᲠᲣᲡᲐᲤᲘᲡᲐᲛᲓᲔ (1875-1945) ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲚᲘᲐ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲑᲐᲓᲦᲐᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲛᲘᲐᲓ ᲛᲐᲛᲚᲘᲫᲔ.

ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲐᲚ ᲡᲐᲯᲐᲤᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲔᲡᲜᲐ, ᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛ, ᲛᲐᲗᲚᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲒᲐ ᲐᲠ-ᲠᲣᲡᲐᲤᲘᲡ ᲪᲮᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲛᲥᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲘᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ, ᲠᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕᲒ ᲣᲧᲝᲤᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲚᲘᲫᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲒᲐ 5 ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲮᲐᲕᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲡᲮᲛᲘᲜᲓᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲠᲝ-ᲒᲐᲛᲝᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲫᲦᲠᲐᲛᲐᲨᲘ. ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲒᲐ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ

ალ-რუსაფის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კლასიფიკაციის „ფანასსენელ თავ-ში განხილულია პოეტის მიერ სხვადასხვა დრო-ს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები ენ-ისა და ლიტერატურის შესახებ.

იტალია

სპექტაკლი დოსტოევსკის მოთხრობის მიხედვით

დიდი რუსი მწერლის დოსტოევსკის მოთხრობის, „ნიანგის", მიხედვით რომის ნაციონალურ თეატრის სცენაზე დაიდგა წარმოდგენა, რომელიც რამდენიმე მუსიკალურ ჟანრს მოიცავს. მოთხრობის გმირი, ჩინოვნიკი, — „პატარა ადამიანი" საკვირაო გასეირნებისას გადაწყვეტს ცოცხალი ნიანგის დათვალიერებას. და, აი, მოხდა უბედურება, ნიანგმა ჩინოვნიკი ჩაყლაპა. ამ დაუჯერებელმა ამბავმა ჩინოვნიკურ საზოგადოებაში აურზაური გამოიწვია, ხოლო სენსაციური ამბის მონაწილე ცოცხალია და დიდებულად გრძნობს თავს მტაცებლის მუცელში.

სპექტაკლისათვის მუსიკა იტალიელმა კომპოზიტორმა ვალენტინო ბუკმა დაწერა. სპექტაკლი თანამედროვედ ჟღერს, ერთ-ერთი სცენა პოლიციელთა მიერ ახალგაზრდული დემონსტრაციის დარბევას ასახავს. ფინალში „წესრიგის დამცველნი" ნიანგს ხვრეტენ. მასთან ერთად ჩინოვნიკიც კვდება.

ამ უჩვეულო სპექტაკლის წარმატების მოუხედავად, რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ დამდგმელებმა სრულად ვერ გამოიყენეს ის შესაძლებლობანი, რასაც ნაწარმოების იდეა იძლევა. ბურჟუაზიული სამყაროს კრიტიკისათვის.

საფრანგეთი

დაიდგა „ომი და მშვიდობა"

პარიზის რადიოს სახლში საკონცერტო შესრულებით დაიდგა ს. პროკოფიევის ოპერა „ომი და მშვიდობა". გაზეთ „მონდის" მუსიკალურმა კრიტიკოსმა, რეიმ, მაღალი შეფასება მისცა ამ დადგმის მხატვრულ ღირსებებს. „პარიზის რადიოს სახლში წარმოდგენილი ოპერა. — წერს იგი — ფართო ისტორიული ფრესკაა".

მთავარი პარტიები ცნობილმა მომღერლმა კოლეტ ერიოგმა (ნატაშა), ჟორჟ ლუბიონინმ (პიერ ბეზუხოვი) და ივ ბეხონმა (ანდრეი) შეასრულეს.

ჟურნალი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის ბრ. № 91

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-35. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 18/VIII-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IX-71 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საალრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 2949. უგ 02149. ტირაჟი 25750.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკითხველთა საყურადღებოდ

გამოიწერეთ ჟურნალი „ცისკარი“

1972 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდება:
ბაბუა ამირეჯიბი — დათა თუთაშხია (რომანი)
ოთარ ჩხეიძე — ბორიანი (რომანი)
გიორგი გელაშვილი — გვიშარავს ვრავალი მერი (რომანი)
გურამ დოჩანაშვილი — სამქმე (მოთხრობა)
შალვა ნიცუბიძე — მოგონებები

დასაბეჭდად გათვალისწინებულია აგრეთვე ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და მწერლების ახალი ნაწარმოებები

კრიტიკისა და კუბლიცისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნდება საინტერესო წერილები, სტატიები და რეცენზიები როგორც საგზოთა, ისე საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე

კვლავაც დიდი ადგილი დაეთმობა უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკას

8 5/172

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236